

ԵՐԵՄ ԷՐԵԲԵԼՊԱՅՈՅ

Վ Պ Պ Ե Հ Պ Ա Յ Ա Ա Ա Ա

ԿԵՐԱԿՈՒԼ

2012 ԵՊԲ

Ժայռու կամ թօշեց, ջրու օքնոցից և առջպատճեց, Աշո-
ազու առաջու շըմոցի իջու բահեցու թյառեցու ու Խո-
ջո ՅՄՊՈՐԵՑՀԻ լեզուու բահեցու ծյուրեցու, հրդյա-
բագիք ՅՄՊՈՐԵՑՀԻ, հոյ յանիւ սրբաւթա վեհապա-
թորչութեա, ու այս աշու աշու աշու աշու աշու ու
յաջոցի այ 1317-6-1

Լմեմ բանբօնիքնաւ

ՀԵՇԱՅԹՈՒՐՈՒ: ԱՌՋԱՆ ԷՂՋԱՋԱ

ԳՈՎԵՆՈՎԱՆԻ ՀԵՇԱՅԹՈՒՐՈՒ: ՈՐԱԿԱՆ ԿՐԻԴԱԿՈՒԱ, ԹԱՐՈՒԱ ՑՐՑՈՎԱՑՈՂՈ

ՑՐԱՑՈՎԱՇՈՂՈ ՈՂՄԱԳԻՐԱՑՈՎԵՑՈՒ

ԵԱՑՈՎՈՒՍ ՀՎՖՈՒՐՈՒ, ԹԵԱՖՈՎՈՒՐՈՒ: ԱՌՋԱՆՏԵՇՐԵ ՄՐԴԱ

რედაქტორისგან

ლიტერატურა ბავშვობიდან უყვარდა. ჯერ კიდევ სკოლის ასაკში წერდა ლექსებს, თუმცა ამას სერიოზულ გატაცებად არ მიიჩნევდა. ლექსებიდან პატარ-პატარა ჩანახატებზე გადავიდა. მოგვიანებით ლიტერატურის სიყვარული პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გადაეზარდა. და მაინც... სოსო ლონდრიშვილისთვის მოწოდება – მოთხრობები ეწერა, გვიან მოვიდა, როცა ერთხელ სოფელში გაგონილი ამბის ქალალზე გადატანა განიზრახა, მაშინ მიხვდა, რომ ამ ამბიდან მშვენიერი მხატვრული ნაწარმოები შექმნა – ეს იყო მოთხრობა „ბლაგვი“. მას შემდეგ შეიპყრო იგი წერის მანიამ...

სოსო ლონდრიშვილი რუსთავში დაიბადა, 1952 წელს. აქ აიდგა ფეხი, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლაც. შემდეგ იყო თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი, სადაც ის გერმანული ენის სიყვარულმა მიიყვანა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სოსო გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარის საშუალო სკოლაში გაანაწილეს, მასწავლებლად, მალევე დანიშნეს იგი ამავე რაიონის სოფელ მზიანეთის საშუალო სკოლაში, დირექტორად. მოგვიანებით აირჩიეს გარდაბნის რაიონის დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარედ. ნიჭიერი, პერსპექტივული ახალგაზრდა 1991 წლიდან რუსთავის №17 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას ხელმძღვანელობს. მაგრამ, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სოსოს ცხოვრებაში ეს იყო ძალიან მძიმე წლები: უშუქობა, ომი, ქაოსი, დაპატიმრება (ის დააპატიმრა ე.წ. მაშველთა კორპუსმა „მხედრიონმა“, როგორც ეროვნული ხელისუფლების მომხრე).

1997 წლიდან სოსო იწყებს მუშაობას თბილისში, გერმანიის საელჩოში, შემდეგ ერთი წლით მიემგზავრება გერმანიაში სამუშაოდ.

2003 წელს სოსო ლონდრიშვილი აქტიურად მონაწილეობს შევარდნაძის ხელისუფლების დამხობაში. შემდეგ მუშაობას იწყებს ქვემო ქართლის სასკოლო ოლქის სამმართველოს უფროსად, მაგრამ არსებული სამსახური ახალი ხელისუფლების მიერ გაუქმებულ იქნა.

სოსოს ჰყავს ოჯახი, არაჩვეულებრივი მეუღლე თამარი, ორი ვაჟი და ერთი შვილიშვილი.

ნინამდებარე ნიგნი სოსო ლონდრიშვილის მოთხოვების კრებულია. მასში შესულია ოცდაერთი მოთხოვბა.

აკავის ლიტერატურის შესახებ აქვს ერთი ასეთი გამონათქვამი: „ლიტერატურა ხალხისთვის სიკეთეში გადამყვანი ხიდია და ფონი! როგორც კეკლუცისათვის სარკე, ისე ხალხისათვის ლიტერატურა საჭირო, რომ შიგ ჩაიხედოს და თავისი სახე მისის ღირსებითა და ნაკლოვანებებით დაინახოს.“ სწორედ ასეთები არიან სოსოს მოთხოვების გმირები: რეალური ცხოვრებიდან აღებულნი, მართალნი, მოყვასისადმი სიკეთითა და სიყვარულით განმსჭვალულნი, სხვებისათვის მისაბაძნი.

სოსო ლონდრიშვილის მოთხოვების სიუჟეტები ცხოვრებისეულია, ადვილად აღსაქმელი, თხრობა – ენის სისადავით გამორჩეული. ავტორი იწყებს ამა თუ იმ ამბის თხრობას და მანამ, სანამ განვითარებული სიუჟეტი კულმინაციას არ მიაღწევს, მკითხველისათვის ის ბოლომდე სიურპრიზად რჩება. ესეც თხრობის ერთგვარი ავტორისეული მეთოდია.

სოსოს აქვს საკუთარი სახლი კახეთის ერთ ულამაზეს სოფელ ვაზისუბანში, რომელსაც იგი ხშირად სტუმრობს. სწორედ ამან განაპირობა სოფლის თემაზე შეექმნა არაჩვეულებრივი ნაწარმოებები, პერსონაჟებად კი იქაური ტიპაჟები გამოეყენებინა, ესენია: „გიო“, „ბლაგვი“, „სახიფათო გასეირნება“, „ვანო პაპა“, „დალაქი პელა“... აქვს ავტობიოგრაფიული მოთხოვებიც, რომელთა თემა თანამედროვეობას ეხმაურება და ამდენად ის აქტუალურია: „სიკეთისათვის დარღვეული კანონი“, „ჰქმნა მართლისა...“ და „ნოსტალგია“.

განსაკუთრებული ადგილი უკავია სოსოს შემოქმედებაში მოთხოვბას „ანდერძი“. როგორც ავლნიშნეთ, მას ურთულეს პერიოდში მოუხდა ცხოვრება, მტკიცნეულად განიცდიდა ქართული ტერიტორიების დაკარგვას, უამრავი ახალგაზრდის დაღუპვას აფხაზეთში, ე. შევარდნაძის მიერ ინსპირირებულ უაზრო ომში. მოთხოვბაში შეტანილია ეპიზოდები ქართულ-აფხაზური ომიდან, რუსი და აფხაზი „ბოევიკების“ „საგმირო საქმეები“, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს მოვლენები ისე ოს-

ტატურადაა ჩართული გურამისა და ნატაშას, ნიკასა და ინას სიყვარულის ფონზე, რომ ის ერთობ საინტერესოდ იკითხება.

საბოლოო ვერდიქტს მაინც მკითხველს მივანდობთ. ვფიქ-
რობთ, სოსო ლონდრიშვილის მოთხრობების კრებული ღირ-
სეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართულ პროზაულ ნაწარმო-
ებთა შორის. ფეხბედნიერი ყოფილიყოს, სოსო, შენი შემოსვლა
ქართველ მწერალთა საუფლოში!

ალმარ ლომიძე

სოსო ლონდრიშვილს!
(სალალობო)

გიცნობ, როგორც განათლებულ
და მწიგნობარ ლონდრიშვილს,
მაგრამ მწერლად არ გიცნობდი,
მაპატიე, ბოდიში!

პირველ წიგნზე, მის ავკარგზე,
ჯერ ადრეა მსჯელობა,
მაგრამ რადგან შეემატე
მდიდარ ქართულ მწერლობას,
განათლების ქურუმი ხარ
და შენგან მეტს მოველით,
მწამს გვახარებ კვლავ მრავალი
მოთხრობით, თუ ნოველით.
მე კი შენი მკითხველი და
კრიტიკოსი ვიქნები...
ჩვენო სოსო, კიდევ ბევრი
დაგებეჭდოს წიგნები!
შენს მოთხრობებს არ აკლია
იუმორიც, სატირაც.
ხან მაცინა, ხან მამლერა,
ხანაც გულით მატირა.

პატივისცემით –
განო ცინცაძე,
ნოდარ დუმბაძის პრემიის ლაურეატი

პრეზენტი

კუძღვნი აფხა ზეთის ომში
დალუბულ ბადრი გოგლიძის ხსოვნას

I

გურამი საათის ზარმა გამოაღვიძა, უკმაყოფილოდ გაიზმორა და სამზარეულოში მოფუსფუსე დედას გასძახა – დღეს ხომ კვირა! კვირა დღეს მაინც გააჩერეთ ეს ოხერი მაღვიძარა, ერთი დღე დამაძინეთ რა ჩემს გემოზე, - ბუზღუნებდა და თვალებს იფშვნეტდა გურამი.

ქალბატონმა მარიამმა მაღვიძარა გამორთო და სამზარეულოში გაიტანა. გურამმა ზენარი წაიფარა და კედლისკენ გადაბრუნდა, თუმცა ძილი აღარ მიჰკარებია.

გურამმა ორი თვის უკან დაასრულა სამხედრო სამსახური შორეულ აღმოსავლეთში. ჯარში მძლოლის პროფესიას დაეუფლა. დემობილიზაციის შემდეგ აქ, გუდაუთაში ერთ-ერთ სამშენებლო სამმართველოში დაიწყო მუშაობა. სამუშაოთი უკმაყოფილო არ იყო, მაგრამ ხელფასი ეცოტავებოდა. გადაწყვეტილი ჰქონდა ამ ზაფხულს დაოჯახებულიყო, ამ განზრახვას მშობლები და და-ძმებიც უწონებდნენ.

– გურამ, გუშინ რაული იყო ჩვენთან, კომკავშირის რაიკო-მიდან, – უთხრა დედამ.

– ეს რომელი? ხიშბა?

– დიახ, ხიშბა, მგონი ინსტრუქტორად მუშაობს, არა?

– რა უნდოდა?

– ასე თქვა, ჩვენთან მოვიდეს რაიკომში, გურამისთვის საინტერესო წინადადების შეთავაზება გვინდაო! წადი, იქნება სასიკეთო რამე შემოგთავაზონ, – უთხრა დედამ.

– მე მაგათი სიკეთის ბევრი არაფერი მწამს. სასიკეთო რომ ჰქონდეთ, აფხაზს დაუძახებდნენ და არა მე. თუმცა წავალ შენი ხათრით, რახან ასე გსურს, არ გაწყენინებ! – უთხრა გურამმა დედას და საწოლიდან წამოდგა, აივანზე გავიდა, კედელზე დაკიდებული ჰანტელი ჩამოიღო და ვარჯიში დაიწყო.

გურამმა კვირადღე სახლში გაატარა. დილით მამას მიეხმა-

რა საოჯახო საქმეებში, შემდეგ ისადილა, თუთისა და კაკლის ხეებს შორის გაბმულ ჰამაკში ჩაწვა და წიგნის კითხვას შეუდგა.

მეორე დღეს დილიდანვე წავიდა კომკავშირის რაიკომში, მოძებნა რაულ ხიშბა და ორივე მესამე მდივნის მისაღებში გამოცხადდა.

— ჩვენ გავეცანით თქვენს ბიოგრაფიას. კარგი დახასიათება გაქვთ სამხედრო ნაწილიდან, თანასოფლელებიც პატივისცემით საუბრობენ თქვენს შესახებ, თქვენი პროფესიაც საკმაოდ მოთხოვნადია, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა წინადადებებს მესამე მდივანი და ყურადღებით ათვალიერებდა წარმოსადეგ, ახოვან ახალგაზრდას, — გუდაუთის კომკავშირის რაიკომმა, პარტიის რაიკომთან შეთანხმებით, გადავწყვიტეთ შემოგთავაზოთ სამუშაო კომკავშირული საგზურით შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ, ტიუმენის ოლქში, ალბათ იცით, რომ ჩვენს ქვეყანას აღმოსავლეთიდან გაჰყავს ნავთობსადენი დასავლეთის მიმართულებით. შესაბამისად იწყება გრანდიოზული მშენებლობები, თქვენ, როგორც მძღოლი, კარგი კანდიდატურა ხართ, იფიქრეთ ჩვენს შემოთავაზებაზე: მაღალი ანაზღაურება, საუკეთსო საცხოვრებელი პირობები, გართობა, დასვენება და კიდევ სხვა სიკეთები, — აბა რას იტყვით? — ჰკითხა მესამე მდივანმა და სიგარეტს მოუკიდა. გურამი ცოტა ხანს შეყოვნდა, შემდეგ მაღლობა გადაუხადა მესამე მდივანს და დაჰპირდა, რომ ორ დღეში ეტყოდა პასუხს, ის საჭიროდ თვლიდა მშობლების აზრი გაეგო ამ შემოთავაზებაზე და მერე მიეღო გადაწყვეტილება. გურამი დაემშვიდობა რაიკომის წარმომადგენლებს და შინისაკენ გამოსწია.

სახლში მოუთმენლად ელოდნენ მის დაბრუნებას, აინტერესებდათ რას სთავაზობდნენ მას კომკავშირის რაიკომში. გურამი დაწვრილებით მოუყავა მშობლებს შეთავაზების შესახებ. მცირე დუმილი მამამ დაარღვია:

— რას აპირებ, გილირს წასვლა? ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებ, ისედაც ორი წელი არ ყოფილხარ სახლში.

— თუ მართლა ისე იქნება, როგორც მითხრეს, არ უნდა იყოს ურიგო, დავრჩებოდი რამდენიმე წელს, დავაგროვებდი გარკვეულ თანხას, თქვენც გასარგებლებდით და ჩემს თავსაც.

— შვილო, მე და მამაშენს ჯერ არაფერი გვიჭირს, ჯანმრთელობასასაც არ ვუჩივით, ჩვენს გამო წასვლის გადაწყვეტილებას ნუ მიიღებ! — უთხრა ცრემლმორეულმა დედამ და შუბლზე აკოცა.

— შენ პატარა აღარ ხარ, კაცი ხარ, თვითონ გადაწყვიტე! თუ წასვლა გაქვს გუნებაში, მე ვერ დაგაკავებ, წადი! ცხოვრებას ისწავლი, გამოცდილებას შეიძენ, ავსა და კარგს ადვილად გაარჩევ და რაც მთავარია, ღირსება არ დაკარგო, უღირსი ადამიანი ცხოველზე უარესია, — უთხრა მამამ და აივანზე გამოვიდა, არ უნდოდა ოჯახის წევრებს მის თვალებზე მომდგარი ცრემლი შეემჩნიათ.

გურამი კომკავშირის რაიკომის გადაწყვეტილებას დაეთანხმა და წასვლის სამზადისს შეუდგა: ერთ კვირაში სხვადასხვა პროფესიის მქონე ახალგაზრდებით დაკომპლექტებული ბრიგადები უნდა გამგზავრებულიყვნენ შორეული აღმოსავლეთისაკენ.

ვაგზალზე უამრავი ხალხი ირეოდა. აფხაზეთის თითქმის ყველა რაიონიდან მოეყარათ თავი ახალგაზრდებს ტიუმენში გასამგზავრებლად. გურამის გასაცილებლად, მისი ოჯახის წევრების გარდა, მეგობრებიც მოსულიყვნენ. მხიარული სიმღერებისა და ცეკვა-თამაშის ფონზე ნელ-ნელა დაიძრა მატარებელი, კიდევ ერთხელ დაუქნიეს ხელი გურამს ახლობლებმა. მატარებელმა სვლას უმატა და ცოტა ხანში თვალს მიეფარა...

II

ხანგრძლივი, მომქანცველი მგზავრობის შემდეგ მატარებელი შევიდა ქ. ურენგოიში, ახალგაზრდები მგზავრობისაგან დაღლილები, მოუწესრიგებელნი, დაუბანელები ხალისით ტოვებდნენ ვაგონებს იმ იმედით, რომ აქ, ურენგოიში დახვდებოდათ ყველა ის სიკეთე, რითაც აფხაზეთში დააიმედეს, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. კაპიტალური საცხოვრებელი შენობების ნაცვლად, ვაგონები დაახვედრეს, სადაც ელემენტარული საცხოვრებელი პირობებიც კი არ იყო. ვაგონში რამდენიმე საწოლი და პატარა კარადები იდგა, წყალი მოშორებით, ეზოში მოდიოდა, ოთხ კაცზე გათვლილი იყო ერთი მოზრდილი

ტანსაცმლის კარადა. სასადილო ძარაკის ტიპის შენობაში იყო განთავსებული, სადაც ანტისანიტარია უცხო ხილი არ გახლდათ. შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო სამედიცინო პუნქტში, სადაც შეიძლებოდა პირველადი დახმარების მიღება. ამ უსახური ინფრასტრუქტურის ფონზე, კარგად გამოიყურებოდა სამმართველოს შენობა, რომელშიც მშენებლობის ხელმძღვანელობა იმყოფებოდა.

გურამი დაბინავდა ერთ-ერთ ვაგონში, აირჩია საწოლი, საწოლის თავთან პატარა კარადა დადგა, რომლის უჯრაში პირადი ჰიგიენის ნივთები ჩააწყო. ტანსაცმელი გამოიცვალა და გასწია სამმართველოსკენ იმის გასაგებად, თუ რომელ უბანზე იქნებოდა განაწილებული მისი მანქანა, რომლითაც სამშენებლო მასალები და დიდი დიამეტრის მიღები უნდა ეზიდა.

გურამი დღეში ორ რეისს ასწრებდა. ძირითადად ვეებერთელა მიღები გადაპქონდა, თავდაპირველად ხელფასი არცთუ ისე შესაბამისი იყო არსებული რთული რეგიონის პირობებისათვის, მაგრამ ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩენია გურამის კეთილსინდისიერი და მუყაითი მუშაობა, თანაც, არც ერთი შემთხვევა არ ჰქონია სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნისა. სიმთვრალე განუკურნებელი სენი იყო იქ მომუშავე ადამიანებისთვის. ხელმძღვანელობამ სათანადოდ დააფასა გურამის სანიმუშო შრომა და ხელფასი მოუმატა.

ეხლა გურამს შეეძლო საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. მან ქალაქში იქირავა ბინა და ბევრად უფრო კომფორტულად მოეწყო. მის ბინაში ყოველთვის წესრიგი და სისუფთავე სუფევდა. მეგობრები ზოგჯერ ხუმრობდნენ კიდეც, შენ ცოლის მოყვანა არც გჭირდება, უქალოდაც მშვენივრად უძღვები საოჯახო საქმეებსო.

შაბათი დღე იყო. გურამი საღამოს ქალაქის განაპირას მოწყობილ საცეკვაო მოედანზე წასასვლელად ემზადებოდა. მაშინ ძალზე პოპულარული იყო ახალგაზრდებისათვის საცეკვაო მოედანზე შეკრება, სადაც ცეკვავდნენ და მხიარულობდნენ, ეცნობოდნენ ერთმანეთს, ზოგჯერ ეს ნაცნობობა ოჯახის შექმნითაც მთავრდებოდა.

ერთი სიტყვით, თითქმის მთელი ქალაქის ახალგაზრდობა

სიხარულით ელოდა უქმე დღეების დადგომას. გურამმა პირი გაიპარსა, სახეზე მამაკაცის ფრანგული, სასიამოვნო სუნის მქონე, მოდური სუნამო იპკურა, თეთრი ქათქათა პერანგი ჩაიცვა და ქალაქებარეთ საცეკვაო მოედნისაკენ გაემართა.

უამრავი ლამაზი გარეგნობის ქალ-ვაჟს მოეყარა თავი აქ. ზოგი შეყვარებულთან ერთად მოსულიყო, ზოგიც კენტად იმ იმედით, რომ აქ ნახავდა თავის რჩეულს. მხიარული მუსიკის ჰანგებზე ცეკვავდნენ ახალგაზრდები. იქვე, საცეკვაო მოედნის განაპირას, შექუჩებულიყვნენ გოგონები, რომლებიც სასურველი კავალრებისაგან საცეკვაოდ მიპატიჟებას ელოდებოდნენ.

გურამის ყურადღება ხმამაღალმა საუბარმა მიიპყრო. სუსტი, მომხიბივლელი გოგონა, უშედეგოდ იგერიებდა არყით გამობრუულ ახალგაზრდას, რომელსაც სურდა ძალით გაეყვანა გოგონა საცეკვაო მოედანზე,

— თავიდან მომწყდი! შენთან ცეკვა არ მინდა! ფეხზე ძლივს დგახარ, — ეუბნებოდა ის გათავხედებულ ვაჟს და ხელით იგერიებდა მოძალადეს.

— რაო ბეღურავ, არ მოგწონვარ? წამოდი, მეცეკვე, იცირა კარგად ვცეკვავ! დარწმუნებული ვარ, შეგიყვარდები! — ლულლულებდა არყისგან ცხვირწამოწითლებული აყლაყუდა და მკლავზე ექაჩებოდა სუსტ და უმწეო ქალიშვილს.

გურამი მიუახლოვდა გოგოს, ხელკავი გამოსდო და ვაჟის გასაგონად სთქვა:

— უკვე მოხვედი? რამდენი ხანია გეძებ, წამოდი ვიცეკვოთ! — გაცვირვებულმა გოგონამ შეხედა უცნობ, შავგვრემან, წარმოსადეგ, თავაზიან ახალგაზრდას, უნებურად გაულიმა და გაცყვა საცეკვაოდ. იმ წუთს გოგოსთვის სულ ერთი იყო ვინ გაინვევდა საცეკვაოდ, ოღონდ ამ ლოთი, აბეზარი აყლაყუდისგან თავი დაელწია. აყლაყუდა არ ელოდა გურამის ასეთ გაბედულ ქმედუბას, ვერ წარმოიდგენდა თუ ვიღაც ქართველი ასე პირშიჩალაგამოვლებულს დატოვებდა. მთვრალმა ბოროტად მიაპყრო მზერა მას და დაემუქრა, რომ ამ თავხედობას არ შეარჩენდა.

გურამმა და ქალიშვილმა დიდხანს იცეკვეს, თან დიდი ხნის წაცნობებივით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, მან შეიტყო. რომ წატაშაც (ასე ერქვა ქალიშვილს) კომკავშირული საგზურით

იყო გამოგზავნილი ვორონეჟის ოლქიდან. ის ქალაქის საავად-მყოფოში მუშაობდა ექთნად, ეს საავადმყოფო ძირითადად ემსახურებოდა ნავთობსადენზე დასაქმებულ მუშა-მოსამსახურებს.

— მეტ-ნაკლებად ვიცნობ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ამ ნავთობსადენის მშენებლობაზე მუშაობენ. ისინი ხშირად და-დიან ჩვენთან, შენი კი არასოდეს მინახისარ, — უთხრა ნატაშამ გურამს.

— მე თითქმის არასოდეს ან ძალიან იშვიათად ვხდები ავად, — ლიმილით უთხრა ვაჟმა და ყურში ჩასჩურჩულა, — ჩვენ, ქართვე-ლებს ავადმყოფობა აკრძალული გვაქვს.

— ხემრობ? — ჰკიოთხა ქალიშვილმა.

— რა თქმა უნდა, არა! — უპასუხა გურამმა და გულიანად გაიცინა.

უკვე საკმაოდ გვიანი იყო, საცეკვაო მოედანზე კანტი-კუნ-ტად ცეკვავდნენ წყვილები.

- წავიდეთ, გურამ, უკვე გვიან არის, ცოტა ხანში ტრანსპორ-ტიც აღარ იქნება.

— კეთილი! — უპასუხა გურამმა. ნატაშამ გურამს ხელკავი გამოსდო და საკმაოდ მოშორებულ ავტობუსის გაჩერებისკენ წავიდნენ. მათ ჩიხი უნდა გაევლოთ, სადაც ლამპიონის ნათუ-რები ჩამსხვრეული იყო და ბნელოდა. შევიდნენ თუ არა ჩიხში, მათ უკან ხრინწიანი ხმა გაისმა:

— ეი შენ, ქართველო, მანდ დაგვიცადე, ეხლა გაგაგებინებთ როგორ უნდა ქალის წართმევა. გურამმა ნატაშა დაამშვიდა, თვითონ შემობრუნდა, მის წინ იდგა ნაცნობი აყლაყუდა თავის ორ მეგობართან ერთად.

—უჳ შენი! — მოუქნია მუშტი აყლაყუდამ. გურამმა მოქნეული მუშტი აიცილა და ძლიერად ჩასცხო ფეხი მუცელში. აყლაყუ-დამ ერთი ამოიგმინა და უხმოდ ჩაიკეცა. წაქცეულს მეგობრები წამოეშველნენ. გურამმა თითო-თითო მუშტი უთავაზა ორივეს და მათაც მიწაზე მოადინეს ზღართანი.

ნატაშა იქვე კუთხეში ატუზულიყო და შეშინებული თვალე-ბით შეჰყურებდა გურამს, რომელმაც კარგა გვარიანად მიტყი-პა ეს ლაზლანდარა ლოთები.

— ხომ არაფერი გიჭირს? ხომ კარგად ხარ? — ეკითხებოდა ნატაშა და გურამს მადლობის ნიშნად სახეზე ხელით ეფერებოდა.

— არაფერი მიჭირს! კარგად ვარ! სახლამდე მიგაცილებ, კიდევ არავინ გადაგეყაროს!

— გმადლობ, ავტობუსი პირდაპირ ჩემს სახლთან ჩერდება, საშიში აღარაფერია, — უთხრა ნატაშამ.

გურამს ლოყაზე აკოცა და ავტობუსში ავიდა. უკან მოპრუნებულ გურამს მიწაზე დაყრილი ლოთები აღარ დახვდნენ, როგორც ჩანდა, შეეტყოთ ვისთან ჰქონდათ საქმე და იქაურობას გაცლოდნენ.

III

ამ შემთხვევის შემდეგ გურამი და ნატაშა ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, გურამი ხან კაფეში ეპატიუებოდა ნატაშას, ხან კინოში, ხანაც გვიანობამდე ისხდნენ ბალში და უყვებოდნენ ერთმანეთს საინტერესო ამბებს.

— უკვე ორ თვეზე მეტია ერთად ვართ, შენ ერთხელაც არ ყოფილხარ ჩემთან სახლში, არ გაინტერესებს როგორ ვცხოვრობ? — ჰკითხა ერთხელ გურამმა ნატაშას.

— იმაზე მეტად მაინტერესებს, ვიდრე შენ გგონია, — უპასუხა ნატაშამ და გამომწვევად გაუღიმა.

— დღეს ჩემთან გეპატიუები, არაფრის ყიდვა არ გვინდა, ყველაფერი ნაყიდი და მომზადებული მაქვს, — წარმოსთქვა გურამმა.

— ვნახოთ! ვნახოთ! — უთხრა ნატაშამ, ხელკავი გამოსდო გურამს და ნელი ნაბიჯით გაუდგნენ გზას სახლისკენ.

უკვე კარგა მოსალამოვებული იყო. გურამმა გახსნა ბინის კარი, შევიდა და მიმართა ქალიშვილს, — უმორჩილესად გთხოვთ, მობრძანდით! — ნატაშამ მადლობის ნიშნად თავი მდაბლად დაუქნია და ოთახში შევიდა. ის გაოცებული იყო იმ საოცარი წესრიგითა და სისუფთავით, რაც გურამის სახლში დახვდა.

— ვინ გილაგებს სახლს? რა სისუფთავეა! რა სანიმუშოდ არის მოვლილი ყველაფერი! ხომ არავინ გყავს, გურამ? — ეჭვით ჰკითხა ნატაშამ.

— მყავს, როგორ არა! შენ მყავხარ. თუმცა შენ აქ არასოდეს ყოფილხარ.

— ესე იგი, ამ ყველაფერს შენ აკეთებ?! — გაკვირვებით ეკითხებოდა ნატაშა.

— რა თქმა უნდა, რა არის აქ გაუკეთებელი, ან შეუძლებელი?

— გაიკვირვა გურამმა.

— გურამ, ალბათ, შენ თვითონაც არ იცი რა კარგი ხარ! — ვაჟს ესიამოვნა შექება, ნატაშას თვალი ჩაუკრა და უთხრა, — ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. სანამ არ გეტყვი, სამზარეულოში არ შემოხვიდე. ჩემს ნიშანს დაელოდე! მანამდე ჩაჯექი სავარძელში და ტელევიზორს უყურე! — გურამმა ჩართო ტელევიზორი და სამზარეულოში გავიდა. მას ქათმის ჩახოხბილი გაეკეთებინა, სალათებიც წინასწარ მოემზადებინა, სამწვადედ ჩაბასტურმებული ლორის ხორცი კიდევ ერთხელ შეამოწმა — ხომ არაფერი აკლიაო და გაცხელებულ ტაფაზე რიგ-რიგად დააწყო.

ნატაშა სავარძელში მოხერხებულად მოეწყო და ყურადღებით უყურებდა ტელევიზორში ახალ ამბებს. ამასობაში მწვადის სუნი ისე მძაფრად და მადისაღმძვრელად დატრიალდა მთელ სახლში, რომ ისედაც მოშიებულ ნატაშას საღერღელი აეშალა, მიანება ტელევიზორის ყურებას თავი და, მიუხედავად გურამის გაფრთხილებისა, სამზარეულოში შევიდა.

— გურამ, რა სუნია! გამასინჯე რას წვავ, თორემ ისე მშია, იცოდე შეგჭამ!

— მოდი, გასინჯე, — უთხრა გურამმა და ჩანგალზე აცმული მწვადის ნაჭერი მიაწოდა ნატაშას.

— ასეთი რამ ჯერ არ გამისინჯავს, — გემრიელია, სიტყვები არ მყოფნის, ნათქვამია: „კაცის ხელით მომზადებულს სხვა გემო აქვს“. — თქვა ქალიშვილმა და მადლობის ნიშნად გურამს ხელზე აკოცა.

არაჩეულებრივი სუფრა ჰქონდათ, გურამმა შამპანურის ბოთლი ჩვეული ოსტატობით გახსნა და ბაკლები შეავსო. — ეს ჩვენ გაგვიმარჯოს! ჩვენს ურთიერთობას, და რაც დღემდე არ მითქვამს, ჩვენს სიყვარულს!

ნატაშამ გურამს თვალებში ჩახედა, როგორც იქნა მოისმინა

ვაჟისგან ის სიტყვები, რასაც გაცნობის პირველი დღიდანვე ელოდა. გურამმა და ნატაშამ ბაკლები ნაზად მიუჭახუნეს ერთმანეთს, სადღეგრძელო შესვეს, შემდეგ სასმისები ფრთხილად დააწყვეს მაგიდაზე. ორივეს უდიდესი სურვილი ჰქონდა და ურთიერთშეხებისა და ალერსის. მხურვალედ აკოცეს ერთმანეთს... ის ღამე ნატაშამ გურამის სახლში გაათენა. ხოლო ერთი კვირის შემდეგ ის საერთო საცხოვრებლიდან გურამთან გადაბარგდა.

ნატაშა და გურამი მშვენივრად შეეწყვნენ ერთმანეთს. ობლად გაზრდილმა გოგომ საოჯახო საქმეებს ადვილად გაართვა თავი. პრეტენზიები თითქმის არ ჰქონდა, მცირედზეც კმაყოფილი იყო. უყვარდა გურამი და მის ქართულ ჩვეულებებს, ადათნესების სიმკაცრეს ეგუებოდა და იტანდა. დრო შეუმჩნევლად გადიოდა. ერთი წლის თავზე ბიჭი შეეძინათ. გურამმა მამის საპატივსაცემოდ ბიჭს ნიკა დაარქვა. გადიოდა წლები, იზრდებოდა პატარა ნიკა. გურამი და ნატაშა ბედს არ უჩიოდნენ, ცხოვრობდნენ ურთიერთპატივისცემითა და სიყვარულით...

ერთ დღეს ნატაშამ თავისი ბებიის წერილი მიიღო. სამუშაოდან დაბრუნებულ გურამს ქალი უგუნებოდ დახვდა.

— რა მოხდა? რაღაც არ ხარ ხასიათზე? ავად ხომ არ ხარ? — ჰკითხა გურამმა.

— აი, გამომართვი! წერილია ბებიასგან, ვორონეჟიდან, — გურამმა გამოართვა წერილი და გულდასმით წაიკითხა. მისი სახის გამომეტყველებიდან ჩანდა, რომ არც ის იყო კმაყოფილი წერილის შინაარსით.

ბებია იწერებოდა, რომ ის და ბაბუა საკმაოდ მოხუცდნენ, ვეღარც სახლს-კარს უვლიდნენ და ვეღარც მამულს, ბაბუა ხშირად ავადმყოფობდა, გამკითხავი და პატრონი არავინ ჰყავდათ, ნატაშას გარდა. მოხუცები სთხოვდნენ ნატაშას ჩამოსულიყო თავის ქმარ-შვილთან ერთად და მათთან ეცხოვრა.

— რას აპირებ? — ჰკითხა გურამმა.

— არ ვიცი, ჯერ არ გადამიწყვეტია, მაგრამ მათი მარტო დატოვების უფლება არა მაქვს, ძალიან მეცოდებიან მოხუცები, მათ ჩემს გარდა არავინ ჰყავთ, — თქვა ნატაშამ და ცრემლ-მორეული თვალებით მიაშტერდა გურამს.

გურამმა წერილი მაგიდაზე დადო, სიგარეტს მოუკიდა და აივანზე გავიდა...

— გურამ! წავიდეთ ვორონეჟში, იქ სახლიც გვაქვს და მამულიც. იქაც კარგად ვიქნებით, მოხუცებსაც მივხედავთ და ჩვენც არ გაგვიჭირდება, ღვთის მადლით არც შენ გეზარება შრომა და არც მე, — უთხრა ნატაშამ, ორივე ხელით კისერზე ჩამოეკიდა ქმარს და ლოყაზე აკოცა, — რას იტყვი, გურამ, გელოდები?

— ნატაშა, შენ იცი, რომ ძალიან მიყვარხართ შენ და ნიკა. უთქვენოდ ვერ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება, მაგრამ ხომ კარგად იცი, მეც მყავს მშობლები. ისინიც მოხუცები არიან. მე აქ ციმბირში სამუდამო საცხოვრებლად არ ჩამოვსულვარ. ხუთი წელია არ მინახავს ისინი, ძალიან მიჭირს უიმათობა.

— ისინი ხომ მარტო არ არიან, შენ და-ძმები გყავს, — ეს სიტყვები გურამისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, მოიღუშა და მკვახედ უბასუხა ნატაშას.

— დედ-მამას ჩემი და-ძმები ჩემს თავს ვერ შეუცვლიან, ეს არ უნდა გეთქვა, — უთხრა გურამმა ქალს წყრომით და სიგარეტს მოუკიდა.

ის ლამე ორივემ თეთრად გაათენა. ბევრი ისაუბრეს, უნდოდათ ორივესთვის მისაღები გადაწყვეტილება მიეღოთ, მაგრამ არც ერთს არ სურდა მოხუცი მშობლებისა და გამზრდელი ბებია-ბაბუის მიტოვება. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ დაეტოვებინათ ურენგოი. ნატაშა ნიკასთან ერთად გაემგზავრებოდა ვორონეჟში, ხოლო გურამი ცოტა ხნით კიდევ დარჩებოდა, მოაგვარებდა საქმეებს და გადაწყვეტდა წავიდოდა ვორონეჟში თუ დაბრუნდებოდა საქართველოში.

ძნელი იყო განშორება, მაგრამ მოსახდენი მოხდა. დარჩა გურამი მარტო შორეულ ტიუმენში. ის ფიქრობდა კიდევ რამდენიმე თვე გაჩერებულიყო, მაგრამ ვერ შესძლო, მარტომბა ვერ აიტანა. მოაგვარა თავისი საქმეები, გათავისუფლდა სამუშაოდან და ორი კვირის თავზე საქართველოში ჩამოვიდა.

IV

დიდად გაიხარეს მოხუცებმა ნატაშას და ნიკას ჩამოსვლით. განსაკუთრებით უხაროდათ პატარა ნიკას ნახვა, რომელსაც

მხოლოდ სურათებით იცნობდნენ. ნატაშა სოფლის მედპუნქტში მოეწყო ექთნად, ბავშვი საბავშვო ბაღში მიიყვანა. ცელქი, მაგრამ ძალიან საყვარელი იყო ნიკა, ყველას უყვარდა და ყველა ეფერებოდა.

მას შემდეგ, რაც პუტჩისტებმა საქართველოში ეროვნული ხელისუფლება დაამხეს, ქვეყანაში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ეს დაძაბულობა უფრო მეტად გამძაფრდა მას შემდეგ, რაც კრიმინალური დაჯგუფების ხელმძღვანელის ჯაბა იოსელიანის და ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის უშუალო მცდელობით საქართველოში მოსკოვიდან ჩამოყვანილ იქნა ედუარდ შევარდნაძე. კაცი, რომლის ადრინდელი მმართველობის პერიოდი საქართველოში, კორუფციის აყვავების და ქვეყნის სრული დეგრადირების ხანად ითვლებოდა. ამ კაცმა შეძლო, ნაცვლად ეროვნული შერიგებისა და ქართველების ერთ მუშტად შეკვრისა, უფრო დაეძაპა საქართველოში ისედაც ფეთქებადსაშიში მდგომარეობა, და რაც უმთავრესია, დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა, გაეჩაღებინა ძმათამკვლელი ომი აფხაზებსა და ქართველებს შორის.

ავთვისებიანი სიმსივნის მეტასტაზებივით მოედვნენ კრიმინალური ბანდის, ეგრეთწოდებული, „მხედრიონის“ პირსისხლიანი ჯალათები დასავლეთ საქართველოს.

გველის ნაკბენივით შემორჩა მეგრელი კაცის მეხსიერებას სამეგრელოში „მხედრიონის“ მიერ დანთხეული გესლი, მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, სახლ-კარის გადაწვა, ლირსების შელახვა, გაუპატიურება, მკვლელობა და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი უბედურება. რა თქმა უნდა, ამ სამხედრო კრიმინალურ დაჯგუფებაში მოიძებნებოდნენ პატრიოტი, გულანთებული ადამიანები, მაგრამ მათ მიერ მოსახლეობის მიმართ გამოჩენილი ლმობიერება და კეთილგანწყობა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ამ ბოროტების უკიდეგანო ბნელ სივრცეში, ისინი მხოლოდ ოდნავ მბჟუტავი სანთლების მირაჟს წარმოადგენდნენ.

აფხაზეთში, კერძოდ გუდაუთის რაიონის სოფლებში, დიდი ხანია სიმშვიდე აღარ სუფევდა. მოსახლეობა ყოველ დღე ცუდის მოლოდინში ათენ-აღამებდა. აფხაზები ცდილობდნენ თავიანთ ქართველ მეზობლებთან ნაკლებად ჰქონდათ ურთიერ-

თობა, გაურბოდნენ, იშვიათად ესალმებოდნენ ერთმანეთს. სოფელში შეფარვით, მაგრამ მაინც შეიმჩნეოდა შეიარაღებული აფხაზების მოძრაობა. მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. ჰაერში თოფის წამლის სუნი იდგა.

— გურამ! — გასძახა ნიკამ გურამს, — იქნებ ხვალ თბილისში წახვიდე, რამდენი ხანია ლევანისთვის არაფერი მიგვიწვდია. ხომ იცი მას უფრო უჭირს ცხოვრება, უმუშევარი დარჩა, ნეტავრას აჭმევს ცოლ-შვილს, — ჯავრობდა მოხუცი მამა.

ლევანი გურამის უფროსი ძმა იყო. ის ცოლ-შვილთან ერთად თბილისში ცხოვრობდა. წარმატებით ჰქონდა დამთავრებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სამსახურითაც არ იყო უკმაყოფილო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყანა აირია, მოისპო, განადგურდა, გაიყიდა თითქმის ყველაფერი, ლევანი უმუშევარი დარჩა. მხოლოდ პედაგოგი მეუღლის ხელფასზე ცხოვრობდა ეს ოთხსულიანი ოჯახი. გურამს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა უფროს ძმასთან. ის თითქმის ყოველ თვე სურსათ-სანოვაგით დატვირთული ჩამოდიოდა სოფლიდან ქალაქში უმუშევრად დარჩენილ ძმასთან. დარჩებოდა რამდენიმე დღე და მერე ისევ სოფელში ბრუნდებოდა. ლევანს ბევრჯერ უთქვამს გურამისთვის, რომ ისიც ქალაქში გადმოსულიყო საცხოვრებლად, მაგრამ გურამი მოხუც მშობლებსა და უმცროს დაძმებს ვერ ტოვებდა, მითუმეტეს ამ დროს, როცა ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო დიდი უბედურება.

— ხვალვე წავალ, მამა, ვიცი აღარაფერი ექნებათ, დედას უთხარი თუკი რამ არის წასაღები, მოამზადოს...

ლევანს ძალიან გაუხარდა ძმის დანახვა.

— ბედზე მოგვისწარი, თქვენ რომ არ გვყვავდეთ, რა გვეშველებოდა, — გახარებული და თან სევდიანი ხმით მიეგება რძალი გურამს და გულთბილად გაულიმა.

ცოტა ხანში ლევანის ცოლმა ნინომ ქმარ-მაზლი სუფრასთან მიიწვია. იმ საღამოს ბევრი ისაუბრეს ძმებმა სოფელში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობაზე. აღელვებდათ მშობლების, დაძმების, ნათესავების, მეზობლების ბედი.

— ლევან, გული რაღაც ცუდს მიგრძნობს, მე მგონი ომი გარდაუვალია. მე იქაურობას ვერ მივატოვებ, ჩემს აშენებულ

სახლ-კარს აფხაზებსა და გადამთიელებს არ დავუთმობ. თუ საჭირო შეიქნა, შევეწირები კიდეც.

— რას ამბობ, სრულ ჭკუაზე ხარ? რა სიკვდილზე ლაპარაკობ? მინდა ძველი გალების ნათქვამი შეგახსენო: “არ გაბედო სიკვდილი, სანამ ცოცხალი ხარ!” — უთხრა ლევანმა ძმას და მხარზე ხელი დაჰკრა.

— ჰო, კარგად უთქვამთ ფრანგების წინაპრებს, დაგიჯერებ, სიკვდილზე აღარ ვიფიქრებ. ეხლა ერთი სათხოვარი მაქვს, ეს არავინ იცის. ამას მხოლოდ შენ გეუბნები.

ტიუმენში ყოფნის დროს ერთი რუსი გოგო მომწონდა, სახელად ნატაშა ერქვა, კეთილი ზნის, ლამაზი და გონიერი გოგო იყო. ჩვენ ისე დავუახლოვდით ერთმანეთს, რომ გადავწყვიტეთ ერთად გვეცხოვრა. ისიც კომკავშირული საგზურით იყო ჩამოსული ვორონეჟიდან. ვიქირავე ქალაქში ბინა და ვცხოვრობდით სიყვარულით და ურთიერთპატივისცემით. წლისთავზე ბიჭი შეგვეძინა, მამაჩემის საპატივსაცემოდ ნიკა დავარქვი. გადიოდა წლები, ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ის საოცრად კარგი, მოსიყვარულე მეუღლე და საუკეთესო დიასახლისი იყო. ხუთი წელი ვიცხოვრეთ ერთად.

ერთ დღეს ვორონეჟიდან წერილი მიიღო. წერილს ბებია წერდა. ნატაშას მშობლები ავტოვარიაში დაეღუპა, და-ძმები არ ჰყავდა. ობლად დარჩენილი ბებიამ და ბაბუამ გაზარდეს. ბებია იწერებოდა, რომ ბაბუა იყო ავად. შეიძლება ცოცხალის-თვის ვეღარ ჩაესწრო, თვითონაც დაუძლურებულიყო, მის მეტი არავინ ჰყავდათ, სოხოვდა ნატაშას ჩასულიყო და მიეხედა მათ-თვის. მოხუცებმა იცოდნენ, რომ მათი შვილიშვილი გათხოვილი იყო ქართველზე. პატარა ნიკალაისაც იცნობდნენ სურათებით, მეც მთავაზობდნენ ვორონეჟში ჩასვლას და მათთან ყოფნას.

ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რომ საქართველოში არ ჩამოვსულიყავი, ვერც ნატაშა ელეოდა თავის გამზრდელ მოხუც ბებიას და ბაბუას. ძნელი იყო განშორება, მაგრამ მოსახდენი მოხდა. ნატაშა დიდხანს აღარ დარჩენილა ტიუმენში, საქართველოში წამოსვლაზე უარი მითხრა და ნიკასთან ერთად თავის მოხუცებთან გაემგზავრა ვორონეჟში. მეც აღარ მინდოდა იქ მარტო დარჩენა და წამოვედი საქართველოში. მათგან

მხოლოდ ეს სურათი დამრჩა.

გურამმა გულის ჯიბიდან სურათი ამოიღო და ლევანს გაუწოდა.

— ლამაზი ცოლ-შვილი გყოლია, ძმაო! — გაუღიმა ლევანმა ძმას და სურათი დაუბრუნა.

— არა, ლევან, ეს სურათი შენ უნდა გქონდეს. ხომ გითხარი, სიკვდილის მართლა არ მეშინია, მაგრამ ეშმაკა არ სძინავს, თუ რამე დამემართა, დამპირდი, რომ აუცილებლად მოძებნი ჩემს ცოლ-შვილს და არასოდეს მიატოვებ მათ. ლევან, ჩათვალე, რომ ეს ჩემი პატარა ანდერძია და თუ ბედმა მიმუხოლა აუცილებლად შეასრულებ, უმორჩილესად გთხოვ, — თქვა გურამმა და თვალებზე მომდგარი ცრემლები მოკაცული საჩვენებელი თითით მოიწმინდა.

— კარგი დამშვიდდი, შენ თვითონ ნახავ შენს ცოლ-შვილს, ყველაფერი კარგად იქნება, ეხლა დავიძინოთ, გვიანია, — უპა-სუხა ლევანმა და გურამი საძინებელ ოთახამდე მიაცილა, შემდეგ მაგიდაზე დადებული სურათი აიღო და საგანგებოდ შეინახა.

V

1992 წლის შემოდგომა უჩვეულოდ უხვი და ბარაქიანი იყო. გუდაუთის რაიონის სოფლის გლეხობას ომის უსაშინლეს პირობებში უხდებოდა მოსავლის დაბინავება. შრომის ის შემართება და ხალისი, რაც მშვიდობიანობის პერიოდში ჰქონდათ გუდაუთის ქართველებს, აღარ ემჩნეოდათ. თუმცა, იმედი იმისა, რომ ომი მალე გათავდებოდა და ამ გაუგონარ ძმათამკვლელ სისხლისღვრას ბოლო მოეღებოდა, კიდევ შერჩენოდა მათ გუნება-განწყობას.

აფხაზი სეპარატისტები და ჩრდილოკავკასიელი გადამთიელები მგლების ხროვასავით შესეოდნენ ქართველების სახლ-კარს. იტაცებდნენ, ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ წლობით შექმნილ და მონაგრებულ ქონებას. გუდაუთის რაიონის ქართველობა ბედის ანაბარა იყო მიტოვებული. მშველელი არსად ჩანდა. საქართველოს არაკანონიერმა, პუტჩისტურმა ხელისუფლებამ, გუდაუთის რაიონის ქართველი მოსახლეობის

მიმართ, ფაქტიურად ყოველგვარ პასუხისმგებლობაზე აიღო ხელი. თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსან-მა ისიც კი განაცხადა, როცა მას აფხაზებმა ქართული მოსახ-ლეობის გაყვანას და მათ ნაცვლად ქართველების მიერ კონ-ტროლირებადი ტერიტორიებიდან აფხაზების გადმოყვანა შეს-თავაზეს, მე გუდაუთის რაიონში ქართული მოსახლეობა არა მყავსო.

თუკი ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა ამ კაციჭამიებს, ადგილზე ხვრეტდნენ, ბორგავდა და გმინავდა ქართული გენი და ჯიშ-ჯილაგი. რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო მძვინვა-რებდნენ სეპარატისტები. ქართველისათვის სრულიად გაუგე-ბარი იყო საიდან ჰქონდათ აფხაზებს ამდენი ზიზლი და სიძულ-ვილი მათ მიმართ, რამ გადარიათ და გაახელათ ისინი, განა წლების მანძილზე გვერდიგვერდ არ ცხოვრობდნენ? ჭირსა და ლხინს ერთად არ იყოფდნენ? ერთ დროს კეთილი მეზობლები და ამავე დროს ნათესავები, მოყვრები და ახლობლები?! ეს ნამ-დვილი ღვთის წყრომა იყო ქართველებსა და აფხაზებს შორის თავს დამტყუდარი.

კარგა შებინდებული იყო, როცა გურამს ბიძაშვილების ეზო-დან ავტომატის ჯერის ხმა მოესმა.

– მამა, მგონი ჩვენებს დაესხნენ თავს, გავალ, გავიგებ რა ხდება, – თქვა გურამმა და სახლის უკანა მხრიდან, ვენახებზე გადაირბინა. გურამის ბიძაშვილებს დიდიან-პატარიანად მოეს-წროთ გარეთ გამოსვლა და თავი სიმინდის ყანისათვის შეეფ-არებინათ. დაინახა რა გურამმა ნათესავები ცოცხლები, დამშ-ვიდა და სახლისაკენ წამოვიდა. სახლს რომ მიუახლოვდა იქიდან ყვირილისა და გინების ხმა მოესმა.

– სად არიან ახალგაზრდები? შენი დედა მო...ან! – დაიყვირა აფხაზმა და ავტომატის კონდახი ძლიერად ჩაარტყა მამას სა-ხეში. მოხუცს თვალთ დაუბნელდა და პირქვე დაემხო.

– სად არიან შენი შვილები? – კიდევ გაუმეორა არაკაცმა და ფეხით შესდგა იატაკზე დავარდნილ ულონო მოხუცს.

– მომეშველეთ, ქმარი მომიკლეს ამ ნაძირალებმა, – სასო-წარკვეთილი ჰკიოდა ლოგინში მწოლიარე ავადმყოფი ქალი. გურამი დედის კივილმა შესძრა. გამწარებული გადაევლო

ლობეს და სახლში შევარდა. ათიოდე კბილებამდე შეიარაღებული აფხაზი და ჩრდილოკავკასიელი „ბოევიკი“ უღმერთოდ სცემდნენ უსუსურ მოხუცს.

— რას შვრებით, თქვე ნაბიჭვრებო, მოხუცებს მიკლავთ? თუ რამე გინდათ აქა ვარ, მაგათ თავი დაანებეთ!

სეპარატისტებმა მოხუცებს თავი ანებეს და გურამს მოუბრუნდნენ.

— ეხლავე ტვინს მიგასხმევინებ კედელზე, შე ლორო! — მიაძახა აფხაზმა და ავტომატი შეაყენა.

გურამი ბოლმისაგან წამოწითლდა.

— აქ არ მესროლოთ. მშობლების თვალწინ ნუ მომკლავთ, ცოდნი არიან, სადაც გინდათ წამოგყვებით.

მიუხედავად იმისა, რომ გურამის მამა სასტიკად ნაცემი იყო, გონი არ ჰქონდა დაკარგული. მოხუცი გრძნობდა, რომ თუ მისი შვილი ამ ნაძირალებს გაჰყვებოდა, სიკვდილი არ ასცდებოდა, მან ხელები შემოხვია გურამს ორივე ფეხზე და შეევეძრა.

— არ გაჰყვე, შვილო! მოგკლავენ ეს არაკაცები!

— ნუ გეშინია, მამა! მე მალე დავბრუნდები! — დაამშვიდა უღმერთოდ ნაცემ-ნაგვემი მამა გურამმა და აფხაზებს წინ გაუძღვა.

სეპარატისტებმა გურამი მანქანაში ჩასვეს და გეზი ლიხნისაკენ აიღეს. გზაში აფხაზ „ბოევიკთა“ ჯგუფი შეხვდათ, „ბოევიკებს“ გურამის დანახვაზე კმაყოფილებით სავსე ლიმილი მოეფინათ სახეზე.

— ამ ქართველ ლორს გუმისთის შეტაკების დროს დაღუპული აფხაზების საფლავზე დავკლავთ, „სისხლი სისხლის წილ“, — თქვეს „ბოევიკებმა“ და ისინიც უკან გაჰყვნენ ლიხნისაკენ მიმავალ მანქანას.

გურამი აფხაზებმა ერთი ქართველის ოჯახში მიიყვანეს. ამ ოჯახის სიძე იყო ერთ-ერთი აფხაზი „ბოევიკი“. ქართველი დიასახლისი ემუდარებოდა თავის სიძეს, რომ გურამი ცოცხლად გაეშვა, სიძემ ხათრი ვერ გაუტეხა სიდედრს და შეპირდა, რომ არ მოჰკლავდა. გურამი წამოიყვანეს იმ ოჯახიდან და გვერდით, მეზობელი აფხაზის სახლში მიიყვანეს, სადაც სუფრა იყო გაშლილი. აფხაზმა გურამს რევოლვერის ლულა შუბლზე მიადო და უბრძანა დაელია არძინბას სადღეგრძელო.



— თქვენი ნაძირალა არძინბას სადღეგრძელოს დალევას სიკვ-
დილი მირჩევნია, — წარმოსთქვა გურამმა ხმამაღლა. ამის გაგონე-
ბაზე აფხაზმა პისტოლეტის ყუა ჩასცხო გურამს თავში. გურამი
დაბარბაცდა, ლონე მოიკრიფა და რაც ძალი და ლონე ჰქონდა დაპ-
კრა მუშტი აფხაზს სახეში. აფხაზი იატაკზე გაიშხლართა.

მგლებივით მიესივნენ გურამს დანარჩენები, იატაკზე და-
აგდეს და დაუწყეს წიხლებით უმოწყალოდ ცემა. ცემით გული
რომ იჯერეს, იმ აფხაზმა, რომელსაც გურამმა სიფათი მიუნ-
გრია, ავტომატი შეაყენა და გურამს მიუშვირა.

— მუხლებზე დადექი, შე ლორო, და მთხოვე შეწყალება! —
დაუღრიალა დუშმორეულმა.

— ვერ ეღირსები! — დაუყვირა გურამმა და სახეში შეაფურთხა.
აფხაზმა გამოპკრა სასხლეტს და მთელი მჭიდი დააცალა. კიდევ
ერთი ქართველის სული მიიღო უფალმა იმქვეყნიურ სასუფე-
ველში. აფხაზები და ჩრდილოკავკასიელები განცვიფრებულე-
ბი იყვნენ გურამის ვაჟკაცობით. ერთმა აფხაზმა, რომელიც მათ
შორის შედარებით ლმობიერებით გამოირჩეოდა, ტყვიებით
დაფლეთილ გურამს დახედა და სინანულით ჩაილაპარაკა.

— კაცი ყოფილა! ასე მხოლოდ ვაჟკაცები კვდებიან! ცოდნა!
— ორმა აფხაზმა გურამს ფეხებში ჩაავლო ხელები, სახლიდან
თრევით გამოიტანეს და იქვე, ეზოში, თამბაქოს პლანტაცია-
ში დააგდეს. მოსალამოვდა, ლიხნში შედარებით სიმშვიდე
დაისადგურა. თამბაქოს პლანტაციას, სადაც გურამის გვამი
ეგდო, სამხედრო „ვილისი“ მიადგა. „ვილისიდან“ ის აფხაზი
გადმოვიდა, რომელმაც სინანული გამოთქვა გურამის სიკვდი-
ლის გამო, გვამი მანქანაზე დადო, თან აქეთ-იქით იყურებოდა,
ფრთხილობდა არავის დაენახა. დაახლოებით ერთი საათის შემ-
დეგ „ვილისმა“ მიაღწია დათქმულ ადგილს, სადაც მას გურამის
ბიძაშვილები და ახლობლები ელოდნენ, გვამი ქართველებს გა-
დასცა და მოკლედ მოუყვა მათ, თუ როგორ ვაჟკაცურად დაას-
რულა სიცოცხლე გურამმა, თან დასძინა, რომ მან, ეროვნებით
აფხაზმა, ქართველი კაცის ლირსეული სიკვდილის გამო, გა-
დადგა ეს სახიფათო ნაბიჯი, ყოველგვარი ანგარების გარეშე.
თუმცა, დარწმუნებული იყო, აფხაზებს რომ დაენახათ, მასაც
სიკვდილი არ ასცდებოდა.

VI

გავიდა წლები. ნატაშას ბებია და ბაბუა გარდაეცვალა. ნიკამ სკოლა დაამთავრა. გარეგნობით გამოცხადებული მამამისი იყო: შავგვრემანი, მაღალი, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა. პირველ ხანებში მამისგან კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც მოდიოდა წერილები, შემდეგ ისინი შეწყდა. ამ პერიოდში საქართველოში მდგომარეობა ძალიან დაიძაბა. გამწვავდა ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის, ამ გამწვავებას მაღლ ომის დაწყება მოჰყვა.

ნიკას არ ასვენებდა ფიქრი იმის გამო, რომ მას, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მამა უნდა მოეძებნა, მითუმეტეს, დედის მონაყოლიდან ახსოვდა, რომ ის კარგი ადამიანი იყო. სანამ ერთად ცხოვრობდნენ მამა ყოველთვის შრომობდა და ზრუნავდა ოჯახის მოვლა-პატრონობაზე. დედა უყვებოდა ნიკას მამის პატიოსნებაზე და იმ დიდ სიყვარულზე, რაც მას გააჩნდა თავისი ოჯახის მიმართ. მათი განშორება მხოლოდ ბედის უკუღმართობის ბრალი იყო და სხვა მიზეზი არ ყოფილა. დედის მოგონებები მამის შესახებ უფრო ამძაფრებდა ნიკას სურვილს, რომ მას, რაც შეიძლება მაღლე, ენახა მამა და აღარასოდეს გაეწყვიტა მასთან ურთიერთობა.

— დედა, მე უნდა წავიდე საქართველოში და მამაჩემი მოვძებნო, გთხოვ, ნუ დამიშლი! — უთხრა ნიკამ დედას. ნატაშამ იცოდა, რომ ოდესმე ნიკა მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ასე მაღლე თუ მოხდებოდა ეს არ ელოდა.

— აბა, როგორ დაგიშლი, შვილო, საკუთარი მამის მოძებნას, შენი გადაწყვეტილება მეც ძალიან მახარებს, მაგრამ გიფიქრია იმაზე, რომ ეხლა აფხაზეთში ომია, ვშიშობ არაფერი შეგემთხვეს.

— ჩემს გადაწყვეტილებას არ შევცვლი, იყოს ომი. განა იქ ჩემნაირები არ იბრძვიან? თუ იმათ არ ეშინიათ, მე რატომ უნდა მეშინოდეს, თანაც მე ხომ არავის ვებრძვი! — უთხრა ნიკამ დედას, მერე მოეხვია, გულში ჩაეხუტა და ცრემლიან თვალებზე აკოცა. ნიკამ იცოდა, რომ დედა ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობდა, გული აწუხებდა, მაგრამ ის ყოველთვის ცდილობდა ნიკას არ გაეგო მისი ავადმყოფობის შესახებ.

1998 წლის მაისში გალის რაიონში განახლდა ქართველებსა და აფხაზებს შორის საბრძოლო მოქმედებები. 1992 წლის ზაფხულში დაწყებული ომის გამო, ეკონომიურად განადგურებულ ქვეყანას ძლივს მოესწრო მცირე ხნით მშვიდობიანი ცხოვრება, რომ ისევ მოხდა ხელისუფლების გაუაზრებელი და უგუნური ქმედების შედეგად ომის ხელახალი პროვოცირება, რამაც გამოიწვია ხელახალი შეტაკებები და საბრძოლო მოქმედებების დაწყება ქართველებსა და აფხაზებს შორის.

ამ უკანასკნელთ ზურგს უკან, რუსების რეგულარული ჯარის ნაწილები იდგნენ და ეხმარებოდნენ აფხაზებს, როგორც სამხედრო ტექნიკით, ასევე ცოცხალი ძალით.

სოჭის ვაგზალი, როგორც ყოველთვის ხალხით იყო სავსე. ვის არ შეხვდებოდით აქ, რუსი ეროვნების სამხედრო პირებს, თუ წვერმოშვებულ ჩრდილოკავკასიელ „ბოევიკებს“, რომლებიც კბილებამდე შეიარაღებულები თამამად დააპიჯებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას შორის. მილიცია მათ ხმას არ სცემდა, არც საბუთებს სთხოვდა და არც იარაღის ტარების უფლებას უმოწმებდა. ისინი მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობის საბუთების შემოწმებით იყვნენ დაკავებული.

— შენ, ახალგაზრდავ! საბუთები წარმოადგინე! — უბრძანა მილიციელმა ვაგზლის ფოიეში საეჭვოდ მოსიარულე შავგვრემან ბიჭს. ნიკა შეჩერდა, გულის ჯიბიდან პასპორტი ამოილო და მილიციელებს გაუწოდა.

— ნიკალაი რუბცოვი, — ამოიკითხა მილიციელმა პასპორტში ჩაწერილი სახელი და გვარი და ნიკას შეხედა.

— საიდან ხარ? — ისევ იკითხა მილიციელმა.

— მანდ წერია, — მკვახედ მიუგო ნიკამ, რომელსაც მილიციელის გადაჭარბებული, საეჭვო ცნობიმოყვარეობა არ მოეწონა.

— ვორონეჟის ოლქი, — წაიკითხა მილიციელმა და სახემომლი-მარმა გაუწოდა პასპორტი ნიკას.

— აქ, ჩვენთან რამ მოგიყვანა? — არ ცხრებოდა მილიციელი.

— აფხაზეთში მინდა გადასვლა, — უპასუხა ნიკამ.

— მოხალისე ხარ? კარგია, მომწონს შენი გადაწყვეტილება. მეც მინდოდა აფხაზეთში წასვლა, მაგრამ სამსახურიდან არ გამიშვეს, ეხლა ყველა რუსი პატრიოტი იქ უნდა იყოს, რომ ჭკუა

ვასწავლოთ გათავხედებულ ქართველებს, რათა არასოდეს გაბედონ ჩვენი აფხაზი ძმების დაჩაგვრა, — ამაყად წარმოსთქვა მიღიციელმა და ნიკას მხარზე მეგობრულად გადახვია ხელი. ნიკამ მისი ხელი თავაზიანად მოიშორა და დაემშვიდობა „დაჩაგრული ერის“ ამ თავგამოდებულ ქომაგს.

— მატარებელი „მოსკოვი-სოხუმი“ იგვიანებს 3 საათით, — გამოაცხადა სადგურის მორიგე დისპეჩერმა რადიოთი. უკმაყოფილო მგზავრები აფუსფუსდნენ, შეძლებულმა მგზავრებმა რესტორანს მიაშურეს, ხოლო დანარჩენებმა, რომლებიც ჯიბეზე ცოტა ქესატად იყვნენ, იქვე სახელდახელოდ მოწყობილ ბუფეტებსა და „ბისტროებში“ გადაწყვიტეს დანაყრება.

ნიკამაც, საკმაოდ მოშიებულმა, გადაწყვიტა მატარებლის მოსვლამდე ცოტა წაეხემსა და მებუფეტეს სოსისი და ერთი კათხა ლუდი შეუკვეთა.

— ჩეჩენი სარ? — მოესმა ნიკას ზურგს უკან მდგომი ახალგაზრდის ხმა, რომელსაც აქცენტზე ეტყობოდა, რომ აფხაზი იყო.

— არა, რუსი ვარ! — უპასუხა ნიკამ, მან კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ამ დროს სიტყვა „ქართველის“ ხსენება, ამიტომ დამალა თავისი ქართული წარმოშობა.

— საით გაგიწევია, მეგობარო?

— გუდაუთაში, — უპასუხა ნიკამ.

აფხაზი დარწმუნებული იყო, რომ ნიკა გარკვეული საზღაურის საფასურად ქართველების წინააღმდეგ იბრძოლებდა. აფხაზის ეს მოსაზრება არ იწვევდა გაკვირვებას, რადგან რუსეთიდან და ჩრდილოვაკასიიდან უამრავი დაქირავებული მოხალისე იყრიდა თავს აფხაზეთში ფულის საშოვნელად.

— გინდა კარგი ვარიანტი შემოგთავაზო. დიდ ფულს გაშოვნინებ. მოხალისეთა რაზმებს ვქმნით გუდაუთაში ქართველების წინააღმდეგ. გადახდა დოლარებით იქნება. ქართველები ისევ შემოვიდნენ გალში, არ ისვენებენ, სამუდამოდ უნდა გავაძევოთ ჩვენი მიწა-წყლიდან! — უთხრა აფხაზმა და პასუხის მოლოდინში თვალი თვალში გაუყარა. ნიკა ერთ წამს დაფიქრდა. ამ აფხაზის დახმარებით შეიძლებოდა მამის კვალისათვის იოლად მიეგნო. ბევრი აღარ უფიქრია, მაშინვე დათანხმდა და გადაწყვიტა აფხაზთან ერთად გუდაუთაში გამგზავრებულიყო.

VII

გუდაუთაში ნიკა განსაკუთრებული შემოწმებით არ შეუწყვებიათ. დარწმუნდნენ რა, რომ ის ეროვნებით რუსი იყო, თანაც მას რეკომენდაციას უწევდა, მათვის უკვე კარგად ცნობილი აფხაზი მებრძოლი გარიკ კუპალბა (ასე ერქვა ნიკას ახალ მეგობარს), ახალწვეულ მოხალისეს ნდობა გამოუცხადეს, მისცეს იარაღი და გალის რაიონისაკენ გაისტუმრეს საბრძოლველად, სადაც ქართული მილიციის შენაერთები სწრაფად მიიწევდნენ წინ და სოფელს სოფელზე იკავებდნენ.

განსაკუთრებით მძიმე შეტაკება მოხდა სოფელ სიდაში, სადაც ქართველებმა სძლიერ აფხაზთა შენაერთებს. ამ შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრა გარიკი. ნიკამ, საკუთარი სიცოცხლის ფასად, ბრძოლის ველიდან გამოიყვანა დაჭრილი გარიკი და თვითონ ჩაიყვანა გუდაუთაში მის მშობლებთან.

გარიკის მშობლებმა ალარ იცოდნენ რით გადაეხადათ უდიდესი პატივისცემა მათი შვილის გადამრჩენლის მიმართ.

— ამიერიდან ჩემი ოჯახი შენი ოჯახია, თუ რამე შემიძლია თავს არ დავზიოგავ, შენს გვერდით ვიქწები, — უთხრა გარიკის მამამ ზაურმა ნიკას და გულზე მიიხუტა. ნიკამ მადლობა გადაუხადა ზაურს და თან დასძინა:

— ეს ჩემი კაცური ვალი იყო, სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი.
— იერით არ ჰერგხარ რუსს, — დაეჭვებით ჰკითხა მოხუცმა ინალმა, გარიკის ბაბუამ.

— რადგან თქვენი ოჯახის წევრად მიმიღეთ, დასამალი არაფერი მაქვს, დიახ, მამით ქართველი ვარ, გვარად გოგლიძე. მამაჩემს გურამი ჰქვია, დედა რუსი მყავს. მე ჩემს მშობლებთან ერთად მხოლოდ ხუთი წელი ვიცხოვრე აღმოსავლეთში, ტიუმენის ოლქში. შემდეგ ჩემი მშობლები დაშორდნენ. დედა არ გამოჰყოვა მამას საქართველოში, მან თავისი მოხუცები ვერ მიატოვა. მიუხედავად დაშორებისა, დედა ყოველთვის დიდი სიყვარულით იგონებდა მამასთან ერთად გატარებულ ცხოვრების წლებს. ჩემს მშობლებს უყვარდათ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს. ჩემი აფხაზეთში ყოფნის მიზანი არ არის ომში მონაწილეობის მიღება და ფულის შოვნა. მე აქ მამაჩემის მოსაძებნად ვარ ჩამოსული, — დაამთავრა ნიკამ და ტახტზე წამოწო-

ლილ დაჭრილ მეგობარს თანაგრძნობით შეხედა.

— მე დაგეხმარები მამის მოძებნაში, — უთხრა ზაურმა. გოგლიძე რაჭული გვარია. რაჭველები ახალსოფელში ცხოვრობენ, მე იქ ნაცნობები მყავს, შევეცდები დავუკავშირდე მათ, იქნებ იმ სოფელში ცხოვრობს მამაშენი. ნიკას სიხარულით სახე გაებადრა. მადლობა გადაუხადა გულითად მასპინძელს და იმედი გამოთქვა, რომ მამას აუცილებლად შეხვდებოდა. შემდეგ მოიბოდიშა, რადგან მისი წასვლის დრო იყო. ის ერთი დღით იყო ნაწილიდან გამოშვებული გარიკის გამცილებლად, რომ დაეგვიანა აფხაზები ძებნას დაუწყებდნენ და შესაძლოა დაესაჯათ კიდეც.

ნიკა დაემშვიდობა გარიკს, მისი ოჯახის წევრებს და უკან გალისაკენ გამობრუნდა.

VIII

თავდაპირველად რუსეთის ეგრეთწოდებული სამშვიდობო ძალები, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, მონაწილეობას არ იღებდნენ საბრძოლო მოქმედებებში, მაგრამ დარწმუნდნენ რა ქართველთა წარმატებაში, რის შედეგადაც ქართულმა შენაერთებმა მთლიანად დაიკავეს გალის რაიონის ქართული სოფლები, გადაწყვიტეს ბრძოლებში ჩაბმულიყვნენ და მიშველებოდნენ აფხაზებს.

აფხაზებისა და რუსების სამშვიდობო ძალების სამხედრო შენაერთებმა ადვილად დაძლიეს ქართველთა წინააღმდეგობა და დაიწყეს გალის რაიონის ქართული სოფლებიდან ქართული სამხედრო შენაერთების განდევნა. აფხაზები განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, მამაკაცებს ადგილზე ხვრეტდნენ, ქალებს აუპატიურებდნენ, სახლვარს უნადგურებდნენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სოფლები: ოტობაია, ნაბაკევი, პეჩორა, თაგილონი. ნიკა გაოგნებული იყო ამ სისასტიკით. ის ცდილობდა აფხაზების შეუმჩნევლად დახმარებოდა ადგილობრივ მოსახლეობას, რამდენიმე მათგანი გაიყვანა კიდეც სამშვიდოოს, მაგრამ ყველას ვერ უშველიდა, ეს შეუძლებელი იყო. მოსაღამოვდა. რუსებისა და აფხაზების ჯარის ნაწილები სოფელ ოტობაიაში იდგნენ.

სოფლის აწიოკებით და ძარცვით დაღლილი ჯარისკაცები სოფლის განაპირა მდგარ სახლში ისვენებდნენ. სუფრა სახლის პირველ სართულზე ჰქონდათ გაშლილი. ზეიმობდნენ ქართველებზე გამარჯვებას, ლოთობდნენ და ბილნისიტყვაობდნენ. ისინი ჰყვებოდნენ, ვინ რამდენი ქართველის სახლი გაძარცვა, გადაწვა, რამდენი ქალი გააუპატიურა. ამ საერთო, ამაზრზენ ლხინსა და გართობაში მხოლოდ ერთი საკმაოდ ახალგაზრდა კაცი არ იღებდა მონაწილეობას. ის ოთახის კუთხეში იჯდა, კონსერვის ქილა გაეხსნა და ავტომატის დანის დახმარებით ვახშმობდა. უცებ კარი გაიღო და შემოვიდა არყით გამობრუული აფხაზი, რომელმაც ხელის კვრით ოთახში შემოაგდო 16-17 წლის შიშისაგან მთლად აკანკალებული და გაფითრებული გოგონა.

— ნახეთ, ბიჭებო, ვინ ვიპოვე. სახლში ვიყავი მისული და იქ ეს კარების უკან იმალებოდა. ვის გინდათ? ვინც მეტს გადამიხდის, იმას დავუთმობ. ერთ რამდე ღირს ამასთან დროის გატარება! აბა, მოიქექეთ ჯიბეები, რუსული რუბლი არ დამანახოთ, დოლარზე ვყიდი.

შეიქმნა ჩოჩქოლი, ყველას სურდა ამ ახალგაზრდა, ლამაზ, უცოდველ არსებასთან ღამის გათევა, მაგრამ დოლარი არავის არ აღმოაჩნდა, გავეშებული აფხაზი კი ჯიუტად იმეორებდა, მხოლოდ დოლარზე ვყიდიო.

ნიკამ მოისმინა რა ამ ნაძირალა აფხაზის პირობა, ჭამა შენყვიტა, მიუახლოვდა გოგოს, თმებზე ხელით მოეფერა, ტუჩები ყურთან მიუტანა და ჩასჩურჩულა, — მომენდე! ჩემი ნუ გეშინია! — გოგომ უკან დაიხია, თავი ასწია და ნიკას შეხედა, ის მთელი სხეულით კანკალებდა და უხმოდ ტიროდა.

— აბა! აბა! ეგრე არ გამოვა ძმაო, ჯერ გადაიხადე და მერე ისე მოეფერე, — შეუბლვირა აფხაზმა ნიკას. ნიკამ ზიზლითა და ბოლმით სავსე ანთებული თვალებით შეხედა სასმლისაგან სახეშეშლილ აფხაზს და ჰკითხა: — რამდენი გინდა?

— სულ მცირე ხუთასი დოლარი.

— ორასიც გეყოფა, — უთხრა ნიკამ, შემდეგ შარვლის პატარა ჯიბიდან „პისტონჩიკიდან“ ორი დაჭმუჭნული ასდოლარიანი ამოიღო და აფხაზს გაუწოდა.

— კარგი, ორასი იყოს, ჯეელი ბიჭი ხარ, ყველაზე მეტად შენ შეგერგება, თანაც უხდებით ერთმანეთს, — ბოლო სიტყვების წარმოთქმისას უტიფრად გადაიხარხარა აფხაზმა და დოლარები გულის ჯიბეში ჩაიდო.

ნიკამ იატაკზე დადებული ავტომატი აიღო, გოგოს ხელი ჩასჭიდა და მეორე სართულზე აიყვანა. შეაღო ოთახის კარი და ორივე შიგნით შევიდა. მან ავტომატი კართან მიაყუდა, მერე ქალს მიუახლოვდა და უთხრა, — გეშიება, ქვემოთ ჩავალ, ამოვიტან რამეს! — ქვემოდან ისევ ხმაურისა და მთვრალი ჯარისკაცების ლრიანცელი და გინება ისმოდა.

— აბა ჯეელო, რა ჰქენი, ჰო არ გაგიჭირდა, თუ ჯერ არ დაგიწყიათ, — ექილიკებოდნენ ჯარისკაცები ნიკას.

ნიკამ მაგიდიდან აიღო რამდენიმე გაუხსნელი კონსერვის ქილა, პური, ყველი, მოზრდილი ძეხვის ნაჭერი და კიბეებზე ამოირპინა. შეაღო ოთახის კარი და ადგილზე გაშეშდა. გოგოს ავტომატი შეეყენებინა და ნიკას უმიზნებდა. ნიკამ გონება მოიკრიბა და წყნარად დაუწყო გოგოს შეგონება.

— მომისმინე, სისულელე არ ჩაიდინო, აქ მხოლოდ მე ვარ შენი ერთდაერთი მშველელი. მომენდე, თუ გინდა, ამ ჯოჯოხეთიდან გაგიყვანო, დადე ავტომატი! მე არც რუსი ვარ და არც აფხაზი. ქართველი ვარ, ნიკა მქვია, გვარად გოგლიძე ვარ, გესამის გოგო! — ხმა აიმაღლა ნიკამ და ნაბიჯი წინ წადგა. ქალს დაბნეულობა დაეტყო, ესროლა ნიკასთვის, გაუპატიურება და სიკვდილი მაინც არ ასცდებოდა, ვერ გაეგო როგორ მოქცეულიყო. ნიკამ ისარგებლა ამ პაუზით, პროდუქტი იატაკზე დაჰყარა, ქალს ავტომატზე უტაცა ხელი, გამოპეგლიჯა, მოხსნა მჭიდი და ძირს დააგდო. ავტომატის გამოგლეჯვამ ქალს წონასწორობა დააკარგვინა და ძირს დაეცა. ნიკამ შუბლიდან სიმწრის ოფლი მოიწმინდა, ქალს მიუახლოვდა, წამოაყენა და დაამშვიდა.

— ისინი რომ დაიძინებენ, ჩვენ წავალთ აქედან, მთელი ლამე მოგვიწევს სიარული, ცოტა უნდა შეჭამო რამე, ძალიან ხარ დასუსტებული, სიარული გაგიჭირდება, — გოგომ თავი ასწია და ნიკას მოწყალე თვალებით შეხედა.

— მართლა წამიყვან აქედან? მიშველი? არ მატყუებ? — ჰკითხა გოგომ და თვალები ისევ ცრემლებით აევსო.

— არ გატყუებ! ხომ გითხარი ქართველი ვარ-მეთქი. გუდაუ-
თამდე უნდა მივაღწიოთ. იქ აფხაზი მეგობარი მყავს, ის დაგვეხ-
მარება. სოჭამდე გაგვიყვანს და მალე სამშვიდობოზე ვიქნებით
გასულები.

ნიკას სიტყვებმა გოგოს იმედის ნაპერწკალი გაუღვივა, მად-
ლობა გადაუხადა ბიჭს, შემდეგ ძირს დაგდებულ ძეხვის ნაჭერს
და პურს დასწვდა და მადიანად შეექცა.

სახლის პირველ სართულზე, სადაც აფხაზი „ბოევიკები“
იყვნენ, ხმაური შეწყდა, მთელი დღე ქართული მოსახლეობის
ძარცვითა და მკვლელობით დაკავებულებს, დალლა მოძალებო-
დათ, ზოგ მათგანს საწოლზე მოენახა მოსასვენებელი, ზოგიც
იატაკზე გაშხლართულიყო და ისე ეძინა.

ნიკა და ინა (ასე ერქვა გოგოს) ფეხაკრეფით ჩამოვიდნენ კიბ-
ებზე. დიდი სიფრთხილით გვერდი აუარეს იმ ოთახის კარს, სა-
დაც „ბოევიკებს“ ეძინათ და ღამის სიბნელეში გაუჩინარდნენ.
ნიკა ცდილობდა გზად არ გადაყროდა აფხაზებს ან ჩრდილო კა-
ვკასიელებს, რუსთან კიდევ გამონახავდა საერთო ენას და თავს
დაიძვრენდა. ინა კარგად იცნობდა იქაურ ადგილმდებარეობას,
ამიტომ არ უჭირდათ ბლოკპოსტების გვერდის ავლა და საში-
ში ზონიდან უხიფათოდ ახერხებდნენ სამშვიდობოზე გასვლას,
თუმცა წინ კიდევ დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი გუდაუთამდე.

IX

გამთენისას როგორც იქნა მიუახლოვდნენ ოჩამჩირეს. აქ
რუსების სამშვიდობოები იყვნენ განლაგებულნი. ნიკა გამო-
ელებარაკა რუს ჯარისკაცს, რომლისგანაც შეიტყო, რომ გუ-
დაუთის მიმართულებით ხშირად მოძრაობდნენ სამხედრო
მანქანები, რადგან ძირითადად რუსული ბაზა იქ იყო განლა-
გებული და იქიდან მარაგდებოდნენ აფხაზები, როგორც სამ-
ხედრო აღჭურვილობით, ასევე ტყვია-წამლით.

— გააჩერე! — ხელის აწევით ანიშნა ნიკამ სამხედრო „უაზის“
ტიპის მანქანას. „უაზმა“ მკვეთრად დაამუხრუჭა. კაბინიდან
თავი გამოჰყო რუსმა ოფიცერმა და ნიკას მკვახედ მიაძახა:

- რა გინდა! რას მაჩერებ!
- საითკენ მიდიხარ, ძმაო?

- გუდაუთისკენ, დაჭრილები გადამყავს.
- გაგვაყოლე, ვალში არ დაგრჩებით, — შეეხვეწა ნიკა.
- ეგ ვინ არის? — ანიშნა ოფიცერმა გოგოზე.
- ეს აფხაზია, ქართველებმა მშობლები დაუხოცეს, გუდაუთაში მიმყავს ნათესავებთან, — იცრუა ნიკამ, — მე რუსი ვარ, ნიკალაი რუბცოვი, ვორონეჟიდან, აქ მოხალისედ ვარ ჩამოსული, — ნიკამ თავისი პასპორტი მიაწოდა, ოფიცერმა შეამოწმა პასპორტი და უკან დაუბრუნა.

— ათას რუბლად წაგიყვანთ ორივეს, — უთხრა ოფიცერმა.

ნიკას იმ ორასი დოლარის გარდა რუსული ფულიც ჰქონდა სახლიდან წამოღებული. ნაწილი დაეხარჯა, რამდენი ჰქონდა დარჩენილი აღარც ახსოვდა. ბიჭმა ჯიბეები მოიჩრიკა, მაგრამ ოთხას რუბლზე მეტი არ აღმოაჩნდა.

— მხოლოდ ოთხასი რუბლი მაქვს, გთხოვ, ნუ დაგვტოვებ, — კიდევ ერთხელ შეეხვეწა ნიკა ოფიცერს.

— ჯანდაბას თქვენი თავი, დასხედით! — ნიკა და ინა ავტომანქანაში მოთავსდნენ, სადაც კიდევ სამი მსუბუქად დაჭრილი რუსი ჯარისკაცი იყო.

— მგონი გვეშველა, — ყურში ჩასჩურჩულა ნიკამ გოგოს. ინა ამხნის მანძილზე დაძაბული იყო და შიშისაგან კანკალებდა. ნიკას სიტყვებმა გაამხნევა, ნატანჯ და დაღლილ სახეზე ღიმილი მოეფინა და უნებურად ნიკას მხარზე თავი დაადო. ნიკამ მზრუნველად გადაუსვა თმებზე ხელი და ინას შუბლზე აკოცა. გუდაუთამდე კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი.

რამდენიმე ბლოკპოსტზე, სადაც აფხაზი ჯარისკაცები იდგნენ, შეაჩერეს, ზერელედ შეამოწმეს და გაატარეს. რუსი ოფიცრების მანქანებს უპრობლემოდ ატარებდნენ. სალამოხანს მიაღწიეს გუდაუთამდე. კარგად გამოძინებული ინა მხიარულ ხასიათზე იყო, ნიკას ისე გაუშინაურდა, თითქოს ის ერთი დღის უკან კი არ გაიცნო, არამედ მთელი ცხოვრება იცნობდა.

კუპალების ოჯახმა დიდად გაიხარა ნიკასა და მისი თანმხლების სტუმრობით. გარიყი საკმაოდ მომჯობინებულიყო. მას უკვე ჯოხზე დაყრდნობით შეეძლო გადაადგილება. ინას ვინაობით დაინტერესებულ კუპალებს ნიკამ სრული სიმართლე უთხრა. არ დაუმალავს მისი ქართველობა. გარიყის დედამ დიდი

სითბოთი და სიყვარულით მიიღო ობოლი გოგო, რომელსაც მშობლები იმში დაუხოცეს. დიასახლისმა აბაზანა მოუმზადა ინას, დაბანა, თავისი ახალგაზრდობის დროინდელი კაბებიდან შეურჩია მისი სარგო და ასე გალამაზებული და გაკოხტავებული წარუდგინა სახელდახელო სუფრასთან მჯდარ მამაკაცებს.

მართლაც ლამაზი და მომხიბვლელი იყო ინა. ნიკამ შეხედა თუ არა მას, გულმა სხვაგვარად დაუწყო ცემა. რატომ აქამდე ვერ შეამჩნია ინას სილამაზე და მომხიბვლელობა? თუმც ის, რაც მათ გადაიტანეს, გასაკვირი არ იყო ერთმანეთისთვის ყურადღებით რომ არ შეეხედათ, მაშინ მთავარი საზრუნავი იმ ჯოჯოხეთიდან გამოსვლა და ცოცხლად დარჩენა იყო. ინა ნიკას გვერდით მიუჯდა და ცდილობდა თავისი ქალური მომხიბვლელობის წყალობით უფრო მეტი ყურადღება და პატივისცემა მიეღო ვაჟისაგან. ნიკაც, ინას შემხედვარე, თვალებს არ უჯერებდა. მთელი ამ ხნის მანძილზე, თურმე ასეთი სილამაზე მის გვერდით იყო და ის კი ვერ ამჩნევდა. ნიკას დარჩენა აფხაზეთში აღარ შეიძლებოდა, ის ფაქტიურად დეზერტირი იყო. ალბათ, უკვე ეძებდნენ და თუ სასწრაფოდ არ დატოვებდა გუდაუთას, დაიჭერდნენ და დასჯიდნენ. ერთი რამ უკლავდა გულს, ის, რომ ამ ხნის მანძილზე, რის გამოც იყო ჩამოსული აფხაზეთში, ვერანაირი ამბავი ვერ შეიტყო და ასე უეცრად და მოულოდნელად უნდა დაეტოვებინა აქაურობა.

X

კუპალბების ოჯახში ყველა კარგ ხასიათზე იყო, მხოლოდ ზაურს ეტყობოდა უხასიათობა, ხანდახან ნაძალადევად თუ გაიღიმებდა, ცდილობდა უფრო მეტად აივანზე ყოფილიყო. სტუმრებთან და ახლობლებთან ყოფნას ერიდებოდა. თავდაპირველად ნიკა ზაურის ამ ქცევას ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ მერე და მერე დაეჭვდა – ცუდი ხომ არაფერი უდევს ამ კაცს გულში, იქნება ჩემი სტუმრობა არ სიამოვნებს, ხომ არაფერი ენყინა, – ფიქრობდა ნიკა. იგი მაგიდიდან წამოდგა, ბოდიში მოიხადა, ინას ჩასჩურჩულა მალე მოვალო და გარეთ გამოვიდა. ზაური აივნის მოაჯირს დაყრდნობოდა და სიგარეტს სიგარეტზე ეწყოდა. ნიკა მიუახლოვდა ზაურს, მხარზე ხელი გადახვია და ჰკითხა:

— ზაურ ბიძია, ძალიან უხასიათოდ ხარ, ხომ არაფერი მოხდა? ხომ არავინ გაწყენინა? ხომ კარგად ხარ?

— არა, შვილო, კარგად ვარ, მაგრამ არ ვიცი საიდან დავიწყო და როგორ ვთქვა.

— თქვი, ზაურ ბიძია! ნუ გერიდება, თუ მე მეხება, ბავშვი აღარ ვარ, გავიგებ.

— რახან ასეა, გეტყვი, დაფარვას აზრი არა აქვს. შენ ეს უნდა იცოდე! — თქვა ზაურმა, ნიკას მოეფერა, აკოცა და ჩუმი ხმით უთხრა, — მამაშენის ამბავი შემატყობინეს ჩემმა ქართველმა მეგობრებმა, ის ოთხმოცდათორმეტში მოუკლავთ აფხაზ „ბო-ევიკებს“. თურმე კაცურად მომკვდარა, ერთი სიტყვა არ უპატიებია მომხვდურებისთვის, ამიტომ განირეს. ნიკას ზაურის სიტყვებმა გულში ისარივით გაუარა. თვალთ დაუბნელდა, დაბარბაცდა, მაგრამ თავი შეიკავა. ზაურს მოეხვია და თვალები ცრემლებით აევსო. ასე იყვნენ ორივენი ცოტა ხანს გარინდულ-ნი. ბოლოს ნიკამ მაჯით ცრემლები მოიწმინდა, ზაურს შეხედა და უთხრა — მართალი ყოფილა დედაჩემი, რასაც მამაჩემზე მეუბნებიდა, კაცი ყოფილა, კაცი, ვენაცვალე მის სულს.

— თქვენი ოჯახის წევრებმა თუ იციან ეს ამბავი? — ჰკითხა ნიკამ.

— არა შვილო, ეს მხოლოდ მე და შენ ვიცით.

— ნურც იტყვით, ასე აჯობებს, ცოდონი არიან, ისედაც საკ-მაოდ ნახეს სისხლიც და სიკვდილიც, ეყოფათ! — თქვა ნიკამ და ორივე ოთახში შევიდა.

მეორე დღეს ზაურმა გაითვალისწინა ის ხიფათი და საშიშ-როება, რაც შესაძლოა ნიკას და ინას მოსვლოდა, დაუკავშირდა თავის გავლენიან მეგობრებს და დახმარება სთხოვა. მეგობრებ-მა კარგად იცოდნენ ზაურის სიკეთის და კაიკაცობის ამბავი და უარს როგორ ეტყოდნენ.

— ცოტა ხანში მანქანა მოვა, მეც თქვენთან ერთად წამოვალ სოჭამდე, — უთხრა ნიკას ზაურმა და მაგიდასთან მიიპატიქა. საუზმე მალე მოათავეს. ნიკამ ინას ხელი მოჰკიდა და აივანზე გაიყვანა.

— ინა, მომისმინე, გუშინ ზაურმა მითხრა, მამაჩემი ცოცხა-ლი აღარ არის, ოთხმოცდათორმეტში მოუკლავთ აფხაზ „ბო-

ევიკებს“: ისიც მითხრა, რომ კაცურად მომკვდარა, ქედი არ მოუხრია. მე აქ აღარაფერი დამრჩენია, უნდა წავიდე. შენც მშობლები აღარა გყავს, სახლ-კარი და მამული მაქვს, არაფერი გაგვიჭირდება, გპირდები, ძალიან მეყვარები, ხელის გულზე გატარებ. ინა თითქოს ელოდა ნიკას ამ შეთავაზებას, მოისმინა რა ნიკას სიტყვები, კისერზე ჩამოეკიდა, თვალები დაუკოცნა და უთხრა:

— ამ მცირე ხნის მანძილზე, მხოლოდ სიკეთეს, ვაჟკაცობას და თანაგრძნობას ვხედავდი შენში. როგორ შეიძლება უარი ვთქვა ასეთ ადამიანზე.

ნიკამ ხელში აიყვანა ინა, გულში ჩაიხუტა და მხურვალედ აკოცა ტუჩებში, გოგომაც კოცნით უპასუხა.

ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ნიკა თავის მეგობრებთან ერთად სოჭის ვაგზალზე მატარებელს ელოდა. ზაური და მისი მეგობრები აცილებდნენ მათ. მალე მატარებელი ჩამოდგა, ისინი დაემშვიდობნენ ნიკას და ინას საუკეთესო სურვილებით.

— ეს გზაში დაგჭირდებათ, — უთხრა ზაურმა ნიკას და ათას-მანეთიანების საკმაოდ დიდი შეკვრა ჩაუდო ჯიბეში.

— ეს ძალიან ბევრია ზაურ ბიძია, ძალიან ბევრია, — იმეორებდა ნიკა.

— ეს ბევრი კი არა, სათქმელადაც არ ლირს. ის, რაც შენ ჩემი ოჯახისთვის გააკეთე, შეუფასებელია. მე შენთან სამუდამო ვალში ვარ, შვილო. ჩათვალე ეს ჩემგან საქორწილო საჩუქრად, — უთხრა ზაურმა და კიდევ ერთხელ ჩაიკრა გულში ნიკა და ინა.

მატარებელი სწრაფი სიჩქარით მიჰქიროდა. კუპეში მხოლოდ ნიკა და ინა იყვნენ. ვაგონი რელსიდან რელსზე გადასვლისას აკვანივით ირწეოდა, ხოლო რელსების ყრუ, მონოტონური ხმები იავნანასავით ჩაესმოდა ურთიერთჩახუტებულ მძინარე ქალვაჟს.

XI

ვორონეჟის ოლქის ერთ პატარა რკინიგზის სადგურზე ახალჩამოსული მატარებლის მგზავრების ნაკადი სწრაფად მიედინებოდა გასასვლელისაკენ. ამ დინებას არ მიჰყვებოდა ტანმაღალი, კავკასიური გარეგნობის ხანში შესული მამაკაცი,

რომელიც მოსაცდელის გრძელ სკამზე იჯდა ჩაფიქრებული. დარბაზი თითქმის დაიცალა. ლევანი წამოდგა და დაიწყო მოსაცდელში ბოლთის ცემა. ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო, დაეტოვებინა დარბაზი თუ დარჩენილიყო.

უცხო კაცის გამოჩენა არ გამოპარვია სადგურის ადგილობრივ მილიციას, მითუმეტეს მისი კავკასიური იერი საკმაოდ თვალშისაცემი იყო.

— გამარჯობათ! რიგითი ფომინი, — გაეჭიმა მილიციელი.

— გაგიმარჯოს, შვილ!

— თქვენი საბუთები? — ლევანმა პიჯაკის ჯიბიდან საბუთები ამოიღო და მილიციელს გაუწოდა. მიუხედავად იმისა, რომ მას საბუთები წესრიგში ჰქონდა, მილიციელმა სამორიგეო განყოფილებაში შესვლა სთხოვა და თან ჩუმად გადაულაპარაკაოფიცერს.

— ქართველია, — ოფიცერმა საბუთები გადაათვალიერა. ლევანი ეჭვის თვალით აათვალ-ჩათვალიერა და მკვახედ შეეკითხა.

— რამ ჩამოგიყვანა ჩვენს მხარეში?

— გაჭირვებამ, შვილო, თორებმ ჩემი ხნის ადამიანები ასე შორს სასეირნოდ რომ არ ივლიან, თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

— რა გაჭირვებამ? — იკითხა ოფიცერმა.

— ეს დიდი ისტორიაა, თუმცა შეიძლება თქვენც დამეხმაროთ. ლევანმა გულის ჯიბიდან ამოიღო სურათი და ოფიცერს მიაწოდა, — რამდენი წელია ამ ქალსა და ბავშვს ვეძებ, მისამართი სრულად არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ვორონეჟის ოლქი, სოფლის სახელი კი არა. თითქმის ყოველ ზაფხულს ჩამოვდივარ აქ, მაგრამ უშედეგოდ, ჯერ ვერ მივაგენი მათ ადგილსამყოფელს.

ოფიცერმა სურათს დახედა და შეეკითხა ლევანს, — რისთვის ეძებ ამათ? ვინ არიან ესენი შენთვის?

— ჩემი ახლობლები არიან, მაგრამ ისინი არასოდეს მინახავს.

— ეს როგორ? — გაიკვირვა ოფიცერმა, — სახელი, მამის სახელი, გვარი თუ იცით, ტელევიზიით ან რადიოთი რატომ არ გამოაცხადებთ? რატომ არ ეძებთ ამ საშუალებებით?

— შვილო, მე ხომ ზუსტად არც გვარი ვიცი და არც მამის სახელი. ვიცი მხოლოდ, რომ 1980 წელს იგი ვორონეჟის ოლქი-

დან ჩავიდა სამუშაოდ ტიუმენში კომკავშირული საგზურით. სახელი ნატაშა ჰქვია, ეს დანამდვილებით ვიცი.

— კიდევ გიმეორებ, შენთვის ვინ არიან ეს ქალი და ბავშვი?

— ეს სურათი ჩემმა დაღუპულმა ძმამ გადმომცა, სანამ ცოცხალი იყო და მთხოვა მეპოვნა ისინი. ეს მისი ანდერძია, სანამ ცოცხალი ვარ უნდა შევასრულო.

— საოცარი ხალხი ხართ ქართველები, რამდენი ხანია ექებთ ვიღაც ქალს და არ იცით რისთვის, — ჩაილაპარაკა ოფიცერმა.

— აბა, სურათი მაჩვენეთ, — საუბარში ჩაერია რიგითი მილიციელი, — რაღაც ძალიან ნაცნობი სახე აქვს ამ ქალბატონს, თუ არ ვცდები რაგოზინის თანასოფლელი უნდა იყოს. თუ ის არის, რაგოზინი ზუსტად ამოიცნობს.

— ვინ? — იკითხა ოფიცერმა.

— რიგითი რაგოზინი, რაიონული განყოფილების თანამშრომელი, მე მგონი იგი დღეს მორიგე უნდა იყოს.

— ღმერთი გიშველით, — წარმოსთქვა ლევანმა და მუდარის თვალით შეხედა ორივე მილიციელს, — იქნებ მიმიყვანოთ იმ კაცთან, ჰქენით სიკეთე!

— ფომინ, გაჰყევი ამ ქართველს და მიიყვანე რაგოზინთან, სანამ გამოიცვალა, არ გაგასწროს, — ფომინმა მორიგე მილიციელს მოაძებნინა რაგოზინი.

— აბა, მაჩვენე ვის ექებ, რა სურათი გაქვს, — ჰქითხა რაგოზინმა ლევანს და სურათი გამოართვა.

— ეს ხომ ნატაშა დეიდაა! ეს კი ნიკა, ნიკალაი.

— დიახ, სწორედ ესენი არიან, მერე რა?

— ეს კაცი ექებს მათ, — უთხრა ფომინმა რაგოზინს.

— ნატაშა დეიდა შარშან გარდაიცვალა გულის შეტევით. ნიკალაი კი კარგად არის თავის ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობს ჩვენს ხუჭორში.

— ვერ მოვუსწარი ცოცხალს, — წარმოსთქვა ლევანმა და თვალებზე ცრემლები მოადგა, — შეგიძლიათ ნიკასთან მიმიყვანოთ?

— როგორ არა, ეხლა 20 წუთში ჩემი ცვლა მოვა, შემდეგ ჩემი მანქანით წაგიყვანთ. მე და ნიკალაი მეგობრები ვართ.

— ღმერთმა დაგლოცოს, შვილო! შენ არ იცი რა სიკეთეს აკეთებ!

— აბა, წარმატებას გისურვებ, მოხუცო! — უთხრა ფომინმა ლევანს და ხელი მაგრად ჩამოართვა.

ცოტა ხანში რიგითი რაგოზინი ლევანს თავისი ჟიგულით ხუტორისკენ მიაქოლებდა. ლევანი ნერვიულობამ შეიძყრო, ვერ ისვენებდა, წამდაუწუმ ეკითხებოდა მძლოლს მალე მივიდოდნენ თუ არა ხუტორში.

როგორც იქნა მანქანამ ხუტორისკენ გადაუხვია და კოხტად მოვლილ ეზოსთან გაჩერდა. ეზოში ახალგაზრდა, ტანმაღალი, შავგვრემანი კაცი ყვავილებს რწყავდა.

— ნიკა, ნიკალაი! შენთან სტუმარია, — გასძახა რაგოზინმა. ნიკამ რწყავას თავი ანება და ჭიმკრისაკენ გამოემართა. ლევანი გადმოვიდა მანქანიდან, შეხედა ნიკას და ხმა აუთროლდა, თვალებზე ცრემლები მოაწვა, გული აუჩქარდა და ნაბიჯი წინ ვეღარ წარსდგა. იქვე ღობეს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო. მის წინ გურამის ასლი იდგა. საოცარი მსგავსება იყო მის გარდაცვლილ ძმასა და ამ ჯერ, მისთვის უცხო ახალგაზრდა კაცს, შორის. ნიკა მიუახლოვდა ლევანს, უცნაურად დააშტერდა და პკითხა:

— გისმენთ! რა გნებავთ?

ლევანი შეტორტმანდა, გულზე ხელი მიიდო და ჩუმად წარმოსთქვა.

— ღმერთო, ოდონდ ეხლა არა!

ნიკამ შეამჩნია, რომ მოხუცი თავს კარგად ვერ გრძნობდა, მისი გაფითრებული სახის გამომეტყველება აშკარად შველას ითხოვდა. მან ხელი შეაშველა ლევანს და იქვე, ჭიშკართან გრძელ სკამზე ჩამოსვა. რაგოზინმაც ხელი მოჰკიდა მოხუცს, თან გაკვირვებული უყურებდა ხან ქართველს, ხან ნიკალაის. ვერ გაეგო რა ხდებოდა. ლევანმა სული მოითქვა, პიჯაკის გულის ჯიბეში ხელი ჩაიყო, ამოილო სურათი და ნიკას გაუწოდა.

ნიკამ სურათს დახედა, მოულოდნელობისაგან სახე გაუფითრდა და ელდანაკრავივით წამოიძახა.

— ესეთი ხომ მეც მაქვს სახლში. — ეხლა ლევანმა დაუწყო დამშვიდება ნიკას. მხარზე ხელი დაადო და უთხრა, — მოდი, დაჯექი ჩემთან, მე არსად მეჩქარება, დრო ბევრი გვაქვს, ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები.

— შენ? მამაჩემი? — ანგარიშმიუცემლად იმეორებდა დაბნეული ნიკა.

— მე ბიძა ვარ შენი, მამაშენის ძმა, — ამ სიტყვების შემდეგ გულში ჩაიკრა ნიკა და სიხარულის ცრემლები წასკდა. ცოტა ხანს ასე ისხდნენ გარინდებულნი. უცებ ქალის ხმამ გამოაფხიზლათ. სახლიდან ქალი და ხუთიოდე წლის ჯანმრთელი, ჯმუხი, ბუთხუზა ბიჭი გამობაჯბაჯდა.

— გურამ, შემოდი სახლში, — ქართულად დაუძახა ქალმა.

ნიკა გამოერკვა და ლევანს უთხრა, — ეს ჩემი ცოლია ინა, ქართველია, აფხაზეთიდან წამოვიყვანე, ეს კი ჩემი ვაჟკაცია — გურამი. მამაჩემის სახელი დავარქვი. ლევანი აღტაცებას ვერ მალავდა სიხარულისგან, მას ეგონა, რომ ძმისშვილს სიურპრიზად მოევლინებოდა, მაგრამ არ იცოდა, რომ უკეთეს სიურპრიზებს ძმისშვილი დაახვედრებდა. ლევანმა პატარა გურამი და ინა გულში ჩაიკრა და ქართულად მოეფერა ორივეს.

— თქვენ გენაცვალეთ, ეხლა რომ მოვკვდე აღარა ვჩივი, როგორც იქნა გიპოვეთ.

— სახლში შევიდეთ, — უთხრა ნიკამ და ბიძას ხელკავი გამოსდო.

— აბა, ბიძაჩემო, მამის მხრიდან პირველად ვხვდები ჩემს სისხლსა და ხორცს. ეს დღე საგანგებოდ უნდა ავლნიშნოთ! დღეს მე მეორედ დავიბადე. ნეტა ცხონებული დედაჩემი მოსწრებოდა ამ დღეს, — ამბობდა გახარებული ნიკა და ბიძას გულში იკრავდა.

— ნუ შენუხდები, შვილო! ეხლა ყველაზე მეტად შენთან მინდა ყოფნა. ჩვენ იმდენი რამ გვაქვს ერთმანეთთან სალაპარაკო და მოსაყოლი, რომ შეიძლება დროც არ გვეყოს.

საუბარი ნიკამ დაიწყო, — დედაჩემისგან გამიგია მამაჩემს ბევრი დედმამიშვილი ჰყოლია.

— დიახ, შვილო, ბიძებიც გყავს, მამიდაც, ბიძაშვილ-მამიდაშვილებიც. ყველას გაჩვენებ, ყველას გაგაცნობ! — ეუბნებოდა თავის ძმისშვილს ლევანი და თვალებზე მომდგარ ცრემლებს მაჯით იწმენდდა.

ჯერ ისევ ბნელოდა, როცა მამალმა ხრინწიანი ხმით დაიყვლა და ამცნო ოჯახიშვილებს, – თენდება, გეყოფათ ლოგინში კოტრიალი, ადექით! საქმისათვის თადარიგი დაიჭირეთ! – ვასომ მაღვიძარ მამალს „პატრონი დედისა“ შეუკურთხა და ლოგინიდან აიზღავნა, ჩაიცვა, ოთახის კუთხეში დადგმულ „ფეჩს“ წუხელ შემოტანილი კოპიტის შეშა შეუკეთა, ტოლის მომცრო ნაგლეჯს ასანთი მოუკიდა და შეშებქვეშ ამოდო. „ფეჩმა“ გუგუნი დაიწყო.

– გიო, გძინავს შვილო? – გაეხმაურა ვასო თავის შვილიშვილს, რომელსაც საბნიდან მკლავები ამოეყო, ეტყობოდა, სითბო სიამოვნებდა.

– რა არი პაპა, ჯერ ხომ არ გათენებულა! ეგრე ადრე რამ აგაყენა?

– რაღა ადრეა, მამლის ყივილი ვერ გაიგე?

– გავიგე, გავიგე, – მიუგო გიომ და კედლისაკენ იბრუნა პირი, გიო 13 წლის ჯმუხი, ჩადგმული ბიჭი იყო. დედა ადრე გარდაეცვალა, მამამ სხვა ქალი მოიყვანა და ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. პატარა გიოს პაპა და ბაბო ზრდიდნენ. ის ადრიდანვე მიეჩვია შრომას, საქმე უყვარდა, თავის ასაკთან შედარებით, გაცილებით მეტად ირჯებოდა, ბევრი ლაპარაკი არ იცოდა, ქცევითაც და ქმედებითაც არ ჩამოუვარდებოდა მასზე ასაკით უფროსებს. ამ თვისებების გამო უბანში ყველა პატივს სცემდა. ეს პატარა ბიჭი კაი ხანია დამშვიდობებოდა თავის ბავშვობას და ზრდასრული ახალგაზრდის წეს-ჩვევებით ცხოვრობდა. მეორე ოთახიდან ვასოს თავისი ცოლი მარიამი გაეხმაურა.

– რა გინდა მაგ ბალლისაგან, დააცა ცოტა ხანს ეძინოს, ჯერ ხომ კარგად არ გათენებულა. ამასობაში გიოც ადგა ლოგინიდან, ჩაიცვა. „ფეჩზე“ შემოდგმულ ქეთლში წყალი გამთბარიყო, თბილი წყლით პირი დაიბანა და პაპას გასძახა.

– პაპი! ცხენი დღეს მე მჭირდება, სათარი უნდა ჩამოვიტანო ტყიდან, თებრო ბაბოს ვარ შეპირებული, ერთ სათარში 30 ლარს მაძლევს, შარვალი მინდა ვიყიდო კვირას ბაზრობაზე.

— ბოლოზე მარწყვი რომ გასაკეთებელი გვაქვს, დაგავიწყდა? კვლები მინდოდა ჩამეტარებინა გუთნით.

— მარწყვი მოიცდის! — უპასუხა გიომ.

— სკოლაში აღარ გინდა წასვლა?

— არა!

— რატომ? ეგრე შეიძლება, შვილო, ამ კვირაში მესამე დღეა არ წასულხარ.

— სკოლაში რა მინდა, სწავლით არაფერს მასწავლიან, წერა-კითხვა კი დიდი ხანია ვიცი, ან რა უნდა მასწავლონ! მასწავლებლებს კუჭი უხმებათ შიმშილისგან, ხელფასს მაგათ არ აძლევენ და პატივსაც აღარავინ სცემს, მხოლოდ „ფეჩის“ ასან-თებად ვიარო სკოლაში?!

— ეგრე არ ივარგებს, შვილო, თორემ შენ იცი!

— ჰოდა, ვიცი! — მიუგო გიომ.

— რახან არ იშლი, მარტო არ წახვიდე, ხიფათს არ გადაეყარო!

— ჰო, კარგი! — დაამშვიდა გიომ პაპა.

ამასობაში ირიურაუა კიდეც. გიომ მობილურზე ნომერი აკრიფა.

— გძინავს, ბიჭო? გიო ვარ.

— რაღა დროს ძილია, — უპასუხა ბეჟომ. ბეჟანა გიოზე საკმაოდ უფროსი იყო. ისინი ერთად დადიოდნენ ტყეში სათარზე.

— გაემზადე, 20 წუთში შენთან ვიქნები!

— კარგი, — უპასუხა ბეჟომ და ტელეფონი გათიშა.

— გიო! ბაბო გენაცვალოს არაფერს შეჭამ?

— ჭამის დროა, ბაბო! ხომ ხედავ მეჩქარება, მგონი დავაგვიანე კიდეც. გიომ საცხენედან ცხენი გამოიყვანა, ცული ქამარში გაირჭო, ჰირში ლაგამი ამოსდო, მოახტა უბელოს, ფერდში ქუსლი ჰკრა და გააჭენა. უკვე კარგად იყო გათენებული გიო და ბეჟო ტყეს რომ მიუახლოვდნენ. ტყეში შემავალ გზას გვერდი აუარეს, ამ გზით რეინჯერები შედიოდნენ ტყეში. ისინი კი ხევის მხრიდან, ვიწრო ბილიკით შევიდნენ. რეინჯერები ქალაქიდან მოვლენილი ახალგაზრდები იყვნენ, როგორც თვითონ ამბობდნენ, მათ ჯერ ტესტები ჩააბარებინეს, შემდეგ ტრენინგები გაატარეს, არც მალავდნენ, რომ საქმე ჩააწყვეს და ისე მოხვდ-

ნენ ამ სამსახურში, პროფესიით მათ ტყესთან და ბუნებასთან არაფერი ესაქმებოდათ. სოფლის მოსახლეობა სარგებლობდა იმით, რომ რეინჯერებისათვის ეს რეგიონი უცნობი იყო, ამიტომ შემოვლითი გზებითა და ბილიკებით დადიოდნენ და შეშის გა-მოტანას ნებართვის გარეშე ახერხებდნენ. გიოსაც და ბეჟოსაც არაერთხელ გამოუტანიათ ტყიდან სათარი მაშინაც კი, როცა რეინჯერები ტყეში იყვნენ. ეს ორი პატარა ბიჭი შეუმჩნევლად ახერხებდა ტყიდან გამოსვლას.

ამჯერადაც მოსჭრეს კარგა მოზრდილი ხეები და შეუდგნენ მათ გასხეპვას. საქმე თითქმის მომთავრებული ჰქონდათ, რომ უცებ ან კრიალდა ბეჟოს ტელეფონი – რეინჯერები მოდიან, ფრთხილად იყავით! – აცნობა მისმა მეზობელმა, რომელსაც ტყისკენ მიმავალი რეინჯერების მანქანა შეენიშნა.

ბიჭებმა სწრაფად გადამალეს ცულები და ცხენების მოკა-ზმულობა, ხოლო უკვე გასხებილი, გამზადებული მორები, ფერდაზე ხევისაკენ დააგორეს. შემდეგ ზურგჩანთები მოიხსნეს და შეუდგნენ სოკოს კრეფას, რომელიც ბლომად იყო შეფენილი ფერდობზე. დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებიათ, რეინჯე-რებიც გამოჩნდნენ.

– ხომ არავინ დაგინახავთ? ამ მხრიდან ჭრის ხმა ისმოდა, – იკითხეს მათ.

– ჩვენ ეხლა მოვედით, არავინ დაგვინახავს! – იცრუეს ბიჭებ-მა. რეინჯერები ტყის სიღრმეში შევიდნენ.

– დაბინდებამდე მოგვიწევს მოცდა, – თქვა ბეჟომ, – ეხლა ეგენი ტყეს შემოივლიან, შემდეგ სოფლის ბოლოს, საიდანაც ტყე იწყება, იქ მოფარებულში გააჩერებენ მანქანას და გვიანო-ბამდე არ წავლენ. – ვიცი, პირველად ხომ არ იქცევიან ასე! – უპასუხა გიომ, ბიჭებმა ტყის გვერდით საბალახოდ მიშვებულ ცხენებს გაპხედეს, – აღარ წავიდეთ? გვეყოფა, თითქმის გა-ვავსე ზურგჩანთა, – გასძახა გიომ ბეჟოს.

– წავიდეთ! – ორივე ცხენებს შემოაჯდა და შინისაკენ გას-წია, – გამოვიდნენ თუარა ტყიდან, იქვე მოფარებულში რეინ-ჯერების მანქანა დალანდეს.

– ხომ გითხარი, აქ გაჩერდებიან მეთქი. ესენი ჯერ აქედან წამსვლელები არ არიან.



– ჩვენ რაღა გვეჩქარება, დაღამდება და მერე ამოვიდეთ, მთავარია ვიცით სად დავმალეთ სათრები, ასე აჯობებს! – თქვა ბეჟომ.

ვასომ შვილიშვილი ცხენზე გადამჯდარი ცულისა და სათარის გარეშე რომ დაინახა ელდა ეცა.

– რა არის, ბიჭო? ხო არ დაგიჭირეს, შარში ხო არ გაეხვიე?

– დაწყნარდი პაპი, მეტი საქმე არა მაქ მაგათ დავეჭერინო! თავზე წამოგვადგნენ, მაგრამ ბიჭებმა წინასწარ გაგვაფრთხილეს, იარაღისა და სათრების გადამალვა მოვასწარით, შენ ეს გამომართვი, აი რამდენი მოვკრიფე, ბაბოს უთხარი ბლომად ხახვში ჩახრაკოს, გემრიელი იქნება! – უთხრა გიომ და სოკოთი სავსე ზურგჩანთა მიაწოდა პაპას.

გვიან შებინდებულზე ბიჭებმა მშვიდობიანად ჩამოიტანეს სათრები. ცხენებს, ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ ლამე მორების თრევა, მაგრამ სახლამდე უხილათოდ მოაღწიეს. მეორე დღეს გიომ დახერხა სათარი, შემდეგ ცულით დაჩეხა, დააწყო ცხენის „ტაჭკაზე“ და აუტანა თებრო ბაბოს. უხაროდა, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა, უფრო მეტად კი ის უხაროდა, კვირას ბაბოსთან ერთად ველისციხის ბაზრობაზე წავიდოდა და თავისი შრომით ნაშოვნ ფულს, როგორც უნდოდა, ისე დახარჯავდა.

ვალი

კარზე კაცუნი გაისმა. თამაზმა თვალები მოიფშვნიტა, მამაპაპურად გაიზმორა და ნამძინარევი ხმით გასძახა: – ღიაა, შემოდით! – მონიკამ ჯერ თავი შემოჰყო, დარწმუნდა რა, თამაზი მარტო იყო, თამამად შემოვიდა და იქვე სკამზე ჩამოჯდა.

– ბატონი მაიბორგი გიბარებს ბიუროში! – ამცნო თამაზს მონიკა ზეელერმა, რომელიც ლტოლვილთა თავშესაფარში სოციალურ საკითხებს განაგებდა, თამაზთან მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ მათ შორის ენობრივი ბარიერი არ არსებობდა. თამაზი ამ დაწესებულებაში თარჯიმნად მუშაობდა. თავისუფლად ფლობდა გერმანულ ენას, მას დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი გერმანული ენის სპეციალობით.

საქართველოში არსებულმა სოციალურ - ეკონომიურმა მდგომარეობამ და დუხჭირმა ცხოვრებამ, აიძულა თამაზი გერმანიაში წასულიყო და იქიდან დახმარებოდა თავის ხელმოკლედ მცხოვრებ მშობლებსა და ნათესავებს. მონიკას „მეგობრად“ ქართველი ჰყავდა, ისინი ერთად ცხოვრობდნენ და შესანიშნავად ეწყობოდნენ ერთმანეთს. ბადრიმ ისე გაათვითცნობიერა ქართულ წეს-ჩვეულებებში, რომ თვითონაც უკვირდა, ასე ადვილად და უმტკივნეულად, როგორ გადაეწყო ეს გერმანელი ქალი ქართულ ყაიდაზე.

მონიკას განსაკუთრებით ქართული სამზარეულო მოსწონდა, ზედმიწევნით შეისწავლა ქართული კერძების მომზადება, განსაკუთრებით საცივს ამზადებდა დიდი მონდომებით და კერძიც საკმაოდ გემრიელი გამოსდიოდა.

– რა უნდა, რატომ მიბარებს?

– მგონი ლტოლვილთა ახალი ნაკადი მოვიდა წუხელ გვიან ღამით, თუ არ ვცდები კავკასიელები უნდა იყვნენ, – უპასუხა მონიკამ.

თამაზი რუსულენოვან ლტოლვილებთან იყო გამწესებული. პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ლტოლვილთა საკმაოდ დიდი ნა-

კადი მოაწყდა გერმანიას, ამიტომ საქმე უამრავი ჰქონდა: მათ-თან გასაუბრება, ანკეტების შევსება, შიდაგანაწესის გაცნობა და შემდეგ დაკომპლექტება საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ის მხოლოდ შაბათ-კვირას იყო თავისუფალი.

— ჴო, კინაღამ დამავიწყდა, შაბათს ჩვენთან გეპატიუებით მე და ბადრი, აუცილებლად მოდი, საცივი გვექნება, თან ქართულ ღვინოსაც დავაყოლებთ, ბადრის აჩუქეს მანჰამიში იქაურმა ქართველებმა, — თქვა მონიკამ და კარი გაიხურა.

თამაზი წამოდგა საწოლიდან, ხელ-პირი დაიბანა, ჩაიცვა, მსუბუქად წაიხემსა და ცენტრალური ბიუროსაკენ გაემართა. ბატონი მაიბორგი — ლტოლვილთა თავშესაფრის კომენდანტი, მეგობრულად მიესალმა თამაზს.

— საიდან არიან? — ჴკითხა თამაზმა.

— სომხეთიდან, — იყო პასუხი.

— შეიძლება ვნახო?

— ხომ იცი, კარანტინში შესვლა აკრძალულია, დიდხანს ნუ გაჩერდები, ცოტა ხნით შეიძლება.

თამაზმა შეფს მადლობა გადაუხადა და კარანტინისკენ წავიდა, სადაც 15 სომხური ოჯახი იყო განთავსებული და გასაუბრებას ელოდნენ. თამაზი თავის დახრით, უხმოდ მიესალმა იქ მყოფთ. სომხებმა აათვალ-ჩათვალიერეს იგი, მისმა კავკასიურმა გარეგნობამ მათ სითამამე შემატა და სომხურად შეეკითხნენ.

— ჴაიეს?

— ჩე, ვრაცე, ახპერჯან, — უპასუხა თამაზმა და ამით ამონურა თავისი ლინგვისტური შესაძლებლობა სომხურ ენაში.

— ფული გაქვთ? — გააგრძელა რუსულად. სომხებს გაუკვირდათ ეს არც თუ ისე კორექტული შეკითხვა. თამაზი მიუხვდა მათ გაკვირვებას და განმარტა.

— დამალეთ, არ გამოაჩინოთ, თორემ თავშესაფრის ადმინისტრაცია სოციალურ ხელფასს არ დაგინიშნავთ, — უთხრა მათ და გარეთ გამოვიდა. გასაუბრებამ ექსცესების გარეშე ჩაიარა, ახლადშემოსულ ოჯახებს საცხოვრებელი ოთახები გამოუყვეს და სასადილოში კვების აღრიცხვაზე აიყვანეს. ამ თავშესაფარში ადრე შემოსული სომხებიც ბინადრობდნენ, თამაზი განსაკუთრებით მეგობრობდა ერთ სომხურ ოჯახთან, ცოლიც

და ქმარიც საკმაოდ განათლებულნი იყვნენ. არამ მელიქიანი ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ადრე ლექციებს, ხოლო მისი მეუღლე არუსიკი ერთ-ერთ სამეცნიერო დაწესებულებაში მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა. მათ-თან ნებისმიერ თემაზე შეიძლებოდა საუბარი, ამასთან ერთად ორივეს საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა. იმ დღესაც თამაზ-მა ჩვეულებისამებრ მელიქიანებთან შეიარა. თითო ფინჯანი ყავის დალევის შემდეგ გაახურეს ნარდის თამაში.

— თამაზჯან, გუშინნინ ბილიფელდის აზულპაიმიდან ჩვენ-თან ერთი ლამაზი მონღოლი ქალი გადმოიყვანეს, თანაც მაგარი ინტელიგენტი ვინმეა. — პეტერბურგის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, თუ გინდა გაგაცნობ, — ჩაუკრა თვალი არამამ.

— რას ამბობ, მონღოლი და ლამაზი? — შეიცხადა თამაზმა,

— რომ ნახავ მაგას აღარ იტყვი, — სიტყვა მოუჭრა არამამ და თან კამათლები დუშაშზე დასვა.

— მარსია თამაზჯან, თითო მოკაკვე! — თქვა გახარებულმა არამამ და ნარდი დახურა.

— წამოდი, ვისადილოთ, სომხური კონიაკი მაქვს, თითოს ას-ასი მოგვიხდება.

თამაზმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და სამზარეულო-ში გაპყვა.

მეორე დღეს თამაზი ადრე მორჩა თავის საქმეებს ბიუროში. სახლში დაბრუნებულს პატარა ბარათი დახვდა კარზე სკოჩით მიმაგრებული, „7 საათზე ჩვენთან შემოიარე, სტუმარი გვეყო-ლება, არამა“, ეწერა ბარათში. თამაზი მიხვდა ვინ სტუმარზეც იყო საუბარი და ამ ქალის მიმართ ინტერესი მოეძალა. ჩაიცვა გამოსასვლელი ტანსაცმელი, თმები გადაივარცხნა, ფრანგული სუნამო იპკურა სახეზე და მელიქიანებისკენ გასწია. სუფრას-თან არამა, არუსიკი და ახალგაზრდა მშვენიერი ქალბატონი ისხდნენ. ქალს სახეზე მონღოლური იერი გადაჰკრავდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ მთლად მონღოლი არ იყო, რუსულ იერსაც შეხედვისთანავე შეამჩნევდა კაცი.

— გაიცანი, ეს ჩვენი ქართველი მეგობარია, ჩვენს ჰაიმში მუშაობს თარჯიმნად, — წარუდგინა არამამა თამაზი. ქალი წამოდ-გა, მის მოხდენილ ტანსა და მიმზიდველ შეხედულებას შვენოდა



რუსული გენის სილამაზე და ველურ სტეპში გაზრდილი მონღლოლის სითამამე და სილალე, ორი ერის ეს გარეგნული შტრიხები და სახასიათო თვისებები ისე ჰარმონიულად იყო ერთმანეთთან შერწყმული, ისეთ განსხვავებულ სილამაზეს ჰქმნიდა ამ ქალში, რომ თვალს ვერ მოსწყვეტდი.

— სევდა მქვია, — გაუწოდა ხელი ქალმა. თამაზმა მისი ნაზი, მოხდენილი თითები ტუჩებთან მიიტანა და ეამბორა.

— თქვენს გარეგნობაში რუსული კვალი ჩანს!

— დიახ, დედა მყავს რუსი, მამით მონღლოლი ვარ, ჩემი ბაბუა ჩინეთში მონღლოლეთის საპატიო კონსული გახლდათ, — ამაყად წარმოსთქვა ქალმა.

— თქვენ ძალიან ლამაზი და მოხდენილი ქალბატონი ბრძანდებით, — კომპლიმენტებს არ იშურებდა თამაზი, თან ცდილობდა ქალის ყურადღება მიეყყრო თავისი დახვენილი მანერებით. არც სევდა ჩანდა გულგრილი თამაზის მიმართ, ან რას დაუწუნებდა ახოვან, მშვენიერი პირისახის მქონე, განათლებულ ქართველს. იმ საღამოს ბევრი რამ შეიტყო თამაზმა ამ მომხიბლავი მონღლოლი ქალის შესახებ, მას შორეულ მონღლოლეთში ქმარი და პატარა გოგონა ჰყავდა. აქ ნოიშტატში გავლით იყო, მისი საბუთები გადაგზავნილი იყო ქალაქ პერმასენსში. ეს ქალაქი საკმაოდ შორს, საფრანგეთის საზღვართან მდებარეობდა. სევდა დღე-დღეზე ელოდებოდა გამგზავრებას. იმ საღამოს კარგად მოილხინა თამაზმა და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა, განცვიფრებას ვერ მალავდა მონღლოლი ქალის მშვენიერების გამო.

სევდა ისე გაემგზავრა პერმასენსში, რომ თამაზმა ვერ შეძლო მასთან გამომშვიდობება სამსახურის გამო. ძალიან განიცდიდა, თუმცა იმედი ჰქონდა მის მოქებნაში სომეხი მეგობრები დაეხმარებოდნენ. მართლაც სევდას არუსიკისთვის დაეტოვებინა თავისი კოორდინატები და ტელეფონის ნომერი. თამაზმა გამოართვა ტელეფონის ნომერი და სევდას დაურეკა. სევდა არ ელოდა თამაზის ზარს.

— შეიძლება შენთან ჩამოვიდე?

— რატომ?

— ისე სტუმრად, არ მიმიღებ?

— სტუმრად შეიძლება!

— მაშინ შაბათს წამოვალ, მისამართი ვიცი, მოგაგნებ!

თამაზი დაემშვიდობა სევდას და კმაყოფილი საწოლზე წამოგორდა, — რა გაძლებს შაბათამდე, გაიფიქრა და დაღლილ-მა თვალები მილულა.

მატარებლის სადგურზე უამრავი ხალხი ირეოდა, თამაზმა ბილეთი იყიდა, ვაგონში მოძებნა თავისი ადგილი და ლამაზიად ილუსტრირებულ უურნალს თვალიერება დაუწყო.

სევდა კარგად მოეწყო პერმასენსში. მან რესტორანში დაიწყო მუშობა მიმტანად. გონიერმა ქალბატონმა ენაც თანდათან შეისწავლა. ასე რომ, გერმანელებთან ურთიერთობა თითქმის აღარ უჭირდა. თამაზს არ გასჭირვებია სევდას მოძებნა. ტაქსმა იმ რესტორანთან მიიყვანა, სადაც იგი მუშაობდა. დაინახა თუ არა სევდამ თამაზი, მოულოდნელობისაგან შეცბა, აქ შეხვედრას არ ელოდა. თამაზი ლოყაზე ეამბორა სევდას და ყვავილების ლამაზი თაიგული მიართვა.

— თუ დაღლილი არა ხარ ქალაქს დაგათვალიერებინებ, თუმცა ჯობია ჯერ დაისვენო, ნამგზავრი ხარ, — უთხრა სევდამ. სევდას ბინა იქვე ახლოს ჰქონდა ნაქირავები, უთხრა მისამართი თამაზს, მისცა გასაღები და შეპირდა, თვითონაც მალე მოვიდოდა. ოროთახიან ბინაში, სისუფთავისგან ყველაფერი ბზინავდა. თამაზმა ტელევიზორი ჩართო, ჩაჯდა სავარძელში და წამდაუწუმ შეჰყურებდა კედლის საათს. უცებ გაიღო კარი და ოთახში პროდუქტით სავსე, მძიმე პარკით ხელში, სევდა შემოვიდა. ქალმა სწრაფად გააწყო სუფრა, კარადიდან გერმანული კონიაკი „აზბახის“ ლამაზი ბოთლი გადმოიღო და სტუმარს ჭიქა შეუვსო, ცოტა თვითონაც დაისხა.

— ეს ჩვენი შეხვედრის იყოს, — თქვა თამაზმა და ჭიქა ბოლომდე გამოსცალა, სევდამაც ცოტა მოსვა, დრო შეუმჩნევლად გადიოდა, იხსენებდნენ სევდას ნოიშტატში ყოფნის პერიოდს.

— უკვე გვიან არის, ხომ არ დაისვენებდი?

— ჰო, რა თქმა უნდა, დავისვენოთ, — უთხრა თამაზმა.

— შენ აქ გაგიშლი, მე მეორე ოთახში მოვისვენებ, — თქვა სევდამ.

თამაზი საწოლზე წამოჯდა, — მოდი, აქ დაჯექი ჩემთან, — სევდა გვერდით მიუჯდა.

— იცი რა, მე 400 კმ. იმიტომ კი არ გამოვიარე, რომ პერმა-სენსში გერმანული „აზბახი“ დამელია, „აზბახის“ ნოიშტატშიც კარგად ვსვამ. მე აქ შენთან ჩამოვედი, შენი ნახვა მინდოდა, მო-მენატრე.

სევდამ თვალებში ჩახედა თამაზს და წარმოსთქვა, — მე შენ თითქმის არ გიცნობ, მხოლოდ მეორედ გხედავ, თამაზმა სევ-დას მარჯვენა ყურთან მიუტანა ტუჩები და მის ყურის ბიბილოს ენის წვერით შეეხო. ქალი შეკრთა, მაგრამ არ შეწინააღმდეგე-ბია, მხოლოდ სუნთქვა გაუხშირდა.

— მე ქმარი მყავს, — ამოსთქვა ჩუმად.

— შენი ქმარი აქ არ არის, ის ძალიან შორსაა, აქ მარტო მე და შენ ვართ, — ჩასჩურჩულა თამაზმა. სევდას სუნთქვა უფრო გაუხშირდა. ქალს საკინძის ზედა ღილი შეხსნილი ჰქონდა. თამაზმა მარჯვენა ხელი შეუცურა მკერდში, საჩვენებელი და ცერა თითები ძუძუს თავს შეეხო და ნაზად მოუსრისა. სია-მოვნებისაგან სევდამ კრუსუნი დაიწყო, უცებ თამაზის სახისკენ შემოტრიიალდა და მის ტუჩებს ვნებიანად დააცხრა...

იმ ღამეს არც თამაზმა და არც სევდამ არ დაზოგეს ერთმა-ნეთი. მთელი ღამე ალერსა და ხვევნა-კოცნაში გაატარეს, დი-ლით სიყვარულსა და სექსში გათანგულებს ტკბილად ჩაეძინათ.

კვირა დღე იყო, თამაზი სევდას ალერსმა გამოაღვიძა, ბედ-ნიერებით აღვსილი, ნასიამოვნები და კმაყოფილი სევდა გულ-მკერდს უკოცნიდა თამაზს.

— ასე კარგად თავი არასოდეს მიგრძნია, შენ განმაცდევინე ის უდიდესი სიამოვნება, რაზეც მხოლოდ წიგნებში წამიკით-ხავს, — ეუბნებოდა სევდა და გაშმაგებით ჰკოცნიდა თამაზს.

— მე ვეღარ გავძლებ უშენოდ, გთხოვ არ მიმატოვო. — თამაზი ნასიამოვნები და სიყვარულით დაღლილი სევდას გაშლილ თმებს მოეფერა და ღიმილმორეულმა წარმოსთქვა:

— ვენაცვალე უფალსა, რადგან ღირსმყო საშვილიშვილო ვალი, ისტორიული ვალი გადამეხადა ჩემი ქვეყნისა.

— რა ვალი ?— შეეკითხა სევდა.

— მონღოლები საუკუნეზე მეტხანს ბატონობდნენ საქართ-ველოში. მათ ბევრი ქართველი ქალის ცოდვა ადევთ, ვინ მოსთ-ვლის რამდენი ქართველი ლამაზმანი გამხდარა თავის ნების

საწინააღმდეგოდ მონღოლ ნოინთა ჰარამხანების ბინადარი. მე კი დღეს საწოლში მიწვეს ულამაზესი მონღოლი ქალბატონი და ვტკბები მისი მშვენიერებით.

— ჰო, ვიცი მე ეგ ისტორია, მაშინ ჩვენ თითქმის ნახევარზე მეტი მსოფლიო დავიპყარით. დამშვიდდი, შენი მხრიდან, როგორც ერთ ქართველს, ვალი გადახდილი გაქვს შენი წინაპრების წინაშე, შეგერგოს, ჩემო პრინცო! — უპასუხა სიცილით სევდამ და ორივე ისევ თავდავიწყებას მიეცა.

ვაგზალზე სევდა და თამაზი მატარებელს ელოდნენ,

— როდის მნახავ?

— ალბათ ძალიან მალე, — უპასუხა თამაზმა. სევდა პასუხით კმაყოფილი, ჩაეხუტა თამაზს და ტუჩებში აკოცა. მატარებელი დიდი სისწრაფით მიჰქოდა, თამაზი სევდასთან გატარებული ზღაპრული ღამის მოგონებებში იყო ჩაფლული. მალე დაღლილს ჩაეძინა კიდეც.

— თამაზჯან, შაბათს რას აკეთებ? ლიუდვიგსჲაფენში გეპატიურები ჩემს ბიძაშვილებთან, კაი სუფრა ექნებათ, — შეეხმიანა სამსახურიდან დაბრუნებულ თამაზს არამა, თან მკვეთრი სომხური აქცენტით ჩაარუსულა თვი ლიბიშ თოლმუ?

— ლიბლი, არამჯან, ცავატანემ, მაგრამ შაბათს არა მცალია, პერმასენსში მივდივარ.

გლობი

იდგა აგვისტო. მზე თავის მცხუნვარებას არ იშურებდა, ცხელი ხვატი მოსდებოდა სოფლის ჭალებსა და შარაგზებს. კახეთის ერთ ლამაზ სოფელში არაფერი ხდებოდა განსაკუთრებული და საინტერესო. ცხოვრება ჩვეულებრივი რიტმით მიღიოდა. ლონდრიაანთ ნიკუშას მოემთავრებინა მუშაობა ბალჩაში და ზურგზე თოხგადებული მიჰყვებოდა თავისი ბუდრუგანა სახლისაკენ მიმავალ ბილიკს. სახლი, იქვე ახლოს, ხევის პირას ედგა. ცხელოდა. შუბლზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა, თოხი საჩეხში მიაგდო, შემდეგ ხმამაღლა მოლაპარაკე თავის ბალლებს გასძახა, რომლებიც სახლის კუთხეში ჩეუბობდნენ.

— რა დღეში ხართ, თქვე შობელძალლებო, იქნებ დაჭამოთ ერთმანეთი, რა ვერ გაიყავით? — ისინი ცოტა ხნით გაყუჩდნენ, არ ეგონათ თუ ეგრე მალე მორჩებოდა მამა თოხნას; გასცდა თუ არა ბალლებს ნიკუშა, იმათ ისევ განაგრძეს ხმაური და ღრიანცელი. ნიკამ, აქაოდა ჩემს ეზო-ყურეში ვარო, სიცხეც ხელს უწყობდა, გაიძრო „მაიკა“ და შარვალიც ზედ მიაყოლა. იქვე, სახლის წინ პატარა ფარდული ედგა, უკანა მხრიდან აგურითა და შიგადაშიგ კრამიტით ამოშენებული, გვერდებზე კი შიფერი ჰქონდა უგერგილოდ აკრული. ფარდულის შუაგულში ძველი „კუშეტკა“ იდგა, რომლის ფეხებიც ალაგ-ალაგ ჭიებისგან იყო დახრული, ზედაც ძველი ფარდაგი იყო გადაფარებული, ბაბოს შეკერილი მუთაქაც იქვე ეგდო. ამ „კუშეტკას“ შემხედვარე ნიკუშას ერთი არასასიამოვნო ამბავი გაახსენდებოდა ხოლმე.

მოგეხსენებათ, კახეთში თითქმის ყველა სოფელს, მცირე გამონაკლისის გარდა, მამაპაპათაგან დღეობები აქვს ტრადიციულად შემონახული. თუმცა, ეხლა იმ ხალისითა და მონდომებით აღარ იღხენენ, მაგრამ შეძლებისდაგვარად მაინც აღნიშნავენ ხოლმე. ეს დღესასწაული სოფელ ვაზისუბნისთვის 7 ივლისია. ამ დღეს ვაზისუბნელები აღნიშნავენ „ნათლისმცემლობას“.

ერთ წელიწადს ნიკუშამ გადაწყვიტა „ნათლისმცემლობაზე“ თელავიდან მოყვრები — ცოლეულები დაეპატიჟა, მთელი წლის მანძილზე შრომითა და ჯაფით შექუჩებული დანაზოგი ჯიბეში

ჩაიდო და დღეობამდე ერთი კვირით ადრე, ველისციხის ბაზრი-დან, ძუძუდან ახლად ასხლეტილი, თამამი ბატყანი ამოიყვანა. ზუსტად ამ დროს გააქტიურდებოდნენ ხოლმე სოფლის ხელმ-რუდე კაცები. ეს კარგად იცოდა ნიკუშამ და დღეობის წინა ლა-მეს ბატყანი სავირეში აღარ შეაგდო. თვითონ გარეთ „კუშეტ-კაზე“ დაწვა, ბატყანი კი თოკით „კუშეტკის“ ფეხზე გამოაპა და დაარხეინებულმა ცოტა ხანში ხვრინვაც ამოუშვა. ირიურაუა თუ არა, მოიფშვნიტა თვალები, წამოჯდა, გაიხედა „კუშეტ-კის“ ფეხისაკენ, სადაც ბატყანი ეგულებოდა, მაგრამ სახტად დარჩა... – იმ შობელძალლებს თავის თოკიანად წაუყვანიათ, მაგათი დედაც, – ჩაილაპარაკა თავისთვის და ცოლს გასძახა, – დედაკაცო, გამო აბა გარეთ, ბატყანი აღარ არი. წაუყვანიათ იმ მურდლებსა. მერიკო პერანგისამარა გამოვარდა ოთახიდან წყველითა და ქოქოლით, ქურდებზე გული რომ იჯერა, მერე ქმარს მისდგა, – შენი ბრალია რაც მოგივიდა, „ავი შემნახავი ქურდზე უარესია“ შენზეა ნათქვამი, „კუშეტკის“ ფეხზე რო აბამდი, რა გეგონა, მანდ დაგიყენებდნენ ბატყანსა? შენ უნდა გამოგება ფეხზე, მაშა! – ცხარობდა მერიკო. აბა, რას იზამდა წი-კუშა, მოყვრებთან ხომ არ შერცხვებოდა. ლამით ქურდებისგან ძალიან პატივნაცემი, დილიდანვე ადრიანად გაიქცა ბაზარში, იყიდა ცხვრის ხორცი, ლორის ხორცი სამწვადედ და კიდევ სხვა რამეებიც მოაყოლა. ის დღე იყო და მას მერე შეიჯავრა მამაპა-პისეული „კუშეტკა“, თითქოს იმისი ბრალი ყოფილიყო ბატკნის მოპარვა. იშვიათად წამონვებოდა ზედ, ძალიან როცა უჭირდა, ეხლაც დავიწყნოდა ის სამარადჟამო წყენა, წამოგორებულიყო ზედ, მუთაქა თავქვეშ ამოედო და თვალები მიელულა.

ხევიდან საამო ნიავმა წამოუბერა. ნიკუშას ფართოტოტე-ბიანი სატინის ლურჯი „ტრუსიკი“ ეცვა. მისი მამაკაცური ლირსების სამივე კომპონენტი, ნიავის ყოველ წამობერვაზე მზის შუქის ხილვის ღირსი ხდებოდა. ეს პროცესი არ გამოპარ-ვია მერიკოს ფხიზელ თვალს, რომელიც იქვე ქათმებს საკენკს უყრიდა.

სულ აღარა სცხვენია ამ კაცსა, ჩემი თავი ჯანდაბას ქა, ბალ-ლებისა მაინც აღარ ერიდება, – კაცო, რომ წამოტიტლიკანებ-ულხარ და გიჩანს ყველაფერი, „ადიელა“ მაინც დაიფარე!

– „ადიელა“ რათ მინდა დედაკაცო, ხომ ხედავ როგორა ცხელა, – ჩაილუღლულა ნიკუშამ და გვერდი იცვალა. სახლის კუთხეში მოჩხუბარმა ბალღებმა უფრო უმატეს ხმაურს, ჩხუბის მიზეზი დამტვრეული „სამაგატყის“ წინა დიდი „პაჩევნიკი“ იყო, რომელიც გაეტეხათ და იქიდან გადმოცვენილი ფოლადის ბრჭყვიალა ბურთულები ვერ გაეყოთ. ნამეტნავად პატარა თემო ცხარობდა, ბოლოს გაბრაზებით მიაძახა უფროს ძმას, – არც შენ და არც მე, შემობრუნდა, სადაო ბურთულა – „შარიკი“ რაც ძალა ჰქონდა გაპკრა იქითვენ, სადაც ნახევრად შიშველი ნიკუშა „კუშეტყაზე“ წამოკოტრიალებული ნებივრობდა. ამ დროს ნიავმა წამოუბერა, ნიკუშას „ტრუსიკის“ ტოტი აუფრიალა და გამოსროლილი „შარიკი“ ზუსტად იმ ადგილას მოხვდა, სადაც ყველაზე მეტად სტკივათ ხოლმე კაცებს. ნიკუშას სიმწრისაგან არაადამიანური ხავილი აღმოხდა, ორივე ხელი იტაცა მალალ ადგილზე, თვალები გაუფართოვდა, პირი გააღო, ეტყობოდა რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, სახეზე სულმთლად გალურჯდა. ნიკუშას ხრიალზე გამოვარდა იქვე სამზარეულოში მოფუსფუსე მერიკო, ქმარი რომ დაინახა ასეთ მდგომარეობაში, კინალამ ჭკუიდან შეიშალა, აღარ იცოდა რა ექნა, ესლა მოახერხა, ტირილნარევი ხმით გასძახა მეზობლებს, – მეზობლებო, მიშველეთ, ნიკუშა მიკვდება, – მერიკოს ყვირილზე მოცვივდნენ მეზობლები, ზოგი რას ურჩევდა, ზოგი რას. მერიკოც დაბნეული ცივ წყალსღა ასხამდა ცოცხალმკვდარ ნიკუშას გალურჯებულ სახეზე. ამ ამბის დამნახავმა ბალღებმა მორთეს ტირილი, მისხდნენ კუთხეში და შიშისაგან უფრო დაპატარავდნენ. ნამეტნავად პატარა თემო ტიროდა – ვაიმე, მამა ძალად არ მინდოდა, – მოსთქვამდა და თვალებიდან კუნწულ-კუნწულა ცრემლებს ღვრიდა.

ნიკუშას სახლის გვერდით, იქვე ახლოს ცხოვრობდა ბებერი დედაკაცი. იმდენად ხანდაზმული იყო, თავისი წლოვანება თვითონაც აღარ ახსოვდა, წლებს საკმაოდ დაემჩნია კვალი მისი გარეგნობისათვის, მიუხედავად წელში მოხრილობისა, აშკარად ეტყობოდა ჯეელობაში მაღალი, ეშიანი დედაკაცი უნდა ყოფილიყო. საჩვენებელი და შუა თითები პაპიროსის წევისაგან ჰქონდა გაყვითლებული, სახე დანაოჭებოდა, უპეებში



ჩაცვენილი, მიმქრალი თვალებიდან მაინც გამოკრთოდა სი-
ცოცხლის უინი და სურვილი. სიკვდილსა და მის მსტოვარ
- მიქელ გაბრიელს დიდი ხანია დავიწყებული ჰყავდა თამარა
ბაბო, თუმცა არც თვითონ ჰქონდა სურვილი ამ ქვეყნის დატო-
ვებისა. ის ჯერ აქაც კარგად გრძნობდა თავს. მისი სიბერისა და
ხანდაზმულობის გამო მეზობლები და თანასოფლელები ბლაგვს
ეძახდნენ, თამარა ბაბოც ისე მიეჩვია ამ სახელს, რომ აღარც
სწყინდა. ხელში მუდმივად კოხტად გათლილი ჯოხი ეჭირა, რო-
მელიც სიარულში ძალიან ეხმარებოდა. აფორიაქებული ხალხი
რომ დაინახა, იკითხა რა მოხდა, სად გარბისართო?

— ლონდრიაანთ ნიკუშა კვდება, — უპასუხა ერთმა ფაშფაშა
დედაკაცმა, რომელიც ნიკუშაანთკენ მიდიოდა და თან მძიმედ
ხვნეშოდა სიმსუქნისაგან შეღონებული.

— რას ამბობ ქა, წელან არ ამოვიდა თავის ბალჩიდან, რა მოუ-
ვიდა?

— ის პატარა რო ჰყავთ, — არ ცხრებოდა ფაშფაშა, — მავნე-
ბელი, მიწლიკონა, „შარიკი“ უსვრია თავი მამითვინა და შიგ
ყვერებში მოურტყამს,

— „შარიკის“ სროლა რაღამ მოაფიქრებინა, თანაც ყვერებში,
— აჩიფრიფდა ბლაგვი. „იუბკის“ ჯიბიდან „პამირის“ „პაჩკა“
ამოილო, გაყვითლებული თითებით ამოაძვრინა ერთი ლერი,
გაიჩარა პირში და გაჰკრა ასანთი, თან ჯოხზე დაყრდნობილმა
ნელი ნაბიჯით გასწია ნიკუშას სახლისაკენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბლაგვი გადაბერებული მოხუცი
იყო, მეზობლები მის სიტყვას მაინც უწევდნენ ანგარიშს, ბევ-
რის მნახველი დედაკაციაო, იტყოდნენ ხოლმე. მართალია მისი
ნათქვამი დიდი სიბრძნით არ გამოირჩეოდა, მაგრამ აზრთან და
გონებასთან მწყრალად არ იყო. მოვიდა თუ არა, ჯოხით მისწი-
მოსწია ხალხი, — გაატარეთ! — გაისმა შეძახილი აქეთ-იქიდან,
— გაატარეთ! თორემ, ემანდ უცბად ფეხზე არ წამაახტუნოს
ნიკუშა, — ქირქილებდნენ მეზობლები. ბლაგვმა ჯოხითა და
მუჯლუგუნით გაიკვლია გზა ავადმყოფისაკენ და ტირილითა
და ვაივიშით გათანგულ მერიკოს დაუწყო ნუგეშისცემა, თან
ცოცხალ-მკვდარ ნიკუშას ყურადღებით აკვირდებოდა. — მაგას
მხოლოდ ესღა უშველის, — ჩაილაპარაკა თავისთვის, მერე თვა-

ლები წამოენთო და ნიკუშას ცოლს ბრძანების კილოთი უთხრა.

— ფაჩარი დააგლიჯე! ჩაუყავ ხელი და დააგლიჯე! გაიგე, რას გეუბნები? — დაუყვირა მოხუცმა მერიკოს. ქალი უცბად გაშრა, დაიბნა, აღარ იცოდა რა ექნა. მარჯვენა ხელი ნიკუშას „ტრუსიკისკენ“ წაილო, მაგრამ უცებ უკანვე გამოსწია, ხალხისა სცხვენოდა. მოხუცი მიხვდა, რომ ქალს უჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება და ისევ დაუცაცხანა, — ჭოჭმანისა და კეკლუცობის დროა, ხო ხედავ კაცი ხელიდან გეცლება, ჩაუყავ, რო გეუბნები, შენი ქმარი არ არი? უცხოა? შენმა მზემ ჯერაც არ გინახავს მაგისი, — ეს სიტყვები ისე მკაცრად უთხრა მოხუცმა, რომ ყოყმანის დრო მართლაც აღარ იყო. წამები წყვეტდა სიცოცხლის ბედს. მერიკომ გონი მოიკრიბა, ჩაუყო ხელი „ტრუსიკუში“ ქმარს, მობლუჯა და მთელი ძალით მოქაჩა. ნიკუშამ ერთი ამოიზმუვლა, ლრმად ამოისუნთქა, თვალები ფართოდ გაახილა და ხმამაღლა შეიკურთხა, — რას მიშვრებით, მკლავთ, თქვენი დედა მოვტყან! — ხმა ამოილო, მგონი ფერიც მოსდის, — გაისმა აქეთ — იქიდან. მეზობლები თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ საიქიოდ განწირული ნიკუშა სააქაოდ გამობრუნდა. მისი გამწარებული სახისთვის რომ შეგხედათ, მიხვდებოდით, მერიკოს მართლა ძალიან მოსვლოდა ამონიწკვნა თუ ამოგლეჯა, ნიკუშამ ორივე ხელით ნატკენი ადგილი მოისრისა, მუხლების თავები ნიკაპთან მიიტანა, მოიკუნტა და თვალებიდან სიმწრის ცრემლები გადმოსცვივდა, ნახეთ, ხალხო, ნახეთ! — იძახდნენ აქეთ-იქიდან მეზობლები, ამ ბებერს მარტო პაპიროსის წევა არა სცოდნია, თურმე ექიმიც ყოფილა, მართლა არ მააბრუნა! მერიკო, ღმერთი შენსკენა ყოფილა, კაცი გადაგირჩა, — ეუბნებოდნენ ნამტირალევ, მაგრამ უკვე სახედაწყნარებულ მერიკოს. ნამეტნავად ერთი ქვრივი დედაკაცი ცმუკავდა და არ ისვენებდა, — გოო, შენ კაცს ჩაპარსული რომ ჰქონოდა, რა უნდა ჩაგებლუჯა? — არ იყავ აპა, რაღას არ იტყვის შენი ენა-პირი, შენ ხო სხვა საფიქრალ-სადარდებელი არა გაქვს რა, — მიაძახა მორიდებულად ღიმილმორეულმა მერიკომ და მოფერებით წაჟარა მუჯლუგუნი, — გადარჩა, გადარჩა, გამობრუნდა, გამობრუნდა, — ამბობდნენ გამხიარულებული მეზობლები. — ამ საქმეს მაღარიჩი უნდა, უნდა შესწირო, ან ცხვარი დაჰკულა თეთრ გიორგიში,

ან მამალი შაუფრინო სანაგირის ეკლესიას, – ურჩევდნენ მეზობლები. ნიკუშა უკვე კარგა მოსულიერებული, ღრმად სუნთქავდა და ცრემლნარევი თვალებით იქითკენ იხედებოდა, საიდანაც „შარიკი“ გამოჰკრეს მისმა ბალლებმა. მას თან ეპრაზებოდა, თან ეპრალებოდა თავისი შვილები. ბალლები კი სახლის კუთხესთან ერთმანეთს ეკვროდნენ შეშინებულები და ნამტირალევ თვალებს მაჯებით იწმენდნენ. მაღარიჩის გაგონებაზე ბლაგვს ჩამქრალი თვალები გაუბრნყინდა, მერიკოს ნამტირალევ სახეზე თავისი დამჭკნარი ხელი მოუთათუნა და ყურში ჩასჩურჩულა, – მე ბევრი არაფერი მინდა გოო, პაპიროსი აღარა მაქ, ბალლი გააგზავნე ბაზრიდან ორი „პაჩკა“ „პამირი“ ამომირბენინოს, კიდევ... ლონდრიაანთ ვასომ კარგი არაყი იცის, მიეცი მანეთიანი ნახევარი ლიტრა ჩამამისხას, ხო უნდა დავლიო ნიკუშას გადარჩენისა. – მარა ქაა მაგაზე უარს როგორ გეტყვი, დედაკაცო, – ეუბნებოდა გახარებული მერიკო. დარწმუნდნენ რა, რომ ნიკუშა საბოლოოდ გამობრუნდა და ფეხზე გავლაც შეძლო, მეზობლები გაიკრიფნენ თავიანთი სახლებისაკენ. მერიკომ ძველი შიფანერკის უჯრა გამოხსნა, ამოიღო ფული და პატარა ბიჭს გასძახა, – მოდი შე არ საქნელო, გაიქე ბაზარში, ორი „პაჩკა“ „პამირი“ ამოუტანე თამარა ბაბოს! – თემო უცბად წამოხტა, ცრემლები აღარა სდიოდა, მხოლოდ თვალები ჰქონდა დასიებული ტირილისაგან, გამოართვა დედამისს ფული და მკვირცხლად დაეშვა ქვევით ბაზრისაკენ. უხაროდა, რომ მამა გადარჩა. რომ ეთქვათ ბაზრიდან კი არა თელავიდანაო, ფეხით წავიდოდა თელავშიც და იქიდან ამოურბენინებდა ბლაგვს ორ „პაჩკა“ „პამირს“.

პოსტი

დილის 8 საათი იყო. კოსტამ ქარხანაში ცვლა ჩააბარა და დაღლილ-დასვრილი აბანოსკენ გაემართა. მძიმე მორიგეობა ჰქონდა. ქარხანა მთელი დატვირთვით მუშაობდა, ამიტომ კოსტას გაუჩერებლად მოუხდა მუშაობა და წილით დატვირთულ თბომავალს ხან წიდასაყარზე მიაგელვებდა, ხანაც ფოლად-სასხმელ საამქროში გადაჰქონდა ჯართი.

აბანოდან გამოსულ კოსტას ერთი სული ჰქონდა სახლამდე მიეღწია და ღამენათევს დაეძინა. სახლში არავინ დახვდა. ნადია – კოსტას მეუღლე, დილით ადრე მიდიოდა სამსახურში და გვიან ან ბრუნდებოდა. ის ქალაქში ერთ-ერთ საუკეთესო სტილისტად ითვლებოდა, მუშაობდა სილამაზის სალონში და სამსახურის გარდა კლიენტებს სახლშიც იღებდა. სტილისტობის გარდა იგი ამზადებდა სახის კანის გამწმენდ, ეფექტურ საშუალებებს, ამიტომ მას კვალიფიციურ კოსმეტოლოგად იცნობდნენ. კოსტას ორი შვილი ჰყავდა – ქალ-ვაჟი. ისინი სკოლის მოსწავლეები იყვნენ.

კოსტამ მაცივარი გამოხსნა, მსუბუქად ისაუზმა და მაშინვე საწოლს მიაშურა. დაღლილს და ღამენათევს მალე ჩაეძინა. არ გასულა დიდი დრო და ძილბურანში წასულს კარზე კაკუნის ხმა ჩაესმა. თავდაპირველად ყურადღება არ მიუქცევია, იფიქრა რამდენჯერმე დააკაკუნებს და წავაო, მაგრამ კაკუნი არ წყდებოდა. კოსტა იძულებული გახდა ამდგარიყო და კარი გაეღო. უძილობისგან დამძიმებული თავი ძლივს ასწია ბალიშიდან, ზღაზვით წამოდგა და კარისაკენ გაემართა. კარებთან მივიდა თუ არა, კაკუნის ხმაც შეწყდა. უცნობი, ალბათ, მიხვდა, რომ უშედეგოდ აკაკუნებდა და წავიდა. კოსტას ცნობისმოყვარეობამ სძლია და კარი გამოაღო. კართან არავინ იდგა, არც სართულებზე ჩამავალ კიბეებზე მოჩანდა ვინმე. მხოლოდ ქალის წვრილქუსლიანი ფეხსაცმელების ბაკა-ბუკი ისმოდა ქვემოდან. მალე ეს ხმაურიც შეწყდა და კოსტა მიხვდა, რომ უცნობმა დატოვა სადარბაზო. ასე რომ, მან ვერ დაინახა, თუ ვინ იყო მისი სტუმარი, რომელმაც ღამენათევ კაცს ძილი დაუფრთხო.

ზაფხულის ცხელი დღე იყო. კოსტამ დაწოლის წინ, ოთახის

განიავების მიზნით, კარი გამოაღო. თვითონ კი სადარბაზოში გავიდა. უცებ ნიავმა წამოუბერა აივნიდან, რის გამოც ოთახში შემავალი კარი ჯახუნით ჩაიკეტა. ასე დარჩა კოსტა შიშველი, „ტრუსიკის“ ამარა გარეთ, სადარბაზოში. იგი ელვის სისწრაფით მივარდა დახურულ კარს და დაუწყო ხელით ჯაჯგური, მაგრამ ავტომატური საკეტის კარი საგულდაგულოდ იყო ჩაკეტილი. ძილბურანში მყოფი კოსტა უეცრად გამოფხიზლდა. მარტო იმას ნატრობდა, რომ სართულის მეზობელს კარი არ გაეღო და ეს შიშველ-ტიტველი კაცი არ დაენახა. კოსტამ აღარ იცოდა რა ელონა. კარის გახსნის არავითარი შანსი არ არსებობდა. მართალია მის მეუღლესა და შვილებს ჰქონდათ სათადარიგო გასაღები, მაგრამ მეუღლე საღამომდე იყო დაკავებული სამსახურში, ბავშვებიც მანამ არ მოვიდოდნენ, სანამ სკოლაში გაკვეთილები არ დაუმთავრდებოდათ.

კოსტა უიმედოდ ჩამოჯდა კიბეზე და ფიქრს მიეცა. ეძებდა გამოსავალს, მაგრამ ვერ პოულობდა. უცებ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, თავი ასწია ზემოთ და თვალები სახლის სხვენში ასასვლელ პატარა კიბეს მიაპყრო, რომელიც ღიად იყო დატოვებული. იმის შიშით, რომ რომელიმე მეზობელს ასე შიშველ-ტიტველი არ დაენახა, გადაწყვიტა ზემოთ, სხვენში ასულიყო და დროებით, სანამ ბავშვები მაინც არ დაბრუნდებოდნენ სკოლიდან, თავი შეეფარებინა. წვალებით აფოფხდა კედელზე მიმაგრებულ რკინის კიბეზე, ავიდა სხვენში და მოძებნა სათვალთვალო ადგილი, საიდანაც კარგად მოჩანდა სადარბაზო. მართალია კოსტას გადაწყვეტილი ჰქონდა შვილების სკოლიდან დაბრუნებამდე სხვენში დარჩენა, მაგრამ სხვენი სავსე იყო სამშენებლო ნარჩენებით, რომელიც მუშებს ჭერის რემონტის შედეგად დარჩენოდათ, ამასთან აქ სხვაფრივაც ანტისანიტარია სუფევდა. ამდენად, აქ დიდიხნით დარჩენა შეუძლებელი იყო, თანაც ვირთხებიც მრავლად დაშლიგინობდნენ, რომლებსაც ადვილად შეეძლოთ მისი დაკბენა და დაინფიცირება, კოსტას აუცილებლად რაღაც უნდა მოეფიქრებინა, რათა თავი დაეღწია ამ მდგომარეობისათვის. ირგვლივ მიმოიხედა და შეამჩნია, რომ ერთ ადგილას მრავლად ეყარა მოზრდილი კენჭები, ის, ბნელ გამოქვაბულში ფეხებით დაკიდებული ღამუ-

რასავით, სხვენიდან თავით ქვემოთ ჩამოეკიდა, კენჭები მოიმარჯვა და დაიწყო მათი სროლა მეზობლის კარის მიმართულებით იმ იმედით, რომ ვინმე ხმაურზე გააღებდა და დაეხმარებოდა.

კენჭების სროლა უშედებო აღმოჩნდა. კოსტა მიხვდა, რომ უფრო მეტი ხმაური იყო საჭირო კარზე, რათა მეზობლებს გაეგოთ მისი გაჭირვება და დახმარებოდნენ. ამ მიზნით კოსტამ იქვე დაგდებულ ბეტონის მოზრდილ ნატეხს ხელი დასტაცა და გამეტებით ესროლა მეზობლის კარს. ხმაური იმდენად ძლიერი და შთამბეჭდავი იყო, რომ კარი უმაღლ გაიღო და შეშინებულმა შუახნის დედაკაცმა გვარიანად დაიწყევლა

— ვინ ოხერი ხარ, შე ოჯახდაქცეულო! რას მიმტვრევ კარს?

ქალმა ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, რადგან არავინ ჩანდა, უფრო შეშინდა და სასწრაფოდ კარის დახურვა დააპირა. ამ დროს მაღლიდან ნახევრად ძირს გადმოწეულმა კოსტამ ჩუმი ხმით დაუძახა

— ელენე, მე ვარ, კოსტა, ზემოთ ამოიხედე! — სადარბაზოს მოაჯირს მიყრდნობილი და ქვემოთ შიშით მზირალი ელენე უცბათ შემოტრიალდა, ზემოთ აიხედა და სახტადდარჩენილმა შესძახა:

— კოსტა, მანდ რას აკეთებ? რა დღეში ხარ? რას გაშიშვლებულხარ?!

— ელენე, თუ ჩემი და ხარ, უარს ნუ მეტყვი. კარი ჩამეკეტა და გარეთ დავრჩი „ტრუსიკის“ ამარა, შიშველი. ცოტა ხნით მათხოვე ანზორის (ანზორი ელენეს ქმარი იყო) ფეხსაცმელი, პერანგი და შარვალი. ჩავიცმევ, წავალ ნადიასთან სამსახურში და გასაღებს გამოვართმევ. ჰქენი სიკეთე, თორემ შემჭამეს ვირთხებმა, ძლივს ვიგერიებ ჯოხით ამ ოხრებს.

ელენე გაკვირვებული უყურებდა სხვენიდან თავტანგად-მოკიდებულ შიშველ მეზობელს, უნდოდა გაეცინა, მაგრამ ერიდებოდა. კოსტა იმდენად სერიოზული და პატივსაცემი კაცი იყო მთელ სამეზობლოში, რომ ვერ წარმოედგინა მისი ამ მდგომარეობაში ყოფნა.

— ცოტა ხანს მადროვე, ეხლავე მოგიტან ტანსაცმელს! — უთხრა ელენემ და ოთახში შემობრუნდა.

კოსტა მორიდებული კაცი იყო. დაინახა რა, ფეხსაცმლითა

და ტანსაცმლით ხელში ღია კარში მდგარი ელენე, თავაზიანად მიმართა:

— ელენე, ეგენი მანდ დააწყე! შენ შედი ოთახში და კარი მოიხურე!

კოსტას არ უნდოდა ელენეს ის შიშველ მდგომარეობაში ენახა. შევიდა თუ არა ქალი სახლში, ჩამოფოფხდა სხვენიდან, ჩაიცვა მეზობლისგან ნათხოვარი ფეხსაცმელი, წითელი პერანგი, შარვალი და სწრაფად გასწია თავისი მეუღლის სამსახურისკენ...

— ნადია, მგონი შენი ქმარი მოდის, აბა, გაიხედე! — უთხრა ოლიამ ნადიას, რომელსაც კლიენტისათვის თმა უკვე შეეღება და ფენით უშრობდა.

სალონთან ახლოს ჯიხური იდგა, სადაც სიგარეტებით ვაჭრობდნენ. კოსტა იცნობდა გამყიდველს და ერთი კოლოფი ნისიად გამოართვა. ნადიამ ფარდა გასწია და ჯიხურთან ზურგით მდგომ მამაკაცს გახედა. უცხო ტანსაცმელში ჩაცმული კოსტა ვერ იცნო და თქვა.

— ეს ჩემი ქმარი არ არის. კოსტას წითელი პერანგი საერთოდ არ აქვს.

ცოტა ხანში კარი გაიღო და სალონში კოსტა შემოვიდა. იგი აღელვებული ჩანდა და ლაპარაკს ვერ ახერხებდა. კოსტა მიესალმა ქალებს, სიგარეტს მოუკიდა და ნადიას მიუბრუნდა.

— ქალო, შენი გასაღები მათხოვე, სახლში ვერ შევდივარ.

ნადია შემცბარი შეჰყურებდა უცხო ტანსაცმელში გამოწყობილ კოსტას.

— რა ამბავია, კაცო? ხომ არაფერი შეგემთხვა? ან ეს ტანსაცმელი ვისია? — ჰკითხა შეშინებულმა ნადიამ კოსტას.

— ისეთი არაფერია, ნუ გეშინია! — უხრა კოსტამ ღიმილით და თავისი უცნაური, მოუღლოდნელი ინციდენტის გამო სალონის ქალები გულიანად აცინა.

პარიზი

ვაჟამ მანქანა მკვეთრად დაამუხრუჭა, ღვედი გადაიძრო, ოფისში შევიდა და გივის სულმოუთქმელად მიახარა:

— ამ დილით მივიღე ფაქსი პეტერბურგიდან, 27 მანქანა უნდათ, უმეტესობა სპორტულები, ხომ იცი სპორტულებს რა ფასი აქვთ, მგონი გავკეთდით შავი დედალივით, კარგ მაყუთს ავახევთ რუსებს.

— კარგი, პო! ამოისუნთქე, რა დღეში ხარ! — უთხრა გივიმ და სკამზე მიუთითა, დაჯექიო,

— ასეთი კარგი ვარიანტი ჯერ არ გვქონია, — თქვა ვაჟამ და ფაქსის ფურცელი მიაწოდა გივის.

გივიმ ყურადღებით ჩაიკითხა ფაქსი. კმაყოფილებისაგან სახე გაებადრა და ხმამალლა შესძახა — იეს! გავარტყყით, — დაამატა ქართულად — აბა, შენ იცი ეხლა, მე ხვალიდან გავალ ბაზრობებზე, შენ ქალალდებს ჩაუჯექი, ეს საქმე ხელიდან გასაშვები არ არის! — თქვა ვაჟამ და კარისაკენ გაემართა.

— მოიცა, არ ავღნიშნოთ? დარჩი დღეს ჩემთან, გუშინ „პასილკა“ მივიღე თელავიდან, სიმამრმა ჭაჭა გამომიგზავნა, ჩავარტყათ!

— გმადლობ, სხვა დროს იყოს, წელან დევიდმა დამირეკა, დევიდი ვაჟას ამერიკელი სიძეა, უფროსი ქალიშვილის ქმარი, გელოდები, უშენოდ არ ვისადილებო. მეც სამი ბოთლი ხვანჭკარა მაქვს შემორჩენილი, ეს ის არის, მე და შენ რომ დაგვრჩა.

— რა პქენი, გადმოაჯიშე შენი ამერიკელი სიძე ქართველად?

— პროცესი კარგად მიდის, მე მგონი მისგან იდეალურს თუ არა, კარგ ქართველს მაინც გამოვჩორკნი, — უპასუხა ღიმილით ვაჟამ.

— ჭაჭა მარტომ არ დალიო! არ შეგერგება უჩემოდ, ხომ იცი!

— მოსულა! — მიუგო გივიმ. შემდეგ ვაჟას მხარზე ხელი გადახვია და მანქანამდე მიაცილა.

— ისე, ტუალეტშიც კი მინდოდა, მაგრამ არა უშავს, ბრუკლინამდე მოვითმენ, შორს არ არის, — თქვა ვაჟამ და ძრავი ჩართო. ვერცხლისფერი „სედანი“ მოსწყდა ადგილს და გეზი ბრუკლინისკენ აიღო...

– შემაღლონა ამ შობელძაღლმა, ლამის გამისკდეს შარდის ბუშტი, – ბუზღუნებდა ვაჟა, – არა, მეტი აღარ შემიძლია.

მანქანა სავალი ნაწილის გვერდზე, გაჩერებისათვის ნება-დართულ ადგილზე გადააყენა, კარი გახსნა და სწრაფი ნაბიჯით შევიდა სკვერში, სადაც ლამაზი, ფერად-ფერადი ყვავილები და კოხტად შეკრეჭილი, მოვლილი ბუჩქები კარგ ფონს ჰქმნიდნენ იმისათვის, რომ კაცს შენიღბულად დაეკმაყოფილებინა თავისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილება. ვაჟამ მისთვის სასურველი ადგილი შეარჩია ისე, რომ არავის დაენახა და შეუდგა საქმეს.

უცებ, ცოტა ქვემოთ რაღაც ფაჩუნი მოესმა. შემდეგ ამ ფაჩუნს ინგლისური გინებაც მოჰყვა. თურმე, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ვაჟა ფიზიოლოგიურ მოთხოვნას იკმაყოფილებდა, ჩა-საფრებული იყო ორი პოლიციელი. მათ დავალებული ჰქონდათ სავარაუდო ნარკოდილერის დაკავება, რომელიც ამ სკვერში ხვდებოდა თავის კლიენტებს.

პოლიციელები შეუმჩნევლად იყვნენ ჩამსხდრები ოდნავ დაბალ ადგილზე და დროგამოშვებით რაციოთ უკავშირდებოდნენ ხელმძღვანელობას, რომელთაგანაც იღებდნენ სათანადო მითითებებს. სწორედ ამიტომ, თავიანთი საქმით გართულებმა ვერ შეამჩნიეს, თუ როგორ წაადგათ თავს ეს ვიგინდარა ქართველი ემიგრანტი.

ისინი სახით შეპრუნებულები იყვნენ, ხოლო ვაჟა მათ უკან იდგა. თავიდან გაუყუჩდნენ, არაფრად ჩააგდეს უცაბედი სისველე, რომელიც წვეთ-წვეთად ეპკურებოდათ თავებზე და თმებს უსველებდათ, მაგრამ, როცა სისველემ იმატა და წვეთებიც ნაკადად იქცა, დაეჭვდნენ, ეს არ ჰგავდა წვიმას, თანაც ამ ნაკადს მძაფრად ასდიოდა შარდის სუნი.

პოლიციელები ელდანაკრავებივით წამოცვივდნენ და რას ხედავენ, ამ უცხო ელემენტს, ასე ურცხვად, უსინდისოდ, თავისი მამაკაცური ლირსების მეშვეობით მათ თავებზე საირიგაციო სისტემა მოეწყო და ბეჭითად ირჯებოდა.

პოლიციელები ეცნენ ვაჟას, გადაუგრიხეს ხელები და დაადეს ხელბორკილი. ვაჟა მოულოდნელობისაგან გაოგნდა. ის გაოცებული შეჰქურებდა გამწარებულ პოლიციელებს, რომლებიც ცხვირსახოცით იმშრალებდნენ შარდისაგან დასველებულ

თმებს და მუშტებს ულერებდნენ უზომოდ გათავხედებულ ემი-გრანტს. პოლიციელებმა ელვის სიწრაფით ჩასვეს ვაჟა მანქა-ნაში და განყოფილებაში გააქანეს.

საერთო კამერაში ათამდე დაკავებული იყო. ვაჟამ შეათვა-ლიერა იქ მყოფები და „ტაფჩანზე“ ჩამოჯდა.

— ეს მინდოდა ეხლა მე? ამის დრო მაქვს აქ რომ ვიჯდე? — იმეორებდა წამდაუნუმ და თავის თავზე ბრაზობდა ვაჟა, — ტუ-ალეტში რომ შევსულიყავი ხო ამცდებოდა ეს ხათაბალა! — ამ ფიქრებში წასულმა ვერ შეამჩნია როგორ მიუახლოვდა ერთი აყლაყუდა გამხდარი ზანგი, რომელიც კამერის კუთხეში სა-პატიო ადგილას იჯდა და თვალყურს ადევნებდა იქ მყოფებს. უცხო თვალს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, რომ ეს ტარანივით გამხდარი არსება წამალზე იყო შემჯდარი.

— აქ ნუ ზიხარ! ეს ადგილი ფული ღირს! თუ აქ ჯდომა გინ-და, უნდა გადამიხადო! — უთხრა ვაჟას ზანგმა და ალმაცერად დაუწყო ყურება. შავკანიანის თავხედობამ გააცოფა ვაჟა, — შენს დედას მ.....ნავ, გამოსცრა ქართულად და ზანგს ანიშნა დაბლა დახრილიყო, რადგან ყურში რაღაც ჰქონდა სათქმელი. ზანგი ოდნავ მოიხარა, ვაჟამაც იხელთა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ამოკვრა მუშტი ქვემოდან ნიკაპში, ზანგმა თავი უკან გადააგდო და წელში გაიმართა, ეხლა მუცელში მიაყოლა ძლი-ერად ფეხი და ეს ვიგინდარა, შავი არსება უღონოდ გაიშხლარ-თა იატაკზე. ბროლივით თეთრი კბილებიდან სისხლი სდიოდა, ორივე ხელი მუცელზე ჰქონდა შემოხვეული და ყრუდ გმინავდა. იქ მყოფები გაიტრუნნენ, სახეებზე ეტყობოდათ ნასიამოვნები დარჩნენ, ამ ნაძირალას ჭკუა რომ ასწავლა ვაჟამ. ისინი ძირს დაგდებულ ზანგს წინ აეფარნენ, ზედამხედველს რომ არ დაე-ნახა იქ რაც ხდებოდა. ვაჟა და გივი 5 წელია რაც ამერიკაში ცხოვრობდნენ ცოლ-შვილთან ერთად. ვაჟა-ბრუკლინში, გივი-მანჰეტენში. ორივეს მწვანე ბარათი ჰქონდა მოგებული, ამიტომ ისინი სხვა არალეგალ ემიგრანტებთან შედარებით, დიდი პრი-ვილეგიებით სარგებლობდნენ. შეერთებული შტატების კანონ-მდებლობა მათ კომერციული საქმიანობის უფლებას აძლევდა. შექმნეს ავტო-სადილერო ფირმა, საიდანაც საკმაო ფინანსური შემოსავალი ჰქონდათ, ინგლისურს მართალია სრულყოფილად

ვერ ფლობდნენ, მაგრამ მათთვის ენობრივი ბარიერი აღარ არ-სებობდა.

მოსამართლე შუახანს გადაცილებელი, ფაშფაშა, შავკანია-ნი დედაკაცი გახლდათ. საქმის ვითარების გაცნობის შემდეგ, უნებურად ღიმილი მოეფინა სახეზე. გაღიმებული მოსამართ-ლის დანახვაზე ვაჟას იმედი მიეცა, იქნებ მკაცრად არ დამსა-ჯოსო, გაუელვა გულში და ბედს მიენდო. პოლიციელები უკმა-ყოფილოდ უყურებდნენ გაღიმებულ მოსამართლეს და ბოლმით აღვსილნი, გაბოროტებული თვალებით სჭამდნენ თავიანთ შე-ურაცხმყოფელს.

ვაჟამ თითქმის დაარწმუნა მოსამართლე თავის უდანაშაუ-ლობაში, რადგან ის ქმედება, რასაც მას პოლიციელები დანა-შაულში უთვლიდნენ, უბრალო შემთხვევითობა იყო და მეტი არაფერი, მას პოლიციელების შეურაცხყოფა აზრადაც არ მოსვლია. მათ ვერ წარმოადგინეს მტკიცებულებები ან კიდევ სხვა რაიმე არგუმენტი, რათა მათი შეურაცხმყოფელი სამა-გალითოდ დასჯილიყო. ბოლოს მოსამართლემ, კანონის სრუ-ლი დაცვით, ჰუმანური გადაწყვეტილება მიიღო და განაჩენიც შესაბამისი გამოიტანა, ვერდიქტი შემდეგი შინაარსის იყო: საზოგადოებრივი ადგილის წაბილწვისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა ორი პოლიციელის მორალური ზარალი, დაჯარიმებულ იქნას აღნიშნული პიროვნება ვაჟა ჯაფარიძე 250 დოლარით. ვაჟამ შვებით ამოისუნთქა და ნიშნისმოგებით გაიხედა იქით, სადაც პოლიციელები ისხდნენ.

განაჩენის გამოტანისთანავე, უკმაყოფილო პოლიციელებმა მაშინვე დატოვეს სასამართლო დარბაზი. მიუხედავად იმისა, რომ ერთი გადაფსმა უადგილო ადგილას 250 დოლარი დაუჯ-და, ვაჟა მაინც კმაყოფილი იყო ამ განაჩენით. სახუმარო საქმე ხომ არ არის, ასე იოლად შეირჩინო ორი ამერიკელი პოლიციე-ლის უნებლიერ, მაგრამ მაინც უზომოდ დამამცირებელი შეურა-ცხყოფა.

„შალიპია“

დილიდანვე ხალისიან განწყობაზე იყო ბატონი სტეფანე.

— დღეს ბატონ ნიკოსთან ვარ მიწვეული, როგორც ჩანს მეტად მნიშვნელოვან საკითხზე გვექნება საუბარი, — უთხრა მან მეუღლეს.

— ბატონ ნიკოსთან სტუმრობა დიდი პატივია ჩვენი ოჯახისათვის, — მიუგო ანიკომ.

ქალაქის თავი ნიკო ნიკოლაძე დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ქალაქ ფოთის შეძლებულ კაცს — ვაჭარს, მეცენატსა და დიდ ქველმოქმედს, ბატონ სტეფანე გოგინავას.

სტეფანე გოგინავა თავისი სიმდიდრით ცნობილი იყო არა მარტო ფოთში, არამედ სამტრედიასა და ქუთაისშიც, სადაც მრავლად ჰქონდა საიუველირო მაღაზიები. საქონელი ჩამოჰქონდა უკრაინიდან, რუსეთიდან და თურქეთიდან. განსაკუთრებით ხშირი სტუმარი იყო თურქეთის. თავისი გემით ორ კვირაში ერთხელ მიცურავდა სტამბოლში, საიდანაც მოჰქონდა საიუველირო ნაკეთობები, ზოგჯერ შალის, ჩითის და ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილებიც. ქველმოქმედ კაცს ყველა პატივს სცემდა და აფასებდა. განსაკუთრებით მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ნიკო ნიკოლაძესთან, რითაც დიდად ამაყობდა ბატონი სტეფანე. ის ძალას, ენერგიასა და საკუთარ ფინანსებს არ იშურებდა, რათა მშობლიური ქალაქისათვის სიკეთე გაეკეთებინა. მონაწილეობდა ფოთის აღმშენებლობაში, დიდი წვლილი შეჰქონდა ფოთის პორტის რეკონსტრუქციაში, რისთვისაც ის თანხებს არ იშურებდა. ასე რომ, ქალაქის კეთილდღეობისათვის ყოველთვის გვერდით ედგა ბატონ ნიკოს, არც ქალაქის გაჭირვებულ მოსახლეობას და ქვრივ-ობლებს ივიწყებდა, ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდის შემწე და დამფინანსებელიც იყო საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში.

ქალაქის თავმა და სტეფანემ საკმაოდ დიდხანს ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე. ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყვიტეს. ბოლოს ბატონმა ნიკომ მიმართა სტეფანეს:

— ხვალ უკრაინიდან გემი ჩამოდგება პორტში. თუ არ ვცდები თქვენი უკრაინელი კომპანიონიც ჩამოსდევს. ჩვენი თხოვნით

ფეხბურთელები ჩამოჰყავს, იქნებ მასპინძლობა გაგეწია მათთვის?

— მე საქმის კურსში ვარ. ჩემმა უკრაინელმა პარტნიორმა უკვე მაცნობა ამის შესახებ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონი ნიკო, რომ როგორც ყოველთვის, ღირსეულ მასპინძლობას გავუწევ ჩვენს უკრაინელ სტურმებს, — უპასუხა სტეფანე.

— ეჭვიც არ მეპარება! — უთხრა ბატონმა ნიკომ სტეფანეს და დაემშვიდობა.

სტეფანე განსაკუთრებით სწყალობდა ფოთის ახლადშექმნილ ფეხბურთის გუნდს. განაახლა სტადიონი, არ დაზოგა თანხები ინფრასტრუქტურისათვის, ფეხბურთელებს შეუძინა ყველა საჭირო ინვენტარი... ერთი სიტყვით, ბატონი სტეფანე ფოთის საფეხბურთო გუნდის სული და გული იყო. ფეხბურთელებიც, თავის მხრივ, თავის შესაძლებლობებს და სპორტულ ოსტატობას არ იშურებდნენ, რათა დაეცვათ მშობლიური ქალაქის ინტერესები. მითუმეტეს, რომ ამ ქალაქს დიდი პასუხისმგებლობა ჰქონდა დაკისრებული, რადგან პირველად საქართველოში საფეხბურთო გუნდი ფოთში შეიქმნა.

მეორე დღეს სტეფანე პორტში დახვდა უკრაინულ გემს. იქიდან გადმოტვირთა თავისი საქონელი, უკრაინელი ფეხბურთელები კი სასტუმროში დაბინავა და ზრუნვას და ყურადღებას არ აკლებდა მათ.

ფეხბურთის ფოთელი ქომაგებისათვის დიდად საინტერესო იყო უკრაინელი ფეხბურთელების ხილვა. ისინი მოუთმენლად ელოდებოდნენ მატჩის დღეს, რათა ეხილათ მათი თამაში. წინა კვირას, თურქებთან განცდილი მარცხის მიუხედავად, ეჭვი არ ეპარებოდათ, ისე იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთი გუნდის გამარჯვებაში.

ფოთელები თურქებთან წაგებულ ამხანაგურ მატჩს საეჭვო ვითარებაში წაგებულად თვლიდნენ. ამის მიზეზი ჰქონდათ კიდეც. მატჩის მსაჯი იყო პოლონელი ებრაელი - ალექსანდრე ლევანდოვსკი. ის შუახნის ასაკს გადაცილებული იყო. პოლტავის ოლქიდან 20 წლის წინ ჩამოვიდა ფოთში. მოეწონა აქაურობა და სამუდამოდ აქ დარჩა საცხოვრებლად. იგი კარგად ერკვეოდა ფეხბურთის წესებსა და კანონებში, რომელიც ინ-

გლისში ჰქონდა ნასწავლი. სტეფანეს შემწეობით ლევანდოვსკი იმდროინდელი ფეხბურთის ექსპერტად ითვლებოდა, ამიტომ ყველა საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებზე მსაჯობდა, თუმცა ჰყავდა კვალიფიციური მსაჯი-მეტოქეებიც.


განსაკუთრებით არ მოსწონდა საშა ფოთის გუნდის კაპიტანს – ბიკენტი შელიას. ავი ენები იმასაც ამბობდნენ, რომ ლევანდოვსკიმ მსაჯობა შემოსავლის წყაროდ გაიხადა. ეჭვი ჰქონდათ ფეხბურთელებს, ასევე ფეხბურთის ქომაგებსაც, რომ ეს ვაჟბატონი რომელიმე გუნდის სასარგებლოდ მიკერძოებულად მსაჯობდა გარკვეული თანხის საფასურად. იმასაც იძახდნენ, რომ ლევანდოვსკი თურქებთან შეხვედრის წინა დღეს მათ გემზე უნახავთ, როგორ ელაპარაკებოდა გუნდის ხელმძღვანელს.

– „ულიკია“ ლევანდოვსკი, არ შეიძლება მისი მოედანზე გაშვება, კიდევ იმაიმუნებს ან პენალტის დანიშნავს ჩვენს კარში უსამართლოდ. მე მითქვამს და ნახეთ თუ ასე არ იქნება! – არ ცხრებოდა ფოთელთა კაპიტანი ბიკენტი შელია, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მსაჯის დანიშვნა მისი გადასაწყვეტი არ იყო...

ბატონ სტეფანეს ავლადიდებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ერთ არსებას, რომელიც გამორჩეულად უყვარდა. ეს იყო ჯორი, რომელიც სტეფანემ თურქეთში შეიძინა და მოფერებით „შალიკიას“ ეძახდა.

„შალიკიას“ თავისებური ხასიათი ჰქონდა, ამპარტავანი და თავმოყვარე იყო, პატრონის დიდი რიდი და სიყვარული ჰქონდა. სტეფანეს ყოველ დანახვაზე თვალებს ფართოდ გაახელდა, მასთან მივიდოდა და თავს მიადებდა. სტეფანეც ამოიღებდა ჯიბიდან შაქრის ნატეხს, ხან კამფეტს და უმასპინძლდებოდა თავის რჩეულს.

„შალიკიას“ თავისუფლება უყვარდა. ვერ იტანდა, როცა ვინმე მოიწადინებდა მის ზუგრზე შეჯდომასა და ჯირითს. შეაჯდებოდა თუ არა ვინმე ავყია მხედარი ზურგზე, ის მაშინვე ტლინკებს შეყრიდა და გადმოაგდებდა. თუ მხედარი გამოცდილი იყო და ვერ გადმოაგდებდა, მაშინ გაქანდებოდა მთელი სისწრაფით სახლისაკენ, შევარდებოდა ეზოში, ბოძკინ-



ტებზე შემდგარ დიდი ოდა-სამზარეულოს ქვეშ გაძვრებოდა, მხედარს კი სამზარეულოს კედელზე მიახეთქებდა. ადვილი წარმოსადგენია თუ რა დაემართებოდა მხედარს თუ დროზე არ გადმოხტებოდა ჯორიდან. ოდის ქვეშ გამძვრალი „შალიკია“ კი მიაშურებდა თავის თავლას, რომელიც ოდის უკან იდგა და მშვიდად წამოწვებოდა თავლაში სპეციალურად მისთვის დაგებულ ფიცარნაგზე.

მატჩის დაწყებამდე რამოდენიმე დღით ადრე სტეფანემ უკრაინელი ფეხბურთელების პატივსაცემად თავის სახლში ბანკეტი გამართა. სხვა სტუმრებთან ერთად ბანკეტზე მიწვეული გახლდათ მომავალი მატჩის მსაჯი – ლევანდოვსკიც ბანკეტმა მეტად თბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. სტუმრებმა ბევრი ისიამოვნეს და იმხიარულეს. ამ სამხიარულო გარემოში თავისი აქტიურობით გამოირჩეოდა საშა ლევანდოვსკი, რომელიც ალკოჰოლთან მიმართებაში საკმაოდ სოლიდალურად იყო განწყობილი.

სადილის შემდეგ იგი ეზოში ჩავიდა, იქ თვალი მოჰკრა „შალიკიას“, რომელიც ბალას ძოვდა. ლევანდოვსკის გაახსენდა, რომ ახალგაზრდობაში გატაცებული იყო ცხენოსნობით. ერთ დროს ის კარგ მხედრად ითვლებოდა, მონაწილეობდა სხვადასხვა შეჯიბრებებში, გამარჯვებაც ხშირად უზეიმია. შეზედა თუ არა სიმთვრალისგან თვალებამღვრეულმა ლევანდოვსკიმ ჯორს, იგი სადოლე ულაყად მოეჩვენა, გადაწყვიტა მასზე ამხედრება და გაჯირითება. ის მიუახლოვდა „შალიკიას“, გავაზე ხელი გადაუსვა და ზურგზე მოახტა. ჯორს ეხამუშა გაკადნიერებული მხედარი, აჰყარა ტლინკები, ერთი შეტორტმანდა და შეეცადა მხედარი ძირს გადმოეგდო, მაგრამ გამოცდილმა ლევანდოვსკიმ ბარძაყები მაგრად შემოუჭირა ჯორს მუცელზე და ფეხის ქუსლიც უთავაზა ფერდში. „შალიკიამ“ იწყინა ასეთი მოპყრობა, მთლად გადაირია, დაიწყო თავის ქნევა და ფრუტუნი, შემდეგ მოსწყდა ადგილს და შურდულივით გაექანა ბოძკინტებზე შემდგარი ოდა-სამზარეულოსაკენ, სადაც ქალები საქმიანად ფუსფუსებდნენ. ეს ყოველივე ისე სწრაფად მოხდა, რომ გამობრუულმა ლევანდოვსკიმ ვერ მოასწრო ჯორიდან გადმოხტომა. „შალიკია“ მიუახლოვდა ოდას და ბოძკინტებს შორის

გაძვრა. ლევანდოვსკი მთელი ძალით შეასკდა სამზარეულოს კედელს და ცხვირპირდასისხლიანებული უგონოდ დაეცა ძირს.

ატყდა წივილ-კივილი და ალიაქოთი. შეწუხდა მასპინძელი, სასწრაფოდ აფრინა კაცი ექიმთან, ის მალე მოვიდა, ექიმმა გულდასმით გასინჯა ავადმყოფი. ლევანდოვსკის სახე მთლად სისხლში იყო მოსვრილი. შუბლი, ცხვირი და ლავინის ძვალი გატეხილი ჰქონდა. საცოდავი საშინელ მდგომარეობაში იყო. საჭირო გახდა დაუყოვნებლივ მისი საავადმყოფოში გადაყვანა. ოჯახის წევრებმა, თავლაში ნებივრად წამონოლილი „შალიკია“ გარეთ გამოიყვანეს, შეაბეს ფაეტონში, ჩააწვინეს შიგ ცოცხალ-მკვდარი ლევანდოვსკი და საავადმყოფოსკენ გააქანეს. ბატონი სტეფანე და მისი სტუმრები მეტად დალონებულნი ჩანდნენ ამ შემთხვევის გამო. ფოთელ ფეხბურთელებსაც შეეცოდათ ლევანდოვსკი, თუმცა იმედი მიეცათ, უკრაინელ ფეხბურთელებთან გასამართ მატჩზე იგი აღარ იმსაჯებდა და მატჩიც შესაძლო მიკერძოების გარეშე ჩაივლიდა.

სწორედ ამ შემთხვევაზეა ნათქვამი: „ზოგი ჭირი მარგებელიაო.“

სახიფათო გასეირნება

დილით, ადრიანად ჩამოუარა გიომ თავის ბრიგადის წევ-რებს, გააფრთხილა, რომ არ დაეგვიანათ, დროზე მოსულიყვნენ ბუდგრიაანთ წყალთან, საიდანაც ბორტიანი მანქანით კოლექტივის ვენახში უნდა წასულიყვნენ ფურჩვნაზე. არავინ დაჰკლებია იმ დღეს, ყველა გამოცხადდა. მძლოლმა ძრავი ჩართო და ხალხით სავსე მანქანა დაეშვა ქვემოთ, არხის გასწვრივ მოხრეშილ გზაზე. ბრიგადირმა ქალები მარცხნივ, მეჩერ რადებში გაანაწილა, კაცები – მარჯვენა მხარეს, სადაც რადებს შორის ბალახი უფრო მოძალებული იყო და სიარული ჭირდა.

ნათქვამია, შრომის დროს სიმღერა საქმეს აიოლებსო. სიმღერისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ანეკდოტების მოყოლითა და ოხუნჯობით ისე იქცევდნენ თავს, რომ დაღლას ვეღარა გრძნობდნენ. ყველას მოუქებნიდნენ ხოლმე საქილიკო სიტყვებს გარდა ერთი კაცისა, რომელიც არავის გაელაზღანდარავებოდა და არც თავისზე ათქმევინებდა ვინმეს უხამს სიტყვას. მაგრამ თუ ვინმე მაინც ზედმეტ სითამამეს გამოიჩენდა დალაქიანთ გაბოსთან, მტრისას, ის იმას არ დაინდობდა, ისე მწარედ ეტყოდა სათქმელს, რომ სამუდამოდ დაამახსოვრდებოდა გაბოს მძიმე კახური იუმორი.

ბრიგადაში, თავისი ოხუნჯობითა და სითამამით, გამოირჩეოდა გამხდარი, ჩია ტანის თუშიაანთ მიტო, რომელიც მოურიდებლად გაჰკენნლავდა იმას, ვისაც ამოიჩემებდა, ზოგჯერ ძალიან მწარედ, ამას ისე მოხერხებულად აკეთებდა, რომ თანასოფლელები არასაპატიებელსაც კი პატიობდნენ, ის არავის დარჩენია ვალში, ყველას გაეპასუხა. ბოლოს თვალი დაადგა გაბოს, რომელიც ამათ ლაპარაკს აინუნშიც არ აგდებდა, მხოლოდ ხანდახან გაიღიმებდა ხოლმე, როცა ვინმე ლაზათიანად ხუმრობდა.

– გაბო, რა ბუზანკალმა გიკბინა, გუშინ ბუზაანთთან შუა პურის ჭამაზე რომ წამოხტი და გამაიქეცი. ერთ ლიტრაზე მეტი რო ვეღარ დალიე, ხო არ დაგერხა, თუ სუ ეგა ხარ, შენ რასაც დალევ იმას ცალ ყურში ჩავისხამ. გაბოს უნდოდა კარგად შეეხედა მიტოსთვის, მაგრამ ის იმდენად ტანმორჩილი იყო, რომ რადში ძლივს ჩანდა.

— ეე, დაგვალულო! შენ მიწვევ ღვინის სმაში? შენ ჩაისხამ ცალ ყურში ჩემ დალეულ ღვინოსა? აბა, რას ამბობ, შე მურდალო, შენ მე როგორ უნდა მაჯობო, კარგა მაძლარზე რო ჩავიცუცქო, შენხელას ვიზამ, — ამის გაგონებაზე ქალებმაც და კაცებმაც გულიანად გაიცინეს, მიტო კი გაიტრუნა და ხმა აღარ ამოუღია. ამასობაში მზემ კარგად დააჭირა.

— პურის ჭამის დროც მოსულა! — თქვა ბრიგადირმა და გასძახა თავის წევრებს.

— გამოდით! ვისადილოთ! დასვენების დროა!

ვენახების ბოლოს ერთი დიდი კავლის ხე იდგა. ქალებმა კავლის ჩრდილში გაშალეს ცელოფანის სუფრები და ჩანთებიდან ამოალაგეს სახლიდან ცივად წამოლებული სადილი. ზოგმა რა და ზოგმა რა. კაცებმა სახელდახელო პურმარილს რამდენიმე ხელადა ღვინოც მოაყოლეს და მადიანად შეუდგნენ ჭამას. მოკლე-მოკლე სადლეგრძელოებით ხელადები უცბათ გამოცალეს და გემოზე დანაყრებულები იქვე მიწვნენ.

— ბიჯო, გასწი ეგ შენი სიგარეტიანი ხელი იქით, რა ცხვირ-პირში მაბოლებ! — უთხრა მის გვერდზე წამოკოტრიალებულ თედოს ზაურიმ, — გადააგდე, ხო ხედავ თითები გეწვება.

— მაგას სანამ ტუჩებზე მწვადის სუნი არ აუვა, მანამდე არ გადააგდებს, — გაეპასუხა მიტო.

მარინე მეზობელ გულოს მიუჩოჩდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— წამო გავიაროთ, ძაან შავლონდი, შენ არ გინდა?

— არ მინდა, მაგრამ მარტო ხო არ წახვალ.

ორივენი წამოდგნენ და წავიდნენ ლიანდაგებისკენ, სადაც მაყვლის გაუვალი ბუჩქნარი იყო. ქალებმა მოითავეს თავიანთი საქმე და ნელი ნაბიჯით გამოყვნენ ლიანდაგებს. იქვე რკინიგზელების ჯიხური იდგა, სადაც სამუშაო იარაღებს ინახავდნენ, ხოლო ცოტა მოშორებით რკინიგზელებს რელსებზე შეედგათ ურიკა, რითაც სამუშაო ინვენტარი გადაჰქონდათ ერთი ადგილიდან მეორეზე.

საკმაოდ ცხელოდა; ურიკა ისეთ მოხერხებულ ადგილზე გაეჩერებინათ, რომ სულ რაღაც ოთხ-ხუთ მეტრში, თავქვე იწყებოდა.

— ხომ არ გავნიავდეთ? — სთქვა გულომ და ურიკაზე შედგა.

- მერე მატარებელი?
- საღამომდე არ იქნება, – დაამშვიდა გულომ მარინე.
- მაშინ ვცადოთ, – უპასუხა მარინემ, მიაწვა ხელით ურიკას და თვითონაც ზედ შეხტა, ურიკა ნელი სვლით გაგორდა და თანდათან უმატა სიჩქარეს. ქალებს სიამოვნებდათ ნიავი, რომელიც ურიკის მოძრაობის საპირისპიროდ წარმოიქმნებოდა, მათ თავები მაღლა ასწიეს და სახეები ნიავს მიუშვირეს, ამასობაში დაღმართი უფრო მკვეთრი გახდა, ურიკაც უფრო სწრაფად მიგორავდა. გაჩერება უკვე შეუძლებელი იყო, გადმოხტომასაც ვერ ბედავდნენ. უბედურება გარდაუვალი იყო. ქალებს იმედად ისლა დარჩენიდათ, რომ ცოტა ხანში დაღმართი დამთავრდებოდა და მათ ტანჯვას ბოლო მოელებოდა, მაგრამ ჯიბრზე დაღმართს ბოლო არ უჩანდა. კიდევ კარგი, რომ ლიანდაგი სოფელზე არ გადიოდა და ვერავინ ხედავდა ურიკაზე ამხედრებული ქალბატონების გასაჭირს...

– აიშალენით! გეყოფათ! საქმეს შევუდგეთ, – გასცა განკარგულება ბრიგადირმა. ქალებიც და კაცებიც წამოიშალნენ და შევიდნენ რადებში. გულო და მარინე თავიანთ სამუშაო ადგილებზე რომ ვერა ნახეს, აჩოჩქოლდნენ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ – ნეტა სად არიან ამდენ ხანს? ხომ არაფერი შეემთხვათ?

ამასობაში საკმაო ხანი გავიდა, ბრიგადირიც დაეჭვდა, სად უნდა წასულიყვნენ. საქმე სახუმაროდ აღარ იყო. დღის ნორმა თითქმის მორჩენილი ჰქონდათ, მიატოვეს სამუშაო და მოედვნენ იქაურობას, ზოგი სად ეძებდა და ზოგი სად, მაგრამ მათი ალი-კვალი არსად ჩანდა. ამასობაში მანქანაც მოვიდა.

– თქვენ წადით, მე დავრჩები და მოვძებნი. ოლონდ სოფელში ქვეყანას ნუ შეყრით, – თქვა ბრიგადირმა.

ურიკა უფრო უმატებდა სიჩქარეს, დაღმართს ბოლო არ უჩანდა. ის ახლა მეორე სოფლის ბოლოს ყანების განაპირალიანდაგზე მთელი სისწრაფით მიგორავდა, ქალები სასოწარკვეთილებაში იყვნენ ჩავარდნილები. აღარ იცოდნენ რა ექნათ. ბოლოს მორთეს ყვირილი, – გვიშველეთ! გააჩერეთ ეს ეშმაკის მანქანა, მაგრამ მშველელი არსად ჩანდა. ბოლოს, როგორც იქნა ჩათავდა დაღმართი და ურიკამაც უკლო ნელ-ნელა

სისწრაფეს. მარინემ ნიჩაბისა და წერაქვის დახმარებით როგორც იქნა გააჩერა ურიკა და ქალებმაც შვებით ამოისუნთქეს.

შეშინებულებმა და ფერდაკარგულებმა უფალს მადლობა უთხრეს, რომ გადარჩნენ და ჩეკარი ნაბიჯით დაადგნენ სოფლისაკენ მიმავალ გზას. როგორც იქნა მოაღწიეს სოფლამდე, ბირჟაზე მდგომ ტაქსს ნისიად გაურიგდნენ და გეზი თავიანთი სოფლისაკენ აიღეს. რკინიგზელები ურიკას საღამოს ჯიხურში ინახავდნენ ხოლმე. ადგილზე რომ არ დახვდათ ის, გაუკვირდათ, — ვის უნდა წაელო? ვის რაში სჭირდებოდა? — კითხულობდნენ გაკვირვებულები. თურმე მევენახე ქალების ურიკით ლიანდაგზე ჯირითი, დაუნახავთ სხვა ბრიგადის ქალებს, რომელთაც ვენახები ლიანდაგებთან ახლოს ჰქონდათ, ჯერ გაკვირვებულან, ხოლო შემდეგ მათი ქმედება უცნაურ ხუმრობად ჩაუთვლიათ და ყურადღება აღარ მიუქცევიათ, თუმცა სოფელში ასულებს მოუყოლიათ, თუ როგორ კატაობდნენ გულო და მარინე ურიკით ლიანდაგზე.

უკვე საღამო ხანი იყო, როცა ქალები სოფელში მოვიდნენ. მარინეს ქმრისა ერიდებოდა, იცოდა რა მისი უხასიათობის ამბავი, შეუმჩნევლად შევიდა სამზარეულოში, აიღო ემალის ვედრო და წავიდა ბოსელში ძროხის მოსაწველად.

— მოდი აქ! — დაუძახა ქმარმა, რომელიც საჩეხში გოდორსა წნავდა. მარინე გაჩერდა და რაღაც ცუდის მოლოდინში დაუწყო ქმარს ყურება. კაცს სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

— კარგად გაისეირნეთ? მეორედ რომ დააპირებთ გასეირნებას „ტორმუზზე“ ფეხის დაჭერა არ დაგავიწყდეთ! — ჩაიხითხითა კაცმა და გოდრის წვნა განაგძო. მარინე თავჩაქინდრული იდგა და ხმას არ იღებდა.

მზრუნველი სიბი

შუადღე გადასული იყო, როცა ჯოხაძეების ოჯახს მეტად სასურველი სტუმარი ეწვია. ოჯახის დიასახლისი – ქალბატონი ვერიკო დიდად გაახარა ანიჩკას სტუმრობამ. ის მეზობელ სოფელში ცხოვრობდა და მთელ ზემო რაჭაში განთქმული მაჭანკალი იყო.

– რაც მართალია, მართალია! გოგოს ვერ დაიწუნებთ, გარეგნობით მშვენიერია, უმაღლესი განათლებით არის, კარგი სამსახური აქვს, გამართული სახლ-კარი და შემოსავლიანი ადგილ-მამული. მამა ალარ ჰყავს, სამაგიეროდ დედა ჰყავს გამრჯე და შრომისმოყვარე, უფროსი და თბილისშია გათხოვილი, – ენად გაიკრიფა ანიჩკა, – რას იტყვი, ვერიკო? მეტი რაღა უნდა უნდოდეს შენს ათულიკას? იყოს წყნარად და შეირგოს!

– მეტი არც არაფერი, შენ შემოგევლე! მადლობის მეტი რა მეთქმის! – უპასუხა ვერიკომ სტუმარს და მაგიდის გაშლას შეუდგა.

ამასობაში ავთოც მოსულიყო ტყიდან, ხარები გამოეშვა და ურმიდან შეშას იღებდა.

– ათულიკა! შემოდი ბიჭო, სახლში! – დაუძახა დედამ.

ავთანდილი მაღალი, სასიამოვნო გარეგნობის, ჯან-ლონით სავსე ბიჭი იყო. ეს ეს არის 30 წელი შესრულებოდა. ოჯახი განიცდიდა მის უცოლობას და დროდადრო ახსენებდნენ ცოლი მოეყვანა. ავთო დაოჯახების წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ ახლომახლო სოფლებში მისი მოსაწონი გოგო ვერ ეპოვა.

ის შემოვიდა ოთახში და სტუმარს მიესალმა.

– შეხედე აბა ამ სურათს! ნახე რა გოგოა! ჩვენებურია, ზემო რაჭიდან არის გადასული მისი ოჯახი გუდაუთაში საცხოვრებლად, – უთხრა დედამ ავთოს და სურათი გაუწოდა. სურათიდან ლამაზი, მოხდენილი ტანის ქალიშვილი უმზერდა ავთოს.

– ლამაზი გოგო! მაგრამ ხასიათი და გუნება – განწყობილება როგორი აქვს? – იკითხა ავთომ.

– ხასიათი უფრო უკეთესი აქვს, შვილო, ვიდრე გარეგნობა, – მოჰყვა ანიჩკა ქალიშვილის ქება-დიდებას. იმდენი აქმ და ადიდა, რომ ავთომ გადადო ყველა საქმე და მეორე დღესვე გაემგზავრა გუდაუთაში.

ჩინებულად დახვდნენ გუდაუთელი რაჭველები ზემო რაჭიდან ჩამოსულ სასურველ სასიძოს. ქალ-ვაჟს მოეწონა ერთმანეთი, დათქვეს დრო და ქორწილისათვის სამზადისს შეუდგნენ...

ასე მოეკიდა ოჯახს ავთანდილი, კარგ სამსახურშიც მოეწყო, წლის თავზე ბიჭიც შეეძინათ. ცხოვრება მშვიდად და ურთიერთ-პატივისცემით მიღიოდა. ზღვისპირეთში ცხოვრება გაცილებით საინტერესო იყო ავთანდილისათვის, ვიდრე მაღალმთიან რაჭის სოფელში. ავთოს განსაკუთრებით ახარებდა ზაფხულის საკურორტო სეზონის დაწყება. უამრავი სტუმარი იყრიდა თავს ამ დროს გუდაუთაში. განსაკუთრებით დამსვენებლის დიდი მოძალება იყო რუსეთიდან. რუსი ლამაზმანების შემხედვარე ავთო გულგრილი ვერ იქნებოდა მათდამი. არც რუსის ქალები იყვნენ უყურადღებოდ ამ ჯან-ლონით სავსე, მომხიბვლელი ახალგზარდა ქართველის მიმართ. დაეჩიდა ავთო რუსის ქალებთან ღლაპუცს და იმდენად გათამამდა, რომ დაუფარავად დასეირნობდა უცხო ქალებთან ხელკავით პლაჟზე. მისი ასეთი მოქმედება შეუმჩნეველი არ დარჩენილა, განსაკუთრებით სიდედრი ბრაზობდა, თან უკვირდა ამ წყნარი, მორიდებული კაცის გახელება.

ცოლსაც შეეტყო ავთოს „საგმირო საქმენი“, თუმცა სხვისგან მოტანილი ამბების დაჯერება არ უნდოდა და, დედისგან განსხვავებით, ის დროებით ინარჩუნებდა სიმშვიდეს.

ერთ საღამოს სიდედრმა ვეღარ მოითმინა, მარტო მოიხელთა სიძე და ბოლომდე უთხრა სათქმელი, თან გააფრთხილა, თუ არ მოიშლიდა ქალებში სიარულს, ოჯახს დაატოვებინებდა.

ცუდ დღეში ჩავარდა ავთო. ოჯახის დანგრევა ვერ წარმოედგინა, ქალებში სიარულსაც ისე იყო მიჩვეული, რომ გაუჭირდებოდა ერთბაშად ამ საქმეზე ხელის აღება.

— ოჳ, ეს სიდედრი! ცოლი არაფერს მეუბნება და რა გამიჭირა საქმე ამ მოხუცმა! სულ რაღაც ორი-სამი თვე ვახარებ ჩემი გულის ჭიას და ამაზეც ბრაზობს, — ფიქრობდა ავთო და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა.

— ავთო, დღეს ვერა გცნობ! რა დაღვრემილი ზიხარ? რას ეპარები ჭიქას! — უთხრა მეგობარმა.

— მე მგონი, ბიჭებო, ცოტა გადავაჭარბე, შეიძლება მალე

პურის ჭამაც ამიკრძალონ თქვენთან. გუშინ ჩემმა სიდედრმა პირში მომახალა სათქმელი. სულ სცოდნია, რომელ ქალთან გავიარე, ყველას სახელები მითხრა. დამდევს და მაკონტროლებს, დამემუქრა, თუ ჭკუაზე არ მოხვალ, თავი დაგვანებე და ჯანდაბამდის გზა გქონიაო.

ავთოს სამეგობროში თავისი ჭკუამახვილობით გამოირჩეოდა ექიმი ჯამბულ ურიდია. მოისმინა რა მისი გასაჭირი, გულიანად გაეცინა და უთხრა:

— გინდა გამოგიყვანო მაგ მდგომარეობიდან ისე, რომ აქეთ გიხადოს სიდედრმა მაღლობები?

— ხუმრობ?

— კი არ ვხუმრობ, მართლა გეუბნები. ოლონდ ეს საქმე უმაღარიჩოდ არ იქნება!

— მაღარიჩს ახლავე ვიკისრებ, თუ მიშველი, — უპასუხა გახარებულმა ავთომ და ჯამბულს თანხმობის ნიშნად ხელი გაუწოდა.

— შენი სიდედრი სრულიად ჯანმრთელია, თუ აწუხებს რამე?

— ჰკითხა ჯამბულმა ავთოს.

— ასთმა აწუხებს კარგა ხანია.

— კეთილი! უთხარი ჩემთან მოვიდეს. შენ და შენი მეუღლეც იქვე იყავით ახლოს, დაგიძახებთ.

კარგ ხასიათზე დაბრუნდა ავთო სახლში. ცოლ-შვილს მოეფერა, სიდედრს შუბლზე აკოცა და, მის გასაგონად, მეუღლეს მიუბრუნდა.

— ეს დედაკაცი რომ ასე წვალობს წლების მანძილზე რატომ არ გეცოდება? შვილი არა ხარ? გადაყოლილია ქალი ჩვენზე, ბავშვი გაგვიზარდა, შრომა და ჯაფა არ აკლია ოჯახში. ამ ქალით გვიდგას პირში სული, ჩვენ კი იოტისოდენადაც არ გვებრალება. ასთმის გამო რომ გამოგვეცალოს ხელიდან სირცხვილით სად გამოვყოთ თავი! გიფიქრია ამაზე? — ხმამაღლა წარმოსთქვა ბოლო სიტყვები ავთომ და ცოლს მიაშტერდა.

სიდედრი გააკვირვა სიძის სიტყვებმა, თუმც ძალიან ესიამოვნა და გული მოულბა.

— მართალი ხარ! — უთხრა ცოლმა ავთოს, თვალებზე მომდგარი ცრემლები მოიწმინდა და დედა გულში ჩაიკრა.

— ხვალვე წავიყვანოთ ექიმთან, ნუღარ გადავდებთ! — თქვა ავთომ და სიდედრს გაულიმა.

მეორე დღეს ექიმი ურიდია გულდასმით სინჯავდა ავთოს სიდედრს, ხოლო ავთო და მისი ცოლი დერეფანში ელოდნენ ექიმის გადაწყვეტილებას. მან საფუძვლიანად გამოჰკითხა მოხუცს მისი ავადმყოფობის ამბავი, თან უკმაყოფილოდ აქნევდა თავს და ბრაზობდა.

— მდგომარეობა მეტად სერიოზულია, — დაასკვნა ბოლოს ურიდიამ, — შვილები გყავთ? არავინ გპატრონობთ? რატომ მიგიყვანეს ამ მდგომარეობამდე? — ჰკითხა ექიმმა პაციენტს.

— შვილები როგორ არა მყავს! — თითქოს იწყინა მოხუცმა, — გარეთ ქალიშვილი და სიძე მელოდებიან.

ურიდიამ ექთანი გაგზავნა დერეფანში სიძის და ქალიშვილის დასაძახებლად.

ავთო და მისი მეუღლე მორიდებით შევიდნენ ექიმის კაბინეტში.

— რატომ არ აქცევთ სათანადო ყურადღებას ამ ქალბატონს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა რთული მდგომარეობა აქვს. არ არის გამორიცხული, რომ ქალი ხველებით დაიხრჩოს. შესასხურებელი, რომლითაც ქალბატონი სარგებლობს, მკურნალობის დროებითი საშუალებაა. ავადმყოფს სჭირდება სიმშვიდე და, რაც მთავარია, ჰკერის გამოცვლა. სასწრაფოდ უნდა გაიყვანოთ აქედან. იქნება თბილისში ან რუსთავში წაიყვანოთ, იქ ასთმიანებისათვის მშრალი კლიმატია... — ბოლოს იკითხა, — გყავთ თბილისში ნათესავები?

— როგორ არა! ჩემი და იქ არის გათხოვილი. სიძე სულ მივლინებებშია. ჩემი და და დისშვილები ზაფხულობით მასთან მიდიან ხოლმე. სახლი კი დაკეტილი აქვთ, — სულმოუთქმელად უპასუხა ექიმს ავთოს მეუღლემ.

— ნუღარ დააყოვნებთ! დროზე წაიყვანეთ აქედან ეს ქალბატონი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მისი მდგომარეობა ლეტალური შედეგით დამთავრდეს, — მოიშველია ექიმმა სამედიცინო ტერმინოლოგია. ახლა ივნისის დასაწყისია, სასურველია სექტემბრის ბოლომდე დარჩეს თბილისში. ეს დრო მის ჯანმრთელობას გარკვეულ შეღავათს მისცემს, — ამ

სიტყვებით ურიდია დაემშვიდობა პაციენტს, ხოლო მის შვილსა და სიძეს შეახსენა ქრისტეს 10 მცნებიდან – მე-5 და მოუწოდა მათ ყურადღებით ყოფილიყვნენ მოხუცი დედის მიმართ.

მეორე დღეს ავთოს “ნივა” თბილისისაკენ მიაქანებდა საყვარელ სიდედრს, რომელიც სახემომლიმარი ჩახუტებოდა გვერდით მჯდომ თავის ქალიშვილს და მადლობას უხდიდა ქალ-სიძეს დიდი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის...

– წაიყვანე შენი სიდედრი თბილისში? – ჰკითხა თბილისიდან დაბრუნებულ ავთოს ურიდიამ.

– წავიყვანე შენი წყალობით, კაცი ხარ, კაცი!

– პირობაზე როგორა ხარ? კისრულობ მაღარიჩს?

– რაზეა საუბარი? ბიჭებს დაუძახე! მარტო ხომ არ დავჯდებით რესტორანში, – უთხრა ავთომ და ჯამბულს მეგობრულად გადახვია მხარზე ხელი.

იმ საღამოს მეგობრებმა კარგად მოილხინეს. ავთოს უხაროდა, რომ ზაფხულის საკურორტო სეზონს მშვიდად და უკონტროლოდ გაატარებდა, ხოლო სიდედრი თბილისში პატივნაცემი და კმაყოფილი, ჰაერს გამოიცვლიდა და ჯანმრთელი დაუბრუნდებოდა ოჯახს.



დალაპი პელა

კუძღვნი ჩემი ძმის
თემურ ლონდრიშვილის ხსოვნას

— ჩამოხვედით? თქვენ გენაცვალეთ, ყოველდღე თქვენს მოლოდინში ვარ, დამაწყდა თვალები გზაზე ყურებით, — სიხარულით მოსთქვამდა მოხუცი და თვალებზე მომდგარ ცრემლებს დამჭვნარი ხელებით იწმენდდა. ასე იყო ყოველი ზაფხულის დასაწყისში, როცა ნიკა ცოლ-შვილს ქალაქიდან კახეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში ჩაიყვანდა ხოლმე დასასვენებლად.

მორჩებოდნენ თუ არა ბავშვები სწავლას, ყოველდღე ახ-სენებდნენ მამას, წაგვიყვანე სოფელში, უკვე არდადეგებია, როდემდე უნდა ვიყოთ აქ.

ნიკას მშობლები ადრე გარდაეცვალა, ხანდაზმული ნათე-სავებიდან თითქმის აღარავინ ჰყავდა ამქვეყნად, გარდა მამი-დისა. სწორედ ეს დედაკაცი იყო ჰელა მამიდა, რომელიც ნიკას ბიჭებს გახარებული გულში იკრავდა და თავისი დამჭვნარი ტუჩებით ლოყაზე ეამბორებოდა ორივეს.

ბავშვებსაც ძალიან უყვარდათ ბელა ბაბო, მასზე ახლო-ბელი ხომ არავინ ჰყავდათ. უცნაურად იცოდა ჩაცმა ამ დედა-კაცმა — წელს ქვემოთ სამი, ხან ოთხი ქვედაბოლო ეცვა, თითო ქვედაბოლოზე დიდი ჯიბე ეკერა. ზოგში თხილს ჩაიყრიდა, ზოგში მსხალს, ვაშლს, ატამსა და კიდევ სხვა ხილსა და ნუგ-ბარს. ეგრე დატვირთული, დამძიმებული ამოუყვებოდა ნიკას სახლისაკენ მიმავალ აღმართს. მივიდოდა, ცოტას დაისვენებ-და, შემდეგ დაიწყებდა თავისი ქვედაბოლოების ჩეჩვას. ამოა-ლაგებდა ჯიბეებიდან ხილსა და სხვადასხვა სასუსნავს, რითაც ძალიან ახარებდა ბავშვებს, ისინიც მადლობასა და კოცნას არ იშურებდნენ პელა ბაბოსთვის, ნიკას ცოლი — მერიკო პატივის-ცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა ერთადერთ დედამთილს. გამოჰყითხავდა ჯანმრთელობის ამბავს, წამლებს მისცემდა, რაც არ ჰქონდა იყიდიდა, მერე გააცხელებდა წყალს, გახდიდა ტანსაცმელს, ჩასვამდა დიდ ტაშტში და პატარა ბავშვივით აპა-ნავებდა. ძველ ან დაკერებულ პერანგსა და საცვალს გადაუგ-

დებდა და მისთვის საგანგებოდ წაყიდ ახალ საცვალ-თეთრეულს ჩააცმევდა.

გახარებულმა მოხუცმა აღარ იცოდა როგორ გამოეხატა მადლიერება.

— აღარაფერი აღარ მტკივა, შვილო! კროცი კაკალივითა ვარ, ღმერთმა მიცოცხლოს და გამიმრავლოს შენი თავი, — ამბობდა მოხუცი და ხელებს უკოცნიდა მზრუნველ რძალს.

ბავშვებს ძალიან უყვარდათ სოფელში ყოფნა, განსაკუთრებით პატარას, რომელიც მთელ უბანში იყო ცნობილი თავისი ონავრობითა და ლანძლვა-გინებით. ხანდაზმული მეზობლები ცხონებულ პაპას ამსგავსებდნენ, უბანში მეტსახელად ლანძლვიას ეძახდნენ, მასაც შეფერებული ჰქონდა ეს სახელი და არა სწყინდა, ხალისით შეუკურთხავდა ხოლმე იმას, ვინც გააჯავრებდა.

ნიკას სახლი მაღლობზე, კლდის პირას იდგა. საღამო ხანს საამო ნიავი უბერავდა და ერთ რამედ ღირდა, მთელი ღლე სიცხეში ნამუშევარი კაცისთვის, გრილი ნიავის შეგრძნება. ქვემოთ, მღვრიე ხევისკენ, კლდის ვიწრო ბილიკი ჩადიოდა, ბავშვები ისე მოხერხებულად ჩაირბენდნენ ხოლმე ამ ბილიკს, რომ არც შიში აღელვებდათ და არც ხიფათი. ხევში დაგუბებული ჰქონდათ საბანაო და მთელი ღლე ჭყუმბალაობდნენ. დაიჭერდნენ ხელში შოთის პურს, ყველის ნაჭერს ჯიბეში ჩაიდებდნენ და საღამომდე აღარ ახსოვდათ სახლში მოსვლა.

ჩვეულებისამებრ იმ ღლესაც ემზადებოდა თემო საბანაოზე წასასვლელად, დედამისმა ეზო დაგავა, ქათმებს საკენკი დაუყარა და პურის გამოცხობის სამზადისს შეუდგა.

— წამო ბიჭო, გელაანთიდან ვარცლი წამომაღებინე! — გასძახა დედამ.

როგორც არ უნდა დაგესაქმა, თემო უარს არავის ეტყოდა, ამ მხრივ სამდურავი არ ეთქმოდა, დაუზარელი იყო. იგი უსიტყვოდ გაჰყვა დედას.

— ბიჭო, ეს ამხელა თმა რომ მოგზრდია არ გაწუხებს ამ სიცხეში? ვარცლი მომატანინე, მოგცემ მანეთიანს და წადი სადალაქოში, თმები გაიკრიჭე. თემო სადალაქოს ხსენებაზე დაიღრიჟა. ბიჭები ელოდებოდნენ, საბანაოდ უნდა წასული-

ყვნენ, მაგრამ დედას უარს ხომ არ ეტყოდა, გამოართვა მანე-თიანი და ბიჭებს გასძახა, – სადალაქოში მივდივარ, თმებს შე-ვიკრიჭავ და მალე თქვენთან ვიქნები.

სანამ სადალაქოში მივიდოდა, გზად პელა ბაბოს სახლი უნდა გაევლო. მოხუცი ეზოს გარეთ, გრძელ სკამზე იჯდა და დილის მზეს ეფიცხებოდა. თემოს დანახვაზე სახე გაებადრა და თავისთან უხმო.

– სად მიდიხარ, შვილო. აქეთ ვინ გამოგგზავნა!

– სადალაქოში, – მოკლედ უპასუხა თემომ და შარვლის ჯი-ბიდან მანეთიანი ამოაცურა, – აი, დედამ მომცა, თმები შეიკრი-ჭეო.

მოხუცი ცოტა ხანს გაყუჩდა, მერე მოეფერა ბიჭს და უთხრა:

– მაგ მანეთიანით, ჩემს ქვემოთ რომ მაღაზიაა, წადი იქ და კანფეტები იყიდე, თმებს მე შეგვრიჭავ, იმ ელამჭუტა დალაქ მიხოზე უკეთ მე ვიცი თმების შეკრეჭა.

თემო გაიქცა მაღაზიისკენ, ადრეც ჰქონდა ნაყიდი ფერად-ფერადი ბალიშა კანფეტები. უხაროდა, თმებს უფასოდ შეი-კრეჭდა, მანეთად კი კარგა ბლომად მოუვიდოდა ბალიშა კან-ფეტები. ელენე ნოქარმა გამოართვა მანეთიანი, საგანგებოდ კოხტად დაჭრილი სქელი ქალალდის შეკვრიდან გამოაძრო ერთი ფურცელი, ხელზე ოსტატურად შემოიხვია, შეკრა პარ-კი და ჩაყარა შიგ კანფეტები. შემდეგ აწონა, რამდენიმე ცალი კიდევ დაუმატა და თემოს მიაწოდა.

გახარებულმა ბიჭმა უბეში ჩაიდო კანფეტებით სავსე ქალალ-დის პარკი და უკან, პელა ბაბოსკენ გამობრუნდა.

მოხუცმა დააჯინა თემო სკამზე, მოიმარჯვა ხელში მაკრატე-ლი, სავარცხელი და შეუდგა საქმეს. თმის შეკრეჭა არცთუ ისე იოლი საქმე გამოდგა. მიუხედავდ იმისა, რომ პელა ბაბო ძალიან ცდილობდა სწორედ შეეკრიჭა თმები, მაინც კიბე-კიბე აჭრიდა. თემო ვერ ხედავდა ამ არასასიამოვნო პროცესს. ერთი რამ ვერ გაეგო, ბაბომ სარკე შეგნებულად არ მოიტანა თუ დაავიწყდა. როგორც იქნა მორჩია მოხუცი თმების შეკრეჭას. ბიჭმა მადლო-ბა გადაუხადა ბაბოს და გასწია ხევისაკენ საბანაოდ, სადაც ბი-ჭები ელოდებოდნენ. იღბლად საბანაომდე ორლობე უნდა გაევ-ლო. ორლობეში არავინ შეხვედრია, რომ თემოს სასაცილოდ

გაკრეჭილი თავი დაენახა. როცა საბანაოზე მოვიდა, შეხედეს ბიჭებმა და ჩუმად სიცილი აუტყდათ.

— ეგრე ვინ გაგალამაზა, ვერან? ვინ დაიდო შენი ცოდო? — შეეკითხა თავისი ამხანაგი.

ბიჭები იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ მის ვარცხნილობაზე. თემო გაოცებული ხან ერთ ამხანაგს შეხედავდა, ხან მეორეს, ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო რა ხდებოდა მის თავს.

— სარკე არა ჰქონდათ შიგ რომ ჩაგეხედა? — არ ცხრებოდნენ ბიჭები.

იქვე ახლოს დიდი ტირიფის ხე იდგა, მის ძირში ბიჭებს წყალი ჰქონდათ დაწმინდავებული, რომელსაც დასალევად იყენებდნენ.

— მიდი, ბიჭო, ტირიფის ძირას დასალევი წყლის გუბეში მაინც ჩაიხედე, ნახე რას გიგავს თავი. თემო გაიქცა გუბესთან, ჩაიხედა შიგ და რას ხედავს, თმები მთელ თავზე კიბე-კიბე აქვს აჭრილი. ალაგ-ალაგ ისე ღრმად ჰქონდა ამოკრეჭილი, რომ სირცხვილი იყო ასეთი თავით გარეთ გამოსვლა. შენ მო....ან კარგის ტ....ი.

— ეს რა მიყავი პელავ! როგორ დამამახინჯა ამ კარგმო.....ა, მორთო ტირილი და გინება, წაიფარა ხელები თავზე და გამწარებული გაიქცა იმ საცალფეხო ბილიკისაკენ, რომელიც ზემოთ, სოფლისაკენ მიდიოდა, თან გზადაგზა გინებას არ აკლებდა პელა ბაბოს. თავზე ხელებაფარებული შევარდა სახლის ეზოში და იქ გააგრძელა ხმამაღლა ტირილი და ლანძღვა-გინება.

დედამისი მეზობლის თონეზე პურს აკრავდა. ბავშვის ტირილი რომ შემოესმა, ხმაზე იცნო თავისი შვილი და შეშინებული სახლისაკენ გამოიქცა. ბიჭი რომ საღსაღამათი ნახა, დამშვიდდა, მერე მოეფერა და გამოჰკითხა, თუ რა დაემართა, ვინ გაკრიჭა ასე სასაცილოდ. ბიჭმა დაწვრილებით მოუყვა, რაც გადახდა. ხმაურზე მეზობლები მოცვივდნენ თემოს სანახავად, რომ დაინახეს ბიჭს არა სჭირდა რა, დამშვიდნენ და დაიშალნენ, მარტო ვასო პაპა დარჩა თემოსთან.

ვასო პაპა ამათ გვარში ყველაზე უხუცესი კაცი იყო და ყველა პატივიცემითა და რიდით ეპყრობოდა.

— წაპა ჩემთან, — უთხრა პაპამ. თემოც უსიტყვოდ გაჰყვა. პაპა შევიდა სახლში, გამოიტანა სამართებელი, დასვა თემო სკამზე, დაუსველა თმები, წაუსვა საპონი და დაუწყო კიბე-კიბე აჭრილი თმის გადაპარსვა. თემოს სამართებლით გადა-პარსული, კიბე-კიბე აჭრილთან შედარებით, ისე მოეწონა, რომ წელანდელი წყენაც დაავიწყდა.

მეორე დღეს, ჩვეულებისამებრ, ამოვიდა პელა ბაბო, ხილითა და ნუგბარით, რომ გაიგო ბიჭის გაბრაზების ამბავი, რაც მის მიერ შევრეჭილი თმის გამო მოხდა, ძალიან განიცადა.

— მამიკვდეს თავი, ეს რა მიქნია! — წუხილისაგან კანჭებს იჩქმიტავდა მოხუცი. თემომ არ იცოდა წყენის გულში ჩადება, შეურიგდა ბაბოს და გემრიელად შეექცა მის მოტანილ ხილსა და ნუგბარს.

გავიდა წლები, პელა ბაბო დიდი ხანია აღარ იყო ამქვეყნად, დავაუკაცებულიყო ლანძლვია ბიჭიც. კარგი, მოხდენილი ახალ-გაზრდა დამდგარიყო. ნათქვამია „ზოგი ჭირი მარგებელიაო“. ასე დაემართა თემოსაც. მას შემდეგ, რაც ვასო პაპამ, სამართებლით გადაპარსა თავი, უფრო უკეთესი თმა ამოუვიდა, როცა ის სარკის წინ იდგა და თავის ლამაზ ქოჩორს ივარცხნიდა, წუ-თით გაირინდებოდა და ფიქრს მიეცემოდა.

— ნეტა რისთვის ვლანძლავდი იმ ცხონებულს, იმას ხომ სი-კეთის გაკეთება უნდოდა ჩემთვის, — იტყოდა ჩუმად, მერე გაი-ღიმებდა და თავს იმით იმშვიდებდა, რომ მაშინ ბავშვი იყო, ბავშვებს კი ყველაფერი ეპატიებათ, მითუმეტეს ლანძლვა-გი-ნება.

მიზანება

— გარშემო კარგად შემოუთოხნე, შვილო! სარეველა არ დაუტოვო ძირში ნამყენსა, — ეუბნებოდა თედო თავის ბიჭს და თვითონაც გულმოდგინებით უთოხნიდა ძირებს ახლადჩაყრილ ნამყენს.

— ნახე, მამი! აქა-იქ ნიშანი აქვს, კუპხალ-კუპხალ გამოუტანია მტევნები, — ამბობდა გიო და უფრო ხალისიანად თოხნიდა ვენახს.

— წელს რაღა იქნება, გაისად კი პირველ მოსავალს მოგვცემს ეს დალოცვილი, — თქვა თედომ და თოხის ტარს დაყრდნობილ-მა, ცხვირსახოცით შუბლზე მომსკდარი ოფლი მოიწმინდა.

— გიო! შუადღე წამოვიდა, პური აღარა ვჭამოთ? — ჰკითხა მამამ. გიომ და თედომ თოხები მხარზე გაიდეს და ვენახის თავში გავიდნენ.

— აბა, ვნახოთ რა გაგვიმზადა დედაშენმა სადილად! — თქვა თედომ და ბებერი კაკლის ტოტზე ჩამოკიდებული ზურგჩანთა ჩამოიღო, გახსნა და ამოალაგა: მშრალად მოხარშული დედალი, შოთის პურები, ყველი, მწვანილი და ხელადით ღვინო.

ნასადილევს მამა-შვილი კაკლის ძირში გვერდი-გვერდ წამოწვენ და თვალი მოატყუეს...

— რა ჰქენით? მორჩით თოხნასა, — ჰკითხა დედაკაცმა თედოს, რომელიც ეს-ესაა შემოსულიყო ეზოში.

— რას ამბობ, დედაკაცო, იმხელა ვენახსა ორ დღეში როგორ გავთოხნით! გიოს უნდა უმადლოდე, რომ ნახევარს გავცდით, თორემ მარტო ეს წნევიანი კაცი რას გავხდებოდი, — უპასუხა თედომ და სათონეში შევიდა, სადაც ახლადგამომცხვარი პურის საამო სურნელი ტრიალებდა, შოთებით სავსე ტაბაკს ხელი წამოავლო და მარნისაკენ წაიღო. თონის სიმხურვალისგან სახეაწითლებული, დაღლილი მართა სათონეში სკამზე ჩამოჯდარიყო და თავშალს ისწორებდა.

თედოს სანიმუშოდ ჰქონდა მოვლილი ახლადჩაყრილი ნამყენი, შვილივით უვლიდა და ეფერებოდა თითოეულ ძირს. ავ თვალს არ დაენახვებოდა იმ არემარეზე თედოს ვენახი, კარგა ნაპატრონები, სხვა ვენახებისგან გამორჩეული იყო.

თედოს მეზობლად ერთი ავყია კაცი ცხოვრობდა, სახელად მიტო ერქვა. ის უცხვირპირო, ბოროტი და უხასიათო კაცი იყო. ზარმაცი არ ეთქმოდა, შრომა უყვარდა, ჯანიც მოსდევდა და და ლონეც, ოლონდ უაზროდ იცოდა აშარება. სუფრასთან ყველა ერიდებოდა, დათვრებოდა და მტრისას, მაშინვე ცემატყეპაზე ეჭირა თვალი, არც მტყუან-მართალის გარჩევა იცოდა. მისი ჭკუით, ის ყოველთვის მართალი იყო. ამ თვისებების გამო თანასოფლელები “ვიროს” ეძახდნენ. თვითონ ხომ ასეთი მურდალი და უხასიათო იყო, ცოლ-შვილი კარგი და კეთილი ჰყავდა. დედაკაცი დღედაღამ ეჩხუბებოდა და არიგებდა.

— კაცო! ნუ ხარ სოფელში მოყროლებული, შენი შვილების მაინც არ გერიდება, დრო რომ მოგივა და იმ ქვეყნიდან დაგიძახებენ, მარტო შენმა ბიჭებმა უნდა გაგიდონ მხარზე? აქ არავინ არ უნდა შემოვიდეს? ჭიქა არავინ არ უნდა წაგიქციოს, შე მუდრეგო? — აყრიდა ქოქოლას ცოლი, მაგრამ „ვირო“ ისე იყო მიჩვეული ცოლის ლანძღვას და წყევლას, რომ ერთ ყურში უშვებდა და მეორეში ატარებდა, ბოლოს, თუ დედაკაცი ძალიან გადავიდოდა დაუკრეფავში, „ვირო“ მაშინვე დაუღრიალებდა.

— დედაკაცო! ენას კბილი დააჭირე, თორემ აიკრავ ყურის ძირში! — ქალმაც იცოდა რა ქმრის ხასიათი, უცებ გაიტრუნებოდა და მოშორდებოდა იქაურობას.

იმ დღეს „ვიროს“ ჯერი იყო, მას სოფლის ნახირი უნდა გაედევნა ლომიაურში. ლომიაურს სოფლის თავში მდებარე ტერიტორიას ეძახდნენ. იქ მოსახლეობას ვენახები ჰქონდა გაშენებული, იქვე ახლოს იყო საძოვრები, სადაც სოფლის ნახირი ძოვდა ბალახს.

ნელი ნაბიჯით მიჰყებოდა „ვირო“ ზოზინით მიმავალ ნახირს და სახრემომარჯვებული ზოგჯერ „პატრონი დედას“ შეუკურთხავდა ზოგიერთ ჯიუტ ძროხას, რომელიც ნახირს ჩამორჩენილი ბოსტნებისკენ იწევდა. თედოს საძოვრებთან ახლოს ჰქონდა გაშენებული სანაქებოდ მოვლილი ვენახი.

„ვიროს“ გაგონილი ჰქონდა თედოს ვენახის ქება, მაგრამ ნანახმა მთლად გააოცა.

— უყურეთ! ეს დაფეხვილი თედო როგორ უვლის ვენახსა, ამ ავადმყოფმა მე როგორ უნდა მაჯობოს! — ბოროტად წარმოსთქვა „ვირომ“ და თავში ავმა ზრახვებმა გაუელვა.

შუადღე გადასული იყო. საქონელი ნელ-ნელა ქვემოთ, ვენახების მომიჯნავედ სძოვდა ბალახს. „ვიროს“ ეშმაკი შეუჩნდა და აღარ ასვენებდა, ბოლოს შურმა და ბოროტებამ თავისი გაიტანა და ნახირი თედოს ვენახისკენ მიუშვა.

თედო ამ დროს სახლში იყო, ტახტზე იწვა, უნდოდა დაეძინა, თვალებიც მილულა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა.

— დედაკაცო, გული რაღაც ცუდს მიგრძნობს, დღეს „ვიროა“ ჯერში, ჰო იცი რა ვაგლახია, ერთხელ წამომაძახა კიდეც, განახებო, მეშინია რაიმე უბედურებას არა გვწიოს იმ შეჩვენებულმა.

— აბა რას ამბობ, კაცო! ესე როგორ გაგვწირავს?! — უპასუხა თედოს ცოლმა და ოთახიდან გავიდა.

თედომ ვერ მოისვენა, უხილავი ძალა ვენახისაკენ უხმობდა, წამოდგა, საცხენედან ცხენი გამოიყვანა, შეაჯდა და ლომიაურისაკენ გააჭერა.

თედოს ვენახს შესეულ საქონელს ორი მწკრივი სრულიად გაევერანებინა. დაინახა რა მან მის ნამყენში მიშვებული საქონელი როგორ ანადგურებდა შვილივით მოვლილ ნაპატრონებ ვაზს, გამწარებული გადმოხტა ცხენიდან და ლანძღვითა და გინებით დაუწყო საქონელს ვენახიდან გამოდევნა. „ვირო“ შუადღით კარგად დანაყრებული და ლვინით გამობრუული იქვე ჩრდილში მიწოლილიყო და ხვრინავდა, როცა თედო თავს წაადგა.

— ადე, შე შამქმნელძალო! გადამიძოვა ნამყენი საქონელმა! რომ გამძღარხარ დედიშენისათი და გძინავს, საქონელს არ უნდა მიხედო? — დაუყვირა თედომ მძინარე „ვიროს“ და ფეხი წაჰკრა გასაღვიძებლად.

— შენ წერას ხომ არ აუტანიხარ, რას მიჰქარავ?! — წამოხტა „ვირო“ და თედოს შეუტია — საქონელმა ვენახი გამიოხრა-მეთქი, აქ რასა გდიხარ? ვერ მიხედავ პირუტყვს?

— გდიხარო, ვის ეუბნები მაგას? — დაიღრიალა „ვირომ“ და ძლიერად გაჰკრა ყბაში სილაქი თედოს. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ თედო ორივე ფეხებით მოსწყდა მიწას და მაყვლის ბარდში მოადინა ზღართანი.

— შეგირცხვეს ნამუსი! ან რა უნდა შეგირცხვეს, რაც არა

გაქვს, შე დამგდებალლო! – მიაძახა თედომ და გამსკდარი ტუ-ჩიდან სისხლი მაჯით მოიწმინდა.

„ვირომ“ ამრეზით გადახედა მაყვლის ბარდში გაგორებულ თედოს და ნახირი სასაფლაოსკენ გარეცა. თედო დიდი გაჭირვებით წამოდგა, შევიდა ნამყენში, გავერანებული ვენახის შემხედვარეს გულმა ვეღარ გაუძლო და თვალებიდან ცრემლები წასკდა.

მთელი სოფელი გმობდა „ვიროს“ ავკაცობის ამბავს. მძიმედ განიცადა თედომ ვენახის გავერანება, თითქმის ერთ თვემდე იავადა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოკეთდა და ადგა ლოგინიდან. თედოს ცოლი წყევლა-კრულვას არ იშურებდა „ვიროსათვის“, მაგრამ ეს მხოლოდ გულის მოოხება იყო და სხვა არაფერი, სხვაფრივ ვერას აკლებდა...

ადრიანი შემოდგომა იდგა. სოფელი ჭირნახულის დასაპინავებლად ემზადებოდა. რთველი კარზე იყო მომდგარი. გიოს სამუშაო მოემთავრებინა და არხზე საბანაოდ მოსულიყო, ნაპირზე წამოწლილიყო და ტანზე სველ სილას იყრიდა.

– ცივია წყალი? – ჰკიოთხა კაცმა, რომელსაც, აშკარად ეტყობოდა, ნასვამი იყო. ხელში კარგა მოგრძო თოკი ეჭირა, რომლის ერთი ბოლო ცხენისთვის შეება კისერზე, მეორე ხელში ეჭირა. გიომ შეხედა თუ არა იცნო „ვირო“. არ ესიამოვნა მისი დანახვა, მაგრამ მაინც უპასუხა:

– არც ისე, ბანაობა შეიძლება!

„ვირომ“ ცხენს თოკი მოხსნა, წყალში შეაგდო და თვითონაც უკან მიჰყვა. უნდოდა ცხენი ებანავებინა და თვითონაც გაგრილებულიყო.

იმ დღეს კარგა მოდიდებული ჩანდა არხი. შუაში ორ-სამ ადგილას მორევი ბრუნავდა და საშიში იყო ბანაობა, ამიტომ გიო ნაპირზე ჭყუმპალაობდა და ლრმაში არ შედიოდა. „ვირომ“ არაფრად ჩააგდო ეს საშიშროება და პირდაპირ შუაგულისაკენ გასცურა ცხენთან ერთად. ამ სითამამეს სიმთვრალე აძლევდა. ადრეც ბევრჯერ უბანავია ადიდებულ არხში, მაგრამ ყოველთვის მშვიდობიანად გამოდიოდა ნაპირზე. გიო გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს არხში მობანავე ცხენსა და კაცს და გრძნობდა, რომ ეს სითამამე კარგად არ დამთავრდებოდა.

უცბად ცხენი მორევმა ჩაითრია და ჩააყურყუმელავა, მაგრამ ცხენმა იმარჯვა, კისერი ზემოთ ამოსნია, გაიბრძოლა და მორევიდან გამოსცურა. „ვირომ“ ცხენი გასაჭირში რომ დაინახა, იფიქრა მივეშველებიო და მორევთან ახლოს მისცურა. ახლა „ვირო“ ჩაითრია მორევმა, დაატრიალა და ფსკერისკენ წაიღო. „ვირო“ ფსკერს ფეხით შეეხო, ძალა დაატანა და მთელი ძალით ზემოთ ამოპყო თავი, მაგრამ მორევიდან გამოცურვა ვერ მოახერხა, წყალმა ისევ დაატრიალა და ქვევით წაიღო. „ვირომ“ ისლა მოასწორ, დასახმარებლად ბიჭისთვის დაეძახა.

— გიო! თოკი გადმომიგდე! ვიხვრჩვები, ბიჭო! მიშველე! — გიოს თვალები გაუშტერდა, წამით წარმოიდგინა „ვიროსაგან“ განადგურებული ვენახი, მისგან ნაცემი სისხლნადენი ავად-მყოფი მამა და შურისძიებით აივსო. იგი გაშეშებული იდგა და უყურებდა ამ საზარელ სანახაობას, სადაც სიკვდილს უნდა ეზეიმა. „ვირომ“ ერთხელ კიდევ მოახერხა წყლიდან თავის ამოყოფა და გიოს შეევედრა.

— მიშველე, ბიჭო! ნუ დამღუპავ! ღმერთი გიშველის!

ღმერთის გაგონებაზე გიო უცბად გამოერკვა, წამით დაავი-წყდა „ვიროს“ ჩადენილი ბოროტებანი, შეეცოდა სასიკვდილოდ განწირული, დასტაცა იქვე დაგდებულ თოკს ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ერთი ბოლოთი გაისროლა მორევისაკენ, ხოლო მეორე ბოლოს ხელი მაგრად ჩასჭიდა. „ვირომ“ გადმოგდებულ თოკს ხელი სტაცა, ჩაბლუჯა, ხოლო მეორე ხელი მარჯვედ მოუს-ვა. გიომ მთელი ძალით გამოსწია თოკი, „ვიროც“, რაც შეეძლო ცდილობდა მორევიდან თავის დაღწევას. მცდელობამ შედეგი გამოიიღო, „ვირომ“ გიოს დახმარებით მორევს თავი დააღწია და ნაპირზე გამოვიდა, სული მოითქვა, პირჯვარი გადაიწერა და გიოსთან მივიდა. გიო კმაყოფილი იყო იმით, რომ ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. „ვირომ“ მუხლებზე დაიჩოქა, გიოს ორივე ხელი დაუკოცნა და ცრემლმორეული თვალებით მადლობას სწირავდა თავის გადამრჩენელს, თან პატივის სთხოვდა იმ ავ-კაცობისათვის, რაც მას მისი ოჯახის წინაშე ჰქონდა ჩადენილი.

მეორე დღეს „ვირომ“ მთელ სოფელს მოსდო, თუ როგორ გადაარჩინა სიკვდილს მისგან შეურაცხყოფილმა და ნაცემმა მეზობლის ბიჭმა. „ვირომ“ ბოდიში მოუხადა თედოსაც ჩადე-

ნილი ავკაცობის გამო და აღუთქვა, რომ ამიერიდან, როგორც
მასთან, ასევე მთელ სოფელთან მხოლოდ კეთილად მოიქცეოდა,
აღარავის არ აწყენინებდა.

მართლაც, მოსავლის აღებისას დიდად დაეხმარა თედოს.
მოსავალი დააბინავებინა, ვენახიც მოუხნა, ტყიდან რამდენიმე
გზა სათარიც ჩამოუტანა ზამთრისათვის. „ვიროს“ ცოლი გა-
ხარებული იყო, ქმრის ცვლილებას ღვთის მადლად მიიჩნევდა.
მის ბიჭებსაც უხაროდათ მამის სასიკეთოდ მობრუნება.

ისე, როგორც თედოს ოჯახმა, მთელმა სოფელმა მიუტევა
„ვიროს“ ადრინდელი ცოდვები. მას შერქმეული სახელით სოფ-
ლელები იშვიათად იხსენიებდნენ და ძველებურად ისევ მიტოს
ეძახდნენ.

პენტლევენი

— ცხრა დაიწყო, აღარ ადგები? სამსახურში არ გაგვიანდება?
— შეეხმიანა მეორე ოთახიდან, საწოლში მწოლიარე სანდროს,
დედამისი.

— ჯერ არ ავდგები, დილის ძილი მომენატრა, დღეიდან შვე-
ბულებაში ვარ, თქვა სანდრომ, ერთი ლაზათიანად გაიზმორა
და კედლის მხარეს გადაბრუნდა.

— შენი ნებაა! — უთხრა დედამ და საუზმის მომზადებას შეუდგა.

— ლევან, რა მოიფიქრე, წამოხვალ ჩემთან ერთად გურიაში?

— მგონი ვერ მოხერხდება, მამაჩემს უნდა მივეხმარო, სახლის
აშენებას იწყებს, ხომ იცი ჩემი იმედი აქვს, — უპასუხა ლევანმა
სანდროს მობილურზე.

ლევანი სანდროს მეგობარი იყო. ისინი ყოველ ზაფხულს
შვებულებას ერთად ატარებდნენ, — მომიწევს მარტო წასვლა
გურიის მთიანეთში, — წარმოსთქვა სანდრომ და დედამისის
მიერ მომზადებულ საუზმეს მადიანად შეექცა. სანდროს ტრა-
დიციად ჰქონდა, ყოველ ზაფხულს, როცა შვებულების დრო
დგებოდა, აიღებდა თავის ზურგჩანთას, ჩაიცმევდა სამოგზაუ-
როდ სპორტულ, მსუბუქ ტანსაცმელს და ფეხით შემოივლიდა
ხოლმე საქართველოს კუთხეებს. გასულ წელს ხევსურეთში
იყვნენ ის და ლევანი. წელს გურიის ჯერი იყო.

სანდროს უზომოდ უყვარდა ბუნება, შეეძლო დაუღალავად
ევლო მთაში. აკვირდებოდა საქართველოს ფლორასა და ფაუ-
ნას, აგროვებდა იშვიათი სახეობის ყვავილებსა და მცენარეებს.
გასაკვირი არც იყო მისი ასეთი ინტერესი ბუნების მიმართ, ის
პროფესიით ბიოლოგი იყო და მუშაობდა ერთ-ერთ სამეცნიერო
დაწესებულებაში.

— როდიდან აპირებ გურიაში წასვლას? — შეეკითხა სანდროს
დედა.

— ალბათ, ხვალიდან, დრო რატომ დავკარგო, ბახმარომდე
ტრანსპორტს გავყვები, შემდეგ ფეხით ვივლი, — უპასუხა სან-
დრომ და სამზადისს შეუდგა. მან შეიძინა ყველა ის ნივთი, რა-
საც მთაში სამოგზაუროდ საჭიროდ თვლიდა, მოიმარაგა საგ-
ზალი და ჩააწყო ეს ყოველივე ზურგჩანთაში.

მეორე დღეს ადრიანად ადგა, დედას დაემშვიდობა და ავტო-სადგურისაკენ გაემართა.

ბახმაროსკენ მიმავალ გზაზე თვალს ვერ მოსწყვეტდი ბუნების საოცარ სილამაზეს. ცამდე აზიდული მთები ფერად-ფერადი ყვავილებით იყო მორთული და მოკაზმული, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა სანდროს მთის ანკარა ცივი წყარო-ები, ხშირფოთლოვან ტყეებში უხვად იყო წაბლისა და წიფლის ხეები, თვალს სტაცებდა სანდროს სოკოთა ნაირსახეობა, ის კარ-გად ერკვეოდა სოკოს ავკარგიანობაში და სულ ცოტა ხანში პა-ტარა ჩანთა, რომელიც ფლორის იშვიათობის შესაგროვებლად ჰქონდა წამოლებული სხვადასხვა სახეობის სოკოთი გაავსო.

სანდრო ერთი ადგილიდან მეორეზე ისე გადადიოდა, ისე იყო გართული და მოხიბლული ბუნების ამ ენითაუნერელი სილამა-ზით, რომ ვერ შეამჩნია როგორ მოსალამოვდა. ცოტა დალლაც იგრძნო, მოშივდა კიდეც. იქვე ახლოს, ორ-სამ კილომეტრში პა-ტარა მთის სოფელი იყო. სანდრომ გადაწყვიტა სოფელში ღა-მის გათევა. გამოვიდა ტყიდან და ქვემოთ სოფლისაკენ დაეშვა.

ამასობაში კარგა დრო გავიდა, სოფელს რომ მიუახლოვდა, უკვე ბნელოდა, სახლებიდან მბუუტავი, მკრთალი სინათლე გამოდიოდა, ეტყობოდა ელექტრო ენერგია დროებით, რაღაც მიზეზის გამო გაეთიშათ, რადგან ოჯახებში ლამფები და სან-თლები ენთოთ. სანდრო მიუახლოვდა სოფლის შესასვლელში პირველსავე სახლს, სადაც სანთლის მკრთალი შუქი დალანდა და მასპინძელს დაუძახა. პირველ დაძახილზე არავინ გამოეხ-მაურა, მეორედ უფრო ხმამაღლა შესძახა. კარი გაიღო და გა-მოჩნდა ახალგაზრდა ქალი სანთლით ხელში.

— რომელი ხართ? ვინ გნებავთ? — იკითხა ქალმა, თან სანთ-ლის შუქი სანდროსკენ მიმართა.

— მგზავრი ვარ ქალაქიდან, ავტობუსზე დამაგვიანდა. ნათე-სავი ან ნაცნობი აქ არავინ მყავს, ღამის გათევა მინდა, ქირას გადავიხდი.

— მობრძანდით, ქირა რა საკადრისია! — უპასუხა ქალმა და სანდროს ოთახში შეუძლვა. სანდრომ მოათვალიერა ოთახი, ირგვლივ სისუფთავე და წესრიგი სუფევდა, ჩანდა ოჯახს გამრ-ჯე ადამიანები პატრონობდნენ. თუმცა უკვირდა, რომ ქალის

გარდა სახლში სხვა არავინ იყო. უცებ განათდა იქაურობა,

— როგორც იქნა, მოგცეს შუქი, — წარმოსთქვა ქალმა და სანდრო აათვალ-ჩაათვალიერა, — საიდან ბრძანდებით? — ჰკითხა სანდროს.

— თბილისიდან, შვებულება მაქვს, პროფესიით ბიოლოგი ვარ, ვმუშაობ სამეცნიერო ინსტიტუტში, გადავწყვიტე გურიის მთიანეთის ფლორის იშვიათი ნაირსახეობის შეგროვება და შესწავლა. სანდრო აღარ დაელოდა ქალის შემდგომ კითხვებს და ერთბაშად უპასუხა. სანდრო დარწმუნდა რა სახლში ქალის გარდა არავინ იყო, ცოტა უხერხულობა იგრძნო, მაგრამ წასვლის სურვილი არ ჰქონდა.

— თქვენ სხვაგვარად არ იფიქროთ, მე მხოლოდ ლამეს გავათევ, ხვალ დილიდანვე გავუდგები გზას, ნურაფრის ნუ გეშინიათ, უკადრისს არ გაკადრებთ, ზნეობა და ზრდილობა არ მაკლია, ნამდვილი ჯენტლმენი ვარ, — ღიმილით წარმოსთქვა სანდრომ.

ქალმა გაუღიმა, ეტყობოდა თვალში მოუვიდა სასიამოვნო აღნაგობისა და გარეგნობის, თავაზიანი მამაკაცი.

— დაღლილი ჩანხართ, ალბათ გეშიებათ კიდეც, დაბრძანდით, დაისვენეთ, ახლავე გავაწყობ სუფრას! — თქვა ქალმა და სამზარეულოსკენ წავიდა. ცოტა ხანში ორივე სუფრას მიუჯდა.

— უკაცრავად, მაგრამ თქვენ აქ მარტო ცხოვრობთ? — იკითხა სანდრომ.

— ქმარი 5 წლის წინ გარდამეცვალა ავადმყოფობის გამო, ორი ქალიშვილი მყავს, ისინი თბილისში სწავლობენ, სტუდენტები არიან, აქ მარტო ვარ, ვპატრონობ სახლ-კარს, ღვთის მადლით არ მიჭირს, ჩემი სამყოფი ყველაფერი მაქვს, — უთხრა ქალმა და სევდიანი თვალებით შეხედა სანდროს, რომლისგანაც თითქოს თანაგრძნობას ითხოვდა იმის გამო, მარტო რომ უხდებოდა ცხოვრება.

ქალბატონი ორმოციოდე წლის იქნებოდა, მოხდენილი ტანი და სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა, რატომლაც სანდროს მიმართ ნდობითა და სიმპათიით განეწყო, რამდენიმე ჭიქა გურული „ადესაც“ სიამოვნებით მიირთვა და მოუყვა სანდროს თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდების შესახებ. სანდროც კეთილად განეწყო მის მიმართ და ხშირად ახსენებდა



ქალს თავის თავაზიანობას და ჯენტლმენობას, თუმცა ქალი კაცის ამ თვისებებს უკვე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა და მისი ხალისიანი და მომღიმარი გამოხედვა სხვა რამეს ითხოვდა ამ ჯენტლმენი და სასიამოვნო მამაკაცისაგან.

— უკვე გვიანია, მოისვენე, შეიძლება შეგცივდეთ, აქ მთაა, ღამე ცივა, — ბოლო წინადადება წყნარად წარმოსთქვა ქალმა და სანდროს თვალებში შეხედა.

— არა უშავს, ერთ ღამეს გავძლებ, — უპასუხა სანდრომ.

ქალმა მისაღებ ოთახში, ტახტზე დაუგო ლოგინი, ძილინებისა უსურვა და თვითონ საძინებელ ოთახში გავიდა. სანდრომ ტანთ გაიხადა, ქათქათა შალითში ჩადებული „ადიელა“ დაიფარა, ორივე ხელი თავქვეშ ამოიდო და ფიქრს მიეცა.

უცებ კარი გაიღო, ქალი პერანგის ამარა შემოვიდა ოთახში, ხელში საბანი ეჭირა.

— შეგცივდებათ, აი ესეც დაიფარეთ, — თქვა ქალმა და საბანი დააფარა, თან დაიხარა და გვერდზე საბნის ნაპირები ამოუკეცა, სანდროს ქალის აჩქარებული სუნთქვა ესმოდა, მას შეხსნილი საკინძიდან ბროლივით თეთრი მკერდი უჩანდა.

— ნუ წუხდებით, ქალბატონო! — წამდაუწუმ იმეორებდა სანდრო და ქალს მადლობას უხდიდა, თან უხერხულად გრძნობდა თავს, ვერ გაეგო, ქალის ესოდენ დიდი ყურადღების გამო, როგორ უნდა მოქცეულიყო.

მიხვდა რა ქალი, სანდრო თავის პირობას არ დაარღვევდა, კიდევ ერთხელ უსურვა ძილი ნებისა და უკმაყოფილოდ თავის საძინებელ ოთახში შევიდა.

მშვენიერი, მზიანი დილა გათენდა. ქალი ადრე ამდგარიყო, საქონელი ჯერში გაეშვა და ახლა ქათმებს უყრიდა საკენკს. სანდრომ 7 მამალი დათვალა და გაკვირვებულმა ჰკითხა ქალს, — ამ 10 დედალს განა ერთი ან ორი მამალი არ ეყოფა? 7 მამალი რად გინდათ?

ქალმა ქვემოდან ღიმილით ამოხედა სანდროს და უპასუხა, — ამ შვიდიდან ერთი არის მამალი, დანარჩენები ჯენტლმენები არიან. სანდროს გულში ჭვალმა გაჰკრა, ქალს თვალი მოარიდა და ოთახში შევიდა. ცოტა ხანში ის თავისი ბარგი-ბარხანით სახლის ჭიშვართან იდგა, ემშვიდობებოდა დიასახლისს და თავაზიანად მადლობას უხდიდა ღამის გათევისათვის.

პრშემდგარი პაემანი

იმ წელიწადს დიდი კონკურსი იყო პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ისტორიის ფაკულტეტზე, სამი გამოცდის შემდეგ აბიტურიენტთა რაოდენობა მოსალოდნელზე მეტი დარჩა, მიმღებმა კომისიამ თავმჯდომარის უშუალო მითითებით მიიღო გადაწყვეტილება, რაც შეიძლება მკაცრად, მაგრამ სამართლიანად ჩაეტარებინათ მეოთხე გამოცდა, ვინაიდან 50 ადგილზე 270 აბიტურიენტი აცხადებდა პრეტენზიას. ჩასაბარებელი საგანი მხოლოდ უცხო ენა იყო დარჩენილი, გარდა ამისა აბიტურიენტთა შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც დაბალი ქულები დააგროვა, მაგრამ უმეტესობას ან ლიმიტი ჰქონდა სოფლიდან ან ჯარგამოვლილი იყო ან კიდევ წარმოებაში 2 წლის მუშაობის სტაჟი. ამ კატეგორიის აბიტურიენტებს, მიუხედავად დაბალი ქულებისა, ინსტიტუტში ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებოდათ.

გია ზემოთ ჩამოთვლილი პირობების შეღავათებით არ სარგებლობდა, ამიტომ მას მაღალი ქულები უნდა დაეგროვებინა, რათა ინსტიტუტში ჩარიცხულიყო. წინა სამ გამოცდაში, როგორც მოელოდა, ისე ვერ გამოიჩინა თავი, მაგრამ არც ცუდი ნიშნები ჰქონდა მიღებული. მის სტუდენტად გახდომას წყვეტდა უცხო ენის (გერმანულის) გამოცდა, რაშიც აუცლებლად ხუთიანი უნდა მიეღო, წინააღმდეგ შემოხვევაში ვერ ჩაირიცხებოდა.

გიამ ბილეთის სამივე კითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცა, შემდეგ დამატებით კითხვებსაც უპასუხა, გამომცდელებმა უყოფა მანოდ მიიღეს გადაწყვეტილება მისთვის „კარგი“ დაწერათ.

გიას ეს ნიშანი მისი სტუდენტად გახდომის გარანტიას არ აძლევდა, ამიტომ მოითხოვა კომისიის თავმჯდომარესთან გამოცდის ხელახლა ჩაბარება მაღალ ნიშანზე. გამომცდლებმა გია და მაღალ ნიშანზე პრეტენზიის მქონე რამდენიმე აბიტურიენტი ცალკე აუდიტორიაში გაიყვანეს, სადაც უნდა დალოდებოდნენ კომისიის თავმჯდომარეს.

არ გასულა დიდი ხანი და მიმღებ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარესთან ერთად აუდიტორიაში, სადაც გამოცდე-

ბი მიმდინარეობდა, მოპრძანდა ინსტიტუტის რექტორი – ბატონი გელა ბანძელაძე. გამომცდელები ფეხზე წამოდგნენ და მიესალმნენ პატივცემულ რექტორს. ბატონი გელას მოთხოვნით აუდიტორიაში შემოიყვანეს ის სამი აბიტურიენტი, რომლებიც მაღალ ნიშანზე აცხადებდნენ პრეტენზიას.

გია მიიწვიეს საგამოცდო მაგიდასთან.

– ქალბატონო ელენე! – მიმართა რექტორმა ერთ-ერთ გამომცდელს, – ამ ახალგაზრდამ როგორ გიპასუხათ. გამართლებულია მისი მოთხოვნა მაღალ ნიშანზე?

– ბატონო გელა, ბილეთის ყველა კითხვას უპასუხა, ასევე დამატებით კითხვებსაც მაღალ დონეზე, უშეცდომოდ გასცა პასუხები.

– კეთილი! – წარმოსთქვა რექტორმა და გამომცდელს მიმართა:

– პროგრამული მასალიდან აღარ არის საჭირო შეკითხვები, ისაუბრეთ თავისუფალ თემაზე, მისი ოჯახისა და ინტერესების შესახებ!

ქალბატონი ელენე მოკლე შეკითხვებს აძლევდა გიას, თუ რით იყო დაინტერესებული, რა იყო მისი ჰობი და სხვა. გია დინჯად, უშეცდომოდ პასუხობდა გერმანულად, გამომცდელს და თან ინტერესით უმზერდა რექტორს.

– საკმარისია! – წარმოსთქვა ბატონმა რექტორმა. მივიდა გიასთან, გაუღიმა, ხელი ჩამოართვა და მოეფერა. შემდეგ მიუბრუნდა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს,

– ბავშვი მშვენივრად მეტყველებს გერმანულად, დაუწერეთ ფრიადი და გაუშვით. კომისიის თავმჯდომარემაც სიხარულით მიულოცა ფრიადის მიღება გიას და შემდგომში წარმატებები უსურვა. გახარებულმა გიამ სირბილით ჩამოირბინა ინსტიტუტის კიბეები და გარეთ ხალხში გაერია, – რა მიიღე, ახალგაზრდავ? – ეკითხებოდნენ აქეთ-იქიდან გიას. ის სიხარულის-გან იმდენად იყო აღელვებული, რომ ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა, ისლა შესძლო, მარჯვენა ხელის მტევანზე ხუთივე თითო გაშალა და ასე დააკმაყოფილა მათი ინტერესი.

– პირველი ხუთიანი, პირველი ხუთიანი, – ისმოდა შეძახილები და საქებარი სიტყვები გიას მისამართით.

— დედა, ხუთიანი მივიღე, მომილოცე, უკვე სტუდენტი ვარ! — უთხრა გახარებულმა გიამ დედას, რომელიც ბოლო საგამოცდო ნიშნის მოლოდინში სახლში ველარ გაჩერებულიყო, გარეთ სკამზე იჯდა და შვილს ელოდა.

— დიდება უფალს, რომ ამ დღესაც მომასწრო! — სთქვა დედამ, თვალებზე მომდგარი სიხარულის ცრემლები მაჯით მოიწმინდა და შვილი გულში ჩაიკრა.

— დედა, ხვალვე წავალ სოფელში დეიდასთან. აქ, ამ სიცხეში რაღა გავაკეთო, მათაც გაუხარდებათ სტუდენტი რომ გავხდი.

— წადი შვილო, მაგრამ სიებს არ დაელოდები?

— სიები თვის ბოლომდე არ იქნება, დღეს უცხო ენის გამოცდაზე ინსტიტუტის რექტორი გვესწრებოდა. ჩემი პასუხის შემდეგ მისი მითითებით დამიწერეს ხუთიანი და თან სტუდენტობაც მომილოცეს.

მეორე დღეს გიამ სპორტულ ჩანთაში ჩააწყო გამოსაცვლელი ტანსაცმელი და ავტოსადგურისაკენ გაეშურა.

ფშაველი თელავის რაიონის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. განსაკუთრებით ლამაზია მდინარე სტორის ხეობა და ამ ხეობაში წმინდა გიორგის ეკლესია. ზაფხულობით აქ უამრავი დამსვენებელი იყრის თავს სხვადასხვა ქალაქებიდან თუ სოფლებიდან. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ახალგაზრდების სიმრავლე. დამთავრდებოდა თუ არა სასწავლო წელი, მოსწავლეები და სტუდენტები ხალისით ატარებდნენ დროს ბუნების იშვიათი სილამაზით შემკულ კახეთის ამ მშვენიერ სოფელში.

— გია, წამოდი ბებიაჩემთან გადავიდეთ, დღეს ჩემი მამიდაშვილი ნათია უნდა ჩამოსულიყო თბილისიდან, — უთხრა თამაზმა თავის დეიდაშვილს.

— ნათია? — წყნარად წარმოსთქვა გიამ, — ჰო, წავიდეთ. რამდენი წელია არ მინახავს. ბოლოს 8 წლის წინ ვნახე აქ, სოფელში. მაშინ სკოლის მოსწავლე იყო.

— ახლა მუსიკალურში სწავლობს, იცი რა გოგოა? — უთხრა თამაზმა...

— ხომ იცნობ, ეს გიაა, — წარუდგინა თამაზმა თავისი დეიდაშვილი ნათიას.

— როგორ არ ვიცნობ! მაგრამ ძალიან შეცვლილია, რამდენი



წელია არ მინახავს, — თქვა ნათიამ, გიას ხელი გაუწოდა მისალმების ნიშნად და თბილად გაუღიმა. გია განცვიფრებული იყო ნათიას სილამაზით. მას ხომ ის სუსტი, გაჩხიკული, ანჩხლი და ჭირვეული ახსოვდა წლების უკან. ეხლა მის ნინ იდგა მაღალი, მოხდენილი ტან-ფეხის, შავი, ლამაზი თვალ-წარბით და გრძელი, ფაფხულა წამწამებით დამშვენებული ქალიშვილი, რომლის მრავლისმეტყველი გამოხედვა ნუსხავდა გიას.

დარო ბაბომ ახალგაზრდა სტუმარი სიხარულით მიიღო, მოეფერა და სახლში შეიპატიუა.

— ნათია, მარანში ცივი საზამთრო და ნესვია, გამოიტანე და დაჭერი, თამაზ, შენ არაყი ჩამოასხი! რა უცხოსავით იქცევი, აჲა, გამომართვი ბოთლი! — შეუტია ბაბომ თავის შვილიშვილს.

მეორე დღეს დილიდანვე გადმოვიდა ნათია ბიცოლასთან. ბიჭები ადრიანად წასულიყვნენ და ვენახს რწყავდნენ, შუადლისით სახლში მოპრუნებულებს ნათია და ელისო სამზარეულოში დახვდნენ.

— თამაზ, შემოდი სამზარეულოში. ნახე, რა სუნი ტრიალებს, რა გემრიელ საჭმელს ამზადებენ გოგოები, — უთხრა გიამ დეიდაშვილს. თამაზი სამზარეულოში შევიდა, ქვაბს სახურავი ახადა და შიგ ჩაიხედა.

— დღეს რა მოგვიმზადე, ლამაზო? — მოეფერა თამაზი ნათიას.

— ქათმის ჩახოხბილი და სალათები.

— შეიძლება გავსინჯო? — გვერდით ამოუდგა გია ქალიშვილს.

— რატომაც არა! — უპასუხა ნათიამ.

— რა გემრიელია, თითებს ჩაიკვნეტ, შენ მარტო გემრიელი კერძების მომზადება იცი თუ სხვა რამეც გეხერხება? — გამომწვევად ჰკითხა ვაუმა ქალიშვილს.

— სახლსაც დიდებულად ვალაგებ, — უპასუხა ნათიამ და ვაუს გაუღიმა.

— შეუდარებელი დიასახლისი იქნები! — უთხრა გიამ.

— რატომაც არა! — გაეპრანჭა ქალიშვილი გიას და გაზქურა გამორთო.

იმ უბანში, სადაც გია იმყოფებოდა დეიდასთან, სხვაც ბევ-

რი სტუმარი იყო. ახალგაზრდები საღამოობით იკრიბებოდნენ წყაროსთან, ხუმრობდნენ, ჰყვებოდნენ ანეკდოტებს და დროს მხიარულად ატარებდნენ. მართალია სოფლის კლუბში თითქმის ყოველ დღე აჩვენებდნენ კინოს, მაგრამ ქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებს მობეზრებული ჰქონდათ ინდური ფილმების ყურება, ამიტომ კინოში წასვლას წყაროსთან ყოფნა, ხუმრობა და დროსტარება ერჩიათ. გია თავისი გონებამახვილობით და ენაკვიმატობით გამოირჩეოდა სხვებისგან. მის მონაყოლ ანეკდოტსა თუ ამბავს ყურადღებით უსმენდნენ, ხოლო როცა დაამთავრებდა მოყოლას, გოგო-ბიჭები იქაურობას გამაყრუებელი სიცილ-ხარხარით იკლებდნენ.

დრო გადიოდა, გია და ნათია ისე შეეჩივნენ ერთმანეთს, რომ სულ ერთად იყვნენ. გამოსდებდა ხელკავს გოგო ვაჟს და ხან მდინარეზე მიდიოდნენ, ხან წმინდა გიორგის სალოცავში, ხან სად და ხან სად...

იმ დღესაც მდინარის პირას იყვნენ ჩასულები. ნათიამ გიშერივით შავი, ლამაზი თვალებით განაწყენებულმა შეხედა ვაჟს და უთხრა:

— წუხელის შენთვის თვალი არ მომიშორებია. რას გეკეკლუცებოდა ის იყალთოელი გოგო, მე მგონი არც შენ იყავი გულგრილი მის მიმართ. შუბლზეც კი აკოცე, — ჩაილაპარაკა ნათიამ. გიამ არ უპასუხა, ქვაზე ჩამოჯდა და მდინარეში კენჭების სროლა დაიწყო.

ნათიაც განმარტოვდა, მოძებნა პატარა ჯოხი და ქვიშაზე გული დახატა. გულზე ჯვარედინად ისრები დაახატა და ქვემოთ მიუწერა — გიას მივუმატოთ ასმათი უდრის შეყვარებულებს.

— რას აკეთებ? — მიუხალოვდა გია, — შენ ხატვაც გცოდნია! გული კარგად დაგიხატავს, მინაწერი კი შეცდომით გაგიკეთებია. შენს სასწავლებელში ქართულს არ გასწავლიან? რატომ უშვებ ასეთ უხეშ შეცდომას, თუ ნებას მომცემ შეცდომას გავასწორებ.

ნათია გაკვირვებული უყურებდა ხან გიას, ხან თავის დაწერილს, მაგრამ ვერ გაეგო სად დაუშვა შეცდომა.

— თუ ასეთი გენიოსი ხარ, გაასწორე! — მისცა უფლება ნათიამ. გია მივიდა ნაწერთან, შიშველი ფეხით წაშალა ასმათი და

საჩვენებელი თითით, დიდი ასოებით ნათია დაწერა. გოგოს შეცდომის გასწორება ესიამოვნა, სახეზე სიმორცევემ გადაპ-კრა, ვაუს მადლიერი თვალებით შეხედა, ხელი მოჰკიდა და ასე ხელჩაკიდებულები გადავიდნენ მდინარის მეორე მხარეს, საი-დანაც მთაზე ასასვლელი პატარა ბილიკით წმინდა გიორგის ეკლესიისაკენ გაემრთნენ...

— მაყვალ ქალო, აბა აქეთ მოიხედე! — სიტყვა დააწია ვენახში მიმავალ მაყვალას მისმა მეზობელმა ანიჩკამ.

— ჴო, გისმენ, რა უნდა მითხრა? — მიუბრუნდა მაყვალა მეზო-ბელს.

— რა და, ის შენი დისშვილი და მულისშვილი ისე ეკურკუ-რებიან ერთმანეთს, ფრთხილად იყავი, შარში არ გაგხვიონ.

— ვერ გავიგე, რა შარზე მელაპარაკები!

— რა შარზე და ის შველივით გოგო თუ ჩაიგორა ლოგინში შენმა დისშვილმა, მერე ვიშვიში აღარაფერს გიშველის! მე ჩემი გითხარი, დანარჩენი კიდევ შენ იცოდე, — გააფრთხილა მეზო-ბელმა.

— აბა რეებს ლაპარაკობ? — წყენით გაეპასუხა მაყვალა ანი-ჩკას. შემდეგ ჩაფიქრდა, — ბალდებს თუ ერთმანეთი მოსწონთ, მე რას დამეკითხებიან, თუ ერთმანეთი უნდათ, გვარით არიან ერთნი თუ სისხლით, ეს რა ცოდვაა ვერ გავიგე? — ჩაილაპარაკა თავისთვის მაყვალამ და ვენახისაკენ გადაუხვია.

დრო შეუმჩნევლად გადიოდა, ამასობაში ზაფხულიც მიი-ლია. სოფლიდან ნელ-ნელა დაიწყეს გამგზავრება ჩამოსულმა სტუმრებმა. ნათიაც და გიაც უნდა დაბრუნებულიყვნენ ქალაქ-ში. გია მოუთმენლად ელოდა პირველ სექტემბერს, მის ცხოვრე-ბაში ხომ ახალი ხანა იწყებოდა.

ნათია მუსიკალური ტექნიკუმის მეორე კურსის სტუდენტი იყო. ისიც მოუთმენლად ელოდა მეგობრებთან შეხვედრას და თბილისში წამოსასვლელად ემზადებოდა.

— ნათია, მე შენ ისე შეგეჩვიე, რომ უშენოდ ძალიან გამი-ჭირდება, — უთხრა დამშვიდობებისას ვაუმა ქალს.

— გაგიჭირდება და მნახე. რა შორს ჩვენა ვართ, ერთ ქალაქში არ ვცხოვრობთ?!

— რახან ასეა, პაემანს გინიშნავ. მოდი, პირველ სექტემბერს 3

საათზე პუშკინის სკვერში დაგელოდები, შენი სასწავლებელი ხომ იქვეა, ახლოს, შორი გზის გავლა არ დაგჭირდება.

— კარგი, აუცილებლად მოვალ! — უთხრა ნათიამ გიას, შემდეგ მოეხვია და ლოყაზე აკოცა. გიამ ლოყაზე კოცნითვე უპასუხა ქალიშვილს და დაემშვიდობა.

პირველ სექტემბერს უამრავ ხალხს მოეყარა თავი ინსტიტუტის ეზოში. ახალგაზრდები ერთმანეთს ულოცავდნენ უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას. იმ დღეს ლექციები თითქმის არ ჩატარებულა, აუდიტორიებში შემოსული ლექტორები მხოლოდ გაცნობითი ხასიათის საუბრებით შემოიფარგლნენ, უხსნიდნენ ახალგაზრდებს სტუდენტის უფლება-მოვალეობებს, ულოცავდნენ და კეთილი სურვილებით მოძღვრავდნენ მათ.

გიაც გაეცნო თავის თანაკურსელებს. ბედნიერ ახალგაზრდებს გადაეწყვიტათ თავიანთ ცხოვრებაში ეს მეტად ამაღლელებელი დღე რესტორანში აღენიშნათ.

— ბიჭებო, ბოდიშს მოგიხდით, მე ვერ წამოვალ. დღეს მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს. უნდა მომიტევოთ, სხვა დროს სიამოვნებით, მე თვითონ დაგპატიუებთ, — უთხრა გიამ თავის ახალმეგობრებს და ნათიასთან შესახვედრად გაემართა.

გია მოუთმენლად ელოდა სამი საათის შესრულებას. ის ერთი საათით ადრე მივიდა პუშკინის სკვერთან, დრო თითქოს გაჩერდა, აღარ გადიოდა, ერთი საათი საუკუნედ ეჩვენებოდა. ბოლოს, როგორც იქნა დადგა სანატრელი შეხვედრის დრო, მაგრამ ნათია არ ჩანდა.

— ხომ არაფერი უჭირს? იქნებ რაიმე შეემთხვა? — ფიქრობდა გია და წამდაუწუმ საათს დაპყურებდა. თავს იმით ინუგეშებდა, რომ ქალებს დაგვიანება უკვართ, მერე რა თუ 15-20 წუთი, თუნდაც ნახევარი საათი კიდევ მაცდევინოს, მაგრამ ნათია არ გამოჩნდა, უკვე საათზე მეტ ხანს ელოდა ვაჟი ქალიშვილს.

— წავალ, სასწავლებელში ავაკითხავ, აქვე არ არის? — თქვა გიამ, წამოდგა და სასწავლებლისკენ გაემართა. გიამ მოძებნა სასწავლებელში მეორე კურსის სტუდენტები. თანაკურსელებმა უთხრეს ვაჟს, რომ ნათია დღეს საერთოდ არ უნახავთ სასწავლებელში.

ნეტიავ რა დაემართა? ფიქრობდა გია და ვერ გაეგო რატომ არ მოვიდა ნათია პაემანზე.

ორი კვირის შემდეგ გიამ შეიტყო თავისი დეიდაშვილისგან, რომ პირველ სექტემბერს, ნათია ჯანმრთელად იყო და არც არა უჭირდა რა. იმ დღეს თავისი დაქალის დაბადების დღეზე წასულიყო, რატომლაც დავიწყებოდა პუშკინის სკვერში გიასთან რომ ჰქონდა პაემანი, ქალიშვილის ამ უცნაურმა ქმედებამ გია გაანაწყენა, ის თავს შეურაცხყოფილად თვლიდა და მას შემდეგ ალარ უცდია ნათიასთან შეხვედრა.

გავიდა წლები, გიამ წარმატებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, გონიერ ახალგაზრდას დაუფასდა სწავლაც და შრომაც. ის ერთ-ერთი სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელი გახდა. ოჯახიც სანიმუშო შექმნა და ბედს არ ემდუროდა. იმ არშემდგარი პაემანის შემდეგ გიას ნათიასთან შეხვედრის სურვილი ალარ ჰქონია.

ნათიამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სამუსიკო სკოლაში, მასწავლებლად, ჰყავდა შეყვარებული და მასზე გათხოვებას აპირებდა, მაგრამ სრულიად უმნიშვნელო მიზეზის გამო წაეჩხუბებენ ერთმანეთს. ამ შემთხვევით ისარგებლა ნათიას მეზობელმა სომეხმა ქალმა ანეტამ, რომელსაც დიდი ხანია თვალი ჰქონდა დადგმული ამ მშვენიერი გოგოსათვის და დღედაღამ ელაპარაკებოდა ერევანში მცხოვრებ თავის ძმისშვილ რაფიკაზე. მისი ძმის შეძლებული ოჯახისათვის ის სწორედ რომ სასურველი რძალი იქნებოდა, თუმცა ნათიას გაგონებაც არ სურდა ერევანში გათხოვებაზე.

ნათიამ შეყვარებულთან მომხდარი კამათის გამო გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, მამიდასთან სტუმრად ჩასულ რაფიკას ჩაუჯდა მანქანაში და ერევანში გაჰყვა...

სამი შვილი შეეძინა ნათიას. იშვიათად, მაგრამ მაინც ჩამოდიოდა თბილისში მშობლების სანახავად. ერთ დღეს მისმა მამამთილმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა, გაურიგდა არა-საიმედო მეწარმეებს და მათთან ერთად წამოიწყო ბიზნესი, რაც ფული და უძრავი ქონება ჰქონდა, საქმეში ჩადო, საქმე ჩაუვარდა და ნათიას მამამთილი არათუ სრულიად გაკოტრდა, არამედ დიდ ვალებში გადავარდა. უზომოდ გაუჭირდა ოჯახს,

ამას თან მოჰყევა მამამთილის გარდაცვალება და მისი ვალები ნათიას მეუღლეს – რაფიკას გადასახდელი გახდა...

– გია, დღეს ნათია ჩამოდის ერევნიდან. არ გინდა ნახო? – უთხრა თამაზის დამ ელისომ თავის დეიდაშვილს, გია ერთხანს ჩაფიქრდა, შემდეგ წყნარად წარმოსთქვა – როგორ დაიღუპა ამ ლამაზმა გოგომ თავი, რა უნდოდა ერევანში. – კარგი, წავიდეთ მამიდაშენთან, მაინტერესებს როგორ გამოიყურება, შეიცვალა თუ არა გარეგნულად. თითქმის ოც წელზე მეტია არ მინახავს, – უთხრა გიამ დეიდაშვილს და ორივე სვანეთის უბნისაკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსში ჩასხდნენ.

– ნათია, ეს გიაა, ვერ იცანი? – უთხრა ელისომ ნათიას.

ნათია მოულოდნელობისაგან დაიბნა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, ცხოვრების სიდუხჭირეს მის გარეგნობაზეც დაემჩნია კვალი. სახე დანაოჭებოდა, ადრე მუდამ კოპწია და მოხდენილად ჩატმის მოყვარულს, ეხლა მისი უგემოვნო ტანსაცმელი, საკმაოდ შეცვლილ გარეგნობასთან ერთად, არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. ერთადერთი, რაც გიას ისევ შეუცვლელად ეჩვენა, იყო მისი ალერსიანი, შეუდარებელი ღიმილი.

– გია, შენ თითქმის არ შეცვლილხარ, ისევ კოხტად და ახალგაზრდულად გამოიყურები, უფრო დამშვენებულხარ. როგორც ჩანს, ბედს არ ემდური, – სასიამოვნო კომპლიმენტებს არ იშურებდა ნათია გიასთვის.

– ჰო, ბედს ნამდვილად არ ვემდური. სასაყვედურო არა მაქვს რა.

– გია, ნათია, ერთი იდეა მაქვს, მოდით მომავალ კვირას ჩვენთან წავიდეთ სოფელში. დედაჩემს გაუხარდება თქვენი ნახვა. სულ იმას ჩივის: მოვხუცდი, დამივიზყეს, ჩემთან აღარავინ ჩამოდისო, – თქვა ელისომ და პასუხის მოლოდინში გაირინდა.

– წავიდეთ, ჩემი მანქანით წაგიყვანთ, შაბათ-კვირას თავისუფალი ვარ, ძალიან მინდა ვნახო დეიდაჩემი, თანაც ჩემს ახალგაზრდობას გავიხსენებ, სოფელ ფშაველს, რომელსაც ჩემი წარსულის ყველაზე სასურველი და სასიამოვნოდ გასახსენებელი დღეები უკავშირდება, – სიხარულით წარმოსთქვა გიამ და ნათიას მიაჩერდა. ნათიამ გიას და ელისოს მადლიერი, დიდრონი თვალებით შეხედა, ორივეს გაუღიმა და წარმოსთქვა:

— მე იმ შაბათს ისედაც უნდა ჩამოვსულიყავი თბილისში, სიამოვნებით მივიღებ თქვენს წინადადებას, მეც ძალიან მომენატრა სოფელი, ბიცოლასაც ვნახავ, — წარმოსთქვა სიხარულისაგან სახეგაბადრულმა ნათიამ და ორივეს მოეხვია. მეორე დღეს წათია გაემგზავრა ერევანში, თან უხაროდა, რომ შემდეგი კვირისათვის ისევ ჩამოვიდოდა თბილისში, რათა ელისოსთან და გიასთან ერთად სოფელში წასულიყო.

შაბათს გიამ თავისი თეთრი „ვოლგა“ კიდევ ერთხელ შეამოწმა შორი მგზავრობისთვის და ელისოს ტელეფონის ზარს დაელოდა.

— გია, ჩვენი სოფელში წასვლა ვერ გვიხერხდება, წათია ვერ ჩამოვიდა ერევნიდან.

— ხომ არაფერი შეემთხვა, მოხდა რამე? — ჩასძახა ყურმილში გიამ ელისოს.

— არაფერიც არ მოხდა, წათია ჯანმრთელად არის, უბრალოდ, თბილისში წამოსასვლელი გზის ფული ვერ იშოვა.

გიას გულწრფელად დაენანა წათია, ტელეფონი გათიშა და სამგზავროდ გამზადებული „ვოლგა“ ისევ გარაჟში შეიყვანა.

წაფხული პეტედი

ზაფხულის მცხუნვარე მზე უხვად ჰქონდა მწველ სხივებს ზღვის სანაპიროს, სადაც უამრავი დამსვენებელი ცხელ ქვიშაზე ნებივრობდა და სხეულს ირუჯავდა. ადგილობრივებს მობეზრებული ჰქონდათ მთელი დღე ზღვაში ბანაობა, ამიტომ ისინი ბანაობას ქეიფს ამჯობინებდნენ.

საღამოხანს, პლაჟიდან ცოტა მოშორებით, გუდაუთელ რაჭველებს მზის საჩრდილობელი დიდი ქოლგის ქვეშ სახელდახელოდ გაეშალათ პურ-მარილი, ცივი ღვინით სავსე ბოთლები მაგიდის ქვეშ დაედგათ და განსხვავებული სასმისებიც მოემარაგებინათ.

— შეხედეთ, ბიჭებო! ეს პეტროვიჩი არ არის, ჩვენი მეზობლის — კაკულის სტუმარი? — წარმოსთქვა გურამმა და მათკენ მომავალი მამაკაცისაკენ მიმართა მზერა, რომელსაც პატარა ბიჭისათვის ხელი ჩაეკიდა და პლაჟს მოუყვებოდა.

— სტუმარი კი არა, მგონი ეგეც გუდაუთელი გახდა. უკვე ხუთი წელია, დაიწყება თუ არა ზაფხული, ჩამოდის აქ ცოლთან ერთად და თითქმის სეზონის ბოლომდე რჩება გუდაუთაში, — თქვა ბეგლარმა.

ანდრეი პეტროვიჩი ექიმად მსახურობდა ვლადივოსტოკის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში. ის ჩინით პოლკოვნიკი გახდათ და ამასთან დივიზიის სამედიცინო ნაწილის ხელმძღვანელიც იყო. ამ სამხედრო ნაწილში მსხურობდა ახალგაზრდა ქართველი ექიმი, კაკულის უმცროსი ვაჟიშვილი — ავთანდილ სხირტლაძე, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა სამხედრო სამედიცინო ინსტიტუტი და განაწილებით იყო მოხვედრილი ვლადივოსტოკში.

მოკლედ, ანდრეი პეტროვიჩი გახლდათ ავთოს უფროსი. ის ყოველ წელიწადს ჩამოდიოდა გუდაუთაში მეუღლესთან ერთად. კაკული დიდი პატივისცემით იღებდა ოჯახში თავისი შვილის უფროსს და კარგადაც უმასპინძლდებოდა. თავის მხრივ, პეტროვიჩიც დიდად სწყალობდა ქართველ ექიმს ვლადივოსტოკში.

პოლკოვნიკს შვილი არ ჰყავდა, თუმცა ძალიან უყვარდა

ბავშვები, თითქმის ყოველ საღამოს დაასეირნებდა კაცულის უფროს შვილიშვილს ლევანს სანაპიროზე.

— პეტროვიჩ, ჩვენთან მობრძანდით, სუფრა დაგვილოცეთ! — გასძახა ბეგლარმა სტუმარს და თან განსხვავებული სასმისი-ლუდის კათხა მიაწოდა. პეტროვიჩს დიდი თხოვნა-პატიჟი არ დასჭირვებია, რადგან ქართულ სტუმართმოყვარეობას ნაზი-არები გახლდათ. სუფრასთან თუ არ მივიღოდა, იცოდა უპა-ტივცემულობაში ჩაუთვლიდნენ ქართველები. თუმცალა, ამ ადათ-წესის გარეშეც სიამოვნებით მიიღებდა ამ შეთავაზებას, რადგან სასმელისადმი მიდრევილება ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ამხანაგ პოლკოვნიკს, რის გამოც მას ცოლისგან ბევრჯერ მიუღია ალიყური.

მაღალი, ზორბა, ჯან-ღონით სავსე კაცი იყო პეტროვიჩი. მან მოქეიფებს თავაზიანად სამხედრო საღამი მისცა და ღვინით სავსე კათხა ჩამოართვა, თვალისდახამხამებაში გამოსცალა და ისევ ბეგლარს გაუწოდა, თან თვალს არ აშორებდა. ბეგლარ-მა შენიშნა პეტროვიჩის დაუინებული მზერა და მიხვდა, რომ სტუმრისათვის ერთი კათხა ღვინის დალევა მხოლოდ საღერღე-ლის აშლა იყო. მან ვეღარ გაუძლო პეტროვიჩის მავედრებელ მზერას, რომელიც მიანიშნებდა — ეს ერთი კათხა რას მეყოფა, თუ მადლსა შვრები, მარილიც მოაყარე და მეორეც დამისხიო.

ბეგლარმა გაალიპლიპა სასმისი და პეტროვიჩს გაუწოდა. სტუმარს თვალები გაუბრნებინდა, მადლობა გადაიხადა და სას-მისი სულმოუთქმელად გამოსცალა ისე, რომ ლუკმაც არ მიუ-ყოლებია.

— მაგარი კაცი ყოფილხარ, პეტროვიჩ! — მიაძახა ბეგლარმა და კვლავ შესთავაზია ღვინის დალევა.

— თუ დალევაა, ბარემ ისე დავლევ, რომ ლირდეს, — უპასუხა სტუმარმა.

— რას გულისხმობ? — ვერ მიუხვდა ბეგლარი. იქვე ახლოს ემა-ლის ვედრო იდგა, რაშიც ბიჭებს ცოცხალი თევზი მოეხარშათ,

— სანაძლეოს ჩამოვდივარ, აი ის ვედრო გაავსეთ ღვინით და ორ მოყუდებაზე ბოლომდე დავცლი, — უთხრა პეტროვიჩმა.

— ხუმრობ? — გაიკვირვა მასპინძელმა.

— არა! სერიოზულად ვამბობ. თუ ამ ვედროს დავცლი, ეგ

ოქროს ბეჭედი, შენ რომ შუათითზე გიკეთია, ჩემი იქნება. თუ ვერა, აი ეს ჩემი ბეჭედი, რომელიც შენს ბეჭედზე უფრო ძვირფასია, შენი იყოს.

მოქეიფები გამხიარულდნენ. ბეგლარს ვერ გადაეწყვიტა, დათანხმებოდა თუ არა პეტროვიჩის წინადადებას.

— მართლა რომ დალიოს, ბეჭედსაც წაიღებს და ჩვენც ხასამშრალს დაგვტოვებს, — ამბობდა ბეგლარი. ბიჭები კი აგულიანებდნენ.

— ხომ ხედავ თვალები როგორ უჟუჟუნებს, უკვე მთვრალია. ამ ვედროს დამლევი ეგ არ არის! — არ ცხრებოდნენ ბიჭები.

— რაც არის, არის! გავრისკავ! — თქვა ბეგლარმა და პეტროვიჩის ხელი დაურტყა, — ოლონდ თუ დალევ, უნდა შეირგო. თუ გული აგერია, წაგებული ხარ! — უთხრა ბეგლარმა სტუმარს.

— მოსულა! უპასუხა პეტროვიჩმა.

ბიჭებმა ჩაციებული „პერეთის“ ბოთლები ერთმანეთს მიყოლებით ჩაცალეს ვედროში და ლვინით სავსე ემალის ვედრო პეტროვიჩს მიართვეს.

მოქეიფები გაირინდნენ. ყველა უხმოდ მისჩერებოდა პეტროვიჩს და საოცარი მოვლენის მოლოდინში იყო. პატარა ლევანი, რომელიც პეტროვიჩს ახლდა, გაკვირვებული შეჰყურებდა რუს ძიას, რომელსაც ლვინით სავსე ვედრო უნდა დაელია.

პეტროვიჩმა ღრმად ამოისუნთქა, ვედრო ორივე ხელით აიტაცა და სმა დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ ვედრო მაგიდაზე დადგა და საჭმელს მიეტანა. პური მოტეხა, მშრალად მოხარშული ძროხის ხორცის რამდენიმე ნაჭერი მიირთვა და ისევ მოიყვადა ვედრო.

— ამბოსი, მგონი დავიღუპე, ბოლომდე სვამს ეს შობელძალული ლვინოს, წამგლეჯს სიდედრის ნაჩუქარ ბეჭედს. რა ვუთხრა ჩემს სიდედრს თათულის, ბეჭედს რომ ვეღარ ნახავს ჩემს თითზე? სანაძლეო წავაგე ერთ რუსთან-მეთქი! მოდი, სანამ ვედრო ბოლომდე არ დაუცლია, წადი, მანქანაში ლუმელი ჩართე და ოთხივე კარის მინა ბოლომდე ასწიე. შიგ რომ ჩაჯდება, იქნება ვერ გაუძლოს სითბოს და გული აერიოს.

ამბოსი შეუმჩნევლად ადგა მაგიდიდან, მანქანისკენ წავიდა, ჩართო ლუმელი და ოთხივე კარის მინები ბოლომდე ასწია.

პეტროვიჩმა ორი მოყუდებით ბოლომდე გამოსცალა სავსე ვედრო, პატარა ლევანს ხელი მოჰკიდა და მოქეიფებს შეუძახა.

— ახლა მანქანით სახლში წამიყვანეთ, ბიჭებო, პირობა პირობაა, სანაძლეო ხომ მოვიგე, — უთხრა პეტროვიჩმა მასპინძლებს და ლევანთან ერთად მანქანისკენ გაემართა.

კარი გააღო თუ არა, მიხვდა სალონში რომ ბუღი ტრიალებ-და და ბეგლარს მიმართა:

— ღუმელი გამორთეთ! კარებები გააღეთ და სალონი გაანიავეთ! — გასცა მხედრული ბრძანება პეტროვიჩმა.

სტუმარი და მასპინძლები განიავებულ მანქანაში ჩასხდნენ. პეტროვიჩმა სამართლიანად მოითხოვა ნიძლავის ჩაბარება, ბეგლარმაც უსიტყვოდ გაიძრო შუათითიდან დაბადების დღეზე სიდედრის მიერ ნაჩუქარი, თორმეტგრამიანი ოქროს ბეჭედი და პეტროვიჩს გადასცა.

მანქანა პოლკოვნიკის მასპინძლის სახლთან გაჩერდა. ეზოში კაკულის მეუღლე — ნინო და პეტროვიჩის ქალბატონი, ფაშაშა დედაკაცი — აქსანა ყვავილებს რწყავდნენ. მანქანის ხმაურზე ორივე ქალბატონი გარეთ გამოვიდა. მანქანიდან მძიმედ, ხვნეშა-ხვნეშით გადმოვიდა პეტროვიჩი. აქსანამ კარგად იცოდა ქმრის ხასიათი, მისი ქმარი სხვებთან შედარებით კარგად იტანდა სასმელს, მაგრამ თუ უზომოდ დალევდა, ამას კი აღარ პატიობდა ქსიუშა ქმარს. დაინახა თუ არა მისკენ ბარბაცით მიმავალი, სახეაჭარხლებული და თვალებაჟუჟუნებული პეტროვიჩი, მიეჭრა და ხმამაღლა შეუძახა:

— Опять на спор нажрался, свиния! — და ყურის ძირში შემოულანუნა ამხანაგ პოლკოვნიკს.

პეტროვიჩმა მარცხენა ხელი შემოლანუნებულ ლოყაზე აიფარა, ხოლო მარჯვენა, მომუჭული ხელი გახსნა და ცოლს ლუღლულით მიმართა:

— Смотри ксюша, что я выиграл!

აქსანა არ მოელოდა ძვირფასი ბეჭდის დანახვას. სასწრაფოდ გამოართვა ქმარს ბეჭედი თვითონ გაიკეთა და ნინოს სიხარულით უთხრა:

— ნინო, ნახე რა ძვირფასია!

აქსანას ქმედებისგან განცვიფრებული დიასახლისი გაფარ-

თოებული თვალებით შეჰყურებდა სტუმარს და ხმას არ იღებდა. მანქანაში მსხდომნიც გაოგნებულნი იყვნენ ქალის ასეთი მოქმედებით. ყველაზე მეტად დაზარალებული და სანაძლეოწაგებული ბეგლარი, გულჩათხრობილი შეჰყურებდა პოლკოვნიკის ფაშფაშა ცოლის კოტიტა თითზე წამოცმულ თავისი სიდედრის მიერ ნაჩუქარ ძვირფას ბეჭედს.

ახალი წელი უიდაუროდ

— არა გრცხვენია, ბიჭო? მტერი ხომ არა ხარ ჩემი, სიძე ხარ! ანგელოზივით გოგო გაგატანე და ასე მიხდი სამაგიეროს? მე-ხუთე ხელს მიგებ, — უკმაყოფილოდ ეუბნებოდა ომარი თავის სიძეს, რომელსაც ნარდში ხუთჯერ მარსი მოეგო სიმამრისათვის და მეექვსეთაც განწირული ჰყავდა წასაგებად ბატონი ომარი.

შუადღე გადასული იყო. მეორე დღეს ახალი წელი თენდებოდა. ომარს ყოველ საახალწლოდ კახეთიდან სიდედრ-სიმამრი ინდაურსა და კიდევ სხვა რამე-რუმეებსაც უგზავნიდა. ასე რომ, ომარი ინდაურის ყიდვით თავს არ იწუხებდა. მისი მეზობელი თედოც იმ სოფლიდან იყო, სადაც ომარის სიდედრ-სიმამრი ცხოვრობდა. თედო საახალწლოდ სოფლიდან სურსათ-სანოვა-გით სავსე მანქანით ჩამოდიოდა, თანაც ომარისათვის კუთვნილ ინდაურს და პროდუქტით სავსე დიდ ჩანთასაც ატანდნენ მოხუცები. ახლაც მოუთმენლად ელოდა ომარის მეუღლე — ელენე თავისი მშობლების მიერ გამოგზავნილ საახალწლო ნობათს და ყურადღებით იყო კარზე კაკუნის ხმა არ გამოჰქმარვოდა.

მართლაც, ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია, კარზე კაკუნიც გაისმა. ომარმა კარი გააღო, თედომ ხორავით დატვირთული მძიმე ჩანთა მიაწოდა მას.

- ინდაური არ გამოგატანეს? — ჰკითხა ომარმა.
- რომ გამოეტანებინათ, არ წამოგიღებდი? — კითხვა შეუბრუნა თედომ, — ეგრე დამაბარეს, წელს ინდაური არა გვყვავს, ვერ გავზარდეთო, — ღიმილმორეულმა უპასუხა თედომ.
- შემოდი, თითო გადავკრათ, — შეიპატიიუა სახლში ომარმა თედო.

— დიდი მადლობა, უამრავი საქმე მაქვს. შენ რომ ემზადები ახალი წლისათვის, მეც ხომ მინდა მომზადება, — უთხრა თედომ, წინასწარ ბედნიერი ახალი წელი უსურვა და კიბეებზე დაეშვა.

— უიმე, მომიკვდეს თავი! ახალი წელი უინდაუროდ, უსაცივოდ როგორ იქნება? — აქოთქოთდა ელენე.

— ადე, კაცო, აღარ დაიღალე ნარდის თამაშით, წადი ბაზარ-

ში სანამ გვიან არ არის, იქნებ იაფად წააწყდე ინდაურს. ომარი უშნოდ აიზლაზნა სკამიდან, სიძეს ღიმილით შეხედა, თავი ოდნავ გააქნია და დაექადნა – სულერთია მაინც გადაგიხდი სამაგიეროს ამ სამარცხვინო წაგებისათვისო და ბაზარში წასავლელად სამზადისს შეუდგა.

ბაზარში უამრავი ხალხი ირეოდა, ისეთი სიძვირე იყო, ყველაფერს ცეცხლი ეკიდა, ორი დღის წინ ბელტივით ინდაურებს 40 ლარს რომ აფასებდნენ, დღეს 80 ლარს ერთ თეთრსაც არ აკლებდნენ. ომარს ფინანსური შესაძლებლობა ნამდვილად არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ ინდაურში 80 ლარი გადაეხდა.

გადაწყვიტა ინდაურს თუ არა ღორის თავს მაინც ვიყიდიოდა ხორცის მაღაზიაში შევიდა. საკმაოდ მოზრდილ ღორის თავს თვალიერება დაუწყო, შემდეგ დახლზე დადებული ყასაბის პასრი დანა აიღო და ღაბაბის გაჭრა მოინდომა. ღორის ღაბაბზე დასმული დანა ასხლტა და ომარს მეორე ხელის ცერა თითო ძვლამდე გაეჭრა. გამწარდა კაცი, სისხლი ღვარად სდიოდა თითიდან, ცხვირსახოცი დაიხვია, მაგრამ სისხლის შეჩერება ვერ შეძლო. ბედად ყასაბს აღმოაჩნდა ბამბა, ბინტი და სხვა საშუალებები. ხელშეხვეულ და ცერა თითზე ოთხ ნაკერდადებულ ომარს, აღარც ინდაურის გახსენება უნდოდა და აღარც ღორის თავის.

მომდევნო წელს ცხოვრება უფრო მეტად გაჭირდა. ომარის ოჯახში მთელი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა და ღვთის მადლით ცოლ-შვილი ჯანმრთელად ჰყავდა. სამსახურსაც, ჯერჯერობით, ინარჩუნებდა. ახლოვდებოდა ახალი წელი. ომარს სოფლიდან მოხუცებმა ერთი თვით ადრე შემოუთვალეს, რომ წელსაც ვერ შეძლებდნენ მისთვის საახალწლოდ ინდაურის გამოგზავნას. მიზეზი – გაჭირვება და ხელმოკლეობა იყო. ომარმა ადრიანად დაიჭირა თადარიგი და ახალწლამდე ორი დღით ადრე გაემგზავრა ქალაქიდან ახლოს მდებარე რაიონში ინდაურისა და სხვა სურსათ-სანოვაგის საყიდლად.

ბაზარში უხვად იყო გამოტანილი გლეხებისაგან მთელი წლის მანძილზე შრომითა და ჯაფით მონაგრებული სოფლის

მეურნეობის პროდუქტები. საერთო გაჭირვებიდან გამომდინარე, არც ფასები იყო მაინცდამაინც მაღალი.

ომარმა ქაღალდზე დაწერილ პროდუქტების სიას კიდევ ერთხელ გადავლო თვალი და საქმეს შეუდგა. იყიდა თითქმის ყველაფერი, რაც ცოლმა დააბარა, ხელმისაწვდომ ფასებში. იყიდა აგრეთვე ბელტივით მძიმე, მამალი ინდაური. ჩასვა ჩანთაში და ჩანთას „ზმეიკით“ შეუკრა პირი.

ავტობუსი სავსე იყო ხალხით. ომარმა ჩანთას დახედა, სადაც ინდაური ჰყავდა ჩასმული, გაიფიქრა უპარობამ არ დაახრჩოსო, „ზმეიკა“ გახსნა და ინდაურს თავი ამოაყოფინა. ომარის გვედრით იდგა „ციგნის“ ბიჭი, რომელიც ჩანთიდან თავამოყოფილ ინდაურს წამდაუწუმ თავზე ხელს უსვამდა და ეფერებოდა.

ხალხით გადავსებულმა ძველმა „პაზიკმა“ როგორც იქნა მიაღწია ქალაქამდე. გაჩერებაზე ომარს მისი უმცროსი ვაჟი – ლევანი დახვდა. იცოდა მამას ბევრი ბარგი ექნებოდა და უნდა მიხმარებოდა. ლევანი ავტობუსიდან რიგრიგობით აწვდიდა მამას ხელჩანთებს.

– კუთხეში დიდი ჩანთა დევს, შიგ ინდაურია, მომაწოდე! – უთხრა ომარმა ლევანს.

– ჩანთა აქ დევს, მაგრამ ცარიელია, – უპასუხა ლევანმა. ომარს ელდა ეცა ჩანთა მართლაც ცარიელი იყო, ხოლო „ზმეიკა“ ბოლომდე გახსნილი.

– ნამდვილად იმ შობელძაღლმა, „ციგნის“ ბიჭმა გააყოლა ხელს, – ბრაზობდა ომარი, რა პირით უნდა შეეხედა ელენესათვის. სირცხვილისაგან სად უნდა გამოეყო თავი. რაღას იზამდა. გადაწყვიტა, სულ არარაობას, კოდის ბროილერის ჯიშის მსუქანი დედლით ჩაენაცვლებინა მოპარული ინდაური.

ახალი წლის მეორე დღეს სამსახურიდან მოწვეულმა სტურმებმა ბევრი იცინეს და იმხიარულეს დაკარგული ინდაურის გამო. თანამშრომლებმა ომარი რჩევა-დარიგებებით დამოძლვრეს შემდეგისათვის თუ რა სიფრთხილით უნდა მოქცეოდა საახალწლოდ ნაყიდ ინდაურს.

მიუხედავად რჩევა-დარიგებებისა, ომარი კიდევ ერთხელ გახდა მეზობლების, მეგობრების და თანამშრომლების მხია-

რულების საგანი. მომდევნო ახალი წლისათვის ერთი კვირით ადრე ნაყიდი ინდაური ღია ბალკონზე თოკით ჰყავდა დაბმული. ერთ საღამოს ომარმა მჭადის ფქვილის ცომით კარგად გამოსივნა იგი, დაბმა კი დაავიწყდა, იგრძნო რა თავისუფლება ინდაურმა, ახტა მოაჯირზე და მეხუთე სართულიდან მოუსავლეთისაკენ გაფრინდა.

ელენე სიბრაზისაგან ცოფებს ჰყრიდა. — რომელი ამერიკის პრეზიდენტი შენ მყავდი, საახალწლოდ ინდაური რომ შეიწყალე, თავისუფლება აჩუქე, — არ ცხრებოდა ელენე. ის დღე იყო და მას მერე ომარმა საერთოდ აკრძალა ინდაურის ხსენება ოჯახში.

გაფრენილი ინდაურის შესახებ ომარის სამსახურშიც შეეტყოთ. წლის ბოლოს წარმოების ხელმძღვანელი შემაჯამებელ თათბირს ატარებდა. თათბირზე საახალწლო სამზადისზეც შეაჩერეს ყურადღება. ყველა შეძლებისდაგვარად მომზადებული ხვდებოდა ახალ წელს, თუმცა აღნიშნავდნენ, რომ წელს ბაზარში ფასები მომატებული იყო, განსაკუთრებით ძვირი ღირდა ინდაური.

— თუ ვინმეს ინდაურის ყიდვა გინდათ, ბაზარში ომარი წაიყვანეთ, მან იღბლიანად იცის ინდაურის ყიდვაც და მისი ახალ წლამდე შენახვაც, — დარბაზში სიცილი ატყდა, ომარს მწარე ღიმილმა გადაუარა სახეზე, გულში კი გაიფიქრა: — იცინეთ, იცინეთ, დაცინვას კაცი არ მოუკლავს!

მძიმე განაჩენი

საქართველოს სილამაზითა და სიმშვენიერით ბევრი უცხოელი მოხიბლულა. ჩვენი ქვეყნის თითოეულ კუთხეს თავისი განუმეორებელი ხიბლი აქვს; თავისი მდებარეობით, ბუნების უიშვიათესი სილამაზით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველებზე რაჭა.

ამბროლაურის რაიონში არის ერთი ულამაზესი სოფელი – ურავი, რომელიც მდიდარია წიაღისეული სიმდიდრეებით. განსაკუთრებით უხვად არის აქ დარიშხანის საბაზოები. სწორედ ამის გამო იყრიდნენ აქ თავს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ახალგაზრდა სპეციალისტები. განსაკუთრებით კი ქიმიკოსი ქალბატონები...

– დღეს ცოტა შემაგვიანდება. ახალგაზრდა სპეციალისტების მორიგი ნაკადი ჩამოდის ჩვენთან. ჯერ საბაზოზე უნდა ავიყვანო დასათვალიერებლად და შემდეგ სასტუმროში დავაბინაო, – უთხრა მეუღლეს გოგიტამ და ავტობუსის ძრავი ჩართო.

– შენს დაგვიანებებს ხომ არ დაადგა საშველი, – წყენით თქვა ანიკომ და ბოსლიდან ბორილები გამოდენა, რათა მათ ძროხის მოწველაში ხელი არ შეეშალათ.

გოგიტა მეტონიძე ავტობუსის მძლოლად მუშაობდა. გარებნულად მოხდენილი ახალგაზრდა იყო, ენაკვიმატი, მოსწრებული სიტყვა-პასუხით და სანაქებო რაჭული იუმორით. ამ თვისებების გამო გოგიტას ქალები საკმაოდ სწყალობდნენ. მას რაიონში ცნობილი მექალთანის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

იმ დღესაც ხალისიანად მიაგელვებდა თავის „პაზიკს“ რაიონისაკენ, სადაც რუსეთიდან ჩამოსული ახალგაზრდა სპეციალისტების მორიგი ჯგუფი უნდა დახვედროდა.

– მაინც რა მოხდენილები არიან ეს დალოცვილი რუსის გოგოები. ალერსი და მოფერებაც რომ მადლიანი იციან! – ფიქრობდა გოგიტა და ლილინით უახლოვდებოდა რაიონულ ცენტრს, სადაც ჩამოსული სტუმრები უკვე ელოდნენ.

წარმოების ხელმძღვანელმა წარუდგინა გოგიტა ახალგაზრდებს, როგორც მძლოლი, თან დაამატა, რომ ამიერიდან ის მათ მოემსახურებოდა.

გოგიტა რუსულ ენას კარგად ფლობდა. ჯარში ორი წლის ყოფნისას მის ნაწილში ქართველი არავინ იყო. ამდენად სულ რუსულად უწევდა საუბარი ქართულად მხოლოდ თავისიანებს თუ მისწერდა წერილს.

რუს ქალბატონებს თვალში მოუვიდათ წარმოსადეგი ქართველი ვაჟუაცი და ცდილობდნენ მასთან ახლოს ყოფილიყვნენ. გოგიტა ზედმინევნით კარგად იცნობდა რაჭის ღირსშესანიშნაობებს, ისტორიულ ძეგლებს და სიამოვნებით ასრულებდა გიდის მოვალეობასაც. გოგონები ისე შეეჩივნენ გოგიტას, რომ საკმარისი იყო ცოტა დაეგვიანებინა, უკვე ლელავდნენ და წამდაუწუმ ეკითხებოდნენ ჯგუფის ხელმძღვანელს გოგიტას დაგვიანების მიზეზს.

გოგონების ამგვარი დამოკიდებულება გოგიტას მიმართ გაუგებარი არ დარჩა ანიკოს. ისედაც ეჭვიან ქალს, უფრო გაუმძაფრდა ეჭვები. ყოველდღე, როცა გოგიტა სახლში მოსვლას დააგვიანებდა, ცოლის ჭიჭყინსა და გაუთავებელ საყვედურებს ბოლო არ ჰქონდა. თუმცა არც მთლად ისე იყო საქმე, როგორც ანიკოს ეგონა, გოგიტა მართლა უამრავი საქმით იყო დაკავებული. რაც შეეხება ჭორებს, მისი მექალთანეობის შესახებ, ხშირად გადაჭარბებული იყო.

ერთ დღესაც ანიკოს მოთმინების ძაფი გაუწყდა. მან გადაწყვიტა სოფელში დედამისი ჩამოეყვანა, რათა ორივეს ერთად მოეხდინათ გოგიტაზე გავლენა, რაღაც ისეთი მოეფიქრებინათ, რაც მას ქალებში სიარულს თავს დაანებებინებდა.

ქალბატონი ვერიჩა მეზობელ სოფელში ცხოვრობდა და საშუალო სკოლაში პედაგოგად მუშაობდა. წლების მანძილზე მას უამრავი თაობა ჰყავდა აღზრდილი, ამიტომ ის სოფელში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. გოგიტა დიდად აფასებდა თავის სიდედრს და მისი ხათრი და მორიდება ჰქონდა.

სახლში შემოსულ სიძეს სიდედრი ნაძალადევი ღიმილით შეხვდა. გოგიტას გაუკვირდა სიდედრის მოულოდნელი სტუმრობა.

— ცუდი ხომ არაფერია, ხომ კარგად ხართ ოჯახში? — ჰკითხა მისალმების შემდეგ სიძემ სიდედრს.

— ჩვენ კარგად ვართ, მაგრამ ახლა საქმე შენთან მაქვს. ისევ

არ იშლი არა შენსას? – მკაცრი ტონით მიმართა ვერიჩებამ სიძეს.

გოგიტა მაშინვე მიხვდა, თუ რაში იყო საქმე. შეწუხდა, რათა იცოდა ისევ მოუწევდა ცოლისა და სიდედრის კაპრიზების მოსმენა. ის გავიდა გარეთ, ავტობუსიდან პროდუქტით სავსე ხელჩანთა გადმოიღო და სამზარეულოში შეიტანა. მან გადაწყვიტა ბოლოსდაბოლოს ბოლო მოეღო ამ გაუთავებელი ეჭვიანობისათვის და ერთხელ და სამუდამოდ დაერწმუნებინა ისინი, რომ ის ქალებში აღარ დადიოდა, ეს მისი სამსახური იყო.

ცოტა ხნის შემდეგ გოგიტა შემოვიდა ოთახში და სიდედრსა და ცოლს მიმართა.

– იცოდეთ, რაც ხდება ჩემი ბრალი არ არის. მე ვიცი ვინც არის დამნაშავე, ამიტომ ის უნდა დაისაჯოს! დიახ, უნდა დაისაჯოს! და ამას მე გავაკეთებ! მე დავსჯი მას! იქნება მერე ისიც დაწყნარდეს და თქვენც დამშვიდდეთ, – ბოლო სიტყვები გოგიტამ ხმამაღლა, მკაცრი ტონით წარმოსთქვა, შარვლის ღილები შეიხსნა, გამოაჩინა თავისი მამაკაცური ღირსება, მაგიდაზე დადებულ დანას ხელი დასტაცა და გამეტებით დაუსვა სხეულის ამ მეტად საჭირო და მამაკაცისათვის აუცილებელ ორგანოს, შუაზე გადაჭრა და ოთახის კუთხეში მდგარი ნიკელის საწოლის ქვეშ შეაგდო. შემდეგ ორივე ხელი მიიფარა ნაჭრილობევზე და ვაიმე, ვაიმეს ძახილით გარეთ გაიჭრა.

საწოლის ქვეშ ფუმფულა კატას თვალები მიენაბა და კრუტუნებდა. ხმაურზე თვალები გაახილა, მის გვერდით დაგდებულ ხორცის ნაჭერს პირი დასტაცა და მეორე ოთახში გავარდა.

ქალები არ ელოდნენ გოგიტას ასეთ ქმედებას. გაოგნებულებმა ერთბაშად მორთეს ტირილი და ვაი-ვიში. საოცარი ის იყო, რომ არც ცოლი და არც სიდედრი გოგიტას უკან არ გაჰყოლიან, ისინი კატას დაედევნენ, რომ როგორმე დაეგდებინებინათ გოგიტას კუთვნილი სხეულის ნაწილი.

კატა გამნარებული ასკდებოდა ოთახის ხან ერთ და ხან მეორე კუთხეს, ხორცის ნაჭრისათვის კბილები მაგრად ჩაეფლო და გასასვლელს ეძებდა. ბოლოს მთელი ძალით მიაწვა მიხურულ კარს და გარეთ გავარდა. ამ დროს ანიკოს ნასროლი ჩუსტი მოხვდა თავში, გამნარებულმა ცხოველმა პირი გააღ

და ხორცის ნაჭერი ძირს დააგდო, თვითონ კი სასწრაფოდ ხეზე აცოცდა და თავს უშველა.

ანიკომ ხელი დასტაცა ძირს დაგდებულ ხორცის ნაჭერს და ღრიალით ქმრისკენ გაიქცა. გოგიტას იქვე ახლოს, წყლის ონკანი მოეშვა და ჭურჭლის სარეცხი ღრუბელით იწმენდდა „სისხლისაგან“ წითლად შეღებილ შარვალს.

ამასობაში სიდედრმაც მოირბინა. ორივეს ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. ანიკო მოსთქვამდა და ხელიდან არ უშვებდა მისთვის ესოდენ ძვირფას სხეულის ნაჭერს. თან გაოცებული უყურებდა მეუღლეს, რომელიც მშვიდად, აულელვებლად განაგრძობდა შარვლის წმენდას.

— ქალო, რა გიჭირავს ხელში, აბა კარგად დახედე? — უთხრა დედამ შვილს.

ანიკო გონს მოეგო და ყურადღებით დაუწყო თვალიერება იმას, რაც ხელში ეჭირა. გოგიტას ყველაფერი ესმოდა და ყურადღებით აკვირდებოდა მოვლენათა განვითარებას. მიხვდა რა მის ონბაზობას ფარდა ეხდებოდა და სადაც არის მეხიც გავარდებოდა, გადაწყვიტა რაც შეიიძლება მალე გაცლოდა იქაურობას. მტირალსა და დაბნეულობისაგან გაოგნებულ ცოლსა და სიდედრს ეშმაკურად გაუღიმა, მეუღლეს თვალი ჩაუკრა და ჩქარი ნაბიჯით თავებე დაეშვა...

ქალების ეჭვიიანობისგან შეწუხებულმა გოგიტამ გადაწყვიტა მათთვის ჭკუა ესწავლებინა. ერთჯერად ცელოფნის პატარა პარკში ნახევრად ჩაასხა წყალში გახსნილი ტომატ-პასტა, მოუკრა პირი, ჩაიდო შარვალში და დაიმაგრა შიგნითა ზედა ღილზე. დასასჯელ სუბიექტად კი კარგა მოგრძო სარდელი ჩაიდო შარვალში. სწორედ ეს სარდელი გადაჭრა შუაზე დანით გოგიტამ, ცელოფანში გახსნილი ტომატ-პასტით კი შარვალი შეიღება.

ანიკოს შუაზე გადაჭრილი, ტომატ-პასტაში წითლად მოთხვრილი სარდელის ნაჭერი ეჭირა ხელში, რომელიც კატამ მოიტაცა და შეჭმას უპირებდა. ქალი ჯერ კიდევ შოკში იყო და ნელნელა გამოდიოდა მდგომარეობიდან. თანდათან რწმუნდებოდა, რომ გოგიტამ ორივე დედა-შვილი მოხერხებულად გააცურა. თუმცა, კაცის ამ გასაოცარი მოფიქრების უზადო შესრულებით

ორივე ისე იყო გაკვირვებული, რომ წყენაშ თანდათან გაუარათ, ცოტა ხანს გაკვირვებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს, შემდეგ კიდევ ერთხელ შეამოწმეს სარდელის ნაჭერი, დარწმუნდნენ რა, რომ გოგიტა საღ-სალამათი იყო და რომ მის კაცურ ღირსებას დანა საერთოდ არ შეხებია, კიდევ ერთხელ შეხედა ერთმანეთს დედა-შვილმა და ორივეს მხიარული სიცილი აუტყდა, თან იქითკენ იყურებოდნენ, საითაც გოგიტამ გაქცევით უშველა თავს.

ტუშონკა

— ბარიშნიკოვ! შე დაბდურო, შენ ჩუვაშმა, მე, ქართველს როგორ უნდა მომატყუო, უწყისში წერია 12 ქილა ძროხის „ტუშონკა“, რატომ მაძლევ ათს?

— რა მოხდა გელა, ორი ქილა მაღარიჩში დამიტოვე!

— მაღარიჩი გაკლია ჩემგან, შე მწვანევ, ცხვირმოუხოცავო ლანირაკო, გუშინწინ არ იყო ნახევარი ლიტრა ბულბულის ცრემლები რომ ჩაგაცეცხლე! შენი ჩუვაშური ჯიში და მოდგმა მადლიერი უნდა იყო იმისთვის, რომ წყალობა მოვიღე და ქართული ჭაჭის გემოს გაზიარე, შენ კი, მადლობის ნაცვლად, „ტუშონკებს“ მაკლებ? დაამატე ის ორიც, თორემ ცხვირს და-გინაყავ! — დაემუქრა გელა სამხედრო ნაწილის პროდუქტების საწყობის გამგეს.

გელა უკვე ერთი წელია მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში. კუნძულ სახალინზე მზარეულობის შესწავლილი კურსების გავლის შემდეგ ისევ ნაწილში დაბრუნდა და ჯარისკაცების სასადილოში დაიწყო მუშაობა. ბრიგადის ზურგის უფროსი პოლკოვნიკი შტიმენკო, უკვე თვეზე მეტია პირდებოდა გელას ოფიცრების სასადილოში გადაყვანას, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ფეხს ითრევდა გელას დაწინაურებაზე, თუმცა გელა ხვდებოდა, რომ ეს საქმე უმაღარიჩოდ არ გამოვიდოდა. მითუმეტეს, კარგად იცოდა, რომ პოლკოვნიკს კარგა ხნის უკან დაეგემოვნებინა ქართული ჭაჭა და გელასთან საუბრისას ხშირად იხსენებდა მის სიმაგრეს და არომატს.

გელა დღე-დღეზე ელოდა ოჯახიდან საგანგებოდ პოლკოვნიკისათვის გამოგზავნილ ამანათს, სადაც ქართულ ხილსა და ტკბილეულობასთან ერთად, რა თქმა უნდა, არაყიც იქნებოდა.

სწორედ ამ ამანათის წყალობით იქნა დაწინაურებული გელა ოფიცრების სასადილოს შეფ-მზარეულად და თითქმის ყოველ დღე, საწყობიდან პროდუქტების მიღების დროს, საწყობის გამგესთან ჩუვაშ ბარიშნიკოვთან ჰქონდა კამათი, რომელიც ექვსი თვეა რაც მსახურობდა და მისი უმაღლესი, ეკონომიკური განათლების წყალობით, ამ მეტად საპატიო თანამდებობაზე იყო დანიშნული.

გელამ თორმეტივე ქილა უკლებლივ მიითვალა, უწყისით გამოწერილი სხვა პროდუქტებიც გამოიტანა საწყობიდან და ოფიცირების სასადილოში დაბრუნდა. 70-იან წლებში შორეული აღმოსავლეთის ადგილობრივ მოსახლეობას უჭირდა ცხოვრება, განსაკუთრებით იგრძნობოდა პროდუქტების სიმცირე, ხორცი თვეში ერთხელ იყიდებოდა მაღაზიებში, ისიც გაყინული. რაც შეეხება სამხედრო ნაწილს, ამ მხრივ დიდებულად იყო საქმე. აქ განთავსებული იყო სასაზღვრო დესანტის ბრიგადა. აქედან ჩინეთის საზღვარი სულ რაღაც 20 კილომეტრში მდებარეობდა. როგორც სასაზღვრო ზოლში მდებარე სამხედრო ნაწილს მომარაგება პირველი კატეგორიის ჰქონდა. ასე რომ, ამ მხრივ ჯარისკაცები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა.

ადგილობრივ მოსახლეობას ძირითადად შეადგენდნენ რეპრესიების დროს 1937 წელს უკრაინიდან გადმოსახლებულები, რომლებსაც მოხდილი ჰქონდათ სასჯელის ვადა და შემდგომ აქვე, შორეულ ციმბირში დარჩენილიყვნენ საცხოვრებლად, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მათი განწყობა არც თუ ისე სახარბიელო იყო. განსაკუთრებულ უნდობლობას გამოხატავდნენ ჯარისკაცების მიმართ. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ადგილობრივ მოსახლეობასა და ჯარისკაცებს შორის გამართული ცემა-ტყეპის შედეგად ჰოსპიტალი გავსებული იყო ნაცემი სამხედროებით, ამიტომ ჯარისკაცები ერიდებოდნენ დაბა მაგდაგარში მარტო სიარულს.

— გელა, რამდენი “ტუშონკა” გაქვს გადანახული, გინდა კარგ ფასში გაგაყიდინო? — უთხრა ჯარისკაცების სასადილოს გამგემ მურად ხაბაძემ თავის კოლეგას.

— ასე 40 ქილამდე დამიგროვდა, — უპასუხა გელამ.

— ერიპა, შენ ძალიან გაუტიე, მაგდენს უტეხავ ოფიცირებს?

— ბევრი ხორცის ჭამა აწყენთ, მე ვზრუნავ მათ ჯანმრთელობაზე, — ღიმილით მიუგო გელამ მურადს და ეშმაკურად თვალი ჩაუკრა.

— ჩვენს ნაწილთან ახლოს დეპოა. ამაღამ მესამე ბრიგადა მუშაობს, ბრიგადირი ახალგაზრდა სიმპათიური ქალია — რაია შჩერბაკოვა, ადრე ის ყიდულობდა სამხედროებისგან „ტუ-

შონკებს“. წადი, გაიცანი, მაგარი ვინმეა, მგონი ქმარი არა ჰყავს, იქნებ გავაზეც გადაგასმევინოს ხელი, შენ რა ვისზე ნაკლები ბიჭი ხარ, თან ფულსაც გააკეთებ! – დააკვალიანა მურადმა გელა, თან გააფრთხილა იარაღის გარეშე არ წასულიყო, ლამე მარტო სიარული საშიში იყო ზემოხსენებულ მიზეზთა გამო.

გელამ მოამთავრა რა ვახშმის გაცემა, ტანსაცმელი გამოიცვალა, ოფიცრის ქრომის ჩექმები საგანგებოდ გააპრიალა, სუფთა „ხებე“, თეთრი გაქათქათებული საყელოთი მოხდენილ ტან-ზეკოხტადმოირგო, ქართულყაიდაზესაგანგებოდგაჩარხული გარეული თხის ფეხისტარიანი ლაპლაპა ხანჯალი ჩექმის ყელში ჩააცურა, ორი ქილა ძროხის ტუშონკა გაზეთში გადაახვია და დეპოსკენ გაემართა.

დეპოს თანამშრომლები არ მოელოდნენ ღამით მათთან ჯარისკაცის მისვლას, თანაც იერზე ატყობდნენ, რომ ის რუსი არ იყო, ალბათ ძალიან გულადია, მარტომ რომ გაბედა ამ ღამით მაგდაგაჩში გასეირნება, ფიქრობდნენ მუშები.

გელა თავაზიანად მიესალმა მათ და ბრიგადირი რაია შჩერბაკოვა იკითხა.

– ტანსაცმელს იცვლის, ახლავე მოვა, – უპასუხეს გოგოებმა, რომლებიც ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ სამხედრო ფორმაში კოხტად გამოწყობილ მოხდენილ ჭაბუკს, – ნახე, რა ბიჭია! იღბალი აქვს რაიას, ნეტავ სად გაიცნო? ასეთ კავალერზე არც მე ვიტყოდი უარს, – ისმოდა აქეთ-იქიდან გოგონების ჩუმი ქათინაურები.

ცოტა ხანში რაიაც გამოვიდა გასახდელიდან, ტანზე შემოტმასნილი კომბინეზონი უხდებოდა, მაღალ, მოხდენილ ქალს. მან ორივე ხელით ქერა, გაშლილი თმები კეფასთან მიაქუჩა, დაამრგვალა და თმის სამაგრი „შპილკით“ დაიმაგრა. შემდეგ ჯარისკაცს მიუახლოვდა და უთხრა:

– მე ვარ რაია შჩერბაკოვა, რით შემიძლია გემსახურო? – გაუცინა ქალმა და მუშტრის თვალით, გამომწვევად დაუწყო ყურება გელას.

– თუ შეიძლება გვერდით გავიდეთ, რაღაც მინდა გითხრათ,
– წყნარად მიუგო გელამ.

— სიამოვნებით, — გადაიკისკისა რაიამ, ეტყობოდა ბიჭი თვალში მოუვიდა. შემდეგ ხელკავი გამოსდო და გვერდით გაჟყვა.

— რაია, კარგი ვინმეა, არსად არ გაუშვა! — აქეზებდნენ გოგოები რაიას.

— მე გელა მქვია, ქართველი ვარ. ნაწილში ოფიცრების სასადილოში ვმუშაობ. ძროხის „ტუშონკები“ მაქვს გასაყიდი. აიღებ? — სხაპასხუპით მიაყარა გელამ.

— წამოღებული გაქვს? — ჰკითხა რაიამ.

— აი, ნახე! — უთხრა გელამ და გაზეთში შეხვეული „ტუშონკები“ აჩვენა. — ჰო, ის არის ადრე რომ ვიღებდი. თანხმა ვარ, მოიტანე რამდენიც გაქვს ყველას ავიღებ, ოღონდ აქ არა, სახლში მომიტანე ჩემთან. რაიამ თავისი მისამართი უთხრა გელას და გააფრთხილა, რომ ხვალ საღამოს 10 საათისთვის დაელოდებოდა.

— ერთი ბოთლი „სტალიჩინც“ გამოაყოლე, ჩვენი გაცნობა ავლნიშნოთ, — ყურში ჩასჩურჩულა რაიამ და ვნებიანად გაუღიმა.

— ეს ორი ქილა საჩუქარია, გამომართვი! — უთხრა გელამ და ქილები რაიას მიაწოდა, შემდეგ დაემშვიდობა მოხდენილ ქალბატონს და შეპირდა, რომ ხვალ აუცილებლად ესტუმრებოდა.

მეორე დღეს ადრიანად დაიჭირა გელამ თადარიგი. ოცი ქილა „ტუშონკა“ და ერთი ბოთლი „სტალიჩინი“ ზურგჩანთაში ჩააწყო და შებინდებას დაელოდა. საღამოს ათის ნახევრისათვის ზურგჩანთამოკიდებული საგანგებოდ, სასიძოს მსგავსად გამოპრანჭულ-გამოწყობილი გელა რაიას სახლის კარზე აკაკუნებდა. კარი მოხუცმა წვერგაუპარსავმა კაცმა გაუღო. მას მხარზე ორლულიანი სანადირო თოფი ჰქონდა გადაკიდებული, ჯარისკაცის დანახვაზე შეცბა, თუმცა არ გაჰკვირვებია, რადგან რაიას გაფრთხილებული ჰყავდა მამამისი, რომ მასთან სტუმრად ქართველი ჯარისკაცი უნდა მისულიყო.

თოფიანი კაცის დანახვას არ ელოდა გელა, რაიმე ავი ზრახვა ხომ არა აქვს ამ ქალს გულში. თუ ასეა, მაშინ რაღას მეცეკლუცებოდა იქ დეპოში, გაუჟღვა თავში.

— რაია, შენი ქართველი სტუმარი მოვიდა, გამოხედე! მე წავედი საყარაულოზე, — შეეხმიანა მამა რაიას.



რაია გამოეგება გელას და ოთახში შეუძლვა. კოხტა, მოვლილი და მოწესრიგებული სახლი ჰქონდა რაიას. ქალს წინასწარ თადარიგი დაეჭირა, მოემზადებინა ვახშამი და მოუთმენლად ელოდა გელას. გელამ ზურგჩანთა მოიხსნა, ტუშონკის ქილები მიუთვალა რაიას და ქალის მოცემული ფული გულის ჯიბეში ჩაიდო.

– სანამ მაგიდას გავაწყობ სამზარეულოში, აიღე ეს ალბომი და დაათვალიერე სურათები.

გელა დაბალ ტაბურეტზე ჩამოჯდა და სურათებს დაუწყო თვალიერება, მართლაც მომხიბლავი და სასურველი იყო რაია ახალგაზრდობაში, თუმცა ახლაც, ეს ოცდაათ წელს გადაცილებული ქალი ბევრ 20-25 წლის გოგოს ტოლს არ დაუდებდა, არც სილამაზით და არც თვალტანადობით. არ გასულა დიდი ხანი, რაია შემოვიდა ოთახში, გელას ზურგიდან მოექცა, მხრებზე ორივე ხელი შემოხვია და თავისკენ გადახარა. ტაბურეტის ორივე ფეხი ჰაერში იყო გამოკიდებული. გელა ორი ხელით იატაკს ებჯინებოდა და რაიას წინააღმდეგობას არ უწევდა. ქალი გამალებით უსინჯავდა გელას ჯიბეებს, ეტყობა რაღაცას ექებდა, ბიჭს თავდაპირველად ეგონა, რომ ქალს მისი მოფერება სურდა, მაგრამ რაიას ხელების ფათურმა ჯიბეებში, დააჭვა და გაკვირვებულმა ჰკითხა.

– რაია, რა მოხდა? რას ეძებ, რა გინდა ჩემს ჯიბეებში?

– გიცნობთ მე ოქვენ კავკასიელებს, ოქვენ ყოველთვის იარაღით დადიხხართ და საშიშნი ხართ, მყავდა მე ჩეჩენი საყვარელი, შარშან წავიდა “დემბელში”, იარაღის გარეშე ფეხს არსად არ დგამდა. ჯერ მომეფერებოდა, ხოლო შემდეგ სულ ცხვირწინ მიტრიალებდა იარაღს. ბევრჯერ მომხვედრია მისგან ხან ყურის ძირში და ხან ფერდებში. შენც ისეთი იქნები, ამიტომ ვეძებ იარაღს, რა ვიცი, იქნებ მასზე უარესიც ხარ და დამჭრა კიდეც.

გელამ დაამშვიდა შეშინებული ქალი და აუხსნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩენებიც კავკასიელები არიან, მათ შორის დიდი განსხვავებაა. ქალისადმი ჰატივისცემა და კეთილი მოპყრობა ქართველებმა გაცილებით უკეთ იციან, ვიდრე ჩეჩენებმა. ქართული ხასიათის კიდევ ბევრი დადებითი თვისებების ჩამოთვლა დასჭირდა, რათა ქალი დაერწმუნებინა, რომ მას მხოლოდ

კეთილი განზრახვა ჰქონდა და, რაღა იყო დასამალი, დიდი სურვილი ამ ლამაზი ქალის დაუფლებისა, სხვა არაფერი. გელას საუბარმა შედეგი გამოიღო, ქალი მოლბა, სრულიად მიენდო ვაჟს, გემრიელმა ვახშამმა და ერთი ბოთლი „სტალიჩინის“ გამაბრუებელმა გრადუსმა ორივეს ვწება აუშალა. შუალამე გადასული იყო, ქალ-ვაჟი დედიშობილა იწვა თეთრ, ქათქათა ლოგინში და ერთმანეთს დიდი ხნის მონატრებულებივით ეფერებოდნენ. ვწებიანი სიყვარულით გათანგულები არ ზოგავდნენ ერთმანეთს.

— ძლივს ვიგრძენი რომ ისევ ქალი ვარ, გმადლობ, გელა, მე შენ არასოდეს დამავიწყდები, — ჩასჩურჩულა რაიამ.

— შენც მაგარი ხარ! მაინც რა დალოცვილები ხართ ეს რუსები, ალერსსა და სექსში ბადალი არა გყავთ, — ეუბნებოდა გელა ქალს...

— უკვე გვიანია, სადაცაა გათენდება, უნდა წავიდე, — უთხრა გელამ. ქალმა დასტურის ნიშნად გელას ტუჩებში აკოცა და ორივე საწოლიდან წამოდგა. გელამ სამხედრო ფორმა გადაიცვა, ჩექმა ისე ჩაიცვა, რომ ხანჯალი იქიდან არ ამოულია. რაიამ შიშველ ტანზე მხოლოდ ხალათი მოისხა და გელას გამოჰყვა გარეთ გასაცილებლად. გელამ ცარიელი ზურგჩანთა იღლიაში ამოიდო, მერე რაიას ხელი მხარზე მოხვია და გარეთ გამოვიდა. ზაფხულის მთვარიანი ღამე იყო, რაიას ჩახსნილდილებიანი ხალათი სულ რამდენიმე ღილზე ჰქონდა შეკრული, ქალის ბროლივით თეთრი მკერდი და ვარდისფერი ძუძუს თავები შეხსნილი გულისპირიდან გამომწვევად იმზირებოდნენ. გელა კიდევ ერთხელ მოეფერა რაიას და ამაყად წარმოსთქვა, — დიახ, რაია ქართველი არასოდეს დადის უიარალოდ, მითუმეტეს აქ, მაგდაგაჩში. შემდეგ გელამ ჩაიყო ჩექმის ყელში ხელი და პრიალა ხანჯალი ამოილო.

— აი, თურმე სად გქონია შენახული. მე კიდევ ჯიბებში ვეძებდი, თუ გგონია, რომ რუსის ქალი სულელია, ძალიან ცდები, — თქვა რაიამ და ნახევრად შეხსნილი ხალათის ჯიბიდან ფერადი პლასტმასისტარიანი ლამაზი ბებუთი ამოაძვრინა. მთვარის შუქზე ქართულ ხანჯალსა და რუსულ ბასრპირიან ბებუთს ლაპლაპი გაუდიოდათ და ქალსაც და ვაჟსაც თვალს სჭრიდა.

ორივე დუმდა. დუმილი ისევ ვაჟმა დაარღვია.

— მე ვფიქრობ, რომ არც შენ და არც მე ამიერიდან იარაღი აღარ დაგვჭირდება, ჩვენი ურთიერთობის მეგზური მხოლოდ სიყვარული იქნება. შენ რას იტყვი? — პკითხა ვაჟმა ქალს.

— ჰო, მხოლოდ სიყვარული და კიდევ... „ტუშონკის“ ქილები, — სიცილით მიუგო ქალმა.

ვანო პაპა

— ვინ უშლით ბაღში შემოსვლას ან ბლის ჭამას, მაგრამ ეს ტოტების დამტვრევა რამ მოაფიქრებინათ, ეს რა მავნებლობაა, — ბრაზობდა ვანო პაპა და ბალის დამტვრეულ ტოტებს ლობის ძირას აწყობდა.

ოცი წლის წინ, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულების საპატივსაცემოდ, სოფლის გამგეობამ შინმოუსვლელთა პარკის გაშენება დაიწყო. სანერგე მეურნეობიდან შეძენილ იქნა იშვიათი ჯიშის კიბაროსის ხეები, იმ რაოდენობის, რამდენი კაციც არ დაბრუნდა ომიდან სოფელ ვაზისუბანში და ყველა დაღუპული ვაჟვაცის სახელზე სათითოად იქნა დარგული.

კიბაროსის ხეებთან ერთად ვანო პაპას დაჟინებული მოხსოვნით კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კიდევ მრავალი ჯიშის დეკორატიული თუ ხეხილის ხეები შეიძინა და სულ ცოტა ხანში იქ მშვენიერი პარკი გაშენდა. სისხამ დილიდან გვიანობამდე პარკიდან არ გამოდიოდა მოხუცი, გარშემო უვლიდა 25 ჰექტარზე გაშენებულ პარკს და მუხლჩაუხერელად შრომობდა მისი გალამაზებისათვის. სოფლის ხელმძღვანელობაც ყურადღებას არ აკლებდა გამრჯე მოხუცს და საკმარისი იყო პარკის კეთილმოწყობისათვის რაიმე მოეთხოვა, გამგეობა უყოყმანოდ გასცემდა თანხებს. განსაკუთრებით ლამაზი სანახავი იყო პარკი საღამოობით. მისი მთელი ტერიტორია ლამპიონებით იყო გაჩირაღდნებული, გრძელი, დასასვენებელი სკამები ერთიმეორის მიყოლებით მოკლე მანძილზე იყო ჩადგმული, პარკში მოწყობილი იყო ყვავილნარი, კიბაროსებს მიმაგრებული ჰქონდათ თუნუქის პატარა ფირფიტები, რომლებზეც დაწერილი იყო ომში დაღუპულების გვარ-სახელი და მამის სახელები. საოცარი გრძნობა ეუფლებოდა აქ შემოსულს, თითქოს იგი ომში დაღუპულ გმირთა საპატიო ყარაულის თანხლებით სეირნობდა ამ შესანიშნავ პარკში.

პარკის განაპირას ხისგან აშენებული, ლამაზი, კოხტა სახლი იდგა, აქ შინმოუსვლელ გმირთა მუზეუმი იყო მოწყობილი. ამ მუზეუმში წარმოდგენილი იყო დაღუპულ გმირთა სურათები და მათი ცხოვრების ამსახველი სხვა მასალები.

სოფელში ჩამოსული სტუმარი აუცილებლად ეწვეოდა ხოლმე მუზეუმს და შთაბეჭდილებათა წიგნში ტოვებდა თავის ჩანაწერს.

განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო პარკში 9 მაისს. ამ დღეს მთელი სოფელი იყრიდა თავს. თითოეული ოჯახი თავის კიპაროსის ხესთან შლიდა სუფრას. ამ დღეს ამ კიპაროსებს, შინ-მოუსვლელთა ოჯახის წევრები, როგორც ცოცხალ ადამიანებს ისე ელაპარაკებოდნენ და ეფერებოდნენ, სვამდნენ გმირების სადღეგრძელოებს. საინტერესო და საოცარი სანახავი იყო 9 მაისის დღესასწაული სოფელ ვაზისუბნის შინმოუსვლელთა პარკში.

სოფელში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა ომგადახდილი, 80 წელს გადაცილებული ვანო პაპა, რომელსაც სიმხნევე არ აკლდა, მუხლიც მოსდევდა და თვალიც უჭრიდა, მაგრამ ცოტა ყურთასმენა ღალატობდა. პარკში საქეიფოდ ამოსული ახალგაზრდები ვანო პაპას სადღეგრძელოს გარეშე პურის ჭამას არ ამთავრებდნენ. ვაზისუბნის კოლმეურნეობა მთელს რესპუბლიკაში იყო ცნობილი ყურძნის უხვი მოსავლის მიღებით. ამ სოფელს ხშირად სტუმრობდნენ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალნი.

იმ დღესაც დიდი სამზადისი იყო კოლმეურნეობის გამგეობაში, ხუმრობა ხომ არ იყო ქვეყნის პირველი პირი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე უნდა ჩამოსულიყო ვაზისუბნელებთან. რაიონისა და სოფლის ხელმძღვანელობას დილიდანვე და-ეჭირა თადარიგი საპატიო სტუმრის დასახვედრად. ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე უცხოელი სტუმრების თანხლებით მობრძანდებოდა კახეთში. რა თქმა უნდა, საპატიო სტუმრებს აუცილებლად დაათვალიერებინებდნენ პარკს, ის ხომ სოფელ ვაზისუბნის სავიზიტო ბარათი გახლდათ. ნაშუადღევს დედაქალაქიდან მაღალი რანგის სტუმრები სოფელში ჩამოვიდნენ. სოფლის კულტურის სახლში საზეიმო შეხვედრამ მაღალ დონეზე ჩაიარა. ქვეყნის პირველმა პირმა, ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სოფლის მეურნეობასა და მევენახეობაში მიღწეული დიდი წარმატებისათვის გარდამავალი

წითელი დროშა გადასცა ლენინის ორდენთან ერთად.

სანამ საპატიო სტუმრებს ბანკეტზე მიიპატიუებდნენ, შევარდნაძემ გამოთქვა შინმოუსვლელთა პარკის დათვალირების სურვილი. მანქანების ესკორტი სოფლის თავში მდებარე პარკისაკენ გაემართა. პარკის შესასვლელთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. წელში მოხრილი და ჯოხს დაყრდნობილი ვანო პაპა პარკის შესასვლელ ჭიშკარს შიგნით იდგა და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა მასთან მიახლოებულ სამთავრობო ავტომანქანების კოლონას.

შევარდნაძის მანქანა ბალის შესასვლელ ჭიშკართან გაჩერდა, დაცვის წარმომადგენლები მივიღნენ ჭიშკართან და დაინტერეს მისი გაღება, რათა პირველი მდივნის მანქანა პარკის ტერიტორიაზე შეეყვანათ. ვანო პაპა არავის აძლევდა მანქანით პარკის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას, რადგან საგანგებოდ მოწყობილი დეკორაციული ბილიკები და ყვავილნარი მანქანის საბურავებს არ გადაეთელა. ის მიუხალოვდა ახალგაზრდას, რომელიც მონდომებით ეჯაჯგურებოდა რკინის ჭიშკარზე დადებულ კლიტეს და მშვიდად უთხრა: – ჭიშკრის გაღება არ შეიძლება, მანქანას შიგნით არ შევუშვებ, თუ დათვალიერება გინდათ ფეხით შემოდით და დაათვალიერეთ!


– მოხუცო, გონს მოდი, იცი ვინა ზის მანქანაში, ცეკას პირველი მდივანია ამხანაგი შევარდნაძე.

– მერე და მაგ შენი ცეკას პირველ მდივანს ფეხები არა აქვს? კუტია? ვერ გადმოვა მანქანიდან? – უპასუხა აუღელვებლად ვანო პაპამ.

ირგვლივ მდგომარეობა დაიძაბა. ვანო პაპა მყარად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე, ახალგაზრდა განზე გასწია, გარეთ გამოვიდა, დადგა მანქანის წინ და ჯოხით ანიშნა მძლოლს, უკან დაეხია.

– მოხუცო, ხომ არ შეიშალე! რას ბედავ! ვის ეწინააღმდეგები! შევარდნაძეა, ვერ გაიგე? – ჩასძახა ყურში ხმამაღლა რაიკომის მდივანმა, რომელიც იქვე, ჭიშკრის გვერდით იდგა და მოხუცის თავნებობას დაძაბული შეჰყურებდა.

– შევარდნაძე კი არა, ქრისტე ღმერთიც რომ იყოს, მანქანით არ შემოვა, – ხმამაღლა წარმოსთქვა მოხუცმა და რაიკომის



მდივანს ჯოხი მოუღერა. მდგომარეობა ისევ ქვეყნის პირველმა პირმა განმუხტა. მან მანქანის კარი გამოაღო, გადმოვიდა, მოსუცს გაუღიმა, ხელი მაგრად ჩამოართვა და ხალხს მიმართა.

— ეს პატივცემული კაცი მართალია. ის თავის შრომას უფრთხილდება, მისი ქმედება კარგი მაგალითია თითოეული ჩვენთაგანისათვის. უნდა ვიცოდეთ ჩვენი შრომის დაფასება და პატივისცემა. შემდეგ შევარდნაძემ ვანო პაპას მხარზე მეგობრულად გადახვია ხელი და ორივენი კიბაროსების ხეივანში შევიდნენ.

ნოსტალგია

— ყველაზე მეტად ეს არ მინდოდა მომხდარიყო, მაგრამ მაინც არ ამცდა, — სინანულით წარმოსთქვა იოსებმა და მეუღლეს თვალი მოარიდა.

თამარი მიხვდა, რომ მის ქმარს სამსახურში რაღაც ცუდი შეემთხვა და თანაგრძნობით შეეკითხა:

— რა მოხდა, კაცო, აღარ იტყვი?

— რაღა უნდა ვთქვა, გამათავისუფლეს სამუშაოდან, ამ დილით ცვლა რომ დავამთავრე, დამიძახა უფროსმა და მითხრა, ხვალიდან აღარ გამოხვიდე, გათავისუფლებული ხარო, — მოულოდნელობისაგან გაოგნებულმა ვკითხე რატომ, რისთვის, რა დავაშავე მეთქი? მან კი მიპასუხა:

— ჩვენ ასე გადავწყვიტეთ, ასე ჩავთვალეთ საჭიროდო, — უთხრა მეუღლეს იოსებმა, დივანზე ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

— რა ვქნა ეხლა, სად წავიდე! ვინ მიმიღებს სამსახურში 60 წელს მიტანებულ კაცს, ან სოფელში როგორ ვიარო უფულოდ, ვენახი როგორ დავამუშაო, ყველაფერი ათმაგადაა გაძვირებული. იმისათვის მივიღე მონაწილეობა ვარდების რევოლუციაში, ასეთი ცხოვრება რომ გვქონდა?! ამიტომ გადავაგდეთ ის ავადსახსენებელი შევარდნაძე, დღეს კრწანისის ყოფილ სამთავრობო რეზიდენციაში მშვიდად, უზრუნველად რომ ცხოვრობს და ზოგჯერ პრესის საშუალებით ჭკუასაც რომ გვარიგებს?!

ვარდების რევოლუციის შემდეგ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა იოსების თაობა. ქვეყნის პირველმა პირმა ამ თაობას ჩარეცხილები უწოდა და უმეტესობას მუშაობის საშუალებაც მოუსპო, მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესობა საქმის ერთგული და პროფესიონალი იყო.

იოსებს მეუღლე გვერდით მიუჯდა, ალერსით გადაუსვა ხელი ჭალარა თმებზე და უთხრა:

— კარგი, დამშვიდდი, შიმშილით არ დავიხოცებით. რისთვის გვყვანან შვილები, ისინი შეგვეშველებიან, ასე ღვთის ანაბარა ხომ არ დაგვტოვებენ! — ამშვიდებდა იოსებს თვალებზე ცრემლ-მორეული თამარი.

— სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი ასეთ უსამართლობას, მე ხომ არაფერი დამიშავებია, არაფერი გამიფუჭებია, შრომის კოდექსის არც ერთი მუხლი არ დამირღვევია. არც შემცირებები ყოფილა!

— დღევანდელი შრომის კოდექსი უზომოდ უსამართლოა. ის მხოლოდ ერთი მხარის ინტერესებს იცავს, ასეთი შრომითი კანონმდებლობა აფრიკის ქვეყნებსაც აღარ აქვთ. ამ კანონმდებლობის ძირითადი მოტივაციაა: „დამქირავებელს ყველაფერი, დაქირავებულს არაფერი,“ ასე რომ, მთავარი დამნაშავენი შენს მიმართ პარლამენტის ის წევრები არიან, ვინც ამ დრაკონული შრომის კოდექსის დაკანონებას ხმა მისცა, — დინჯად და აუღელვებლად უპასუხა თამარმა ქმარს.

მეორე დღეს იოსებმა გადაწყვიტა წასულიყო ქარხნის უშიშროების ხელმძღვანელთან, რომელსაც დაცვის სამსახური ექვემდებარებოდა, სადაც იოსები სამი წელია გუშაგად მუშაობდა. უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის თავაზიანმა მიღებამ გააკვირვა იოსები, რადგან ის შეჩერებული იყო ახალგაზრდა ხელმძღვანელი პირებისაგან უგულისყურო მოპყრობას.

ბატონმა ვასიკომ გულდასმით მოუსმინა იოსებს და აღუთქვა საქმის ვითარებაში გარკვევა. დაინტერესდა მისი პროფესიით და ადრინდელი საქმიანობით. იოსების ტაქტიანმა და ინტელექტუალურმა საუბარმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა უშიშროების ხელმძღვანელზე.

— ბატონო იოსებ! აი ჩემი ტელეფონის ნომერი. ერთი კვირის შემდეგ დამირეკე, თქვენს საკითხს აუცილებლად გავარკვევ, თუ რაიმე დარღვევას თქვენი მხრიდან ადგილი არ ჰქონია, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, გადაწყვეტილებას თქვენს სასარგებლოდ მივიღებ და სამუშაოზე დაგაბრუნებთ, — უთხრა ბატონმა ვასიკომ იოსებს, შემდეგ ხელი ჩამოართვა და წინასწარ მიულოცა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. იოსებმა მადლობა გადაუხადა თავაზიან ახალგაზრდას და იმედით აღვესილმა დატოვა მისი კაბინეტი.

იოსებს ეჭვი არ ეპარებოდა ამ ახალგაზრდა კაცის დაპირებაში და სრულიად დაიმედებული ერთი კვირით კახეთს გაემგზავრა. საქმე უამრავი ჰქონდა, პირველ რიგში მამისეული

ვენახისათვის უნდა მიეხედა. როგორი მოუცლელიც არ უნდა ყოფილიყო, ვენახს არ ეღალატებაო, იტყოდა ხოლმე და სამგზავრო ფულიც რომ არ ჰქონოდა, ისესხებდა და მაინც წავიდოდა სოფელში.

ერთი კვირის შემდეგ ნაჯაფარი და ხვალინდელი დღის იმედით აღსავსე იოსები დაბრუნდა ქალაქში, მოძებნა ბატონი ვასიკოს ტელეფონის ნომერი და დაურეკა. გულისფანცქალით ელოდა იგი ვასიკოს ხმას, მაგრამ ტელეფონზე არავინ პასუხობდა. ასე გაგრძელდა ორი კვირა, ერთი თვე, იოსები თითქმის ყოველდღე ურეკავდა უშიშროების ხელმძღვანელს, მაგრამ მან პასუხის ღირსიც არ გახადა იგი. გარდა ამისა რამდენჯერმე იყო მასთან მისული მიღებაზე, მაგრამ ბატონ ვასიკოს ხან უცხოელი სტუმრები ჰყავდა, ხან ქარხნის დირექტორთან იყო გამოძახებული, ხანაც თვითონ ატარებდა თათბირს. ასე რომ, იოსებს მოპეზრდა ტელეფონზე უაზროდ რეკვა, სამმართველოში სიარული და შეურაცხყოფილი ქარხანას აღარ გაჰყარებია. მან სხვაგანაც მოსინჯა ბედი, რათა სამუშაო ეშოვნა, მაგრამ უშედეგოდ, მას ან ასაკის გამო ეუბნებოდნენ უარს ან, უმეტეს შემთხვევაში, სამუშაო ადგილი არ ჰქონდათ.

ერთ საღამოს თამარი სტუმრად იყო წასული. სახლში დაპრუნებულმა შეხედა თუ არა თავის ქმარს, სახტად დარჩა. იოსებს ჩაეცვა ძვირფასი კოსტიუმი, რომელსაც ის სამინისტროში მუშაობისას იცვამდა. თეთრ პერანგს, გერმანიაში საკვალიფიკაციო მივლინებებში ყოფნის დროს ნაყიდი ძვირფასი ჰალსტუხი ამშვენებდა. შავი, მოხდენილი ფეხსაცმელი საგანგებოდ გაეპრიალებინა, თმები კოხტად დაევარცხნა, მამაკაცის ძვირადღირებული ფრანგული სუნამო სახეზე ეპკურა და თავმომწონედ იყურებოდა გარდერობის სარკეში, სადაც მთელი ტანით იყო წარმოდგენილი: თმაშევერცხლილი, მშვენიერი აღნაგობის, სიმპათიური მამაკაცი. თამარს დიდი ხანია არ ენახა ასე ელეგანტურად ჩაცმული თავისი მეუღლე.

— იოსებ, სად მიბრძანდები ასე რომ გამოწყობილხარ? — ცოტა შიშნარევი ხმით ჰკითხა მეუღლეს გაკვირვებულმა თამარმა.

— ნუ გეშინია, თამარ! საკუბოვედ ჯერ არ ვემზადები. მე კიდევ დიდხანს უნდა ვიცოცხლო ამ მთავრობის ჯინაზე.

— ღმერთმა დაგიფაროს! — უთხრა თამარმა და სახეზე ღიმილი მოერია, შემდეგ თავი იოსების მკერდს მიადო და ლოყაზე აკოცა მეუღლეს.

— მაინც რას მივაწერო შენი ასეთი გამოპრანჭვა? — არ ეშვებოდა თამარი.

— ჩემი ტანსაცმელი მომენატრა, ქალო! 7 წელია აღარ ჩამიცვია, სანამ ჩავიცმევდი, დიდხანს ვეფერებოდი ჩემს კოსტიუმს, თეთრ პერანგს და ჰალსტუხს. იცი რა ძნელია, როცა იმას აღარ გაკეთებინებენ, რაც ყველაზე კარგად იცი და გიყვარს, რაც ჯერ კიდევ შეგიძლია, — ეს სიტყვები იოსებმა წყნარად, ნაღვლიანად წარმოსთქვა და თვალზე მომდგარი ცრემლი საჩვენებელი თითით მოიწმინდა.

სიცეთისათვის დარღვეული კანონი

ზაზამ სულ რაღაც ორი კვირაა, რაც გერმანიაში საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა და ნოიშტატიდან ლიუდვიგსპაფენში გადავიდა იმ მიზნით, რომ იქ მაინც იშოვიდა სამუშაოს.

სამუშაო მართლაც იშოვა, სოციალურ სამსახურში მოეწყო თარჯიმნად. ის, ძირითადად პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოსულ ლტოლვილებს ემსახურებოდა.

მისი შეფი – ბატონი ვინფრიდი კეთილი, განათლებული ადამიანი იყო. მაღალი, წარმოსადეგი, სასიამოვნო მოსაუბრე. წარმოშობით ქალაქ ლიუბეკიდან. ბატონი ვინფრიდი გაცნობისთანავე კეთილად განეწყო ზაზას მიმართ. ისინი სულ მალე დამეგობრდნენ კიდეც. ვინფრიდს მოსწონდა, რომ ზაზა გამართულად საუბრობდა გერმანულ ენაზე. ალმოჩნდა, რომ მათ საერთო ინტერესებიც ჰქონდათ – ორივეს უყვარდა ლიტერატურა. ზაზა აშკარად ამჩნევდა განსხვავებას ვინფრიდსა და სხვა გერმანელ თანამშრომელთა შორის. ვინფრიდი, მათთან შედარებით, მეტი სიკეთითა და ლტოლვილების მიმართ ლოიალობით გამოირჩეოდა. ზაზა თვლიდა, რომ ამის მიზეზი იყო ის, რომ ქალაქი ლიუბეკი, რომელიც პოლონეთისა და გერმანიის საზღვართან მდებარეობდა, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქი იყო. ვინფრიდი რამდენიმეჯერ საბჭოთა კავშირშიც იყო ნამყოფი. იგი მეტნაკლებად იცნობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მცხოვრები მოსახლეობის მენტალიტეტს და ამიტომაც თანაუგრძნობდა მათ. მას განსაკუთრებით ბევრი ინფორმაცია ჰქონდა საქართველოს შესახებ. ასე თუ ისე იცნობდა მის ისტორიას, კულტურასა და ადათ-წესებს. ზაზა გაკვირვებული უსმენდა, როცა ის გატაცებით უყვებოდა თავის უმცროს ქართველ მეგობარს ქართულ ფილმებზე, განსაკუთრებით აღფრთოვანებით საუბრობდა რეზო ჩეიიძის ფილმზე „ჯარისკაცის მამა“. ვინფრიდი ასევე დიდ ინტერესს იჩენდა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისადმი, მოსწონდა მისი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“...

ზაზას წინა დღეს დაავინწყდა მაღვიძარას გამორთვა. შაბათი თენდებოდა, უნდოდა დილის ძილით გული ეჯერა, მაგრამ

მაღვიძეარას გაბმულმა ზარმა ძილი დაუფრთხო. უკვე დილის 8 საათი იყო. ზაზამ ლოგინში კოტრიალს ადგომა ამჯობინა. ვერ გადაეწყვიტა როგორ დაეგეგმა დღევანდელი დღე, მერე გაახსენდა, ვინფრიდმა რომ შაბათისთვის თავისთან მიიწვია, რადგან ინგლისიდან მისი მეგობარი ქალი ჩამოდიოდა და მის საპატივსაცემოდ ვახშამს აწყობდა.

ზაზას ვერ გადაეწყვიტა მანქანების ბაზრობაზე წასულიყო თუ ვინფრიდს სწვეოდა, ამიტომ მასთან დარეკვა ამჯობინა. ტელეფონში ნახევრად მძინარე მამაკაცის ხმა გაისმა:

— ცუდი ხომ არაფერია ასე დილაადრიან რომ რეკავ?

ზაზამ ბოდიში მოუხადა, რომ დღეს მასთან ვახშმად ვერ მივიდოდა, რადგან მანქანების ბაზრობაზე მიდიოდა და თავაზიანად დაემშვიდობა...

მანქანების ბაზრობა ქალაქის გარეუბანში მდებარეობდა. იგი ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა და უამრავი ხალხი იყრიდა თავს. აქ იყვნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულები, რომლებიც 10-15 წლის საუცხოოდ მოვლილ ნახმარ მანქანებს საკმაოდ იაფად ყიდულობდნენ, საკუთარ ქვეყნებში კი მაღალ ფასებში ჰყიდდნენ.

ზაზამ მსუბუქად ისაუზმა, შეჯდა ველოსიპედზე და ბაზრობისკენ გაემართა. უცხო თვალი უცბად შეამჩნევდა ბაზრობაზე ყიდვა-გაყიდვის განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეულ თურქებს. თითქმის ყველა ბაზრობაზე მათ ეპყრათ მონოპოლია. მოგეხსენებათ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ინფრასტრუქტურა მთლიანად განადგურებული იყო. მის აღსადგენად შექმნილ „მარშლის გეგმას“ უცხო ქვეყნებიდან, ყველაზე აქტიურად თურქეთი გამოეხმაურა. ამ მიზნით დაიძრა უამრავი თურქი გერმანიისაკენ. შესაბამისად, გერმანიის ხელისუფლებამ თურქებისათვის საპასპორტო რეუიმი უფრო ლოიალური გახადა. მთელს გერმანიაში თურქების რიცხვი დღეისათვის 5 მილიონს აღემატება. მათი უმეტესობა გერმანიის მოქალაქეა. ასე რომ, ის შესანიშნავი ავტობანები, რომლითაც გერმანელები ამაყობენ, თურქების აშენებულია.

ბაზრობაზე განსაკუთრებით ფასობდნენ ის მანქანები, რომლებსაც გერმანელები ყიდიდნენ, რადგან მათი მანქანები მუდამ

საუკეთესო მდგომარეობაში იყო.

ზაზა მანქანებს ათვალიერებდა, როცა ერთ ადგილას შეკუჩებულ ხალხს შორის ქართული ლაპარაკი შემოესმა. მას კარგა ხანია ქართველებთან ურთიერთობა არ ჰქონია. ქართული მხოლოდ ტელეფონში ესმოდა. აქ გერმანიაში მონატრებული იყო მშობლიური სიტყვის გაგონებას.

შეკრებილთა შორის განსაკუთრებით აქტიურობდა საშუალო ტანის, ჯმუხი, შავგვრემანი ახალგაზრდა, რომელსაც ალბათ მანქანის ყიდვა უნდოდა. იგი ხელით აჩვენებდა გერმანელს, თუ რა თანხის გადახდას აპირებდა მის მანქანაში. გერმანელს ეტყობა ერთა თანხის რაოდენობა და უარის ნიშნად ორივე ხელი გააქნია.

— რას ამბობ, შენ რომ მაგდენი მოგცე, მე რაღა დამრჩება? — წარმოსთქვა ქართულად შავგვრემანმა და მანქანას მოსცილდა.

— ვერ მორიგდით? — ღიმილით შეეკითხა ზაზა ქართულად ახალგაზრდას.

— ქართველი ხარ?

— ჟო, ქართველი ვარ, შენ საიდან ხარ?

— მე გია ვარ, თელავიდან. თუმცა იქ კაი ათი წელია აღარ ვყოფილვარ. ცხრა წელი ყაზახეთში ვიცხოვრე. იქ დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი, იქვე დავოჯახდი, რუსგერმანელი ქალი მოვიყვანე ცოლად და ერთი წლის წინ აქ ჩამოვედი საცხოვრებელად.

— მე თბილისელი ვარ, — უთხრა ზაზამ, — ზაზა მქვია. ადრე ნოიშტატში ვცხოვრობდი. 6 თვის წინ ჩამოვედი გერმანიაში სამუშაოდ.

ბიჭებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ძმურად გადაეხვინენ.

— რამდენი ხანია ქართული ლაპარაკი არ გამიგონია. ძალიან მიხარია, რომ შემხვდი. ეს შეხვედრა უნდა ავღნიშნოთ, — უთხრა ზაზამ გიას, — აქვე ვცხოვრობ, შემომიჯექი ველოსიპედზე და წავიდეთ ჩემთან.

გია სიამოვნებით დაეთანხმა ზაზას წინადადებას, თუმცა შესთავაზა, — მე ჩემი „აუდიო“ ვარ, მომექმარე, როგორმე შენი ველოსიპედი საბარგულში ჩავდოთ და ჩემი მანქანით წავიდეთ.

ზაზამ ელვის სისწრაფით მოხსნა ორივე თვალი თავის ველო-
სიპედს და გიას მანქანის საბარგულში უპრობლემოდ მოათავსა.

— შენ ლტოლვილი ხარ, იქნებ არც მუშაობ. ალბათ „სოცია-
ლურზე“ ხარ მხოლოდ. დღეს უქმება და ყველა მაღაზია და-
კეტილია. მარტო ბენზინგასამართ სადგურებზე არსებული
მარკეტები მუშაობენ. გადავალ, რამეს ვიყიდი, — თქვა გიამ და
მანქანა გააჩერა.

— არ არის საჭირო, სახლში ყველაფერი მაქვს, — უთხრა ზა-
ზამ

— სასმელს მაინც ავიღებ. ხელცარიელი ხომ არ შემოვალ შენს
ოჯახში, — თქვა გიამ და მანქანიდან გადავიდა. ზაზაც გადმო-
ჰყვა და ორივე ერთად შევიდა მარკეტში.

გიამ დამტვრეული გერმანულით სცადა აეხსნა გამყ-
იდველისათვის, თუ რისი ყიდვა სურდა, მაგრამ ქალბატონმა
ვერ გაიგო გიას გერმანული. საუბარში ისევ ზაზა ჩაერია. მან
გამართული გერმანულით მიმართა გამყიდველს, რომელმაც
შვებით ამოისუნთქა, იფიქრა მეშველაო, და მალე გიას სასმელი
და პროდუქტებით სავსე პარკი მიაწოდა...

— ზაზა, შენ რა უაქცენტოდ საუბრობ გერმანულად. ნუთუ
ამ ექვს თვეში მოახერხე ასე კარგად გერმანულის შესწავლა! —
გაკვირვებული ეკითხებოდა გზაში ზაზას გია.

— არა, გია! აბა ექვს თვეში როგორ ვისწავლიდი. მე პროფესი-
ოთ გერმანისტი ვარ. თბილისში, უნივერსიტეტის უცხო ენების
ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, გერმანულის სპეციალო-
ბით. თანაც კვალიფიკაცია აქ, გერმანიაში მაქვს გავლილი.

გია უზომოდ გახარებული იყო ზაზას გერმანულის ცოდნით
და კითხვებს კითხვებზე უსვამდა. ყველაფერი აინტერესებდა
მის შესახებ.

ერთოთახიან ბინაში ზაზა მარტო ცხოვრობდა. ოთახში სრუ-
ლი სისუფთავე და წესრიგი სუფევდა. სამზარეულო, აბაზანა
და ტუალეტიც სანიმუშოდ იყო მოვლილი.

— ყოჩალ, ძმაო! მარტო ცხოვრობ და როგორ ახერხებ ასე
სისუფთავისა და წესრიგის დამყარებას. მე ჩემი ცოლი სულ
უკან დამდევს და მსაყვედურობს, „ნირიახას“ მეძახის, ხომ
იცი გერმანელებს სისხლში აქვთ გამჯდარი აკურატულობა. მე

მგონი, ამ მხრივ, შენ იმათზე მაგარი ხარ!

ზაზას გაელიმა და გია წიგნების კარადასთან იხმო, – აქ ქართული წიგნებიც მაქვს. თუ დაგაინტერესებს თვალი გადაავლებე კი ცოტა ხნით დაგტოვებ, სამზარეულოში გავალ. ყველაფერი მზად მაქვს, მარტო ხორცს შევწვავ ტაფაზე.

გიამ ზაზას თავი დაუქნია. კარადიდან ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“ გადმოიღო, სავარძელში მოკალათდა და შერჩევით დაიწყო კითხვა...

ცოტა ხნის შემდეგ ზაზამ მდიდრულ სუფრასთან მიიწვია გია. მაცივრის საყინულედან გაციებული არაყი „გორბაჩივი“ გამოიღო და ჭიქები შეავსო.

– ეს ჩვენი გაცნობის იყოს, ჩემო გია. მართალია აქ სხვა ქალაქში ცხოვრობ, მაგრამ იმედია ჩვენს ურთიერთობას ეგ არ შეუშლის ხელს, – წარმოსთქვა ზაზამ და სულმოუთქმელად გამოსცალა ჭიქა.

– ასე იყოს, ჩემო ზაზა. შენ ოღონდ მაცნობე და მაშინვე შენთან გავჩნდები. რა ბევრი ჩვენ ვართ აქ, რომ ერთად არ ვიყოთ და ერთმანეთს ცხოვრება არ გავუადვიღოთ...

იმ ღამეს გია ზაზასთან დარჩა. ცოლ-შვილს ტელეფონით დაუკავშირდა და აუხსნა, თუ სად იმყოფებოდა. ახალგაცნობილმა მეგობრებმა გვიან ღამემდე ისაუბრეს. გაიხსენეს საქართველო, აღნიშნეს, რომ მართალია უჭირთ უსამშობლოდ, მაგრამ დღეს ისეთი დროა, რომ აქ ურჩევნიათ ყოფნა, რათა საქართველოში გაუსაძლის პირობებში მყოფ ოჯახის წევრებსა თუ ახლობლებს დაეხმარონ.

მეორე დღეს გია დილაადრიან გაემგზავრა. ზაზას გარეთ გასვლა ეზარებოდა ან სად უნდა წასულიყო. კვირა დღე იყო და ყველა მისი ნაცნობი ქალაქებარეთ იყო გასული. ის დივანზე წამონვა და წიგნის კითხვას შეუდგა, მაგრამ წინა ღამის ნაქეიფარსა და დაღლილს მალე ჩაეძინა.

საღამოს ზაზა ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა. ვინფრიდი ურეკავდა.

– ზაზა, კარგია რომ სახლში ხარ. თუ დრო გაქვს ჩემთან ამოდი, საქმე მაქვს, – უთხრა ვინფრიდმა.

ზაზას გაუხარდა კიდეც ვინფრიდი რომ შეეხმიანა და საღა-

მოს საინტერესოდ გატარების იმედით, მეგობართან წავიდა.

ვინფრიდი მარტო არ იყო. ის თავის ინგლისელ ქალბატონთან – ელიზაბეტთან ერთად ვახშმობდა. ზაზა მიესალმა მათ, ქალბატონს ხელზე ეამბორა და სუფრას მიუჯდა.

– ზაზა, შენთვის სიურპრიზი მაქვს. ისეთი რამ უნდა გაჩვენო, რასაც თვითონაც ვერ წარმოვიდგენდი, – ამ სიტყვებით ვინფრიდი მივიდა კარადასთან, იქიდან წიგნი გადმოიღო და ზაზას გაუწოდა. ზაზამ წიგნი გამოართვა, დახედა და წაიკითხა, იოპან ვოლფგანგ გოეთე „ფაუსტი“.

– ეს წიგნი მეც მაქვს სახლში, ოღონდ არა გერმანულად, არამედ ქართულად. დიახ, ის ქართულად არის ნათარგმნი. რა გასაკვირია? გოეთეს „ფაუსტი“ ხომ მთელს მსოფლიოშია ცნობილი, როგორც გერმანელი კლასიკის ბრწყინვალე ნაწარმოები, – თქვა ზაზამ გაკვირვებით.

– ამ წიგნს სხვა განსაკუთრეული ღირსება აქვს, რაც ჩემთვის წარმოუდგენლად ძვირფასია. გადაშალე და სატიტულე ფურცელზე გაკეთებული წარწერა წაიკითხე! – სთხოვა ვინფრიდმა ზაზას.

ზაზამ წიგნი გადაშალა და გრძლად დაწერილი ხელნაწერი ბოლომდე ჩაიკითხა. ის თავდებოდა მინაწერით – ავტორისაგან, იოპან ვოლფგანგ გოეთე. საქმე ისაა, რომ „ფაუსტის“ ეს გენიალური ქმნილება მწერლის სიცოცხლეში ყოფილა გამოცემული. გოეთეს ის უჩუქებია იმდროინდელი გერმანიის ერთერთი მაღალი ჩინის მქონე სახელმწიფო მოხელისათვის, საკუთარი ავტოგრაფით, ხოლო გუშინდელი დღიდან ეს უნიკალური წიგნი, რომელიც ნამდვილად წარმოადგენდა ისტორიულ ღირებულებას, ვინფრიდის საკუთრება გამხდარიყო. აი, რატომ იყო ასეთი ამაყი და გახარებული ზაზას გერმანელი მეგობარი.

– მართლა ძვირფასი განძი შეგიძნია, ვინფრიდ, უდიდესი კლასიკოსის წიგნი ყოველი ადამიანის ბიბლიოთეკას დაამშვენებს, – აღფრთოვანებით წარმოსთქვა ზაზამ, – სად იყიდე? ალბათ საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადე? – ჰკითხა ზაზამ მეგობარს.

– ზაზა, ვერ წარმოიდგენ რა მოხდა. ეს წიგნი წიგნების ბაზრობაზე შევიძინე პარასკევ საღამოს. ვიღაც მათხოვარი ყიდდა

წიგნებს. მივედი დასათვალიერებლად, ავიღე ეს წიგნი ხელში და გადავურცლე თუ არა, მაშინვე თვალში მომხვდა გოეთეს ხელნაწერი ავტოგრაფით. ამ განძს ხელიდან როგორ გავუშვებდი.

გამყიდველმა არ იცოდა ამ უნიკალური წიგნის ფასი, მან 10 მარკად მომყიდა „ფაუსტი“, მე სწრაფად გადავუხადე ფული და იქაურობას გავეცალე. ვინფრიდი აღტაცებით უყვებოდა ზაზას წიგნის ყიდვის ამბავს და უზომო ბედნიერებისაგან თვალები უბრწყინავდა.

ზაზამ, ვინფრიდმა და ელიზაბეტმა შესანიშნავად გაატარეს საღამო, მითუმეტეს, რომ ამის საბაბი ჰქონდათ. ვინფრიდი ბედნიერი იყო. ახლა მის თაროზე იდო გერმანელი კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლის იოპან ვოლფ-განგ გოეთეს უკვდავი ნაწარმოები „ფაუსტი“, რომელსაც ამშვენებდა დიდი გოეთეს ავტოგრაფი.

მეორე დღეს, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ზაზა სახლში იყო, სამზარეულოში ფუსფუსებდა და თავისთვის საჭმელს იმზადებდა. ამ დროს ოთახიდან ტელეფონის გაბმული ზარის ხმა გაისმა. ზაზამ ყურმილი აიღო, გია ურეკავდა.

– ზაზა, იქნება ხვალ როგორმე გაენთავისუფლო შენს შეფს სამსახურიდან. მე მჭირდები. აუცილებელი და თანაც გადაუდებელი საქმე მაქვს. თუ გათავისუფლებას მოახერხებ, შემატყობინე. ჩამოვალ და წამოგიყვან. მარტო არ ვიქნები. დანარჩენს მერე გეტყვი რომ ჩამოვალ.

ზაზა ააფორიაქა გიას მოულოდნელმა და უცნაურმა სატელეფონო საუბარმა. ერთ წამს გაიფიქრა – გიას ცუდი ხომ არაფერი შეემთხვა, ის თავს ვალდებულად თვლიდა მას აუცილებლად დაეხმარებოდა ან როგორ უნდა ეთქვა უარი უცხო ქვეყანაში თავისი თანამემამულისათვის. ზაზამ მაშინვე აკრიფა ვინფრიდის ტელეფონის ნომერი და სთხოვა ერთი დღით გათავისუფლება, რაზეც თანხმობა მიიღო.

მეორე დღეს, დილის 10 საათზე გია ზაზასთან იყო. მას თან ახლდა ახალგაზრდა ქალ-ვაჟი.

– ზაზა, გაიცანი ეს ნიკოა, ჩემი ბიძაშვილისშვილი. ეს კი მისი მეუღლეა – ნინო. ისინი ერთი თვის წინ ჩამოვიდნენ გერმანიაში

და ლტოლვილებად ჩაბარდნენ. ჩემი ქალაქიდან 60 კმ დაშორები ცხოვრობენ. მათ შენი დახმარება სჭირდებათ.

ზაზამ ახალგაზრდები შეათვალიერა. ბიჭი 20 წლის იქნებოდა, გოგონა, ალბათ, 18-ის. ორივე სასიამოვნო გარეგნობის იყო. განსაკუთრებით გოგონამ მოხიბდა. მის ლამაზ, მოხდენილ ტანს უხდებოდა თეთრი, ქათქათა პერანგი და შავი ქვედა ბოლო. ქერა თმების კულულები ლამაზად ეფინა სუსტ მხრებზე. მშვენიერ, ფერმკრთალ სახეს ამშვენებდა მწვანე, სევდიანი თვალები. ძნელი იყო ამ სილამაზისთვის თვალი მოგეშორებინა. აშკარად ეტყობოდა ამ არსებას რაღაც აწუხებდა. ქალ-ვაჟის ურთიერთდამოკიდებულებაში იგრძნობოდა დიდი სიყვარული და პატივისცემა.

გიამ ახალგაზრდები ოთახში დატოვა. ზაზას კი სთხოვა სამზარეულოში გაჰყოლოდა.

— ზაზა, ვერ წარმოიდგენ რა საცოდაობასთან გვაქვს საქმე. ამათ ბავშვობიდან უყვარდათ ერთმანეთი. 6 თვის წინ შეუღლდნენ კიდეც. მათ ბედნიერებას მთელი სოფელი შენატროდა, მაგრამ... მოკლედ სამი თვის წინ გოგონას ავთვისებიანი სიმისივნე აღმოაჩნდა. ექიმებმა საზღვარგარეთ წასვლა ურჩიეს სამკურნალოდ. ისინი მე დამიკავშირდნენ და დახმარება მთხოვეს. ლტოლვილთა ექიმმა ერთ პროფესორთან ურჩია მისკლა, მიმართვაც მისცა, მაგრამ ჩემი გერმანულის ამბავი ხომ იცი. ამათაც არ იციან გერმანული ენა, ამიტომ დახმარებისათვის შენ მოგმართე. იქნება თარჯიმნობა გაგვიწიო.

ზაზას გულწრფელად შეებრალა ახალგაზრდები. იგი მზად იყო ქვეყნის დასალიერში გაჰყოლოდა მათ, თუკი რამეს უშველიდა.

ზაზა, — შეაწყვეტინა ფიქრები გიამ, — ჩვენ ეხლავე უნდა წავიდეთ, რადგან საავადყოფო, სადაც ის პროფესორი მუშაობს ზაარლანდშია, აქედან კარგა მოშორებით. ხომ იცი ამათი კანონი უკრძალავს ლტოლვილებს გადაადგილებას, სხვა მიწაზე გადასვლას. ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში დეპორტია მოსალოდნელი.

ზაზას არ სჭირდებოდა საპასპორტო რეჟიმთან დაკავშირებული კანონის შეხსენება. ისედაც კარგად ერკვეოდა ყველა-

ფერში, მაგრამ სურვილი ახალგაზრდების დახმარებისა იმდენად დიდი იყო, რომ მოსალოდნელი დეპორტი არ აშინებდა. იგი ნაუცხათევი საუზმით გაუმასპინძლდა სტუმრებს, ტანსაცმელი გამოიცვალა და მალე მათთან ერთად მანქანაში ჩაჯდა. ჩქარობდნენ, ეშინოდათ დრო ტყუილუბრალოდ არ დაეკარგათ, რადგან შორი მანძილი ჰქონდათ გასავლელი. გიამ ძრავი ჩართო და „აუდიც“ სწრაფად მოსწყდა ადგილს.

ნინო კარგ ხასიათზე იყო. მიუხედავად ავი სენისა, ცდილობდა სხვის გუნება-განწყობაზე უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა. თანაც იმედი ჰქონდა, რომ პროფესორი აუცილებლად დაეხმარებოდა. ნიკოს ახარებდა ნინოს მხიარულება და ცდილობდა მხარი აება მისთვის, ჰყევბოდა სასაცილო ანეკდოტებს, ნინო კი კისკისებდა. ასე სიცილითა და მხიარულობით ჩავიდნენ ზარლანდში. გია ყოველნაირად ცდილობდა მაქსიმალური ყურადღება გამოეჩინა, რათა არ დაერცვია მოძრაობის წესები, სხვა დროს მაინცდამაინც არ იწუხებდა თავს, მათი დარღვევის გამო ბევრჯერ მოსვლია საჯარიმო ქვითარი, მაგრამ ეხლა არ უნდოდა პოლიციასთან პრობლემები შექმნოდა.

უკვე 4 საათი იყო, რაც ზაზასგან წამოვიდნენ. ამ ხნის განმავლობაში მათ მოშივდათ და გადაწყვიტეს წაეხემსათ. მანქანა იქვე, კემპინგისათვის გამოყოფილ ადგილას გააჩერეს და გადმოვიდნენ. ირგვლივ შესანიშნავი ლანდშაფტი იყო. ფიჭვისა და კედრის ხეების სასიამოვნო სურნელი იდგა.

გიამ მანქანის საბარგულიდან საკმაოდ მოზრდილ პარკი ამოაძვრინა და მისი მეუღლის მიერ წინადლით გამზადებული საჭმლის ამოლაგებას შეუდგა. მანქანის კაპოტზე გაშლილ სუფრაზე მადიანად საუზმობდნენ ჩვენი მგზავრები, რომ უცებ, სრულიად მოულოდნელად, გერმანელი პოლიციელის მოტოციკლი მათი „აუდის“ წინ გაჩერდა.

— ესლა გვაკლდა სრული კამპანიისათვის, — თქვა გიამ და ზაზას გადახედა. ზაზა გრძნობდა, რომ პოლიციელთან მას არასა-სიამოვნო საუბარი ექნებოდა. ის სრულიად აცნობიერებდა მოსალოდნელ სიტუაციას და ცდილობდა სიმშვიდე შეენარჩუნებინა. მას ქართული მულტფილმი „სოფლის მაშენებლები“ გაახსენდა და პოლიციელის გამოჩენა ფილმის ხატოვან ფრაზას

– „აი, მესამე ხმაც მოვედი“, -ო დაუკავშირა.

პოლიციელი თავაზიანად მიესალმა მგზავრებს. მიხვდა, რომ მისი გამოჩენა არ ესიამოვნათ უცხოელებს. მან სათითაოდ დაიწყო პასპორტების შემოწმება. როცა ზაზას ჯერი დადგა, მან მიაწოდა თავისი „აუსვაისი“ და ავის მოლოდინში გაირინდა. პოლიციელს სახეზე კეთილი იერი გაუქრა, ზაზას „აუსვაისი“ ერთხელ კიდევ შეამოწმა და მკაცრად უთხრა:

– თქვენ იმყოფებით ზაარლანდის მიწაზე, რისი უფლებაც არ გაქვთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონით, თქვენს მიმართ გამოყენებული იქნება ამ კანონით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი ზომები, შესაძლებელია დეპორტიც.

პოლიციელმა სულმოუთქმელად აუწყა ზაზას მის მიერ დარღვეული კანონის შესახებ და პროცედურის შესრულებას შეუდგა. მოტოციკლის უკან მოთავსებული საბარგულიდან ხელჩანთა ამოილო, გახსნა და ის იყო ნომრიანი ბლანკის ფურცელს მისი კალამი უნდა შეხებოდა, რომ ზაზამ გამართული გერმანულით მიმართა:

– ბატონო პოლიციელო, თქვენ კანონის სადარაჯოზე დგახართ და ასრულებთ ამ კანონით მინიჭებულ უფლებებს, რასაც თქვენი ქვეყნის ინტერესები გავალდებულებთ. მე არავითარი უფლება არა მაქვს ეჭვი შევიტანო თქვენი ქმედების სისწორეში, მითუმეტეს, ორივე, თქვენც და მეც ფაქტის წინაშე ვდგავართ. მე დარღვეული მაქვს საპასპორტო რეჟიმი, რის გამოც სამართლიანად უნდა დავისაჯო...

ზაზა წყნარად, აუღელვებლად ლაპარაკობდა, ისე დამაჯერებლად განმარტავდა მის მიერ დარღვეული ქმედების შესახებ, რომ გერმანელი გაოგნდა და გაკვირვებული უსმენდა ზაზას, რომელიც გამართული გერმანულით საუბრობდა. მას თავისი მოვალეობა დაავიწყდა და ინტერესით ისმენდა ზაზას საუბარს სამართალდარღვევების შესახებ.

ზაზამ რა დაინახა, რომ პოლიციელმა საჯარიმო ქვითრის შევსება დროებით გადადო და მას ინტერესით უსმენდა, განაგრძო:

– ბატონო პოლიციელო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ

ზოგჯერ კანონი საკმაოდ ხისტი და არაეფექტურია, ხშირად მას უკუშედეგიც მოაქვს, რადგან კანონის მიღმა არსებობს ადამიანებს შორის ჰუმანური, სიკეთით აღსავსე ნდობისა და პატიების ურთიერთობები, რომელზედაც დგას დღევანდელი ცივილიზებული სამყარო...

პოლიციელი ცოტა არ იყოს გაოცებული ისმენდა ზაზას ფილოსოფიურ მონოლოგს. ის ისე დამაჯერებლად უმტკიცებდა ყველაფერს, რომ იგი თავს უფლებას არ აძლევდა შეეწყვეტინებინა ზაზასათვის საუბარი. გია, ნინო და ნიკო გაშტერებულები იდგნენ და შეჰყურებდნენ ზაზას, რომელიც მათვის გაუგებარ ენაზე რაღაცას უმტკიცებდა პოლიციელს. ბოლოს, როგორც იქნა ზაზა მთავარ სათქმელს მიადგა.

— ბატონო პოლიციელო, ხომ ხედავთ ამ ახალგაზრდა, მშვენიერ არსებას, — უთხრა ზაზამ და ნინოზე მიუთითა, — ის მძიმედ არის ავად, ავთვისებიანი სიმსივნით. ჩვენ გვაქვს ექიმის მიმართვა პროფესორთან, რომელმაც უნდა გაისინჯოს ავად-მყოფი. ყოველი დღე გადამწყვეტია მისი სიცოცხლისათვის. მათ გერმანული არ იციან, ამიტომ თარჯიმნობა მე უნდა გავუწიო.

ზაზამ თავისი სიტყვების დასამტკიცებლად ექიმის მიმართვა და უკვე გერმანულად ნათარგმნი, ნინოს ავადმყოფობის ისტორია აჩვენა პოლიციელს. მოულოდნელი ამბის გაგებით ის ხან ზაზას უყურებდა და ხან ნინოს, თან ავადმყოფობის ისტორიას ათვალიერებდა, რამდენიმე ფურცლის გულდასმით წაკითხვის შემდეგ საბუთების შეკვრა ნიკოს დაუბრუნა, შემდეგ ნინოსთან მივიდა, მისი სილამაზით მოხიბლულმა ჩამოშლილ კულულებზე ხელი ჩამოუსვა, თანაგრძნობით გაულიმა და ზაზას მიუბრუნდა კითხვით

— ვინ ხართ თქვენ? საიდან ხართ?

— ჩვენ ქართველები ვართ, საქართველოდან! — უპასუხა ზაზამ.

— საქართველო, სტალინი, შევარდნაძე, — წარმოსთქვა თავისთვის ეს სამი სიტყვა და ზაზას მიმართა:

— კარგი, მე არ დაგინერ აქტის, რადგან შენი უკანონო ქმედება ახალგაზრდა ქალის სიცოცხლის გადასარჩენად არის ნაკარნახევი, მაგრამ შენც მომეცი პირობა, რომ ამ შემთხვევას არსად



არ გაახმაურებ. მე ახლა შენზე უფრო მეტად ვარღვევ კანონს იმით, რომ უარს ვაცხადებ მის აღსრულებაზე. ჩემმა ხელმძღვანელობამ ამ ფაქტის შესახებ რომ შეიტყოს, მე არა მარტო სამსახურს დამატოვებინებენ, არამედ შესაძლებელია პასუხისმებაშიც მიმცენ. ახლა კი წადით, ნულარ დააგვიანებთ, – უთხრა პოლიციელმა და მოტოციკლის ძრავი ჩართო.

– ბატონი პოლიციელო, ჩვენ იმ საავადმყოფოს მისამართი ზუსტად არ ვიცით. ამ ქალაქში სრულიად უცხო ვართ. იქნება გვითხრათ მისამართი? – გაკადნიერდა ზაზა.

– უკან გამომყევით, – თქვა პოლიციელმა და მოტოციკლი ადგილიდან დაძრა.

საავადმყოფოსთან მისული ზაზა და მისი მეგობრები ემშვიდობებოდნენ და გულთბილ მადლობას უხდიდნენ გერმანელ პოლიციელს, რომელმაც იმისათვის, რომ ადამიანური სიკეთე ჩაედინა, კანონის აღსრულებაზე უარი თქვა.

ჰერნა მართლისა...

ვერ იქნა და ვერ დაიძინა ლევანმა, მთელი ღამე თეთრად გაათენა. ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში, ხუმრობა ხომ არ იყო პირადად მინისტრმა მოიწადინა მასთან გასაუბრება თანამ-დებობაზე დანიშვნამდე, — ვაი თუ არ დამამტკიცოს, არ მოაწე-როს ბრძანებას ხელი ჩემი დანიშვნის შესახებ! ლევანს იმდენად ის უფრო არ აღელვებდა რომ არ დაენიშნათ სამმართველოს უფროსად, არამედ ის, რომ მისმა თანამშრომლებმა და მეგო-ბრებმა უკვე იცოდნენ მისი დაწინაურების შესახებ და უცებ მინისტრს უარი რომ ეთქვა. რა სირცევილი იქნებოდა, როგორ-ლა უნდა შეეხედა ლევანს მათვის. თუმცა წინასწარ ხმები მისი დაწინაურების შესახებ სულ სხვა ადამიანებმა გაავრცელეს, ლევანს ამის შესახებ ხმა არ ამოულია, სწორედ მინისტრის შესა-ძლო სავარაუდო უარი იქნებოდა მისთვის უხერხული. თუმცა ლა დარწმუნებული იყო მინისტრი ხელს მოაწერდა მის სამმართ-ველოს უფროსად დანიშვნას. ამ ფიქრებში დაათენდა ლევანს, ლოგინში ველარ გაძლო, ადგა, ჯერ კიდევ სისხამი დილა იყო, შევიდა სააბაზანოში, წყალი გადაივლო, წვერი გაიპარსა, ჩა-იცვა და თავისი პირადი საქმის საქაღალდე გახსნა. კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი თავის შრომის წიგნაკს, რომელიც მხოლოდ მადლობის და კეთილსინდისიერი შრომის დამადას-ტურებელი ჩანაწერებით იყო სავსე, წლების მიხედვით ჩააწყო საქაღალდეში ყველა ის დოკუმენტი, რომელიც სამინისტროში უნდა წარედგინა და წასასვლელად მოემზადა.

— არ ისაუზმებ? — ჰკითხა მეუღლემ ლევანს, — არა, თამარ, ის-ეთი მნიშვნელვანი დღეა ჩემთვის, ისეთ მოლოდინში ვარ, რომ ვერ ვისაუზმებ, — მოუბოდიშა ლევანმა, კარი გახსნა, თამარს დაემშვიდობა და კიბეებზე სწრაფად ჩაირბინა.

მინისტრის მისაღებში რამდენიმე თანამშრომელი თავის რიგს უცდიდა, ლევანი მათ გვერდით დაჯდა და დაელოდა გამოძახებას. არ გასულა დიდი ხანი და მინისტრის კაბინეტი-დან გამოსულმა მდივანმა ლევანს ჰკითხა, — თქვენ ბრძანდებით ლევან ლომინაძე?

— დიახ! — უპასუხა ლევანმა და ფეხზე წამოდგა.

– მინისტრი გელოდებათ, გთხოვთ შებრძანდეთ!

ლევანმა მორიდებით შეაღო მინისტრის კაბინეტის კარი და შევიდა.

ბატონი ალექს ფეხზე წამოდგა, გულთბილად მიეგება ლევანს, ხელი ჩამოართვა და იქვე სავარძელზე ანიშნა დამჯდარიყო.

– ბატონო ლევან, მე გავეცანი თქვენს ავტობიოგრაფიას, საინტერესო წარსულის მქონე კაცი ხართ, განათლების სისტემაში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილებაც გქონიათ, რიგითი პედაგოგობიდან დაგინყიათ მუშაობა, გავლილი გაქვთ თანამდებობრივი აღმასვლის თითქმის ყველა საფეხური, თქვენი საქმიანობა ყველა ეტაპზე წარმატებულად არის შეფასებული, თანაც ჩემი კოლეგა ბრძანდებით – გერმანისტი... ხომ ასეა?

– დიახ, ბატონო მინისტრო, – უპასუხა ლევანმა.

მე წინააღმდეგი არა ვარ თქვენს დანიშვნაზე ქვემო ქართლის სასკოლო ოლქის სამმართველოს უფროსად, დღესვე მოვაწერ ბრძანებას ხელს, თქვენთან გასაუბრება მინდოდა მხოლოდ, მიუხედავად თქვენი დიდი გამოცდილებისა, მინდა მაინც კეთილი რჩევა მოგცეთ, ქვემო ქართლის რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე ურთულესია თავისი სპეციფიკით მთელს საქართველოში. ამ რეგიონში ოთხენოვანი სწავლებაა, მოგეხსენებათ ეს კიდევ დამატებით სირთულეს ქმნის, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის სწავლების სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს, მაინც საკმაოდ უჭირთ ამ მხრივ, ეს პრობლემა მთელი სიმძაფრით დგას დღეს აზერბაიჯანულ სექტორზე. ჩემი თხოვნა იქნება ამ საკითხს განსაკუთრებით მიაქციოთ ყურადღება. სიდიდითაც, როგორც იცით ყველაზე დიდი რეგიონია, შვიდი რაიონის განათლების სისტემა უნდა მართოთ, ბატონო ლევან. ეს დიდ პატივთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაც არის. იმედი მაქვს ღირსეულად გაართმევთ თავს დაკისრებულ მოვალეობას.

მინისტრი წამოდგა ფეხზე, კიდევ ერთხელ მიულოცა ლევანს ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა, დამშვიდობებისას ხელი ჩამოართვა და წარმატებები უსურვა.

ლევანმა სასიამოვნო შთაბეჭდილებებით დატოვა მინისტრის კაბინეტი და დანიშვნის ბრძანება კიდევ ერთხელ გადაიკითხა:

„დაინიშნოს ლევან ლომინაძე ქვემო ქართლის სასკოლო ოლქის სამართველოს უფროსად“, ქვემოთ მინისტრის ხელმოწერა, სამინისტროს ბეჭედი და დანიშვნის თარიღი 2003 წლის 31 დეკემბერი.

— კარგი საახალწლო საჩუქარია, უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი, — თქვა თავისთვის ლევანმა, ბრძანება საქალალდეში ჩადო და მშობლიური ქალაქისაკენ გამოემგზავრა.

ლევანი მონდომებით შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, საქმეს უმალ აულო ალლო, ცოდნამ და გამოცდილებამ საქმის სპეციფიკა გაუიოლა. სულ რამდენიმე კვირაში სრულიად ფლობდა სასკოლო ოლქში შექმნილ სიტუაციას. განსაკუთრებული სირთულეები და პრობლემები არაქართულ სკოლებში იყო, სადაც მოქმედებდა ქართული ენის შესწავლის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სამინისტროს მიერ გრანტით იყო დაფინანსებული. ლევანმა ერთ თვეში სრულიად მოიარა ქვემო ქართლის ყველა რაიონი ქ. რუსთავის ჩათვლით, გაეცნო სკოლებში არსებულ მდგომარეობას, იქ შექმნილ პრობლემებს და ეტაპობრივად შეუდგა ამ პრობლემების აღმოფხვრას. სამინისტროს თანამშრომლები მხარში ედგნენ ახლად დანიშნულ სამართველოს უფროსს. ყოველ მხრივ ეხმარებოდნენ მას, აფასებდნენ მის გამოცდილებას, ლევანისგანაც ბევრს სწავლობდნენ.

ლევანმა სამართველოს თანამშრომლები ძირითადად შეინარჩუნა, მცირე გამონაკლისის გარდა. განსაკუთრებით პატივისცემით ეპყრობოდა ასაკოვან, გამოცდილ მუშაკებს, რომლებმაც ზედმინევნით იცოდნენ ამ მეტად რთული და პრობლემებით აღსავსე საქმის სპეციფიკა. არც ახალგაზრდებს აკლებდა ყურადღებას, იგი კმაყოფილი იყო ახალგაზრდა თანამშრომელთა მუშაობით და საქმისადმი ერთგულებით. ამ თვისებებს უფროსი დიდად აფასებდა და შეძლებისდაგვარად ფულადი პრემიებით აჯილდოებდა ახალგაზრდებს.

ლევანი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სამართველოში ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად რაიონებიდან ჩამოსული პედაგოგების მიმართ, მდივანი გაფრთხილებული ჰყავდა, რომ პირველ რიგში მათთვის უნდა მოესმინა და მათი

პრობლემები უნდა გადაეწყვიტა, რადგან ისინი ისევ რაიონში უნდა დაბრუნებულიყვნენ და სამართველოს უფროსის მისაღებში მოცდას და ლოდინს, ლევანი ამ პედაგოგებისათვის განსაკუთრებით კრძალავდა.

ახალმა ხელისუფლებამ მოსვლისთანავე დაიწყო საკადრო ცვლილებების გატარება, განსაკუთრებული აქცენტი იქნა გადატანილი ახალგაზრდებზე. ერთი შეხედვით, საკადრო პოლიტიკის ახალგაზრდებზე ორიენტირება არ იყო გაუმართლებელი, მაგრამ გამოცდილი კადრების ტოტალური დათხოვნა-შემცირება საქმის გაუარესებას იწვევდა. სამინისტროებსა თუ სახელმწიფო უწყებებში უამრავმა გამოუცდელმა, ზოგჯერ საქმის სრულიად არმცოდნე ახალგაზრდამ მოიყარა თავი. სამსახურებიდან გაშვებულ იქნა საშუალო თაობის საქმის მცოდნე პროფესიონალი კადრები, შედეგმაც არ დააყოვნა და ახალგაზრდა ხელისუფლების მიერ წამოწყებულმა რეფორმებმა კრახი განიცადა.

განსაკუთრებული პრეტენზიებით და ამბიციებით გამოირჩეოდნენ სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ ამა თუ იმ უწყებებიდან გამოცდილი კადრების გაშვებას და მათ ადგილზე პარტიული ნიშნით თუ ნაცნობობით არაპროფესიონალი ახალგაზრდების დანიშვნას. ეს ქმედებები, უმეტეს შემთხვევაში, კანონის სრული იგნორირებით ტარდებოდა, რითაც ზარალდებოდა საქმეც და ქვეყანაც..

არც ლევანი გადაურჩა ამგვარი ქმედებების ზეწოლას. ამ ტენდენციებმა განსაკუთრებით მაშინ იჩინა თავი, როცა ქვემო ქართლში გუბერნატორად სრულიად ახალგაზრდა კაცი დაინიშნა.

– ბატონო ლევან, სახელისუფლებო პარტიის ოფისიდან გირეკავენ, გთხოვთ აიღოთ ხაზის ტელეფონი, – უთხრა კაბინეტში შემოსულმა მდივანმა ლევანს.

- ლომინაძე გისმენთ! – უპასუხა ლევანმა
- გთხოვთ ოფისში მობრძანდეთ. მეტად მნიშვნელოვანი საკითხი გვაქვს თქვენთან ერთად გადასაწყვეტი.
- ახლავე გეახლებით! – უპასუხა ლევანმა და ყურმილი დადო.

შემდეგ მდივანს სთხოვა მასთან მიღებაზე მისულთათვის ბოდი-ში მოეხადა, რადგან არ იცოდა როდის დაბრუნდებოდა სამსა-ხურში.

ოფისში მისულ ლომინაძეს რეგიონის სახელისუფლებო პარ-ტიის მაღალჩინოსნები დახვდნენ. რეგიონული პარტიის თავმ-ჯდომარემ ლევანს კატეგორიულად მოსთხოვა ქალაქის განა-თლების განყოფილების გამგის გათავისუფლება.

ლევანი არ მოელოდა ასეთ მოთხოვნას, ის კარგად იცნობდა განყოფილების გამგეს, ეჭვი არ ეპარებოდა მის მაღალ პროფე-სიონალიზმა და საქმის ერთგულებაში. ლევანმა სთხოვა მათ აეხსნათ მისთვის თუ რა მოტივაციით ითხოვდნენ მის გათავი-სუფლებას, თუმცა იგი ხვდებოდა, რომ მათ სურდათ ეს სამსა-ხური შეეთავაზებინათ ვინმე ახალგაზრდა პარტიელისათვის.

— მთელს ქალაქში დადის ხმები მისი კორუმპირებულობის შესახებ, შენ რა არ იცი? — მკვახედ უთხრა პარტიულმა ბოსმა ლევანს.

— გაქვთ რაიმე მაკომპრომატებელი საბუთი ამ პიროვნების შესახებ? — ჰკითხა ლევანმა მას.

— ჩვენთვის ისიც საკმარისია, რასაც ხალხი ლაპარაკობს, — გაცხარდა პარტიული ხელმძღვანელი.

— ხალხის ლაპარაკი და ჭორები ჩემთვის არ არის არგუ-მენტი თანამშრომლის გასათავისუფლებლად. მე წინააღმდეგი ვარ დავწერო მინისტრთან წარდგინება განყოფილების გამგის გათავისუფლების შესახებ, — მტკიცედ განუცხადა მათ ლევანმა.

— ეს დაუმორჩილებლობა ცუდად დაგიმთავრდებათ, ბატონო ლევან, — ირონიანარევი ლიმილით უპასუხა ერთ-ერთმა იმათ-განმა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ლევანი აღაშფოთა ამ ახალგაზრდა კაცის უდიერმა პასუხმა და მკვახედ მიუგო.

— მე არ ვარ თქვენი პარტიის წევრი, ამდენად არ ვარ ვალდე-ბული დავაკუმაყოფილო თქვენი უკანონო და არაარგუმენტირე-ბული მოთხოვნები. მე მყავს ჩემი ხელმძღვანელი — მინისტრი და ვასრულებ მის მითითებებს, მაგრამ მინდა იცოდეთ, თუ მი-ნისტრიც თქვენ მსგავსად მომთხოვს უკანონო, უღირსი გადაწ-ყვეტილების შესრულებას, მასაც იგივე პასუხს გავცემ, რასაც

თქვენ გეუბნებით! – ბოლო სიტყვები ლევანმა მკაცრად წარმოსთქვა და დაუმშვიდობებლად დატოვა პარტიის ოფისი.

ნაციონალებმა კარგად იცოდნენ ლევანის პრინციპული ხასიათი. მას აქტიური მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ვარდების რევოლუციაში, თანამზრახველთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ამიტომ სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები ცდილობდნენ მასთან უკომფლიქტოდ მოეგვარებინათ საქმე, თუმცა, ამჯერად ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

სახლში დაბრუნებულ ლევანს მეუღლემ უხასიათობა შემაჩინია.

– რა მოხდა ლევან? რაღაც ვერა ხარ ხასიათზე?

– ჰო, მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო, სახელისუფლებო პარტიის თანამშრომლებთან მქონდა კამათი, სურთ მათ დაკრულზე ვიცევვო, თითქოს მე არც სინდისი გამაჩინდეს და არც ღირსება, ჩემს ფუნქციებში იჭრებიან და მითითებენ, თუ ვინ გავათავისუფლო ან ვინ დავნიშნო სამსახურში. ასე თუ გააგრძელეს, მინისტრთან შევაღ. მათი ქმედება და პრეტენზიები მოუთმენელი და დაუშვებელია. თუ მინისტრიც ლოიალობას გამოიჩინს ასეთი ქმედებების მიმართ, მაშინ აზრს კარგავს ჩემი ყოფნა სამსახურში, გამოვიხურავ კარებს და წამოვაღ.

– დამშვიდდი, დაწყნარდი! იქნებ სასიკეთოდ შეიცვალოს რამე, სულ ასე ხომ არ იქნება?! – თანაგრძნობით ეუბნებოდა მეუღლე ლევანს.

მეორე დღეს ლევანის სამუშაო დღე ჩვეულებრივ დაიწყო, პარტიულ ბოსებს ის არ შეუწუხებიათ, არც ტელეფონზე შეხმიანებიან.

– ბატონო ლევან! ქალბატონი გელოდებათ მარნეულის რაიონის აზერბაიჯანული სკოლიდან, – უთხრა მდივანმა.

– სთხოვეთ, მოვიდეს! – მიუგო ლევანმა მდივანს.

კაბინეტში შემოვიდა შუახნის ასაკის ქალბატონი, რომლის ჩაცმულობა აშკარად მიანიშნებდა, რომ სოციალურად შეჭირვებული პედაგოგი უნდა ყოფილიყო. მასწავლებელი მორიდებულად მიესალმა ლევანს და დაიწყო საუბარი პირადი პრობლემის შესახებ. ლევანის კეთილმა განწყობამ და მისი პრობლემებისადმი დაინტერესებამ ქალბატონს საშუალება

მისცა სრულიად მოეყოლა თავისი წარსული და დღევანდელი ცხოვრება. ქალბატონი ათი წლის უკან ჩამოსულა კასპის რაიონიდან მარნეულის ერთ-ერთ აზერბაიჯანულ სოფელში ქართული ენის მასწავლებლად. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ორ შვილთან მარტო დარჩენილს გასჭირვებია კასპში ცხოვრება, მიმხმარებელი არავინ ჰყოლია, გაზეთში წაუკითხავს მოთხოვნა ქართული ენის პედაგოგებზე, ბევრი აღარ უფიქრია და თავის ორ შვილთან ერთად საცხოვრებლად და სამუშაოდ წამოსულა მარნეულის რაიონის აზერბაიჯანულ სკოლაში, თავდაპირველად ძალზე გასჭირვებია უცხო, არაქართულ გარემოში ყოფნა. რაიონის ხელმძღვანელობას მისთვის საცხოვრებელი ვაგონი მიუცია, ზამთარში შეშითაც ამარაგებდნენ და სხვა სოციალურ დახმარებასაც უწევდნენ, თუმცა მაინც ხელმოკლედ ცხოვრობდა თავის შვილებთან ერთად.

— ბატონო ლევან, თქვენ წარმოგიდგენიათ ტელევიზორიც კი არ გვაქვს, რომ ქართულ გადაცემებს მაინც ვუყუროთ მე და ჩემმა შვილებმა.

პრობლემას ისიც წარმოადგენდა, რომ შორიახლოს ქართული სოფელი არ იყო, ამიტომ ქალბატონი ელიკო იძულებული იყო მის შვილებს აზერბაიჯანულ სკოლაში გაეგრძელებინათ სწავლა. განსაკუთრებით უფროსი გამოირჩეოდა სწავლით, მას ადვილად აეთვისებინა აზერბაიჯანული ენა, ორი წლის წინ დაუმთავრებია საშუალო სკოლა და ახლა ბაქოს უნივერსიტეტში სწავლობდა.

ქალბატონი ელიკო სახელმწიფო ენის სწავლების საგრანტო სისტემაში იყო ჩართული და ყოველთვიურად გრანტის სახით ხელფასზე დანამატს იღებდა. ორი თვეა, რაც არ მიუღია ეს დანამატი. სკოლის დირექტორმა ვერ გადაწყვიტა ეს საკითხი, რადგან რაიონიდან მოწოდებულ უწყისებში მისი სახელი და გვარი არ იყო შეტანილი რაიონის განათლების განყოფილების თანამშრომლებმა ვერ აღმოაჩინეს უწყისში მისი გვარი და ურჩიეს ოლქის სამმართველოში გაერკვია, თუ რატომ არ იყო დარიცხული მასზე საგრანტო თანხა.

ლევანმა გულდასმით მოისმინა ქალბატონი ელიკოს გასაჭირი, შემდეგ მობილურზე აკრიფა რაიონის განათლების

განყოფილების გამგის ტელეფონის ნომერი:

— ბატონი ქამანდარ! ჩემთან არის თქვენი რაიონის აზერბაიჯანული სკოლის ქართული ენის მასწავლებელი ელიკო ბახტურიშვილი, ის უკვე მეორე თვეა არ იღებს საგრანტო დანამატს, გთხოვთ გაარკვიოთ და მაცნობოთ მიზეზი. სამინისტროდან ჩარიცხული თანხა აუთვისებელი არ დაგრჩეთ, ხომ იცით ეს საკითხი მკაცრ კონტროლზეა აყვანილი.

— ბატონი ლევან, მე უკვე გავერკვიე ქალბატონ ბახტურიშვილთან შექმნილი პრობლემაში და გაცნობებთ, რომ ბუღალტერს სიების გადაწერისას გამორჩენია მისი გვარი, ხოლო მასზე გრანტის სახით დარიცხული თანხა ნაშთად გვაქვს. ქალბატონ ბახტურიშვილს შეუძლია დამშვიდებული იყოს, მომავალ თვეს ის სრულად აიღებს ორი თვის საგრანტო თანხას, — უპასუხა განყოფილების გამგემ, ქალბატონმა სრულად მოისმინა სამმართველოს უფროსისა და განყოფილების გამგის სატელეფონო საუბარი და უზომოდ კმაყოფილი დარჩა მისი პრობლემის მოგვარებით.

ქალბატონი ელიკო წამოდგა, დაემშვიდობა ბატონ ლევანს და კაბინეტის კარისკენ გაემართა, კართან მისული მასწავლებელი ლევანის ხმამ შეაჩერა:

— ერთი წუთით, ქალბატონო ელიკო, აი ეს ტელევიზორი, კუთხეში რომ დგას, თქვენია, მე გჩუქნით ამ ტელევიზორს. უარი არ მითხრათ, თორემ ძალიან მეწყინება, არ იფიქროთ, რომ მე თქვენ სახელმწიფო ქონებას გჩუქნით. ეს ტელევიზორი ჩემია, სახლიდან მოვიტანე. ასე რომ, სრული უფლება მაქვს გავაჩუქო. თქვენ იმ არაქართულ გარემოში აუცილებლად უნდა უყუროთ ქართულ გადაცემებს. ეს თქვენთვის და თქვენი შვილებისათვის არა მარტო აუცილებელია, არამედ სავალდებულოც არის.

— არმაზს დამიძახეთ! — ტელეფონზე შეეხმიანა ლევანი მდივანს.

რამდენიმე წუთში არმაზი ლევანის კაბინეტში შემოვიდა.

— ბატონი არმაზ! ეს ტელევიზორი ქალბატონ ელიკოს ვაჩუქებს წადი, ტაქსი მოიყვანე, ჩაუდე მანქანაში ტელევიზორი და მარნეულში მიმავალ სამარშრუტო ავტობუსამდე მიაცილე! აი, გამომართვი, — უთხრა ლევანმა და ოცლარიანი გაუწოდა არმაზს.

- ბატონი ლევან, არ არის საჭირო, მაქვს ტაქსის ფული.
- ჩემს გაჩუქებულ ტელევიზორზე სატრანსპორტო ხარჯიც მე უნდა გავიღო, — უთხრა ლევანმა არმაზს და ფული პიჯაკის ჯიბეში ჩაუდო. მოულოდნელობისაგან დაბნეულმა ელიკომ აღარ იცოდა როგორ გადაეხადა მადლობა ბატონი ლევანისათვის, ქალი თვალებზე მომდგარ სიხარულის ცრემლებს მაჯით იწმენდდა და ლოცვითა და გაუთავებელი სამადლობელო სიტყვებით გულს იჯერებდა.

მეორე დღეს არმაზმა კიდევ ერთხელ შეახსენა ლევანს ელიკომ მასწავლებლის ენით აუწერელი უდიდესი მადლიერება.

— არც ერთი ფულადი პრემია, ორდენი თუ მედალი არ შეეძრება იმ ჯილდოს, რაც ჩვენ ამ ქალბატონის სიხარულით სავსე ცრემლების სახით მივიღეთ, ამ უდიდესი ფასდაუდებელი ჯილდოსათვის ღირს შრომა და სიკეთის კეთება. — თქვა ლევანმა.

არმაზი უსიტყვოდ, თავის დაქნევით დაეთანხმა ლევანს და კმაყოფილმა დატოვა უფროსის კაბინეტი.

ახალგაზრდა გუბერნატორმა მოსვლისთანავე დაიწყო საკადრო ცვლილებები, როგორც მოსალოდნელი იყო თავისი ახალგაზრდა მეგობრებით ჩაანაცვლა ძველი, გამოცდილი კადრები.

ევემო ქართლის პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობაშ 28 წლის ბიჭს თავბრუ დაახვია. ამბიციები მოეძალა, არავის და არაფერს აღარ უწევდა ანგარიშს. ისე სჭრიდა და კერავდა, როგორც მას სურდა. განსხვავებულ აზრს ძნელად ეგუებოდა, განსაკუთრებით აღიზიანებდა ხალხს მისი ეგრეთწოდებული ესკორტის გამოჩენა, წინ პოლიციის ციმციმაჩართული მანქანა მოდიოდა, უკან მოჰყვებოდა ოთხი მანქანისაგან შემდგარი კოლონა, სადაც გუბერნატორის პირადი დაცვა იჯდა. ხალხი განცვითებას ვერ მაღავდა, უკვირდათ, რა საჭიროებას მოითხოვდა ამ პატარა ბიჭისათვის ასეთი დაცვით გადაადგილება. ქალაქის მცხოვრებლები გუბერნატორის კორტეჯს ირონიული ღიმილით გააყოლებდნენ ხოლმე მზერას.

თუ ყოფილი გუბერნატორი არ აწუხებდა სისტემატიური თათბირებით თანამშრომლებს, ეს ახალგაზრდა კაცი დაკავებული იყო ყოველკვირეული გეგმიური ან დამატებითი თათ-

ბირებით. თათბირზე ის განსაკუთრებით არ სწყალობდა იმ სამსახურის ხელმძღვანელებს, ვისაც მეტ-ნაკლებად ჭკუა მო-ეკითხებოდათ. მათ რიცხვში იყო სასკოლო ოლქის რეგიონული სამსახური და მისი უფროსი ლევან ლომინაძეც. უმეტეს შემ-თხვევაში, გუბერნატორი თათბირს ლომინაძეთი იწყებდა და ლომინაძეთი ამთავრებდა. ეტყობოდა თვალში არ მოსდიოდა ბატონი ლევანის არც ასაკი და არც მისი გამოცდილება. ყო-ველთვის ეძებდა მიზეზს მასთან საკამათოდ, აშკარად ჩანდა – ბატონ გუბერნატორს ვინმე სხვა ახალგაზრდა კადრი ჰყავდა მოაზრებული ლომინაძის ნაცვლად.

ლევანი დინჯად და აუღელვებლად იგერიებდა მის შემოტე-ვებს და ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლებად ჰქონოდა მასთან კონტაქტი.

– ბატონო ლევან, მოუსმინეთ გუშინ ტელევიზორში ინფორ-მაციას, რა ხდება წალკის რაიონში? – სამსახურში მოსვლისთა-ნავე ჰკითხეს თანამშრომლებმა ლევანს.

– მოვისმინე! მართლაც საგანგაშო მდგომარეობაა, ალბათ, მომიწევს იქ წასვლა, – უპასუხა ლევანმა მათ და კაბინეტში შევიდა, სადაც ტელეფონის გაბმული ზარი არ ჩერდებოდა. ლევანმა დახედა ეკრანს და ნომერი იცნო, გუბერნატორის მი-საღებიდან ურეცავდნენ.

– ლომინაძე გისმენთ! – უპასუხა ლევანმა.

– ბატონო ლევან, გუბერნატორის დავალებით გირეკავთ. ხვალ დილიდან უნდა გაემგზავროთ წალკაში, ინციდენტში სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები არიან ჩარეულნი, ადგილზე უნდა გაერკვეთ შექმნილ სიტუაციაში, გუბერნატო-რიც იქ იქნება!

– გასაგებია! – უპასუხა ლევანმა და თავის მძღოლს ბესოს გასძახა, რომელიც მისაღებში ელოდა უფროსს.

– ბესო, ხვალისათვის მანქანა მოამზადე, დილიდანვე მივ-დივართ წალკაში!

– გასაგებია, ბატონო ლევან, მანქანა მზად მაქს, – უპასუხა ბესომ.

გუშინდელი საინფორმაციო სააგენტოები იუწყებოდნენ, რომ წალკის რაიონის ადგილობრივ სომეხ მოსახლეობასა და

ჩასახლებულ სვანებს შორის ხელჩართული ჩხუბი გამართულა. ჩხუბის მიზეზი სომეხი და ქართველი მოსწავლეების საფეხბურთო მატჩი ყოფილა. ფეხბურთის მსვლელობის დროს მოსწავლეებს კამათი მოსვლიათ, რომელიც ჩხუბში გადაზრდილა. ბავშვებს მშობლები და გულშემატკივრები გამოქომაგებიათ და მომხდარა დიდი გაწევა-გამოწევა. როგორც საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ, არიან დაზარალებულებიც, რომლებიც საავადმყოფოში გადაუყვანიათ და მკურნალობის კურსს გადიოდნენ. ამ არეულობის მოთავეები, რა თქმა უნდა, დაკავებული ჰყოლიათ. სომეხი მოსახლეობა, ისე, როგორც სვანები აგრესიულად იყვნენ ერთმანეთის მიმართ განწყობილი და არც ერთი მათგანი არ ცდილობდა დაწყნარებას და სიტუაციის განმუხტვას. საჭირო იყო, როგორც რაიონის, ასევე სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლობის ჩარევა, რათა დროულად დაწყნარებულიყო ეს არეულობა და ცხოვრება ჩვეულ რიტმში ჩამდგარიყო. გამომდინარე იქიდან, რომ ინციდენტი მოსწავლეთა სპორტული ღონისძიების დროს მოხდა და აქტიურ მონაწილეობას ამ ინციდენტში სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები იღებდნენ, ლევანი ვალდებული იყო ადგილზე გაერკვია არსებული მდგომარეობა და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად მოეგვარებინა სიტუაცია.

მას შემდეგ, რაც წალკის რაიონიდან ბერძენი მოსახლეობის თითქმის უმეტესობამ დატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი და ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა, ბერძენთა ბინების შესყიდვა ხელისუფლებამ აიღო თავის თავზე, იქ დაიწყო აჭარლების და სვანების ჩამოსახლება. წალკის რაიონის ტერიტორიაზე ჩასახლებულ სვანებსა და ადგილობრივ სომეხ მოსახლეობას შორის ცხოვრება და ერთმანეთთან შეგუება გარკვეული ყოფითი მიზეზების გამო გართულდა. ხშირი იყო მათ შორის შელაპარაკება. ამ შელაპარაკებას ზოგჯერ არეულობა და ჩხუბი მოჰყვებოდა ხოლმე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ ვითარების მოწესრიგებას, ზოგჯერ ახერხებდნენ კიდეც, უმეტეს შემთხვევაში კი რეგიონული ან ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევა ხდებოდა საჭირო. ახლაც ვითარება

საკმაოდ გართულებული გახლდათ და ამიტომაც მიიჩქაროდა ლევან ლომინაძე დილაადრიან წალკაში.

წალკაში ჩასულ ლევანს გუბერნატორი თავის სამხარეო აპარატთან ერთად იქ დახვდა. ის გამგებლის კაბინეტში იმყოფებოდა და იქიდან იძლეოდა განკარგულებებს სიტუაციის განსამუხტავად. ეტყობოდა ახალგაზრდა გუბერნატორი მკაცრად იცავდა სამუშაო დღის რეჟიმს. ამ რეჟიმის აუცილებელ კომპონენტს დილის საუზმეც შეადგენდა, გუბერნატორი მადიანად შეექცეოდა ცხელ-ცხელ ხაჭაპურს, თანაც სიამოვნებით წრუბავდა საკმაოდ მოზრდილი ფინჯანიდან ყავას. გუბერნატორი განსაკუთრებით დიდ პატივს რომ სცემდა კვების პროცესს, ეს იქიდანაც ჩანდა, რომ თავის ასაკთან შედარებით წონით საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

დაინახა თუ არა ლევანი, ისე, რომ ჭამა არ შეუწყვეტია, უგერგილოდ მიესალმა და კიდევ ერთხელ შეახსენა არეულობის შესახებ უთხრა, რომ ის ვალდებული იყო ასულიყო იმ სოფელში, სადაც უკმაყოფილო სომეხმა მოსახლეობამ მეორე დღეა ბევშვები სკოლაში არ გაუშვა. პროტესტის ნიშნად, საჭირო იყო დაუყოვნებლივ აღედგინათ სასწავლო პროცესი.

გუბერნატორის თქმით ლევანი ვალდებული იყო ჩაეტარებინა ახსნა-განმარტებითი საუბრები ბედაგოგებსა და სოფლის მოსახლეობას შორის მდგომარეობის განმუხტვის მიზნით.

ლევანმა დინჯად მოუსმინა გუბერნატორს, დაპირდა, რომ ყველაფერს იღონებდა მდგომარეობის გამოსასწორებლად, იხმო წალკის განათლების განყოფილების გამგე, ალეკო და გადაწყვიტა მისი „შიგულით“ იმ სოფელში გამგზავრება, სადაც ინციდენტი მოხდა. ალეკომ, თავის მხრივ, ურჩია ლევანს, დაცვის მიზნით რამოდენიმე პოლიციელიც წაეყვანათ, მაგრამ ლევანმა შორს დაიჭირა და სასტიკ უარზე დადგა:

— არა, ალეკო, მე პოლიციელებს იმ სოფელში არ გავიყოლიებ. პედაგოგები ჩვენი კოლეგები არიან და მათთან ჩვენ თვითონ უნდა შეგვწევდეს უნარი, გვეყოს ჭკუა და გამოცდილება, რათა მათთან ურთიერთობა პოლიციელების გარეშე მოვაგვაროთ. ჩვენს კოლეგებს ჩვენზე უკეთ ვერავინ გაუგებს. უნდა მოვახერხოთ, რომ არც მათი უფლებები დაირღვეს და არც მოწი-

ნააღმდეგე მხარის, რათა საერთო საქმეს არ მიადგეს ზიანი. აპა, წარმოიდგინე, რა შთაბეჭდილება დარჩებათ ჩვენზე პედა-გოგებს, თუ მათ პოლიციელებს მივაყენებთ. ან მე, როგორც ხელმძღვანელს რა ავტორიტეტი მექნება ამის შემდეგ?!

ძნელი იყო ამ საუბრის შემდეგ ალეკო არ დათანხმებოდა ლევანს. მანქანა გაუდგა გზას და სულ რაღაც ნახევარ საათში მიუახლოვდა იმ სოფელს, სადაც სკოლის ეზოში თავი მოეყარა აგრესიულად განწყობილ მოსახლეობას.

ლევანი წყნარად გადმოვიდა მანქანიდან და აუჩქარებლად გაემართა დირექტორისაკენ, რომელიც სკოლის შესასვლელ კართან იდგა და მოსახლეობას სომხურ ენაზე რაღაცას უხს-ნიდა. დაინახა თუ არა ბატონი ლევანი, ის მისკენ წამოვიდა და ხელის ჩამორთმევით მიესალმა. ლევანი მიესალმა იქ შეკრებილ პედაგოგებს და სოფლის მოსახლეობას. აღუთქვა მათ, რომ გაერკვეოდა საქმის ვითარებაში და სამართლიანად დაიცავდა ორივე მხარის ინტერესებს, განურჩევლად მათი ეროვნულობი-სა. ამასთან დამნაშავეს აუცილებლად მოეთხოვებოდა პასუხი. ამის შემდეგ ლევანი ალეკოსთან და იქ შეკრებილ პედაგოგებ-თან და მშობლებთან ერთად შევიდა სკოლის სააქტო დარბაზში.

სოფლის მოსახლეობას გაგონილი ჰქონდა, რომ ქვემო ქარ-თლის განათლების ხელმძღვანელი პოლიციასთან ერთად უნდა მისულიყო სოფელში. დაინახეს რა ლევანი განყოფილების გამგესთან ერთად, დაწყნარდნენ და უკვე დამშვიდებულნი შეჰყვნენ მათ სააქტო დარბაზში. მოსახლეობას რეგიონის განათლების ხელმძღვანელის კეთილგონიერების იმედი ჰქონ-და. ლევან ლომინაძეს მათთან არაერთი შეხვედრის შემდეგ გარკვეული ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა და პედაგოგებიც კარ-გად იცნობდნენ სტუმრებს, დირექტორმა ლევანი და ალეკო წარუდგინა იქ მყოფთ. ითხოვა სრული სიწყნარე, რათა ხელმ-ძღვანელობას ხელი არ შეშლოდა შექმნილ ვითარებაში გას-არკვევად. ლევანს სხვა დროსაც უწევდა ამგვარ ვითრებაში მყოფ ადამიანებთან ურთიერთობა და მდგომარეობის განმუხ-ტვა, ამიტომ ყოველთვის ცდილობდა სასიამოვნო ლირიული გადახვევით დამსწრეთა კეთილგანწყობა მოეპოვებინა. მან

ამჯერადაც არ უღალატა ტრადიციას და მოკლედ ისაუბრა ქართველებსა და სომხებს შორის შორეული წარსულის ურთიერთობებზე, მათ ერთობლივ ბრძოლაზე მოძალადე მტრის წინააღმდეგ, მოიყვანა ფაქტები ამ ორი ერის მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების შესახებ. საუბარში ლევანს საქართველოს ისტორიის კარგი ცოდნა ეხმარებოდა. გაიხსენა ემიგრაციის წლები, როცა გერმანიაში მყოფს თარჯიმნის მოვალეობის შესრულება უხდებოდა სომეხ ლტოლვილებთან, ამ მონაცემით ლევანმა კეთილგანნყობის ატმოსფერო შექმნა დამსწრეთა შორის.

ლევანმა ისაუბრა სახელმწიფო გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც მოხდა წალკაში ბერძენი მოსახლეობის წასვლის შემდეგ, მეწყერსაშიში რაიონებიდან აჭარლებისა და სვანების ჩამოსახლება, ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის სურვილი, რომ აჭარლები ჩამოესახლებინათ და სვანები არა, ლევანს მიზანშეუწონლად მიაჩნდა. თუმცა აღიარებდა, რომ ხელისუფლებას უნდა გაეთვალისწინებინა პირველ ეტაპზე მაინც, თანაცხოვრებასთან წარმოქმნილი პრობლემები და მათ აღმოსაფხვრელად მიეღო გარკვეული ზომები.

მოსალოდნელი, მცირე უნდობლობით დაწყებული საუბარი ურთიერთშორის კეთილგანნყობაში გადაიზარდა. მოსახლობის მხრიდან დასმულ კითხვებზე ლევანის კომპეტენტურმა პასუხებმა საბოლოოდ განმუხტა სიტუაცია. ბევრი ისაუბრეს განათლების სისტემაში არსებულ ხარვეზებზე და შექმნილ პრობლემებზე. ლევანმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღუთქვა პედაგოგებს დახმარება. ზოგიერთი მარტივი საკითხი, რაიონის განათლების განყოფილების გამგესთან ერთად, იქვე გადაწყდა. მოსახლეობამ პირობა დადო, რომ მეორე დღესვე ბავშვებს სკოლაში გაუშვებდა და სასწავლო პროცესიც აღდგებოდა. ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა ამ შეხვედრით.

შეხვედრის შემდეგ უზომოდ გახარებულმა ლევანმა გადაწყვიტა ტელეფონით დაკავშირებოდა გუბერნატორს და მდგომარეობის განმუხტვის და სასწავლო პროცესის აღდგენის შესახებ მოეხსენებინა. ამ მიზნით აკრიფა გუბერნატორის ტელეფონის ნომერი.

— როგორ არის საქმე, დახმარება ხომ არ გჭირდება? — ჰკითხა ლევანს გუბერნატორმა.

— გმადლობთ! დახმარება არ არის საჭირო. შექმნილი რთული ვითარება მოგვარდა. ასე რომ, ხვალიდან სასწავლო პროცესი უპრობლემოდ განახლდება.

გუბერნატორმა მადლობა გადაუხადა ლევანს განეული მუშაობისათვის და დამშვიდებული რაიონიდან გაემგზავრა.

— ბატონო ლევან, მიუხედავად ჩვენი კონსტრუქციული საუბრისა და პრობლემების მოგვარებისა, ჩვენ მაინც უფლებას ვიტოვებთ თქვენ და ბატონი ალეკო მძევლად დაგიტოვოთ, — უთხრა მათ ასაკოვანმა მათემატიკის მასწვლებელმა, რომელიც ამავე დროს პროფესიონის ორგანიზაციისაც ხელმძღვანელობდა სკოლაში.

ლევანს და ალეკოს არ გამოპარვიათ, თუ როგორი პატივისცემით ეპყრობოდნენ ამ პიროვნებას თავისი კოლეგები.

— მაინც რამდენი ხნით აპირებთ ჩვენს მძევლად დატოვებას? — ჰკითხა ლევანმა.

— ფანჯრიდან გაიხედეთ, ბატონო ლევან, და თქვენ თვითონ მიხვდებით. თუმცა, შემიძლია გითხრათ, სულ მცირე სამი, ოთხი საათით.

დარბაზში მყოფნი ცოტა არ იყოს დაიბნენ ამ მოულოდნელი და უცნაური განცხადებით. ლევანი მიუახლოვდა ფანჯარას და მესამე სართულიდან ძირს გადაიხედა. ორ ახალგაზრდას სკოლის უკან მდგარ თუთის ხეზე ჩამოეკიდებინა უზარმაზარი ყოჩი და გატყავებას ამთავრებდნენ. ლევანი მიუბრუნდა მათემატიკის მასწავლებელს და მომღიმარი სახით უპასუხა, ასეთ ვითარებაში მე და ალეკო მზად ვართ თქვენი მძევლები ვიყოთ, ოღონდ ოთხი საათი ბევრია, იქნება ცოტა შეგვიმციროთ, რადგან ცოტა დრო გვაქვს.

დირექტორი მიუახლოვდა ლევანს, მხარზე ხელი მეგობრულად გადახვია და გამართული ქართულით უთხრა:

— თქვენი ნებაა, ბატონო ლევან, როგორც გენებოთ!

მეგობრული ვითარება სუფრასთან გაგრძელდა... ლევანი და ალეკო დაემშვიდობნენ სომეს მასპინძლებს და მანქანაში ჩასხდნენ, საუბარში გართულმა განყოფილების გამგემ და რეგიონის

განათლების ხელმძღვანელმა ვერც გაიგეს, როგორ მიუახლოვდა მათი „ჟიგული“ რაიონის გამგეობას. რაიონის გამგებელი და ლევანი შეთანხმდნენ, რომ მუდმივი კონტაქტი ექნებოდათ ერთმანეთთან. დაღლილი, მაგრამ სასიამოვნო ემოციებით დატვირთულ ლევანს, ჩაჯდა თუ არა თავის მანქანაში, მაშინვე ჩაეძინა. ბესოც, ლევანის მძღოლი, კმაყოფილი და ამაყი იყო, რომ მისი „შეფის“ გონივრულმა მოქმედებამ კარგი შედეგი გამოიღო და ეს მეტად საშიში ინციდენტი ყოველგვარი გართულების გარეშე მშვიდობიანად დასრულდა. ამასთან ცდილობდა ფრთხილად ევლო, რათა წალკის მოუწესრიგებელი გზის მონაკვეთები იოლად დაეძლია და ჩაძინებული უფროსი არ გაეღვიძებინა...

— ბატონო ლევან, მოვედით! — წყნარი ხმით ჩასძახა ბესომ ლევანს, რომელსაც ეგრძნო მანქანის გაჩერება, თავი წამოეწია და ბესოს დროს ეკითხებოდა.

— უკვე პირველის ნახევარია, შუალამე გადავიდა, ბატონო ლევან.

— გმადლობ! წადი ახლა, მანქანა შენთან გააჩერე, სამსახურში ნუღარ შეივლი, შენც დაღლილი ხარ და დასვენება გჭირდება, იმედია ხვალ მაინც აღარ გვექნება ასეთი მძიმე დღე.

ლევანი მანქანიდან გადმოვიდა. ბესოს მეგობრულად მოუთათუნა მხარზე ხელი, მერე ზევით აიხედა, მეოთხე სართულის ფანჯრიდან შუქი გამოდიოდა, ლევანს გაუხარდა, სახეზე ღიმილი მოეფინა, თავი ოდნავ გააქნია და თავისთვის ჩაილაპარაკა, — არ სძინავს, მელოდება!

ეს სიტყვები თავისი მეუღლის, თამარის მისამართით იყო ნათქვამი.

სარჩევი

ანდერძი	7
გიო	41
ვალი	46
ბლაგვი	54
კოსტა	61
ჯარიმა	65
„შალიკია“	69
სახიფათო გასეირნება	75
მზრუნველი სიძე	79
დალაქი პელა	84
მიტევება	90
ჯენტლმენი	96
არშემდგარი ჟაემანი	101
წაგებული ბეჭედი	112
ახალი წელი უინდაუროდ	117
მძიმე განაჩენი	121
ტუშონკა	125
ვანო პაპა	134
ნოსტალგია	139
სიკეთისათვის დარღვეული კანონი	143
ჰქონია მართლისა...	156